Human Rights in Prisons and Other Closed Institutions

ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

სასჯელაღსრულების სისტემის სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელთა საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების კრებული

თბილისი 2013

საერთაშორისო სტანდარტების წინამდებარე კრებული, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემის სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელთა საქმიანობას არეგულირებს, წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს. იგი მომზადდა და გამოიცა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ - ფარგლებში

გამომცემლობა: შპს „პრეპრინტი“
ტირაჟი: 300 ცალი

2013წ., თბილისი, საქართველო

Compilation of International Standards Regulating Activities of the Prison Regime Staff is an unofficial translation, published within the framework of the EU/CoE Joint Programme “Human Rights in Prisons and other Closed Institutions”

Published by: “PrePrint” LTD
300 copies

2013, Tbilisi, Georgia

ISBN 978-9941-0-6157-8

ს ა რ ჩ ე ვ ი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტები

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები..... 7

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი 36
ძირითადი პრინციპები მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ ძალისა და

იარაღის გამოყენების შესახებ 43

წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად..... 52

წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა
არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ 76

ევროპის საბჭოს დოკუმენტები

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 წევრი
სახელმწიფოებისადმი ევროპის ციხის წესების შესახებ 113

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)12 წევრი
სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების
აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ 154

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)5 წევრი
სახელმწიფოებისადმი ციხის თანამშრომელთა ეთიკის ევროპის
კოდექსის შესახებ 170

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)13 წევრი
სახელმწიფოებისადმი წინასწარი პატიმრობის გამოყენების, მისი
განხორციელების პირობებისა და ძალადობის საწინააღმდეგო
ზომების შესახებ..... 178

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (98)7 წევრი
სახელმწიფოებისადმი ციხეში ჯანდაცვის ეთიკური და
ორგანიზაციული ასპექტების შესახებ 191

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ 205

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12 წევრი სახელმწიფოებისადმი უცხოელი პატიმრების შესახებ 247

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 წევრი სახელმწიფოებისადმი ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ 266

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპის კომიტეტის სტანდარტები 278

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტები

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები*

პირველადი მიმოხილვები

1. წინამდებარე წესები მიზნად არ ისახავს პენიტენციალურ დაწესებულებათა სამოდელო სისტემის აღწერას. მათი ამოცანაა, თანამედროვე აზროვნების საყოველთაო კონსენსუსსა და დღესდღეობით არსებულ ყველაზე მისაღებ სისტემათა ძირითადი ელემენტების საფუძველზე წარმოაჩინოს ის, რაც პატიმრებთან მოპყრობის საკითხში საყოველთაოდ აღიარებულია სათანადო პრინციპად და პრაქტიკად.

2. სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობების განსხვავებათა გათვალისწინებით, შეუძლებელია აღნიშნული წესების გამოყენება უკლებლივ ყველა რეგიონში. მიუხედავად ამისა, ისინი უნდა ეხმარებოდეს იმ პრაქტიკული სიძნელეების გადალახვაში, რომლებიც ხელს უშლის წესების ცხოვრებაში გატარებას, რამდენადაც წესები წარმოადგენს მინიმალურ პირობებს, რომლებიც მისაღებია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის.

3. მეორე მხრივ, საქმე გვაქვს ისეთ სფეროსთან, როდესაც ადამიანის აზრი მუდამ წინ მიისწრაფვის. წესები არ გამორიცხავს ისეთი ცდებისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას, რომლებიც მიმართული იქნება წესებში დასახული მიზნების მისაღწევად და არ ეწინააღმდეგება იქ დაფიქსირებულ პრინციპებსა და მიმართულებებს. ამ პირობის გათვალისწინებით, ციხის ცენტრალური ადმინისტრაციისთვის შეიძლება დასაშვები იყოს წესებიდან გადახვევა.

4. (1) წინამდებარე წესების I ნაწილი ეხება დაწესებულებათა ზოგად მართვას და გამოიყენება ყველა კატეგორიის პატიმართა: სისხლის თუ სამოქალაქო სამართლადამრღვევთა, განსასჯელთა თუ მს-

---

* მიღებულია გენერალური ასამბლეის პირველ კონგრესზე დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართლდამრღვევთა მოპყრობის შესახებ, რომელიც ჩატარდა ჟენევაში 1955 წელს, და რომელიც დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციებით

ჯავრდებულთა მიმართ, აგრეთვე იმ პატიმართა მიმართ, რომლებსაც მოსამართლის ბრძანებით შეფარდებული აქვთ „უსაფრთხოების რეჟიმი“ ან გამასწორებელი ღონისძიებები.

(2) II ნაწილში განხილული წესები გამოიყენება ყველა დანარჩენ ნაწილში მოხსენიებული განსაკუთრებული კატეგორიების მიმართ. თუმცაღა, „ა“ განყოფილებაში მოხსენიებული წესები, რომლებიც ეხება მსჯავრდებულ პატიმრებს, თანაბრად უნდა იქნეს გამოყენებული იმ კატგორიის პირთა მიმართაც, რომლებზეც საუბარია „ბ“, „გ“ და „დ“ განყოფილებებში, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ხსენებული კატეგორიის პატიმრებისთვის შემუშავებულ წესებსა და აუმჯოებსებს მათ მდგომარეობას.

5. (1) წესები არ ისახავს მიზნად არასრულწლოვანთა ისეთი დაწესებულების მართვის რეგლამენტირებას, როგორიც არის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულებები ან გამოსასწორებელი სკოლები, თუმცა, ზოგადად, I ნაწილი შეიძლება თანაბრად შემხებლობაში იყოს ასეთ დაწესებულებებთანაც.

(2) არასრულწლოვანი პატიმრების კატეგორიას უნდა განეკუთვნებოდეს ყველა ახალგაზრდა, რომლებიც ექვემდებარებიან არასრულწლოვანთა სასამართლოების იურისდიქციას. როგორც წესი, ასეთი ახალგაზრდების მიმართ თავისუფლების აღკვეთის ზომად პატიმრობა არ უნდა გამოიყენებოდეს.

პირველი ნაწილი
წესები ზოგადი გამოყენებისათვის

ძირითადი პრინციპები

6. (1) აუცილებელია ქვემოთ მოყვანილი წესების მიუკერძოებლად გამოყენება. დაუშვებელია დისკრიმინაცია რასობრივი, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებების, ეროვნული და სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, დაბადების ან სხვა მდგომარეობის ნიშნით.

(2) მეორე მხრივ, აუცილებელია იმ ჯგუფის რელიგიური მრწამსისა და მორალური ღირებულებების პატივისცემა, რომელ ჯგუფსაც პატიმარი განეკუთვნება.

სარეგისტრაციო ჟურნალი

7. (1) პატიმრობის ადგილებში უნდა წარმოებდეს სავალდებულო რეესტრი სარეგისტრაციო ჟურნალის სახით, რომლის გვერდები დანომრილი უნდა იყოს და რომელშიც შეტანილ იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია:

(ა) მონაცემები პატიმრის შესახებ;

(ბ) პატიმრის დაპატიმრების მიზეზები და ხელისუფლების წარმომადგენელი იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება თავისუფლების აღკვეთის შესახებ;

(გ) პატიმრის ციხეში შესვლისა და გასვლის დღე და საათი.

(2) არავინ შეიძლება იქნეს მიღებული დაწესებულებაში პატიმრობის შესახებ მოქმედი ბრძანების გარეშე. ამგვარი ბრძანების დეტალები წინასწარ უნდა იქნეს შეტანილი სარეგისტრაციო ჟურნალში.

კატეგორიების მიხედვით პატიმართა განცალკევება

8. პატიმრების სხვადასხვა კატეგორიები ნაწილდება განცალკევებულ დაწესებულებებში ან ერთი და იგივე დაწესებულების სხვადასხვა ნაწილებში მათი სქესის, ასაკის, წინა ნასამართლობის, მათი დაპატიმრების სამართლებრივი მიზეზებისა და მათთან რეკომენდირებული მოპყრობის გათვალისწინებით. შესაბამისად:

(ა) მამაკაცები და ქალები, შეძლებისდაგვარად, უნდა განთავსდნენ განცალკავებულ დაწესებულებებში; იმ დაწესებულებებში, რომლებშიც მოთავსებული არიან როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, ქალებისათვის განკუთვნილი დაწესებულების ნაწილი სრულად განცალკევებული უნდა იყოს;

(ბ) ბრალდებულები უნდა მოთავსდნენ მსჯავრდებულებისაგან განცალკევებულად;

(გ) ვალაუვალობის გამო ან სხვა სამოქალაქო საქმეებისათვის დაპატიმრებული პირები უნდა განთავსდნენ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პატიმრებისაგან განცალკევებით;

(დ) ახალგაზრდა პატიმრები განთავსებულ უნდა იქნენ მოზრდილი პატიმრებისგან განცალკევებით.

9. (1) როდესაც საძილე სადგომი წარმოადგენს ინდივიდუალურ საკნებსა თუ ოთახებს, ყოველ პატიმარს ღამის გასათევად უნდა ჰქონდეს ცალკე საკანი ან ოთახი. როდესაც განსაკუთრებული შემთხვევებისას, როგორიცაა ციხის დროებითი გადატვირთვა, აუცილებელი ხდება, რომ ციხის ადმინისტრაციამ გადაუხვიოს წინამდებარე წესებიდან, მიზანშეწონილი არ არის, რომ ორი პატიმარი ერთად იქნეს მოთავსებული საკანსა თუ ოთახში.

(2) იქ, სადაც არის საერთო საკნები, მათში მოთავსებული პატიმრების შერჩევა უნდა ხდებოდეს ძალიან გულდასმით, რათა ეჭვგარეშე იყოს, რომ მათ შეუძლიათ ასეთ პირობებში ერთად ცხოვრება. ღამღამობით უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების ხასიათთან შესაბამისი მუდმივი ზედამხედველობა.

10. ყველა საცხოვრებელი სადგომი, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით ყველა საძილე სადგომი, სრულიად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ამ სადგომების მოცულობასა და მინიმალურ ფართობს, განათებას, გათბობასა და ვენტილაციას.

11. დაწესებულებებში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები:

(ა) ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე და უნდა იყოს ისე კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება იმისდამიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა.

(ბ) ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე.

12. სანიტარული მოწყობილობები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ თითოეულმა პატიმარმა შეძლოს თავისი ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება საჭიროებისამებრ სისუფთავისა და წესიერ პირობებში.

13. დასაბანი მოწყობილობები და შხაპების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ყოველ პატიმარს შეეძლოს და მოეთხოვოს დაბანვა ან მიიღოს შხაპი შესაბამის ტემპერატურაზე (კლიმატის მიხედვით) და ისეთი სიხშირით, როგორც ამას მოითხოვს ჰიგიენის საერთო პირობები, წლის პერიოდისა და გეოგრაფიული რაიონის გათვალისწინებით, სულ მცირე კვირაში ერთხელ ზომიერი კლიმატის პირობებში.

14. დაწესებულების ყველა იმ ნაწილში, რომლითაც პატიმრები რეგულარულად სარგებლობენ, უნდა იყოს სათანადო წესრიგი და განსაკუთრებული სისუფთავე.

პირადი ჰიგიენა

15. პატიმრებს მოეთხოვებათ, რომ ყოველთვის იყვნენ სუფთად, რისთვისაც საჭიროა მათი მომარაგება წყლითა და პირადი ტუალეტისათვის საჭირო ისეთი ნივთებით, რომლებიც აუცილებელია სისუფთავისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

16. იმისათვის, რომ პატიმრებმა შეძლონ ისეთი გარეგუნლი იერის შენარჩუნება, რომელიც თავსებადი იქნება ადამიანურ ღირსებასთან, მათ უნდა მიეცეთ საშუალება იზრუნონ თავიანთ ვარცხნილობასა და წვერ–ულვაშზე და სურვილის შემთხვევაში, ჰქონდეთ რეგულარულად გაპარსვის საშუალება.

ტანსაცმელი და თეთრეული

17. (1) პატიმრებს, რომლებსაც არა აქვთ სამოქალაქო ტანსაცმლის ტარების უფლება, უნდა მიეცეთ სპეციალური ტანსაცმელი, რომელიც შეესაბამება მოცემულ კლიმატს და ხელს უწყობს მათი ჯანმრთელობის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შენარჩუნებას. ეს ტანსაცმელი არ უნდა ატარებდეს ღირსების შემლახველ ან დამამცირებელ ხასიათს.

(2) ტანსაცმელი უნდა ინახებოდეს სუფთად და მოწესრიგებულად. რეცხვა და თეთრეულის გაცემა უნდა ხდებოდეს ჰიგიენის მოთხოვნის შესაბამისად.

(3) განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც პატიმარი ხელისუფლების წარმომადგენელთა ნებართვით ტოვებს დაწესებულებას,

მას უნდა დაერთოს საკუთარი ან სხვა ისეთი ტანსაცმლის ჩაცმის ნება, რომელიც არ იქნება თვალში საცემი.

18. თუ პატიმრებისთვის ნებადართულია სამოქალაქო ტანსაცმლის ტარება, მათი დაწესებულებაში შეყვანის მომენტისთანავე მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რათა ტანსაცმელი იყოს სუფთა და ტარებისათვის შესაფერისი.

19. ადგილობრივი და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, ყოველ პატიმარს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლი და შესაფერისი თეთრეული, რომელიც გაცემის მომენტში უნდა იყოს სუფთა. ამასთან, სისუფთავის შენარჩუნების მიზნით, თეთრეული ხშირად უნდა იცვლებოდეს.

საკვები

20. (1) ციხის ადმინისტრაციამ ყოველი პატიმარი უნდა უზრუნველყოს ჩვეულ საათებში ისეთი საკვებით, რომელიც იქნება საკმარისად კარგი ხარისხის, კარგად დამზადებული და მიწოდებული და აგრეთვე, საკმარისად ნოყიერი, ძალების აღსადგენად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

(2) სასმელი წყალი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყოველი პატიმრისათვის ნებისმიერ დროს, შეუზღუდავი რაოდენობით.

ფიზიკური ვარჯიში და სპორტი

21. (1) იმ პატიმრებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული სუფთა ჰაერზე, გააჩნიათ მინიმუმ ერთი საათით მაინც ეზოში სათანადო ფიზიკური ვარჯიშის უფლება, თუ ამას ამინდი უწყობს ხელს.

(2) სათანადო ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა და სხვა პატიმრები ფიზიკური ვარჯიშის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ თამაშის შესაძლებლობით. ამისათვის საჭიროა სათანადო მოედნების, დანადგარებისა და ინვენტარის არსებობა.

სამედიცინო მომსახურება

22. (1) ყველა დაწესებულებას უნდა ჰყავდეს სულ მცირე ერთი ისეთი კვალიფიციური მედიცინის მუშაკი მაინც, რომელსაც ფსიქიატრიაშიც ექნება განათლება. საჭიროა სამედიცინო მომსახურების ორგანიზება ჯანდაცვის ადგილობრივ ან სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში. იგი უნდა მოიცავდეს ფსიქიატრიულ დიაგნოსტიკურ სამსახურებსა და სადაც ეს აუცილებელია, სულიერი აშლილობის მკურნალობას.

(2) ავადმყოფი პატიმრები, რომლებსაც სპეციალისტთა ყურადღება ესაჭიროებათ, უნდა გადაიყვანონ სპეციალურ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში. ციხის საავადმყოფოებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებისთვის და მათი მკურნალობისთვის საჭირო დანადგარები, პრეპარატები და მედიკამენტები, აგერთვე საკმარისად კვალიფიციური პერსონალი.

(3) თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ისარგებლოს კვალიფიციური სტომატოლოგის მომსახურებით.

23 (1) ქალთა საპატიმრო დაწესებულებებში უნდა იყოს ცალკე სადგომები მშობიარე ქალების მოსავლელად. შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა ღონისძიება უნდა იქნეს განხორციელებული, რომ მშობიაობა მოხდეს არა ციხის, არამედ სამოქალაქო საავადმყოფოში. იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვი დაიბადება ციხეში, აღნიშნული არ უნდა დაფიქსირდეს დაბადების მოწმობაში.

(2) როდესაც ნებადართულია ჩვილი ბავშვების დედასთან დაწესებულებაში დატოვება, გათვალისწინებული უნდა იყოს ბაგა–ბაღის შექმნა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური პერსონალით, სადაც შესაძლებელი იქნება ბავშვების დატოვება იმ პერიოდებში, როდესაც ისინი მოკლებულნი არიან დედის მზრუნველობას.

24. თითოეულმა პატიმარმა, საჭიროების შემთხვევაში, საპატიმროში მიყვანისთანავე და შემდგომში უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება მედიცინის მუშაკთან, რათა დადგინდეს, არის თუ არა იგი დაავადებული ფიზიკურად ან სულიერად, რა დროსაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ზომები; ამასთან, უნდა მოხდეს იმ პატიმრების იზოლირება, რომელთა შესახებ შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ისინი დაავადებული არიან რაიმე ინფექციური ან გადამდები

დაავადებით. ასევე უნდა გამოვლინდეს ფიზიკური და სულიერი ნაკლოვანებები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს პატიმრების გამოსწორებას.

25. (1) პატიმართა ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე უნდა ზრუნავდეს ექიმი, რომელიც ყოველდღიურად უნდა იღებდეს ან ნახულობდეს ავადმყოფ პატიმრებს და ყველას, ვისაც ექიმის ყურადღება განსაკუთრებით ესაჭიროება.

(2) როდესაც ექიმს მიაჩნია, რომ პატიმრის ფიზიკური ან სულიერი ჯანმრთელობა დარღვეულია, ან შეიძლება დაირღვეს მისი პატიმრობაში ყოფნის ან პატიმრობის სხვა პირობების გამო, მან ამის შესახებ უნდა მოახსენოს დირექტორს.

26. (1) ექიმი ვალდებულია, რეგულარულად განახორციელოს შემოწმება და ჩააბაროს ანგარიში დირექტორს შემდეგი საკითხების შესახებ:

(ა) საკვების რაოდენობა, ხარისხი, მომზადებისა და განაწილების პირობები;

(ბ) დაწესებულებისა და პატიმართა ჰიგიენა და სისუფთავე;

(გ) დაწესებულების სანიტარული მდგომარეობა, გათბობა, განათება და ვენტილაცია;

(დ) პატიმრების ტანსაცმლისა და თეთრეულის ვარგისიანობა და სისუფთავე;

(ე) ფიზკულტურასა და სპორტთან დაკავშირებული წესების დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სამუშაო არ ეკისრება სპეციალიზებულ პერსონალს.

(2) 25–ე წესის მე–2 პუნქტისა და 26–ე წესის შესაბამისად, დირექტორმა უნდა გაითვალისწინოს ექიმის მიერ წარდგენილი ანგარიშები და რჩევები და თუ იგი ეთანხმება ამ უკანასკნელის რეკომენდაციებს, მან დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები მათი ცხოვრებაში გატარებისათვის, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ეს რეკომენდაციები სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, ან თუ იგი მათ არ ეთანხმება, დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მისი მოხსენება და ექიმის რჩევა ზემდგომ ორგანოებს.

დისციპლინა და სასჯელი

27. დისციპლინა და წესრიგი მკაცრად უნდა იყოს დაცული, თუმცა, შემოღებულ უნდა იქნეს მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია ზედამხედველობის საიმედოობის უზრუნველსაყოფად და დაწესებულებაში თანაცხოვრების სათანადო წესების დასაცავად.

28. (1) არ შეიძლება, რომ პატიმრებს დისციპლინური წესით სასჯელის ფორმად დაენიშნოს საპატიმრო დაწესებულების მომსახურება.

(2) თუმცა ამ წესმა ხელი არ უნდა შეუშალოს თვითმმართველობის სისტემის სათანადო ფუნქციონირებას, რომლის დროსაც პასუხისმგებლობა გარკვეული სახით სოციალურ, აღმზრდელობით ან სპორტულ საქმიანობაზე ეკისრებათ თვით პატიმრებს, რომლებიც ზედამხედველობის ქვეშ მუშაობენ მათი გამოსწორების მიზნით შექმნილ ჯგუფებში.

29. კანონით ან კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების განკარგულებით განსაზღვრული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები:

(ა) ქმედება, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც დისციპლინური გადაცდომა;

(ბ) სასჯელის ტიპი და ხანგრძლივობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პატიმრის მიმართ;

(გ) ორგანო, რომელსაც აქვს სასჯელის დადების უფლება.

30. (1) სასჯელის დადება შეიძლება მხოლოდ ასეთი კანონის ან განკარგულების შესაბამისად, ამასთან, არ შეიძლება რომელიმე პატიმარს ერთი და იგივე სამართალდარღვევისათვის დაედოს განმეორებითი სასჯელი.

(2) დაუშვებელია პატიმრის დასჯა მანამ, სანამ წინასწარ არ მოხდება მისი ინფორმირება, თუ რა სამართალდარღვევისათვის უპირებენ დასჯას და არ მიეცემა დაცვის საშუალება. ყოველი ასეთი საქმე გულდასმით უნდა იქნეს განხილული ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ.

(3) აუცილებელობისა და შესაძლებლობის ფარგლებში, პატიმარს უნდა მიეცეს თარჯიმნის დახმარებით დაცვის საშუალება.

31. უნდა აიკრძალოს სხეულებრივი სასჯელის, ბნელ საკანში მოთავსებისა და დასჯის ყველა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი საშუალების გამოყენება, როგორც დისციპლინური გადაცდომისათვის სასჯელის დაკისრება.

32. (1) სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს იზოლირების მკაცრ რეჟიმს ან კვების რაციონის შემცირებას, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პატიმრის სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმის მიერ, რომელმაც წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ პატიმარს შეუძლია ასეთი სასჯელის გადატანა.

(2) იგივე ეხება სხვა სახის სასჯელებსაც, რომლებმაც შეიძლება პატიმარს ფიზიკური ან სულიერი ზიანი მიაყენოს. არ შეიძლება ასეთი სასჯელის გამოყენება წინააღმდეგობაში მოდიოდეს 31–ე წესის დებულებებთან. ამასთან, აღნიშნული წესიდან გადახვევა დაუშვებელია.

(3) ექიმმა ყოველდღიურად უნდა მოინახულოს ის პატიმრები, რომლებიც ექვემდებარებიან სასჯელის ასეთ ზომას და თუ პატიმრის ფიზიკური ან სულიერი მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩათვლის, რომ სასჯელი უნდა შეწყდეს ან შეიცვალოს, საკუთარი მოსაზრება ციხის დირექტორს უნდა შეატყობინოს.

შემბოჭავი საშუალებები

33. (1) სასჯელის სახით არასოდეს უნდა იქნეს გამოყენებული შემბოჭავი საშუალებები, როგორებიცაა ხელბორკილები, ბორკილები, ჯაჭვები და შემბოჭავი ხალათი. გარდა ამისა, დამორჩილების საშუალებებად ბორკილებისა და ჯაჭვების გამოყენება საერთოდ არ შეიძლება. შებოჭვის სხვა საშუალებების გამოყენება დაუშვებელია გარდა შემდეგი გარემოებებისა:

(ა) პატიმრების გადაყვანისას გაქცევის თავიდან ასაცილებლად, იმ პირობით, რომ პატიმარი გათავისუფლდება ბორკილებისგან, როგორც კი მას წარადგენენ სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე;

(ბ) სამედიცინო ხასიათის მიზნებისათვის ან ექიმის მითითებით;

(გ) დირექტორის ბრძანებით, როდესაც სხვა ზომები უშედე-

გო აღმოჩნდება და როდესაც პატიმარს ხელი უნდა შეუშალონ საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის ზიანის ან მატერიალური ზარალის მიყენებაში; ასეთ შემთხვევებში დირექტორი მოვალეა, რომ ექიმთან დაუყოვნებელი კონსულტაციის შემდეგ, მოხსენება წარუდგინოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

34. შემბოჭავი საშუალებების გამოყენების მეთოდები და ხერხები უნდა დაადგინოს ციხის ცენტრალურმა ადმინისტრაციამ. ამ საშუალებათა გამოყენება არ არის მიზანშეწონილი იმაზე ხანგრძლივად, ვიდრე ამას აუცილებლობა მოითხოვს.

პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია და მათი საჩივრები

35. (1) ციხეში მოხვედრილი თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს წერილობითი ინფორმაციით, რომელიც ეხება მისი კატეგორიის პატიმრებთან მოპყრობის წესებს, მოცემული საპატიმროს დისციპლინურ მოთხოვნებს, ინფორმაციის შეტანისა და გასაჩივრების ნებადართულ საშუალებებს, ასევე ყველა სხვა საკითხს, რომელიც დაეხმარება პატიმარს კარგად გააცნობიეროს საკუთარი უფლებები და შეეგუოს მოცემულ საპატიმროში ცხოვრების პირობებს.

(2) წერა–კითხვის არმცოდნე პატიმრებს ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ ზეპირი ფორმით.

36. (1) კვირის დღეებში თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ განცხადებით ან საჩივრით მიმართოს საპატიმროს დირექტორს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

(2) შემოწმების დროს პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება მოთხოვნით ან საჩივრით მიმართონ ციხეების შემოწმების განმახორციელებელ პირებს. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ დაელაპარაკონ მათ ან შემოწმების განმახორციელებელ რომელიმე სხვა პირს, საპატიმროს დირექტორის ან დაწესებულების სხვა თანამშრომლის თანდასწრების გარეშე.

(3) თითოეულ პატიმარს უნდა ჰქონდეს ცენტრალური საპატიმროს ადმინისტრაციისათვის, სასამართლო ხელისუფლებისათვის

ან ხელისუფლების სხვა შესაბამისი ორგანოსათვის მოთხოვნით ან საჩივრით მიმართვის საშუალება. აღნიშნული არ უნდა ექვემდებარებოდეს ცენზურას შინაარსის თვალსაზრისით, მაგრამ უნდა იყოს შედგენილი სათანადო ფორმით და დადგენილი წესით გაეგზავნოს ზემოხსენებულ ორგანოებს.

(4) ასეთი მოთხოვნა ან საჩივარი სასწრაფოდ უნდა იქნეს განხილული და პასუხი გაეცეს ზედმეტი დაყოვნების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნა ან საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელი ან უსაფუძვლოა.

კავშირი გარე სამყაროსთან

37. აუცილებელი ზედამხედველობის პირობებში პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ მიმოწერისა და ვიზიტების საშუალებით რეგულარული ურთიერთობა იქონიონ ოჯახებთან და შეუბღალავი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან.

38. (1) უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებს უნდა შეექმნათ პირობები მათი ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის.

(2) პატიმრებს, რომლებიც ისეთი ქვეყნებიდან არიან, რომელთაც არ გააჩნიათ დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, აგრეთვე ლტოლვილებს ან მოქალაქეობის არმქონე პატიმრებს, უნდა ეძლეოდეთ კონტაქტების ასეთივე საშუალება იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან, რომელი ქვეყანაც თავის თავზე იღებს მათი ინტერესების დაცვას ან ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლის ფუნქციებშიც შედის ასეთი პირების დაცვა.

39. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ რეგულარულად გაეცნონ ახალი ამბების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს, გაზეთების, პერიოდული ან სპეციალური საუწყებო პუბლიკაციების, რადიოს, ლექციების ან სხვა ისეთი საშუალებებით, რომლებიც ნებადართული და კონტროლირებადია ადმინისტრაციის მიერ.

წიგნები

40. ყოველ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ბიბლიოთეკა, რომელიც დააკმაყოფილებს ყოველი კატეგორიის პატიმრის მოთხოვნებს. ის უნდა იყოს ადეკვატურად მომარაგებული როგორც მხატვრული, ისე სპეციალური ლიტერატურით. ამასთან, პატიმრებს უნდა მოუწოდონ ბიბლიოთეკის სრული დატვირთვით სარგებლობისკენ.

რელიგია

41. (1) იმ დაწესებულებებში, სადაც საკმარისი რაოდენობით არიან ერთი სარწმუნოების პატიმრები, უნდა დაინიშნოს ან დამტკიცდეს ამ რელიგიის კვალიფიციური წარმომადგენელი. თუ ამგვარი პატიმრების რიცხვი საკმაოდ დიდია და არსებობს შესაბამისი შესაძლებლობები, სათანადო ღონისძიებების განხორციელება უნდა მოხდეს სრული განაკვეთით.

    (2) პირველი პუნქტის თანახმად დანიშნულ ან დამტკიცებულ კვალიფიციურ წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ჩაატაროს რელიგიური რიტუალები და ამისთვის გამოყოფილ დროს, რელიგიურ თემებზე სასაუბროდ პერიოდულად განმარტოებით შეხვდეს მისი სარწმუნოების მქონე პატიმრებს.

    (3) არ შეიძლება პატიმრების შეზღუდვა ნებისმიერი სარწმუნოების კვალიფიციურ წარმომადგენელთან ურთიერთობაში. მეორე მხრივ, თუ პატიმარი აპროტესტებს რელიგიური წარმომადგენლის ვიზიტებს, მისი პოზიცია სრული პატივისცემით უნდა იქნეს აღქმული.

42. შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს თავისი რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება. მას უნდა შეძლოს დაწესებულების შიგნით რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა და უნდა გააჩნდეს საჭირო რელიგიური ლიტერატურა.

პატიმრის პირადი ნივთების შენახვა

43. (1) ფული,ძვირფასელუობა, ტანსაცმელი და სხვა ისეთი ნივთები, რომელთა შენახვის უფლება დაწესებულების შინაგანაწესის შეს-

აბამისად პატიმარს არა აქვს, პატიმრის მიღებისთანავე შენახულ უნდა იქნეს უსაფრთხო საცავში. პატიმარმა ხელი უნდა მოაწეროს შესაბამის საინვენტარიზაციო უწყისს. ამ ნივთების უსაფრთხო შენახვისათვის მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი ზომები.

(2) პატიმრის გათავისუფლებისას, მას უნდა დაუბრუნდეს ყველა მისი ნივთი და ფული, გარდა იმ თანხისა, რომლის დახარჯვის უფლებაც მას ჰქონდა პატიმრობის პერიოდში და იმ საგნებისა, რომელთა დაწესებულების ფარგლებს გარეთ გაგზავნის უფლებაც ჰქონდა მას, ან, გარდა იმ ნებისმიერი ტანსაცმლისა, რომლის განადგურებაც, ჰიგიენური თვალსაზრისიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული. პატიმარმა ხელი უნდა მოაწეროს ნივთებისა და ფულის მიღების უწყისს.

(3) იგივე შეეხება პატიმრობის პერიოდში გარედან მიღებულ ფულსა და ნივთებსაც.

(4) თუ პატიმარს აქვს რაიმე წამალი ან სამკურნალო საშუალება, ამ მედიკამენტის მომავალი ბედის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მედიცინის მუშაკმა.

შეტყობინება სიკვდილის, ავადმყოფობისა და გადაყვანის შესახებ

44. (1) პატიმრის სიკვდილის, სერიოზული ავადმყოფობის, სერიოზული დაშავების ან ფსიქიკური დაავადების მკურნალობის მიზნით სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პატიმრის მეუღლეს (თუ პატიმარი დაქორწინებულია), უახლოეს ნათესავს ან პატიმრის მიერ სხვა შემთხვევაში დასახელებულ პიროვნებას.

(2) პატიმარს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ნებისმიერი ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სერიოზული ავადმყოფობის შესახებ. ახლო ნათესავის კრიტიკული ავადმყოფობის შემთხვევაში, თუ არსებულ პირობებში ეს შესაძლებელია, პატიმარს უნდა მიეცეს ავადმყოფის მონახულების საშუალება ბადრაგის თანხლებით ან დამოუკიდებლად.

(3) ყველა პატიმარს უფლება აქვს დაუყოვნებლივ აცნობოს ოჯახს მისი საპატიმროში მოთავსების ან სხვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ.;

პატიმართა გადაყვანა

45. (1) როდესაც პატიმრები გადაჰყავთ პატიმრობის ადგილში ან პატიმრობის ადგილიდან, ისინი მაქსიმალურად უნდა მოარიდონ უცხო თვალს და მიღებულ უნდა იქნეს სათანადო გარანტირები იმისათვის, რომ პატიმრები დაცულ იქნენ შეურაცხმყოფისაგან, ცნობისმოყვარეებისა და ნებისმიერი ფორმის საჯაროობისაგან.

(2) აკრძალულია პატიმრების გადაადგილება არასაკმარისი ვენტილაციის ან განათების, ან სხვა ნებისმიერ ძალზედ რთულ პირობებში.

(3) პატიმრების გადაყვანა ხდება ადმინისტრაციის ხარჯზე და მათი ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს ყველასათვის თანაბარ პირობებში.

მომსახურე პერსონალი

46. (1) ციხის ადმინისტრაცია უნდა იღწვოდეს ციხის ყველა კატეგორიის პერსონალის ყურადღებით შერჩევისთვის, რადგან ციხის კარგი მუშაობა დამოკიდებულია ამ თანამშრომლების კეთილსინდისიერებაზე, ჰუმანურობაზე, კომპეტენტურობასა და პირად თვისებებზე.

(2) ციხის ადმინისტრაცია თავისი თანამშრომლებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერებაში მუდამ უნდა ნერგავდეს აზრს, რომ იგი ასრულებს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს და ამ მიზნით უნდა იყენებდეს საზოგადოების ინფორმირების ყველა საშუალებას.

(3) ზემოთ ხსენებულის უზრუნველყოფის მიზნით, პერსონალი უნდა დაინიშნოს სრულ განაკვეთზე, ირიცხებოდეს ოფიცერთა შემადგენლობაში და უნდა ჰქონდეს საჯარო მოხელის სტატუსი, სამსახურში ყოფნის ხანგრძლივი სტაჟით, რომელიც დამოკიდებული იქნება მხოლოდ მის სათანადო ქცევაზე, ეფექტიანობასა და ფიზიკურ მომზადებაზე. შესაფერისი თანამშრომლების, როგორც კაცების, ისე ქალების მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით, ხელფასი უნდა იყოს ადეკვატური; სამსახურებრივი დანამატები და პირობები უნდა შეესაბამებოდეს სამუშაოს ხასიათს.

47. (1) პერსონალი უნდა იყოს საკმაოდ განათლებული და განვითარებული.

(2) სამუშაოზე მიღებამდე ციხის პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ ვალდებულებებზე, რის შემდეგაც მან უნდა ჩააბაროს გამოცდები თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში.

(3) მუშაობის დაწყების შემდეგ და დაწესებულებაში თანამშრომლობის მთელი პერიოდის განმავლობაში პერსონალმა უნდა შეინარჩუნოს და აიმაღლოს კვალიფიკაცია და დროს ხელსაყრელ შუალედებში, სამუშაო ადგილიდან მოწყვეტის გარეშე, გაიაროს მოსამზადებელი კურსები.

48. ციხის ყველა თანამშრომელი ყოველთვის ისე უნდა იქცეოდეს და ასრულებდეს თავის მოვალეობებს, რომ სამაგალითო იყოს პატიმრებისთვის და დაიმსახუროს მათი პატივისცემა.

49. (1) ციხის თანამშრომელთა დასაკომპლექტებელი საშტატო ერთეულები, შეძლებისდაგვარად, უნდა მოიცავდეს სპეციალისტთა საკმაო რაოდენობას, როგორებიც არიან: ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, პედაგოგები და სხვდასხვა ხელობის მასწავლებლები.

(2) სოციალური მუშაკები, პედაგოგები და სხვადასხვა ხელობის მასწავლებლები უნდა ინიშნებოდნენ მუდმივმოქმედ საფუძველებზე, რა დროსაც არ უნდა იყოს უგულებელყოფილი იმ პირების სამუშაო, რომლებიც ნახევარ განაკვეთზე ან მოხალისეებად მუშაობენ.

50. (1) დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდნენ პირები, რომლებიც საკმაოდ კვალიფიციური არიან მათი ხასიათის, ადმინისტრაციული უნარის, მომზადებისა და გამოცდილების მიხედვით.

(2) დირექტორი მთელ თავის სამუშაო დროს უნდა უთმობდეს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და მუშაობდეს სრულ განაკვეთზე.

(3) იგი უნდა ცხოვრობდეს მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს.

(4) იმ შემთხვევაში, თუკი დირექტორი ორ ან რამდენიმე დაწესებულებაში ახორციელებს უფლებამოსილებას, ეს უკანასკნე-

ლი ხშირად უნდა ეწვიოს ორივე დაწესებულებას. ამასთანავე, რეზიდენტი მუშაკი უნდა ხელმძღვანელობდეს თითოეულ დაწესებულებას.

51. (1) დირექტორი, დირექტორის მოადგილეები და მუშაკთა უმრავლესობა უნდა საუბრობდნენ იმ ენაზე, რომელიც პატიმართა ძირითადი ნაწილისათვის წარმოადგენს მშობლიურ ენას ან რომელი ენაც გასაგებია პატიმართა ძირითადი ნაწილისათვის.

(2) საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია თარჯიმნის მომსახურების გამოყენება.

52. (1) იმ დაწესებულებებში, რომლებშიც საშტატო განრიგით მიზანშეწონილია მთელი განაკვეთით მომუშავე ერთი ან რამდენიმე ექიმის არსებობა, სასურველია, რომ ერთი ექიმი მაინც ცხოვრობდეს დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს.

(2) სხვა დაწესებულებებში ექიმები რეგულარულად უნდა დადიოდნენ. ამასთან, ექიმი უნდა ცხოვრობდეს დაწესებულებასთან საკმაოდ ახლოს, რათა ექსტრემალურ სიტუაციებში მოხერხდეს მისი სასწრაფო გამოძახება.

53. (1) იმ დაწესებულებებში, რომლებშიც განთავსებული არიან როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, ქალების განყოფილება უნდა იყოს ქალი მუშაკების დაქვემდებარებაში. მათი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს ამ განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, მათ შორის; განყოფილებაში შეღწევაც (ნებართვა, გასაღები და სხვ.).

(2) მამაკაცი მუშაკები ქალთა განყოფილებაში დაიშვებიან მხოლოდ ქალი თანამშრომლების თანხლებით.

(3) პატიმარ ქალებზე ზრუნვა და ზედამხედველობა უნდა დაევალოს მხოლოდ ქალ მუშაკებს. ამავე დროს, ეს არ უნდა უშლიდეს ხელს მამაკაც მუშაკებს, კერძოდ, ექიმებსა და პედაგოგებს, შეასრულონ თავიანთი პროფესიული მოვალეობები ქალთა დაწესებულებებში ან ქალებისათვის გამოყოფილ ცალკე განყოფილებებში.

54. (1) პატიმრებთან ურთიერთობაში პერსონალს უფლება აქვს მიმართოს ძალისმიერ მეთოდებს მხოლოდ თავდაცვის მიზნით ან

გაქცევის მცდელობის აღსაკვეთად, აგრეთვე, არსებულ წესებსა და კანონებზე დაფუძნებული ბრძანებების აქტიური ან პასიური წინააღმდეგობის გაწევისას. თანამშრომლების მხრიდან ძალის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ აუცილებლობის ფარგლებში და ინციდენტების შესახებ უნდა ეცნობოს დაწესებულების დირექტორს.

(2) ციხის მუშაკებს გავლილი უნდა ჰქონდეთ სპეციალური ფიზიკური მომზადება, რაც მისცემს მათ აგრესიული ზრახვების მქონე პატიმრების დაშოშმინების საშუალებას.

(3) ის მუშაკები, რომლებიც თავისი ფუნქციების შესრულებისას პატიმრებთან უშუალო კონტაქტში იმყოფებიან, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება ატარებდნენ იარაღს. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ საერთოდ, იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ მუშაკებს, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადება.

შემოწმება

55. პენიტენციალურ დაწესებულებებსა და სამსახურებში უნდა ტარდებოდეს რეგულარული შემოწმებები კვალიფიციური და გამოცდილი პირების მიერ, რომლებსაც ნიშნავს კომპენტენტური ხელისუფლება. კერძოდ, შემოწმების განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან დარწმუნდნენ იმაში, რომ პატიმრობის ადგილების მართვა ხორციელდება არსებული კანონებისა და წესების შესაბამისად, და რომ ციხის მუშაობა შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც დასმულია პენიტენციალურ დაწესებულებათა წინაშე.

მეორე ნაწილი
სპეციალურ კატეგორიათა მარეგულირებელი წესები

ა. მსჯავრდებულები

სახელმძღვანელო პრინციპები

56. გამომდინარე მოცემული ტექსტის პირველადი მიმოხილვებიდან I, ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში ასახულია ის სულისკვეთება, რომლის გათვალისწინებითაც უნდა ხორციელდებოდეს პენიტენციალური დაწესებულებების მართვა და ის მიზნები, რომელთა განხორციელებასაც ემსახურებიან ეს დაწესებულებები.

57. პატიმრობა და სხვა ღონისძიებები, რომლებიც სამართალდამრღვევს გარე სამყაროსაგან იზოლირებულ პირობებში აქცევს, მას განსაცდელში აგდებს თუნდაც იმიტომ, რომ თავისუფლების აღკვეთით ართმევს მას თვითგამორკვევის უფლებას. ამიტომ, ციხის სისტემამ არ უნდა გაამწვავოს აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე განსაცდელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სეგრეგაცია გამართლებულია, ან, როდესაც ამას მოითხოვს დიციპლინის დაცვის აუცილებლობა.

58. ციხეში მოთავსების, ან თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ ფორმით სასჯელის დანიშვნის მიზანი და გამართლება, საბოლოო ჯამში, არის საზოგადოების დაცვა და დანაშაულის თავიდან აცილება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც სასჯელის მოხდისა და საზოგადოებაში ცხოვრების ნორმალურ წესთან დაბრუნების შემდეგ სამართალდამრღვევი არა მხოლოდ მზად არის, არამედ უნარიც შესწევს იმისა, რომ დაემორჩილოს კანონმდებლობას და უზრუნველყოს თავისი არსებობა.

59. ამისათვის დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სახის გამოსასწორებელი, აღმზრდელობითი, მორალური და სულიერი ძალები, დახმარების ის სახეები, რომლებიც მიაჩნია შესაფერისად და გამოიყენოს თითოეული პატიმრის გამოსწორების მოთხოვნების გათვალისწინებით.

60. (1) დაწესებულებაში დადგენილმა რეჟიმმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ის განსხვავება თავისუფალ და პატიმრობის პირობებში ცხოვრებას შორის, რომელიც თრგუნავს პატიმარში პასუხისმგებლობის გრძნობასა და ადამიანის ღირსებას.

(2) სასურველია, რომ სასჯელის ვადის დასრულების წინ მიღებულ იქნეს ზომები პატიმრის თანდათანობითი დაბრუნებისათვის საზოგადოებაში. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია თითოეული სამართალდამრღვევის თავისებურების გათვალისწინებით, განსაკუთრებული რეჟიმის შემუშავების გზით თვით ციხეში ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში, ისევე როგორც პატიმრის გათავისუფლების საცდელი ვადით, რომლის განმავლობაშიც ისინი ჯერაც ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, იმ პირობით, რომ ამგვარი ზედამხედველობა არ ევალება პოლიციას და იგი შერწყმულია ეფექტიან სოციალურ დახმარებასთან.

61. პატიმრებთან ურთიერთობა მიზნად უნდა ისახავდეს მათი საზოგადოებასთან ინტეგრირების მცდელობას. თემის განვითარების სააგენტოებმა უნდა გამოთქვან სურვილი და შესაძლებლობა, რათა დაეხმარონ დაწესებულების თანამშრომლებს პატიმართა სოციალურ რეაბილიტაციაში. ყოველ დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ურთიერთობები სოციალური პრობლემების სფეროს სხვადასხვა სააგენტოებთან და მუშაკებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პატიმართა ახლო კავშირი ოჯახის წევრებთან. გარკვეული ღონისძიებები უნდა გახორციელდეს იმ მიზნით, რომ დაცულ იქნეს სამოქალაქო ინტერესები, სოციალური უზრუნველყოფის უფლებები და პატიმართა სხვა სოციალური ინტერესები.

62. დაწესებულების სამედიცინო სამსახურები უნდა ააშკარავებდნენ ყველა ფიზიკურ და სულიერ დაავადებას ან ნაკლოვანებას, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს პატიმართა რეაბილიტაციას. ამ მიზნით დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ უზრუნველყონ ყველანაირი თერაპიული, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება.

63. (1) ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარება მოითხოვს პატიმრებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და აქედან გამომდინარე, მათი ჯგუფებად კლასიფიცირების მოქნილი სისტემის არსებობას; ამდენად, სასურველია, რომ ამგვარი ჯგუფები განთავსებულ იქნენ ცალკე დაწესებულებებში, თითოეულ ჯგუფთან შესაფერისი მუშაობისათვის.

(2) აუცილებელი არ არის ამ დაწესებულებებში უსაფრთხოების ერთნაირი ზომების მიღება ყველა ჯგუფისათვის. უფრო მეტიც, სასურველია ამ ზომების სიმკაცრის გრადაცია ჯგუფების მიხედვით. პატიმრების რეაბილიტაციის ყველაზე სასურველი პირობები არსებობს ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც გაქცევის თავიდან აცილებისათვის განსაკუთრებული აქცენტი კეთდება არა ფიზიკურ საშუალებებზე, არამედ თვითდისციპლინაზე.

(3) სასურველია, დაწესებულებაში განთავსდეს მხოლოდ იმდენი პატიმარი, რომ მათ მიმართ გამოყენებულ იქნეს ინდივიდუალური მიდგომა. ზოგიერთ ქვეყანაში ითვლება, რომ ამგვარი დაწესებულებების კონტიგენტის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთასს. ღია ტიპის დაწესებულებებში უნდა განთავსდეს რაც შეიძლება ცოტა პატიმარი.

(4) მეორე მხრივ, ციხის ფართობი საკმარისად დიდი უნდა იყოს იმისათვის, რომ იქ უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო შესაძლებლობები და მომსახურება.

64. საზოგადოების მოვალეობა არ სრულდება პატიმრის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. შესაბამისად, უნდა არსებობდეს სხვადასხვა სამთავრობო თუ კერძო სააგენტოები, რომლებიც დახმარებას უწევენ პატიმრობიდან გათავისუფლებულ პირს, რაც შეამცირებს საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების ალბათობასა და ხელს შეუწყობს მის სოციალურ რეაბილიტაციას.

მოპყრობა

65. თავისუფლების შეზღუდვა და აღმკვეთი ღონისძიებების მსგავსი საშუალებების გამოყენების მიზანია პირის რეაბილიტაცია საზოგადოებასთან, რათა იგი გახდეს კანონმორჩილი, მათთან მოპყრობა კი უნდა იძლეოდეს იმის საბაბს, რომ პატიმრები გაამხნევონ, აუმაღლონ ღირსება და განუვითარონ პასუხისმგებლობის გრძნობა.

66. (1) ყველა სათანადო საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული, მათ შორის, რელიგია, განათლება, პროფესიული ორიენტაცია და ტრენინგები, სოციალური დაცვა, დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები, ფიზიკური განვითარება, მორალური დამოკიდებულების განმტკიცება და ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს პატიმრის პიროვნულ ხასიათს. ამასთან, გათვალის-

წინებული უნდა იყოს პატიმრის სოციალური და კრიმინალური წარსული, ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა და შესაძლებლობები, მისი პირადი ტემპერამენტი, სასჯელის ზომა და წინასწარ განსაზღვრული პერსპექტივები მისი გათავისუფლების შემდეგ.

(2) თითოეული პატიმრის შესახებ არსებული მონაცემები რეგულარულად გადაეცემა დირექტორს. აღნიშნული მონაცემები შეიძლება შეიცავდეს ექიმის ცნობას პატიმრის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის შესახებ.

(3) მოხსენებები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები მოთავსებულ უნდა იქნეს ინდივიდუალურ ფაილში. ფაილი კლასიფიცირებული უნდა იყოს თარიღის მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში, ადვილად ხელმისაწვდომი ნებისმიერი თანამშრომლისათვის.

კლასიფიკაცია და ინდივიდუალიზაცია

67. კლასიფიკაციის მიზნებია შემდეგი:

(ა) პატიმრის განცალკევება იმათგან, ვინც თავისი დანაშაულებრივი წარსულით ან ცუდი თვისებებით უარყოფით გავლენას მოახდენს სხვებზე;

(ბ) პატიმრების კატეგორიებად დაყოფა, რაც გაადვილებს მათთან მუშაობას, მათი სოციალური რეაბილიტაციის მიზნით.

68. შესაძლებლობების ფარგლებში, პატიმრების სხვადასხვა კატეგორიებთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს განცალკევებულად, სხვადასხვა დაწესებულებებში ან დაწესებულების სხვადასხვა განყოფილებებში.

69. ყოველი პატიმრის მიღების შემდეგ, მისი ხასიათის შესწავლის საფუძველზე, უმოკლეს ვადაში უნდა შემუშავდეს მასთან მუშაობის პროგრამა, გამომდინარე მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებებიდან, შესაძლებლობებიდან და მიდრეკილებებიდან.

პრივილეგიები

70. პატიმართა სხვადასხვა კატეგორიებისა და მოპყრობის სხვადასხვა მეთოდებთან დაკავშირებით ყველა დაწესებულებაში უნდა

შემუშავდეს პრივილეგიების სათანადო სისტემები პატიმრებთან ურთიერთობის დროს მათი კარგად მოქცევის წახალისების, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების, მათი ინტერესებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუშაობა

71. (1) პატიმრების შრომა არ უნდა იყოს მათთვის წამების ტოლფასი.

(2) ყველა მსჯავრდებული პატიმარი უნდა მუშაობდეს ექიმის მიერ დადგენილი ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემების შესაბამისად.

(3) პატიმრები დაკავებული უნდა იყვნენ სასარგებლო შრომით, რამაც უნდა შეავსოს ნორმალური სამუშაო დღე.

(4) პატიმრებისთვის მიცემული სამუშაო, შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ისეთი, რომ აუმაღლოს ან მიანიჭოს მათ კვალიფიკაცია, რაც გათავისუფლების შემდეგ მათ მისცემს კეთილსინდისიერი შრომის შესაძლებლობას.

(5) სასარგებლო ხელობის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ იმ ახალგაზრდა პატიმრებს, რომლებიც საამისოდ დიდ მონდომებასა და უნარს ამჟღავნებენ.

(6) პატიმრებს უნდა ჰქონდეთ სამუშაოს არჩევის შესაძლებლობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პროფესიის არჩევის წესსა და დაწესებულების მართვისა და დისციპლინის მოთხოვნებს.

72. (1) სამუშაო მეთოდები და ორგანიზება უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების ფარგლებს გარეთ არსებულ სამუშაოს, რათა მოხდეს პატიმრების თანდათანობითი მომზადება საზოგადოებასთან ინტეგრირებისთვის.

(2) პატიმართა ინტერესები არ უნდა იქნეს გამოყენებული დაწესებულების მიერ მატერიალური მოგების მიღების მიზნით.

73. (1) უმჯობესია, რომ ციხეში სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელმძღვანელობა ხორციელდებოდეს უშუალოდ ციხის ადმინისტრაციის, და არა კერძო კომპანიების მიერ.

(2) პატიმრები, რომლებიც ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომელიც

არ ექვემდებარება დაწესებულების მიერ კონტროლს, უნდა იმყოფებოდნენ ამ უკანასკნელის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც პატიმრები ასრულებენ სხვა სამთავრობო სტრუქტურების შეკვეთას, სამუშაოს შემკვეთები ვალდებული არიან გადაუხადონ ადმინისტრაციას სამუშაოსათვის გათვალისწინებული ხელფასის სრული თანხა პატიმრების მიერ შესრულებული შრომის გათვალისწინებით.

74. (1) უსაფრთხოების წესები, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფალ მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა დაწესებულებაში.

(2) უზრუნველყოფილი უნდა იყოს პატიმართა დაცვა სამუშაო მოვალეობის შესრულების დროს მიღებული დაზიანებისაგან. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს თავისუფალ მუშაკთა უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონმდებლობით.

75. (1) სამუშაო დღის ან კვირის მაქსიმალური ხანგრძლივობა დგინდება კანონმდებლობით ან ადმინისტრაციული წესების საფუძველზე, თავისუფალი მუშებისათვის კანონით დადგენილი ადგილობრივი წესების გათვალისწინებით.

(2) სამუშაო დრო უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ პატიმრებს ჰქონდეთ კვირაში ერთი დასვენების დღის საშუალება და სწავლისა და სხვა სახის საქმიანობისათვის – საკმარისი თავისუფალი დრო, რაც აუცილებელია მოპყრობისა და საზოგადოებაში მათი რეაბილიტაციისათვის.

76. (1) უნდა არსებობდეს თანაბარი და სამართლიანი ანაზღაურების სისტემა პატიმრების შრომასთან მიმართებით.

(2) ამ სისტემის შესაბამისად, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება დახარჯონ მათ მიერ გამომუშავებული ფულის ნაწილი მაინც, რათა შეიძინონ პირადი მოხმარების კანონით დაშვებული ნივთები და გაუგზავნონ თავისი ანაზღაურების ნაწილი ოჯახს.

(3) ეს სისტემა ასევე უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ პატიმრის მიერ გამომუშავებული ფულის ნაწილი შესანახად მიეცეს ადმინისტრაციას, რომელიც გადასცემს პატიმარს ამ თანხას მისი გათავისუფლებისას.

განათლება და რეკრიაცია

77. (1) პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით, რელიგიური განათლების ჩათვლით იმ ქვეყნებში, რომლებშიც ეს დაშვებულია. წერა–კითხვის უცოდინართა და ახალგაზრდა პატიმრების განათლება სავალდებულო უნდა იყოს და ციხის ადმინისტრაციამ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

(2) პატიმრების განათლება, შეძლებისდაგვარად, დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებულ განათლების სისტემასთან იმ მიზნით, რომ მომავალში ამ პატიმრებმა დაუბრკოლებლად შეძლონ სწავლის გაგრძელება.

78. ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, ყველა დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ რეკრიაციისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით.

სოციალური კავშირები და სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოსვლის შემდგომი ეტაპი

79. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებასა და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

80. პატიმრობის დასაწყისიდანვე საჭიროა იმ მომავლაზე ფიქრი, რომელიც ელის პატიმარს ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ამიტომ მას უნდა გაეწიოს დახმარება იმ პირებთან და უწყებებთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და გამყარებაში, რომლებიც ციხის გარეთ არიან და რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მისი ოჯახის ინტერესები და ხელი შეუწყონ მის სოციალურ რეაბილიტაციას გათავისუფლების შემდეგ.

81. (1) სამთავრობო ან სხვა სამსახურებმა თუ სააგენტოებმა, რომლებიც გათავისუფლებულ პატიმრებს ეხმარებიან საზოგადოებაში ადგილის ხელახლა დამკვიდრებაში, შესაძლებლობისა და აუცილებლობის ფარგლებში, უნდა უზრუნველყონ, რომ გათავისუფლებულ პატიმრებს დაახვედრონ შესაბამისი დოკუმენტაცია

და პირადობის დამადასტურებელი საბუთები, სათანადო საცხოვრებელი და სამუშაო, კლიმატისა და ამინდის შესაფერისი და ადეკვატური ტანსაცმელი, დანიშნულ ადგილამდე გამგზავრებისა და გათავისუფლების შემდგომი პირველი ეტაპისათვის თავის შენახვისათვის აუცილებელი სახსრები.

(2) ხსენებული სააგენტოების უფლებამოსილ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ ციხის დაწესებულებებთან და იქ განთავსებულ პატიმრებთან შეხვედრის შესაძლებლობა. ამასთან, მათთან უნდა მიმდინარეობდეს მუდმივი კონსულტაციები პატიმართა შემდგომი ცხოვრების საკითხებთან დაკავშირებით პატიმრობის საწყისი პერიოდიდანვე.

(3) სასურველია, რომ ასეთი სახის დაწესებულებების სამუშაო იყოს, შეძლებისდაგვარად, ცენტრალიზებული და კოორდინირებული, რათა მოხერხდეს მათი სამუშაოს მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება.

ბ. სულიერად დაავადებული და ფსიქიკური დარღვევების მქონე პატიმრები

82. (1) ციხეში არ უნდა იქნენ მოთავსებული ის პირები, რომლებიც აღიარებულნი არიან სულიერად დაავადებულებად, რისთვისაც საჭიროა ზომების მიღება. მათი სულიერად დაავადებულთა დაწესებულებებში სასწრაფოდ გადასაყვანად.

(2) პატიმრები, რომლებიც სხვა სულიერ დაავადებებს განიცდიან, მოთავსებულ უნდა იქნენ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და მათი მკურნალობა უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურ დაწესებულებებში ექიმთა ხელმძღვანელობით.

(3) ამ კატეგორიის პატიმრები ციხეში ყოფნისას ექიმთა განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ.

(4) სამედიცინო ან ფსიქიატრიულმა სამსახურებმა, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებებთან ფუნქციონირებენ, უნდა უზრუნველყონ ყველა იმ პატიმრის ფსიქიატრიული მკურნალობა, რომელიც ამას საჭიროებს.

83. სასურველია, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, კომპეტენტურ დაწესებულებებთან ერთად მიღებულ იქნეს ზომები გათავისუფლებულ პატიმართა ფსიქიატრიული მკურნალობისათვის, ისევე როგორც მათი სოციალურ –ფსიქიატრიული მეურვეობისთვის.

გ. დაკავებული ან სასამართლო განხილვის ქვეშ მყოფი პატიმრები

84. (1) პირები, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ბრალდებით არიან დაკავებული და იმყოფებიან პატიმრობაში პოლიციის განყოფილებაში ან ციხეში, მაგრამ ჯერ არ წარმდგარან სასამართლოს წინაშე და მათი ბრალეულობა ჯერ არ დამტკიცებულა, ქვემოთ მოცემულ წესებში მოიხსენიებიან, როგორც „განსასჯელი პატიმრები“.

(2) ბრალდებული პატიმრები უდანაშაულოდ ითვლებიან და მათ შესაბამისად უნდა ეპყრობოდნენ.

(3) განსასჯელი პატიმრებისადმი მოპყრობის შესახებ საკანონმდებლო დებულებების დაცვის პირობებში, აღნიშნული კატეგორიის პატიმრების მიმართ გამოიყენება სპეციალური რეჟიმი, რომლის ძირითადი დებულებები მოყვანილია ქვემოთ მოცემულ წესებში.

85. (1) განსასჯელი პატიმრები განცალკევებით უნდა მოთავსდნენ მსჯავრდებული პატიმრებისაგან.

(2) ახალგაზრდა განსასჯელი პატიმრები უნდა მოთავსდნენ მოზრდილებისაგან განცალკევებით. ამასთან, ისინი უნდა იმყოფებოდნენ განცალკევებულ დაწესებულებებში.

86. განსასჯელ პატიმრებს უნდა ეძინოთ ინდივიდუალურად განცალკევებით მდებარე ოთახებში. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს გარკვეული შეზღუდვები ადგილობრივი ჩვეულების საფუძველზე.

87. როდესაც ეს არ არღვევს დაწესებულებაში მიღებულ წესრიგს, განსასჯელ პატიმრებს შეიძლება დაერთოთ ნება, რომ, სურვილის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით მიიღონ საკვები გარედან – ციხის ადმინისტრაციის, ოჯახის წევრების ან მეგობრების მეშვეობით. სხვა შემთხვევაში, პატიმრის კვებას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია.

88. (1) განსასჯელ პატიმრებს უფლება აქვთ ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი იმ პირობით, რომ იგი სუფთა და შესაფერისი იქნება.

(2) იმ შემთხვევაში, თუკი იგი ატარებს ციხის ფორმას, ის უნდა განსხვავდებოდეს მსჯავრდებულთა ფორმისაგან.

89. განსასჯელ პატიმარს ყოველთვის უნდა შესთავაზონ მუშაობის შესაძლებლობა, მაგრამ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნილებას. იმ შემთხვევაში, თუკი განსასჯელი თავად აირჩევს სამუშაოს, მას გაწეული მუშაობისათვის უნდა გადაუხადონ.

90. განსასჯელ პატიმარს უნდა ჰქონდეს საშუალება საკუთარი სახსრებით ან მესამე პირების მეშვეობით შეიძინოს წიგნები, გაზეთები, საწერი და სხვა საშუალებები, რომლებიც მისცემს მას დროის ნაყოფიერად გამოყენების საშუალებას, იმის გათვალისწინებით, რომ ეს თავსებადია მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებთან, უსაფრთხოებისა და დაწესებულებაში სათანადო წესრიგის მოთხოვნებთან.

91. განსასჯელ პატიმარს უფლება უნდა მიეცეს, რათა ციხეში ყოფნის პერიოდში ისარგებლოს საკუთარი ექიმის ან სტომატოლოგის მომსახურებით იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ასეთი მოთხოვნა გამართლებულია და თუ მას შეუძლია დაფაროს ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები.

92. განსასჯელ პატიმარს უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავის ოჯახს დაპატიმრების შესახებ. მას უნდა მიეცეს აგრეთვე ყველა საშუალება ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობისა და მათი ვიზიტებისათვის. აღნიშნულის შეზღუდვა და მასზე მეთვალყურეობის განხორციელება დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებთან, უსაფრთხოებისა და დაწესებულებაში სათანადო წესრიგის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

93. განსასჯელ პატიმარს უფლება აქვს მიმართოს სამართლებრივ დახმარებას, მიიღოს ადვოკატი დაცვის მომზადებისა და მისთვის კონფიდენციალური ინსტრუქციების მიცემის მიზნით. ამ მიზნით, მისი სურვილის შემთხვევაში, მას უნდა მიეწოდოს საწერი საშუალებები. ადვოკატსა და პატიმარს შორის საუბარი შესაძლოა გაიმართოს პოლიციელის ან ციხის თანამშრომლის მეთვალყურეობის ქვეშ, თუმცა მათ არ უნდა ესმოდეთ საუბარი.

დ. პატიმრობა სამოქალაქო საქმეებისათვის

94. იმ ქვეყნებში, სადაც დაშვებულია ვალაუვალობის, ან სხვა სამოქალაქო საქმის გამო სასამართლოს ბრძანების თანახმად პირის ციხეში მოთავსება, პატიმრებს იმაზე მკაცრი რეჟიმი არ უნდა დაუწესდეთ, ვიდრე ეს აუცილებელია საიმედო მეთვალყურეობისა და სათანადო წესრიგის დაცვისათვის. ამ პირებისადმი მოპყრობა არ უნდა იყოს განსასჯელ პატიმრებზე უფრო ნაკლები, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მათი შრომა შეიძლება სავალდებულო იყოს.

ე. ბრალდების წაყენების გარეშე დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლება აღკვეთილი პირები

95. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე–9 მუხლის დარღვევის გარეშე, ბრალდების წაყენების გარეშე დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლებააღკვეთილ პირებს ეკუთვნის იგივე სახის დაცვა, როგორიც ეს გათვალისწინებულია I ნაწილითა და II ნაწილების „გ“ განყოფილებით. II ნაწილების „ა“ განყოფილების შესაბამისი დებულებები გამოყენებულ უნდა იქნეს ასევე იმ შემთხვევებში, როცა მათი გამოყენება სასარგებლო იქნება პატიმრობაში მყოფ პირთა კონკრეტული ჯგუფისთვის იმ პირობით, რომ არ იქნება მიღებული ისეთი ღონისძიებები, რომელთა შესაბამისად ხელახალი აღზრდა ან რეაბილიტაცია ყველა შემთხვევაში სასურველ გავლენას ახდენს იმ პირებზე, რომლებსაც არ ედებათ მსჯავრი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში.

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი*

მუხლი I

მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები მუდმივად ასრულებენ კანონით მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებიან საზოგადოებას და იცავენ ყველა პირს მართლსაწინააღმდეგო აქტებისაგან პასუხისმგებლობის იმ მაღალი ხარისხის შესაბამისად, რასაც მათი პროფესია რომ მოითხოვს.

კომენტარი:

(ა) ტერმინი „მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები“ მოიცავს ყველა, როგორც დანიშნულ, ისე არჩეულ პირს, რომლებიც პოლიციის, განსაკუთრებით კი დაპატიმრების ან დაკავების უფლებამოსილებას ახორციელებს.
(ბ) იმ ქვეყნებში, სადაც პოლიციის უფლებამოსილება ხორციელდება ფორმიანი ან ფორმის გარეშე სამხედრო ხელისუფლების ან სახელმწიფო უშიშროების ძალების მიერ, მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების ცნება უნდა მოიცავდეს ასეთი სამსახურების მოხელეებსაც.
(გ) საზოგადოებისათვის სამსახური გულისხმობს მისი წევრებისათვის დახმარების გაწევას, განსაკუთრებით კი მათთვის, რომლებიც გადაუდებელ დახმარებას საჭიროებენ პირადი, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა კრიტიკული მდგომარეობის გამო.
(დ) ეს დებულება განზრახულია მოიცავდეს არა მხოლოდ ძალმომრეობით, მძარცველობით ან მავნე ქმედებას, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ აკრძალვათა ფართო სპექტრს. ის ვრცელდება იმ ადამიანთა ქმედებებზეც, რომელთაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ.

---

* მიღებულია გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის 34/169 რეზოლუციით

მუხლი 2

თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს სამართალდამცავმა პირებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის ღირსებას და დაიცვან მისი უფლებები.

კომენტარი:

(ა) ადამიანის უფლებები, რომელთა შესახებაც ვსაუბრობთ, დადგენილი და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამართალით. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს განეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, გაეროს დეკლარაცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცვის შესახებ, გაეროს დეკლარაცია და კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, გაეროს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საერთაშორისო კონვენცია აპარტეიდის დანაშაულის აღკვეთისა და აპარტეიდისათვის დასჯის შესახებ, კონვენცია გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები და ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ.

(ბ) ამ დებულების ეროვნულმა კომენტარებმა უნდა მიუთითონ უფლებათა დაცვის რეგიონალურ ან ეროვნულ დებულებებზე.

მუხლი 3

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას განსაკუთრებული აუცილებლობა მოითხოვს და იმ ფარგლებში, რაც მათი მოვალეობის შესრულებისთვისაა აუცილებელი.

კომენტარი:

(ა) ეს დებულება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამართალდამცავი პირების მიერ ძალის გამოყენება დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში; თუმცა, იგი გულისხმობს, რომ სამართალ-

დამცავ პირებს შეიძლება ჰქონდეთ ძალის გამოყენების უფლებამოსილება, როდესაც ეს აუცილებელია დანაშაულის აღკვეთის, აგრეთვე დამნაშავეთა ან დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა კანონიერი დაკავების ან დაპატიმრების განხორციელებისათვის. ძალის გამოყენება ამ ფარგლებს არ უნდა გასცდეს.

(ბ) ეროვნული სამართალი, პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, ჩვეულებრივ ზღუდავს სამართალდამცავ პირთა მიერ ძალის გამოყენებას. პროპორციულობის ასეთი ეროვნული პრინციპები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამ დებულების ინტერპრეტირების დროს. დაუშვებელია ეს დებულება ინტერპრეტირებულ იქნას იმგვარად, რომ მოხდეს ნებართვის მიცემა ძალის გამოყენებაზე, რომელიც არაპროპორციული და დასახულ კანონიერ მიზნებთან წინააღმდეგობაში იქნება.

(გ) ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უკიდურეს ზომად ითვლება. ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღის მოხმარების გამორიცხვისათვის, განსაკუთრებით ბავშვების წინააღმდეგ. ზოგადად, ცეცხლსასროლი იარაღის მოხმარება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეჭვმიტანილი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს ან სხვაგვარად უქმნის საშიშროებას სხვათა სიცოცხლეს და მისი დაკავების სხვა ზომები საკმარისი არ არის. ყველა შემთხვევაში, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღი იქნება გამოყენებული, დაუყოვნებლივ მოხსენება უნდა გაკეთდეს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოებს წინაშე.

მუხლი 4

კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელსაც სამართალდამცავები ფლობენ, შესაბამისად უნდა იქნას დაცული, თუ მოვალეობის შესრულება ან მართლმსაჯულების საჭიროება სხვას არ მოითხოვს.

კომენტარი:

სამართალდამცავი პირები, სამსახურებრივი მოვალეობების ფარგლებში მოიპოვებენ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელია ეხებოდეს სხვების პირად ცხოვრებას ან პოტენციურად საზიანო იყოს მათი ინტერესებისათვის, განსაკუთრებით კი – რეპუტაციისათ-

ვის. დიდი სიფრთხილე უნდა იქნას გამოჩენილი ასეთი ინფორმაციის დაცვისა და გამოყენების დროს. ის უნდა გამოაშკარავდეს მხოლოდ მოვალეობათა შესრულებისას ან მართლმსაჯულების მოთხოვნათა შესაბამისად. ასეთი ინფორმაციის ნებისმიერი გამოაშკარავება სხვა მიზნების მისაღწევად სრულიად მიუღებელი და არასწორია.

მუხლი 5

დაუშვებელია მართლწესრიგის დამცველ პირების მხრიდან წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის გამოყენება, პროვოცირება ან დაშვება. არცერთ მართლწესრიგის დამცველ პირს არ შეუძლია მიუთითოს ზემდგომთა ბრძანებაზე ან განსაკუთრებულ გარემოებებზე, როგორიცაა საომარი მდგომარეობა ან ომის, ეროვნული უსაფრთხოების საშიშროება, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის გამამართლებელ პირობაზე.

კომენტარი:

(ა) ეს აკრძალვა გამომდინარეობს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაციიდან ადამიანის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცვის შესახებ, რომლის თანახმადაც: „ასეთი ქმედება ადამიანის ღირსების შემლახველი დანაშაულია და უნდა დაისაჯოს, როგორც გაეროს მიზნების უარყოფა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით გამოცხადებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევა“.

(ბ) დეკლარაცია წამებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „... წამება ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც სახელმწიფო მოხელის წაქეზებით, მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა განზრახ მიადგა პირს, იმ მიზნით, რომ მისგან ან მესამე პირისაგან მიღებულ იქნას ინფორმაცია ან აღიარება. მისი დასჯა იმ ქმედებებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა ან ეჭვმიტანილია მის ჩადენაში, მისი ან სხვა პირების დაშინებით. ეს განმარტება არ მოიცავს ტკივილსა და ტანჯვას, რომელიც გამომდინარეობს, განუყოფელია ან შემთხ-

ვევით გამოიწვევა კანონიერების ფარგლებში პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების შესაბამისად“.

(გ) ტერმინი „სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი“ არ არის განმარტებული გენერალური ასამბლეის მიერ, მაგრამ ინტერპრეტირებული უნდა იქნეს ისე, რომ გაფართოვდეს ფიზიკური ან ზნეობრივი შეურაცყოფისაგან ყველაზე უფრო ფართო შესაძლებელი დაცვა.

მუხლი 6

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებმა უნდა უზრუნველყონ პატიმრობაში მყოფთა ჯანმრთელობის დაცვა, კერძოდ, დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედონ სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად ყოველთვის, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს.

კომენტარი:

(ა) „სამედიცინო მომსახურება“, რომელიც ნებისმიერი სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეულ სამსახურს გულისხმობს, დიპლომირებული ექიმებისა და მათი ასისტენტების ჩათვლით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჭიროების ან მოთხოვნის შესაბამისად.

(ბ) მაშინ, როდესაც სამედიცინო პერსონალი მიმაგრებულია მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების ოპერაციებზე, ამ უკანასკნელებმა, პატიმრებისთვის შესაბამისი მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა გაითვალისწინონ ასეთი პერსონალის აზრი, ოპერაციის გარეთ მყოფი სამედიცინო პერსონალის არჩევითა და მათთან კონსულტაციით.

(გ) ნაგულისხმევია, რომ მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა ასევე უნდა უზრუნველყონ სამედიცინო მზრუნველობა კანონის დარღვევის მსხვერპლთა ან კანონის დარღვევის პროცესში მომხდარი (უბედური) შემთხვევების მსხვერპლთათვის.

მუხლი 7

მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები არ უნდა ჩაერთონ კორუფციის აქტში. ისინი მკაცრად უნდა შეეწინააღმდეგონ და ებრძოლონ ყველა ამგვარ ქმედებას.

კომენტარი:

(ა) კორუფციის ისევე, როგორც ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი აქტი, სამართალდამცავი პირების პროფესიასთან შეუთავსებელია. კანონი უნდა აღსრულდეს სრულად ნებისმიერი სამართალდამცავი პირის მიმართ, რომლებიც კორუფციაში არიან ჩართულნი, რადგან არც ერთი ქვეყნის მთავრობას არ შეუძლია იმის იმედზე ყოფნა, რომ კანონს ცხოვრებაში გაატარებენ მოქალაქეები, თუკი თვითონ არ შეუძლიათ უზრუნველყონ კანონის მოთხოვნათა შესრულება თავიანთ ორგანოებში, ან არ ატარებენ კანონით განსაზღვრულ ღონისძიებებს საკუთარი წარმომადგენლობების წინააღმდეგ და თავიანთ ორგანოებში.

(ბ) რამდენადაც კორუფციის ცნების განსაზღვრა ეროვნული კანონმდებლობის საგანი უნდა იყოს, იგი უნდა მოიაზრებდეს მოქმედებას ან უმოქმედებას სამსახურებრივი ვალდებულების შესრულების დროს ან მათთან დაკავშირებით საჩუქრის, დაპირების ან წახალისების მოთხოვნის ან მიღების სანაცვლოდ, ან მათ უკანონო მიღებას მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა ამგვარ ქმედებას ან უმოქმედობას.

(გ) ტერმინი „კორუფციის აქტი“ ზემოაღნიშნულის გარდა, კორუფციის მცდელობასაც მოიცავს.

მუხლი 8

მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა პატივი უნდა სცენ კანონსა და ამ კოდექსს. ამასთანავე, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად უნდა აღკვეთონ და მკაცრად აღუდგნენ წინ შესაბამის დარღვევებს.

მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა, რომელთაც აქვთ მიზეზი იფიქრონ, რომ მოხდა ან მოხდება ამ კოდექსის დარღვევა, ამის შესახებ უნდა აცნობონ ზემდგომ ორგანოებს და საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლების სხვა შესაბამის ორგანოებს, ანუ განხილვისა და გამოსწორების ძალაუფლებით აღჭურვილ ორგანოებს.

კომენტარი:

(ა) ეს კოდექსი დაცული უნდა იყოს, როდესაც იგი ეროვნული კანონმდებლობის ან პრაქტიკის ნაწილია. თუ კანონმდებლობა ან

პრაქტიკა შეიცავს უფრო მკაცრ დებულებებს, ვიდრე ეს კოდექსი, მოქმედებენ უფრო მკაცრი დებულებები.

(ბ) წინამდებარე მუხლის მიზანია შეინარჩუნოს ბალანსი, ერთი მხრივ, იმ ორგანოს შიდა დისციპლინის საჭიროებას, რომელზეც საზოგადოების უშიშროებაა დამოკიდებული და მეორე მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევასთან ბრძოლის საჭიროებას შორის. მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა დარღვევების შესახებ უნდა მოახსენონ ხელისუფლების წარმომადგენლებს და განახორციელონ სხვა კანონიერი ქმედებები ხელისუფლების ორგანოების გარეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები ხელმისაწვდომი და ეფექტური არ არის. იგულისხმება, რომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებზე არ უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციული ან სხვა სასჯელი, ამ კოდექსის დარღვევის ან შესაძლო დარღვევის თაობაზე შეტყობინების გაკეთების გამო.

(გ) ტერმინი „ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები ანუ განხილვისა და გამოსწორების ძალაუფლებით აღჭურვილი სხვა ორგანოები“ ეხება ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოს, რომელიც განმტკიცებულია ეროვნული სამართლით. იგი მოიცავს სამართალდამცავი ორგანოების შიდა – თუ მისგან დამოუკიდებელ სტრუქტურებს და კანონით დადგენილ, ჩვეულებებზე დამყარებულ თუ სხვა ძალაუფლებით აღჭურვილ ინსტიტუტებს, რომლებიც ამ კოდექსის ფარგლებში დარღვევებიდან წარმოშობილ საჩივრებს განიხილავენ.

(დ) რიგ ქვეყნებში მასმედია შეიძლება საჩივართა მიმომხილველის ფუნქციების შემსრულებლადაც ჩაითვალოს, რაც უახლოვდება „გ“ ქვეპუნქტში განხილულ უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე, სამართალდამცავი პირები შეიძლება გამართლებულნი იყვნენ, როგორც უკანასკნელი იმედი და მათი ქვეყნების კანონებისა და ჩვეულებების გამო, აგრეთვე ამ კოდექსის მე–4 მუხლის დებულებათა შესაბამისად, თუ ისინი მასმედიის საშუალებით საზოგადოებრივი აზრის ყურამდე მიიტანენ დარღვევებს.

(ე) მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები, რომლებიც ამ კოდექსის დებულებებს ასრულებენ, იმსახურებენ პატივისცემას, სრულ მხარდაჭერასა და საზოგადოების, ასევე, იმ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობას, რომლებშიც ისინი მსახურობენ.

ძირითადი პრინციპები მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების შესახებ*

როდესაც მართლწესრიგის დამცველი პირები** მუშაობენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სოციალურ სამსახურში და შესაბამისად, არსებობს, აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაო პირობებისა და ამ მოხელეთა სტატუსის გაუმჯობესების საჭიროება,

როდესაც მართლწესრიგის დამცველ პირთა სიცოცხლისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მუქარა უნდა იქნეს აღქმული, როგორც მუქარა მთელი საზოგადოების სტაბილურობის წინააღმდეგ,

როდესაც მართლწესრიგის დამცველ პირებს განსაკუთრებული როლი უკავიათ სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების დაცვაში, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და განმტკიცებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით,

როდესაც პატიმართა მოპყრობის შესახებ მინიმალური სტანდარტული წესები გულისხმობს ისეთ გარემოებებს, როცა ციხის პერსონალს უფლება აქვს თავიანთი მოვალეობების შესრულებისას მიმართოს ძალას,

როდესაც მართლწესრიგის დამცველ პირთა ქცევის კოდექსის მე–3 მუხლი ადგენს, რომ მართლწესრიგის დამცველ პირებს უფლება აქვთ გამოიყენონ ძალა მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობისას და მათი მოვალეობის შესრულებისათვის აუცილებელ ფარგლებში.

როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვიდე კონგრესის მოსამზადებელ შეხვედრაზე დანაშაულის აღმოფხვრისა და დამნაშავეთა მოპყრობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ვარე-

---

* მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მერვე კონგრესზე დანაშაულის აღკვეთისა და დამნაშავეთა მოპყრობის შესახებ, ჰავანა, კუბა, 1990 წლის 27 აგვისტო – 7 სექტემბერი.

** მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის I მუხლის კომენტარის შესაბამისად, ტერმინი „მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები“ მოიცავს ყველა, როგორც დანიშნულ, ისე არჩეულ პირს, რომლებიც პოლიციის, განსაკუთრებით კი დაკავების ან დაპატიმრების უფლებამოსილებას ახორციელებენ. იმ ქვეყნებში, რომლებშიც პოლიციის უფლებამოსილება ხორციელდება ფორმიანი ან ფორმის გარეშე სამხედრო ხელისუფლების ან სახელმწიფო უშიშროების ძალების მიერ, მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების ცნება უნდა მოიცავდეს ასეთი სამსახურების მოხელეებსაც.

ნაში, იტალია, შეთანხმებულ იქნა ელემენტები, რომელთა განხილვაც მოხდება მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენებაზე შეზღუდვების დაწესების საკითხზე მუშაობისას.

როდესაც მეშვიდე კონგრესი, თავის მე–14 რეზოლუციაში, Inter alia, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენება უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა დაცვით.

როდესაც ეკონომიკური და სოციალური საბჭო, 1986 წლის 21 მაისის 1986/10 რეზოლუციის IX ნაწილით მოუხმობს წევრ სახელმწიფოებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების შესახებ კოდექსის იმპლემენტაციას, ხოლო გენერალურმა ასამბლეამ, 1986 წლის 4 დეკემბერს 41/149 რეზოლუციით, Inter alia, მოიწონა საბჭოს მიერ გაკეთებული რეკომენდაცია,

როდესაც აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული მართლწესრიგის დამცველ პირთა როლი მართლმსაჯულების განხორციელებასთან მიმართებით, პირის სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების დაცვაში, გათვალისწინებულ იქნას მათი პასუხისმგებლობა საჯარო წესრიგისა და სოციალური მშვიდობის დამყარებაში, ასევე ყურადღება მიექცეს მათი კვალიფიკაციის, ტრენინგებისა და საქციელის მნიშვნელობას,

ქვემოთ მოყვანილი ძირითადი პრინციპები, რომლებიც შეიქმნა წევრ სახელმწიფოთა დასახმარებლად თავიანთი ვალდებულებების შესრულებაში, რათა უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ მართლწესრიგის დამცველ პირთა ჭეშმარიტი როლის ჩამოყალიბებას, გათვალისწინებულ და დაცულ უნდა იქნეს სახელმწიფოთა მიერ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ფარგლებში. სახელმწიფომ ზემოხსენებული პრინციპები უნდა გააცნოს მართლწესრიგის დამცველ პირებს, ისევე როგორც სხვა პირებს, როგორებიც არიან, მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოს წარმომადგენლები და საზოგადოება.

ზოგადი დებულებები

1. მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველმა ორგანოებმა უნდა მიიღონ და აღასრულონ დადგენილი ნორმები და წესები მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების შესახებ. ამგვარი ნორმებისა და წესების ჩამოყალიბებისას, მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველმა ორგანოებმა ძალისა და

იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა მოაქციონ.

2. მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველმა ორგანოებმა, შეძლებისდაგვარად, ფართო მასშტაბით უნდა შექმნან და მართლწესრიგის დამცველი პირები უნდა აღჭურვონ სხვადასხვა ტიპის იარაღითა და ასაფეთქებელი საშუალებებით, რაც შესაძლებელს გახდის ძალისა და იარაღის გამოყენებას სხვადასხვა ფორმით. აქ მოიაზრება არამომაკვდინებელი, გაუვნებელყოფის იარაღიც შესაბამის სიტუაციებში გამოსაყენებლად, სიკვდილისა და დაზიანებების გამომწვევი საშუალებების გამოყენების შეზღუდვის გაზრდის მიზნით. იგივე მიზნისათვის, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს, რომ მართლწესრიგის დამცველი პირები აღიჭურვონ დამცავი აღჭურვილობით, როგორებიცაა ფარები, მუზარდები, ტყვიაგაუმტარი ჟილეტები და ტყვიაგაუმტარი სატრანსპორტო საშუალებები, რათა შემცირდეს ნებისმიერი ტიპის იარაღის გამოყენების აუცილებლობა.

3. არამომაკვდინებელი და გაუვნებელმყოფი იარაღის შექმნა და პრაქტიკაში გამოყენება ყურადღებით უნდა იქნეს შეფასებული, რათა მაქსიმალურად შემცირდეს უდანაშაულო ადამიანთა საფრთხის ქვეშ დაყენების რისკი და ამგვარი იარაღის გამოყენება ზედმიწევნით უნდა გაკონტროლდეს.

4. მართლწესრიგის დამცველმა პირებმა, თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, ძალისა და იარაღის გამოყენებამდე, შესაძლებლობების ფარგლებში, ჯერ უნდა მიმართონ არაძალადობრივ ფორმებს. მათ უფლება აქვთ გამოიყენონ ძალა და იარაღი მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა სხვა საშუალება არაეფექტიანი აღმოჩნდა ან დასახული მიზნის მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია.

5. როცა გარდაუვალია კანონიერი ძალისა და იარაღის გამოყენება, მართლწესრიგის დამცველმა პირებმა

(ა) ძალის ამგვარ გამოყენებაზე უნდა დააწესონ შეზღუდვები და იმოქმედონ დანაშაულის სიმძიმისა და დასახული კანონიერი მიზნის პროპორციულად;

(ბ) უნდა შეამცირონ ზიანი და ზარალი და პატივი სცენ და დაიცვან ადამიანის სიცოცხლე;

(გ) უნდა უზრუნველყონ, რომ დაზარალებულ ან დაჭრილ ადამიანს, შეძლებისდაგვარად, სწრაფად აღმოუჩინონ სამედიცინო დახმარება;

(დ) უნდა უზრუნველყონ, რომ დაზარალებულისა და დაჭრილის ახლო ნათესავებს, შეძლებისდაგვარად, სწრაფად ეცნობოთ ამის შესახებ.

6. როდესაც მართლწესრიგის დამცველ პირთა მხრიდან ძალისა და იარაღის გამოყენებას მოჰყვება პირის დაჭრა ან გარდაცვალება, მათ ამ ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ თავიანთ ზემდგომ თანამდებობის პირს, 22–ე პრინციპის შესაბამისად.

7. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მართლწესრიგის დამცველ პირთა მხრიდან თვითნებური და გადამეტებული ძალისა და იარაღის გამოყენება ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

8. გამონაკლისი შემთხვევები, როგორებიცაა შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვა სახის საგანგებო მდგომარეობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ამ ძირითადი პრინციპებიდან გადახვევის გამამართლებელი საშუალება.

სპეციალური დებულებები

9. მართლწესრიგის დამცველ პირთა წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენონ იარაღი გარდა შემდეგი შემთხვევებისა: სიკდვილისა და სერიოზული დაშავების აშკარა საფრთხისაგან თავდაცვის ან სხვათა დაცვის მიზნით; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, რომელსაც მოჰყვება სიცოცხლის მოსპობის სერიოზული საფრთხე; იმ პირის დაკავების მიზნით, ვინც ამგვარ საფრთხეს ქმნის და წინააღმდეგობას უწევს მართლწესრიგის დამცველ პირებს ან ამ პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად უკიდურესი ზომები არასაკმარისია ამგვარი მიზნების მისაღწევად. ნებისმიერ შემთხვევაში, იარაღის განზრახ გამოყენება სიცოცხლის ხელყოფის მიზნით, დასაშვებია მხოლოდ მკაცრად გარდაუვალ შემთხვევებში, როდესაც მიზანს წარმოადგენს სხვათა სიცოცხლის დაცვა.

10. მე–9 პრინციპში მითითებულ შემთხვევებში, მართლწესრიგის დამცველი პირების იდენტიფიკაცია იოლი უნდა იყოს, მათ უნდა

გასცენ ნათელი გაფრთხილება იარაღის გამოყენების განზრახვის შესახებ და მისცენ შესაბამის პირებს საკმარისი დრო ამ გაფრთხილების შემდეგ დასამორჩილებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება საფრთხის ქვეშ დააყენებს მართლწესრიგის დამცველ პირთა და სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან აშკარად შეუსაბამო და აზრსმოკლებული იქნება კონკრეტული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებში.

11. მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ იარაღის გამოყენების შესახებ ნორმებსა და წესებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:

(ა) დაკონკრეტებულ იქნეს გარემოებები, რომელთა გარემოებების დროსაც მართლწესრიგის დამცველ პირებს უფლება აქვთ გამოიყენონ იარაღი და ჩამოთვლილ იქნეს დასაშვები იარაღისა და ასაფეთქებელი მასალის ტიპები;

(ბ) უზრუნველყოფილ იქნეს, რომ იარაღის გამოყენება მოხდეს მხოლოდ საჭირო შემთხვევებში და მხოლოდ არასაჭირო ზიანის საფრთხის შემცირების მიზნით;

(გ) აიკრძალოს იმ იარაღისა და ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენება, რაც იწვევს გაუმართლებელ ზიანსა და ქმნის გაუმართლებელ საფრთხეს;

(დ) დარეგულირდეს იარაღის კონტროლი, შენახვა და წარმოება, იმ პროცედურების ჩათვლით, რომლებითაც პროცედურებითაც გარანტირებულია მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ გამოყენებულ იარაღსა და ასაფეთქებელ საშუალებებზე პასუხისმგებლობა;

(ე) მიცემულ იქნეს გაფრთხილება საჭიროებისამებრ, როდესაც იარაღი საჭიროებს შევსებას;

(ვ) შეიქმნას ანგარიშების სისტემა, როდესაც მართლწესრიგის დამცველი პირები თავიანთი მოვალეობების შესრულებისას გამოიყენებენ იარაღს.

უკანონო შეკრებები და მართლწესრიგის დამცველ პირთა უფლებამოსილება

12. რადგან ყველას აქვს უფლება მონაწილეობდეს კანონიერ და მშვიდობიან შეკრებებში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის პრინციპების შესაბამისად, მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველმა ორგანოებმა და პირებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ძალისა და იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მე–13 და მე–14 პრინციპების შესაბამისად.

13. უკანონო, მაგრამ მშვიდობიანი შეკრებების დაშლისას, მართლწესრიგის დამცველმა პირებმა თავი უნდა აარიდონ ძალის გამოყენებას ან, სადაც ეს არაეფექტიანია, ამგვარი ძალის გამოყენება მინიმუმამდე დაიყვანონ.

14. აგრესიული შეკრების დაშლისას, მართლწესრიგის დამცველ პირებს უფლება აქვთ გამოიყენონ იარაღი მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებ საშიში საშუალებები არაეფექტიანია და ამგვარი ძალის გამოყენება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. სხვა შემთხვევებში, მართლწესრიგის დამცველ პირებს იარაღის გამოყენების უფლება არ აქვთ, გარდა მე–9 პრინციპში აღნიშნული პირობებისა.

დაკავების იზოლატორებში ან საპატიმროში მყოფი პირებისა და მართლწესრიგის დამცველ პირთა უფლებამოსილება

15. მართლწესრიგის დამცველმა პირებმა, დაკავების იზოლატორში ან საპატიმროში მყოფ პირებთან ურთიერთობისას, არ უნდა მიმართონ ძალას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საჭიროა დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ან როცა საფრთხე ემუქრება პირად უსაფრთხოებას.

16. მართლწესრიგის დამცველმა პირებმა, დაკავების იზოლატორში ან საპატიმროში მყოფ პირებთან ურთიერთობისას, არ უნდა გამოიყენონ იარაღი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება თავდაცვის მიზნით ან სხვათა დასაცავად სიკვდილის ან სერიოზული დაშავების მოახლოებული საფრთხისაგან, ან როდესაც ეს განსა-

კუთრებით აუცილებელია დაკავების იზოლატორში ან საპატიმროში მყოფი პირების გაქცევის თავიდან ასაცილებლად, რაც მე–9 პრინციპში აღნიშნულ საფრთხეს ქმნის.

17. წინამდებარე პრინციპები არ ეწინააღმდეგება ციხის თანამშრომელთა პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით დადგენილ უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, განსაკუთრებით კი 33–ე, 34–ე და 54–ე წესებს.

კვალიფიკაცია, ტრენინგები და კონსულტაციები

18. მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მართლწესრიგის დამცველი ყველა პირი შერჩეულ იქნეს სათანადო ფილტრაციის პროცედურის გავლით, მათ თავიანთი ფუნქციების ეფექტიანად განსახორციელებლად უნდა ჰქონდეთ საჭირო მორალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური თვისებები და უნდა გაიაროს სერიოზული და სიღრმისეული პროფესიული ტრენინგი. მათი ფუნქციების სათანადოდ შესრულების ხარისხი მუდმივ გადასინჯვას უნდა ექვემდებარებოდეს.
19. მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველებმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მართლწესრიგის დამცველმა ყველა პირმა გაიაროს შესაბამისი ტრენინგი და გამოცდა ძალის გამოყენების სათანადო გამოცდილების სტანდარტების შესაბამისად. მართლწესრიგის დამცველ პირებს, რომლებიც ვალდებული არიან ატარონ იარაღი, ამის უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ იარაღის გამოყენების შესახებ სპეციალური ტრენინგის გავლის შემდეგ.

20. მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველებმა ორგანოებმა, მართლწესრიგის დამცველი პირებისათვის ტრენინგის ჩატარებისას, ძალისა და იარაღის გამოყენების შეზღუდვის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ საპოლიციო ეთიკისა და ადამიანის უფლებათა საკითხებს, განსაკუთრებით კი საგამომძიებლო პროცესს, ძალისა და იარაღის გამოყენების ალტერნატიულ საშუალებებს, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ჩათვლით, ბრბოს ქცევის სახასიათო ნიშნებს, დარწმუნების, მოლაპარაკებისა და შუამავლობის მეთოდებს, ისევე როგორც ტექნიკურ საშუალებებს. მართლწესრიგის დამცველებმა ორგანოებმა მათი ტრენინგის პროგრამები და სამოქმედო პროცედურები კონკრეტული მაგალითების ფონზე მუდმივად უნდა გადასინჯონ.

21. მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველმა ორგანოებმა იმ პირთათვის, რომლებსაც უწევთ ისეთ სიტუაციებში მუშაობა, როდესაც ხდება ძალისა და იარაღის გამოყენება, უნდა ჩაატარონ კონსულტაციების სტრესის განსამუხტად.

ანგარიშების წარდგენისა და განხილვის პროცედურები

22. მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველმა ორგანოებმა მე–6 პრინციპსა და მე–11 პრინციპის „ვ“ პუნქტში აღნიშნული ყველა ინციდენტისათვის უნდა შექმნან ანგარიშების წარდგენისა და განხილვის ეფექტიანი პროცედურები. მთავრობებმა და მართწესრიგის დამცველმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოხდეს ამ პრინციპების თანახმად ინციდენტებზე გაკეთებული ანგარიშების ეფექტიანი განხილვა და შესაბამის შემთხვევებში, დამოუკიდებელი ადმინისტრაციული და პროკურატურის ორგანოები მზად იყვნენ აღასრულონ თავიანთი იურისდიქცია. სიკდვილის, სერიოზული ჭრილობის ან სხვა მძიმე შედეგების არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ განხილვასა და სასამართლო კონტროლზე კომპეტენტურ ორგანოებს სასწრაფოდ უნდა გადაეგზავნოთ დეტალური ანგარიში.
23. ძალისა და იარაღის გამოყენებით დაზარალებულ ადამიანებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვთ დამოუკიდებელ პროცესებზე, სასამართლო პროცესის ჩათვლით. ამ პირების გარდაცვალების შემთხვევაში, ეს დუბულება ვრცელდება მათ კმაყოფაზე მყოფ პირებზე.

24. მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ზემდგომ თანამდებობის პირებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა თუ მათ იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მართლწესრიგის დამცველი პირები მიმართავდნენ, ან მიმართეს, არაკანონიერი ძალისა და იარაღის გამოყენებას და მათ არ გამოიყენეს ყველა მათ ხელთ არსებული საშუალება ამის თავიდან ასაცილებლად, აღმოსაფხვრელად ან არ განაცხადეს ამის შესახებ.

25. მთავრობებმა და მართლწესრიგის დამცველმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მართლწესრიგის დამცველ პირებს, რომლებმაც, მართლწესრიგის დამცველ პირთა ქცევის კოდექსისა და

წინამდებარე ძირითადი პრინციპების შესაბამისად, უარი განაცხადეს ძალისა და იარაღის გამოყენების ბრძანების შესრულებაზე ან განაცხადეს სხვა პირთა მიერ ძალისა და იარაღის ამგვარი გამოყენების შესახებ, არ დაეკისროთ სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

26. ზემდგომ თანამდებობის პირთა ბრძანების დამორჩილება არ გამოდგება დაცვის საშუალებად თუ მართლწესრიგის დამცველმა პირებმა იცოდნენ, რომ ძალისა და იარაღის გამოყენების შესახებ ბრძანება, რომელსაც მოჰყვებოდა სიკვდილი ან ადამიანთა სერიოზული დაშავება, იყო აშკარად უკანონო და მას გააჩნდა გონივრული შესაძლებლობა უარი განეცხადებინა ბრძანების შესრულებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, პასუხისმგებლობას ინაწილებენ ის ზემდგომი თანამდებობის პირები, რომლებმაც გასცეს უკანონო ბრძანებები.

წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად*

არსებითი პერსპექტივები

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ სამართლებრივი სისტემა უნდა მოიცავდეს არასრულწლოვანთა ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის წამახალისებელ უფლებებსა და გარანტიებს. პატიმრობა გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც უკანასკნელი ღონისძიება.

2. არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე წესებსა და გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები) მინიმალურ სტანდარტულ წესებში დადგენილი პრინციპებისა და პროცედურების შესაბამისად. არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა უნდა წარმოადგენდეს უკანასკნელ ღონისძიებას და გამოყენებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად მცირე დროითა და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. სანქციის ვადა უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ, არასრულწლოვნის ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

3. წინამდებარე წესები, მიღებულია რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, იქმნება მინიმალური სტანდარტის დასადგენად თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების ყველა ფორმით დასაცავად, რაც სრულ ჰარმონიაში იქნება ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთან, დაკავების ნებისმიერი ფორმის სავალალო შედეგის განეიტრალების მიზნით და საზოგადოებაში ამ არასრულწლოვანთა ინტეგრაციის დასაჩქარებლად.

4. წინამდებარე წესები გამოყენებულ უნდა იქნეს მოუკერძოებლად, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ასაკისა, ენისა, რელიგიისა, ეროვნებისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, კულტურული რწმენისა თუ ჩვეულებისა, საკუთრებისა, დაბადებისა თუ ოჯახური სტატუსისა, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობისა და უნარშეზღუდულობისა. პატივი უნდა სცენ არასრულ-

---

* მიღებულია გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის 45/113 რეზოლუციით.

წლოვანთა რელიგიურ და კულტურულ ღირებულებებს, ჩვეულებებსა და მორალურ კონცეფციებს.

5. წინამდებარე წესების შექმნა მიზნად ისახავს გამოსაყენებლად უფრო მოსახერხებელი სტანდარტების შექმნასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მართვაში მონაწილე პროფესიონალთათვის სახელმძღვანელო პრინციპების მიწოდებასა და მათ გამხნევებას.

6. წესები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს არასრულწლოვანთა სამართლებრივ სფეროში მომუშავე პერსონალისათვის მათ ეროვნულ ენაზე. არასრულწლოვნებს, რომელნიც თავისუფლად არ ფლობენ იმ საპატიმრო დაწესებულების მოსამსახურეთა ენას, რომელშიც ისინი იმყოფებიან, საჭიროების შემთხვევაში,უფლება უნდა ჰქონდეთ უფასოდ ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურებით, განსაკუთრებით კი, სამედიცინო შემოწმებისა და დისციპლინური სამართალწარმოების დროს.

7. სადაც ეს საჭიროა, სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ წინამდებარე წესების ინკორპორირება მათ შიდა კანონმდებლობაში ან კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და უზრუნველყონ, რომ კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნეს ეფექტიანი ღონისძიებები ამ წესების დარღვევისათვის, კომპენსაციის გაცემის ჩათვლით, არასრულწლოვანთათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში. სახელმწიფოებმა ასევე ზედამხედველობა უნდა დააწესონ წინამდებარე წესების გამოყენებაზე.

8. შესაბამისი ორგანოები მუდმივად უნდა ეცადონ, აამაღლონ საზოგადოების ინფორმირებულობა იმის შესახებ, რომ დაკავებულ არასრულწლოვანთა პატრონობა და მათი საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრირების მზადება ძალზედ დიდი მნიშვნელობის სოციალური სამსახურია და ამ მიზნისათვის აქტიურად უნდა იქნეს გადადგმული ნაბიჯები არასრულწლოვანთა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის ღია კონტაქტების წასახალისებლად.

9. წინამდებარე წესებიდან არაფერი უნდა იქნეს ინტერპრეტირებული ისე, რომ ხელი შეუშალოს გაეროსა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული ადამიანის უფლებათა შესაბამისი ინსტრუმენტებისა და სტანდარტების გამოყენებას, რომლებიც მოუ-

წოდებს უზრუნველყოფილ იქნეს არასრულწლოვნების, ბავშვებისა და ყველა ახალგაზრდის უფლებები, მათი მზრუნველობა და დაცვა.

10. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე წესების II-V ნაწილებში ჩამოყალიბებული კონკრეტული წესების პრაქტიკული გამოყენება კონფლიქტში მოდის ამ ნაწილის წესებთან, ამ უკანასკნელის დაცვას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

წესების გამოყენება და ფარგლები

ამ წესების მიზნებისათვის, გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი დეფინიციები:

ა) არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის ადამიანი. ასაკობრივი ზღვარი, რომლის ქვემოთაც დაუშვებელია ბავშვისათვის თავისუფლების აღკვეთა, დგინდება კანონით;

ბ) თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს დაკავების ან დაპატიმრების ნებისმიერ ფორმას ან სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო ორგანოს ბრძანების საფუძველზე, პირის მოთავსებას კერძო ან საჯარო საპატიმრო დაწესებულებაში, რომლის საკუთარი სურვილით დატოვების უფლებაც პირს არ გააჩნია.

12. თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს ისეთ პირობებსა და გარემოებებში, სადაც უზრუნველყოფილ იქნება არასრულწლოვანთა უფლებების პატივისცემა. დაპატიმრებული არასრულწლოვნებისათვის გარანტირებულ უნდა იქნეს შინაარსობრივი ქმედებებითა და პროგრამებით სარგებლობა, რომელთა მიზანიც იქნება მათი ჯანმრთელობისა და თვით პატივისცემის გაუმჯობესება და შენარჩუნება, მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა და იმ დამოკიდებულებებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც მათ დაეხმარებათ საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებაში.

13. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს მათ სტატუსთან დაკავშირებული არანაირი საფუძვლით არ შეიძლება უარი ეთქვათ სამოქალაქო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ ან კულტურულ უფლებებზე, რომელი უფლებებიც მათ ეკუთვნით ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობებითა და რომ-

ელი უფლებებით სარგებლობაც სრულ შესაბამისობაშია თავისუ-
ფლების აღკვეთასთან.

14. არასრულწლოვანთა ინდივიდუალური უფლებების დაცვა, აღკვეთის ღონისძიების აღსრულების კანონიერებაზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებით, გარანტირებულ უნდა იქნეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მაშინ როცა სოციალური ინტეგრაციის საკითხები მოგვარებულ უნდა იქნეს რეგულარული ინსპექციებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების შესრულებით, საერთაშორისო სტანდარტების, ეროვნული კანონმდებლობისა და წესების შესაბამისად, ამ მიზნით შექმნილი ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი იქნება მოინახულოს არასრულწლოვნები. ეს ორგანო არ უნდა იყოს საპატიმრო დაწესებულების ნაწილი.

15. წინამდებარე წესები გამოიყენება ყველა ტიპისა და ფორმის საპატიმრო დაწესებულებების მიმართ, რომლებშიც თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები იმყოფებიან. წესები I, II, IV და V ნაწილები გამოიყენება იმ საპატიმრო დაწესებულებების მიმართ, სადაც მოთავსებული არიან დაკავებული არასრულწლოვნები, ხოლო III ნაწილი კი – კონკრეტულად პატიმრობაში ან წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ.

16. წინამდებარე წესები აღსრულებულ უნდა იქნეს კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების გათვალისწინებით.

პატიმრობაში ან წინასწარპატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები

17. პატიმრობაში ან წინასწარპატიმრობაში მყოფი („ჯერ გაუსამართლებელი“) არასრულწლოვნები ითვლებიან უდანაშაულოებად და მათი დაკავება სასამართლომდე მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან არიდებული და გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. შესაბამისად, მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შეფარდებულ იქნეს ალტერნატიული ღონისძიება. როდესაც აღკვეთის ღონისძიების სახით მაინც გამოიყენება პატიმრობა, არასრულწლოვანთა სასამართლოებმა და საგამოძიებო ორგანოებმა პრიორიტეტულად მაქსიმალურად სწრაფად უნდა განიხილონ მსგავსი საქმეები, რათა არასრულწ-

ლოვნები საპატიმროში მაქსიმალურად მოკლე დროით იმყოფებოდნენ. წინასწარპატიმრობაში მყოფნი განცალკევებით უნდა იმყოფებოდნენ მსჯავრდებულებისაგან.

18. პირობები, რომელშიც წინასწარპატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები არიან მოთავსებული, შესაბამისობაში უნდა იყოს ქვევით მითითებულ წესებთან, დამატებით კონკრეტულ დებულებებთან ერთად, რომლებიც, უდანაშაულობის პრეზუმციის, დაკავების ხანგრძლივობისა და არასრულწლოვანთა სამართლებრივი სტატუსისა და მდგომარეობის გათვალისწინებით საჭირო და სათანადოა. ეს დებულებები უნდა მოიცავდეს შემდეგს, მაგრამ ამით აუცილებლად არ უნდა შემოიფარგლებოდეს:

ა) არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი დამცველის ყოვლისა და უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, როდესაც ამგვარი უფასო დახმარების მიღება შესაძლებელია, ასევე უნდა გააჩნდეთ უფლება მუდმივად ეკონტაქტონ თავიანთ სამართლებრივ დამცველებს. ამგვარი კომუნიკაციების დროს დაცულ უნდა იქნეს პირადულობა და კონფიდენციალურობა;

ბ) არასრულწლოვნები, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ შესაძლებლობით იმუშავონ ანაზღაურებით და გააგრძელონ სწავლის მიღება ან ტრენინგები, მაგრამ მათ ეს არ უნდა მოეთხოვებოდეთ. სამსახური, განათლების მიღება ან ტრენინგი არ შეიძლება გახდეს პატიმრობის გაგრძელების მიზეზი;

გ) არასრულწლოვნებმა უნდა მიიღონ საშუალებები თავისუფალი დროისა და გამაჯანსაღებელი საქმიანობის კუთხით, რაც შესაბამისობაში იქნება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებთან.

არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებების მენეჯმენტი

ა. ჩანაწერები

19. ანგარიშები, სამართლებრივი და სამედიცინო ჩანაწერებისა და დისციპლინური სამართალწარმოების ჩანაწერების ჩათვლით, ასევე მოპყრობის ფორმის, შინაარსისა და დეტალების შესახებ დოკუმენტები, მოთავსებულ უნდა იქნეს კონფიდენციალურ ინდივიდუალურ ფაილად, რომელიც იქნება მუდმივად განახლებული

და ხელმისაწვდომი მხოლოდ ამაზე უფლებამოსილი პირებისათვის, კლასიფიცირებული იმგვარად, რომ იოლად იქნეს აღქმული. შესაძლებლობის შემთხვევაში, ყველა არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს გააპროტესტოს მის ფაილში არსებული ნებისმიერი ფაქტი თუ მოსაზრება, რათა შესაძლებელი გახდა არასწორი, უსაფუძვლო ან არასამართლიანი განცხადებების გასწორება ამ უფლებით სარგებლობის მიზნით, უნდა არსებობდეს პროცედურა, რომლის მიხედვითაც, მესამე მხარეს შეეძლება მოთხოვნის საფუძველზე ნახოს და განიხილოს ფაილები. არასრულწლოვანთა გათავისუფლების შემდეგ, ჩანაწერები უნდა დაილუქოს და გარკვეული დროს შემდეგ, უნდა განადგურდეს.

20. დაუშვებელია არასრულწლოვნის მიღება საპატიმრო დაწესებულებაში სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო დაწესებულების მიერ გაცემული კანონიერი ბრძანების გარეშე. ამ ბრძანების ყველა დეტალი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შეტანილი რეესტრში. დაუშვებელია არასრულწლოვნის მოთავსება ისეთ საპატიმრო დაწესებულებაში, რომელიც ამგვარ რეესტრს არ აწარმოებს.

ბ. მიღება, რეგისტრაცია, გადაადგილება და გადაყვანა

21. ყველა საპატიმრო დაწესებულებაში, სადაც ხდება არასრულწლოვანთა მოთავსება, თითოეული არასრულწლოვნის შესახებ უნდა ინახებოდეს შემდეგი ინფორმაციის სრული და დაცული ჩანაწერი:

ა) ინფორმაცია არასრულწლოვნის ვინაობის შესახებ;

ბ) დანაშაულის ჩადენის მიზეზები და ფაქტები;

გ) მისი დაწესებულებაში მიღების, გადაყვანისა და გათავისუფლების დღე და ზუსტი დრო;

დ) დეტალები მშობლებისა და მეურვეებისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინების გაგზავნის შესახებ, მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მიღების, გადაყვანის ან გათავისუფლების შესახებ;

ე) დეტალები არასრულწლოვანთა ფიზიკური და სულიერი პრობლემების შესახებ, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლისადმი მიჯაჭვულობის ჩათვლით.

22. ინფორმაცია საპატიმრო დაწესებულებაში არასრულწლოვნის მიღების მოთავსების, გადაყვანისა და გათავისუფლების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ მის მშობლებს, მეურვეებს ან ახლო ნათესავებს.

23. არასრულწლოვნის მიღებიდან რაც შეიძლება მალე უნდა შედგეს არასრულწლოვანთა პირადი მდგომარეობისა და გარემოებების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია, სრული მოხსენება და იგი უნდა გადაეგზავნოს ადმინისტრაციას.

24. მიღებისას, ყველა არასრულწლვოანს უნდა გადაეცეს საპატიმრო დაწესებულების შესახებ წესების ასლი და მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ წერილობითი განმარტება მათთვის გასაგებ ენაზე, ისევე როგორც საჩივრის მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოების მისამართი და იმ კერძო თუ საჯარო ორგანოებისა და ორგანიზაციების მისამართები, რომლებიც გასცემენ იურიდიულ დახმარებას. იმ არასრულწლოვნებს, რომელთაც წერა–კითხვა არ იციან ან დაწერილი სახით ენის აღქმა არ შეუძლიათ, ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ მათთვის გასაგები ფორმით, რათა შეძლონ მიღებული ინფორმაციის სრულად აღქმა.

25. ყველა არასრულწლოვანს უნდა განემარტოს დაწესებულების შიდა ორგანიზაციული წესები, მათთან ურთიერთობის მიზნები და მეთოდები, დისციპლინური მოთხოვნები და პროცედურები, ინფორმაციის მოპოვებისა და საჩივრების შედგენის სხვა ნებადართული მეთოდები და სხვა ისეთი საკითხები, რომელთა ცოდნაც საჭიროა, რათა არასრულწლოვანმა შეძლოს პატიმრობის პერიოდში მისი უფლებებისა და ვალდებულებების სრულად გააზრება.

26. არასრულწლოვანთა ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ადმინისტრაციის ხარჯებით ადეკვატური ვენტილაციისა და განათების პირობებში, რაც მათ არ დაამცირებს ან რთულ მდგომარეობაში არ ჩააგდებს. დაუშვებელია არასრულწლოვანთა უკანონოდ გადაყვანა ერთი საპატიმრო დაწესებულებიდან მეორეში.

გ. კლასიფიკაცია და პატიმრების მოთავსება

27. არასრულწლოვნის მიღების მომენტიდან რაც შეიძლება სწრაფად, თითოეულ არასრულწლოვანს უნდა დაესვას კითხვები და უნდა

შედგეს სოციალური და ფსიქოლოგიური ჩანაწერი, სადაც აისახება კონკრეტული ტიპისა და დონის მოპყრობის შესახებ ნებისმიერი ფაქტორი და არასრულწლოვანთა მიერ მოთხოვნილი პროგრამა. ეს მოხსენება, სამედიცინო ექსპერტის მიერ მომზადებულ მოხსენებასთან ერთად, რომელმაც არასრულწლოვანი მიღებისთანავე გასინჯა, უნდა გადაიგზავნოს დაწესებულების დირექტორთან, რათა მან განსაზღვროს არასრულწლოვნისათვის დაწესებულებაში ყველაზე სათანადო ადგილი მოსათავსებლად და მოპყრობის კონკრეტული ტიპი, დონე და პროგრამა, რომელიც მის მიმართ უნდა განხორციელდეს. როდესაც საჭიროა სარეაბილიტაციო მკურნალობის დაწესება და პირის იქ ყოფნის ვადა ამის საშუალებას იძლევა, დაწესებულების თანამშრომლებმა წერილობით უნდა მოამზადონ მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა, რომელშიც განისაზღვრება მკურნალობის მიზნები, დრო და საშუალებები, ეტაპები და დაგვიანებები, რომლებშიც დასახული მიზნები უნდა იქნეს მიღწეული.

28. არასრულწლოვანთა დაპატიმრების ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ პირობებში, როცა სრულად იქნება მხედველობაში მიღებული მათი კონკრეტული მოთხოვნები, სტატუსი და სპეციალური მოთხოვნილებები მათი ასაკის, პიროვნულობის, სქესისა და დანაშაულის ტიპის, ისევე როგორც გონებრივი და ფიზიკური ჯანმრთელობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათ დაცვას მავნე ზეგავლენისა და სარისკო სიტუაციებისაგან. პრინციპული კრიტერიუმი თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა სხვადასხვა კატეგორიებად დასაყოფად, უნდა იყოს მათი კონკრეტული მოთხოვნებისათვის შესაბამისი მოპყრობის ტიპის უზრუნველყოფა და მათი ფიზიკური, გონებრივი და მორალური მთლიანობისა და კეთილდღეობის დაცვა.

29. არასრულწლოვნები არ უნდა იქნენ მოთავსებული იგივე საპატიმრო დაწესებულებაში, სადაც იმყოფებიან ზრდასრულნი, თუ ისინი არ არიან ერთი ოჯახის წევრები. ზედამხედველობის პირობებში, შესაძლებელი არასრულწლოვნები მოთავსებულ იქნენ ფრთხილად შერჩეულ ზრდასრულ ადამიანებთან ერთად, სპეციალური პროგრამის ფარგლებში რაც სასარგებლოდ იქნება აღიარებული შესაბამისი არასრულწლოვნისათვის.

30. უნდა შეიქმნას ღია ტიპის საპატიმროები, არასრულწლოვანთათვის, საპატიმრო დაწესებულება ეწოდება ისეთი დაწესებულებას,

რომელშიც არ არსებობს ან მინიმუმამდეა დასული უსაფრთხოების ღონისძიებები ამგვარ საპატიმროთა მოსახლეობა უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე ოდენობის. დაკავებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა დახურულ საპატიმრო დაწესებულებაში უნდა იყოს იმდენად მცირე, რომ შესაძლებელი იყოს ინდივიდუალური მკურნალობა. არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულება უნდა იყოს დეცენტრალიზებული და იმ ზომის, რომ ხელშეწყობილ იქნეს იქ შესვლა და კონტაქტის დამყარება არასრულწლოვნებსა და მათი ოჯახის წევრებს შორის. უნდა შეიქმნას და საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში ინტეგრირებულ იქნეს მცირე საპატიმრო დაწესებულებები.

დ. ფიზიკური გარემოცვა და მოთავსების ადგილი

31. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს უფლება აქვთ იმყოფებოდნენ ისეთ დაწესებულებებში და ჰქონდეთ ისეთი მომსახურება, რაც შეესაბამება მათი ჯანმრთელობისა და პირადი ღირსების მოთხოვნებს.

32. არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებების დიზაინი და ფიზიკური გარემო უნდა შეესაბამებოდეს სახლში მკურნალობის სარეაბილიტაციო მიზანს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის პირადულობის, მგრძნობელობა (სენსორ სტიმული), მეწყვილესთან გაერთიანების შესაძლებლობები და სპორტში, ფიზიკურ სავარჯიშოებსა და თავისუფალ დროს სხვადასხვა საქმიანობებში მონაწილეობის შესაძლებლობა. არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებების დიზაინი და სტრუქტურა უნდა იყოს იმგვარი, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ხანძრის გაჩენის საფრთხე და უზრუნველყოფილ იქნეს შენობიდან ხალხის უსაფრთხო ევაკუაცია. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს ეფექტიანი საგანგაშო სისტემა, ისევე როგორც ფორმალური და ნათელი პროცედურები არასრულწლოვანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საპატიმრო დაწესებულებები არ უნდა მდებარებოდეს ისეთ ადგილას, რომლებშიც ცნობილია, რომ არსებობს ჯანმრთელობის ან სხვა საშიშროების რისკის ალბათობა.

33. საძინებელი ადგილი უნდა წარმოადგენდეს პალატა საძინებლებისა თუ ინდივიდუალური საძინებელი ოთახების ერთობლიობას, ადგილობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. ძილის დროს

მუდმივი, მოკრძალებული ზედამხედველობა უნდა არსებობდეს მთელს ტერიტორიაზე, სადაც არასრულწლოვნებს სძინავთ, ინდივიდუალური და ჯგუფური საძინებლების ჩათვლით, თითოეული არასრულწლოვნის დაცვის მიზნით. ყველა არასრულწლოვანი, ადგილობრივი და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საკუთარი და საკმარისი თეთრეულით, რომელიც უნდა იყოს სუფთა, მოწესრიგებული და ხშირად იცვლებოდეს, რათა შენარჩუნდეს სისუფთავე.

34. სანიტარული მოწყობილობები ისე უნდა იყოს განლაგებული და იმგვარად საკმარისი სტანდარტებით, რომ ყველა არასრულწლოვანმა შეძლოს, საჭიროებისამებრ, საკუთარი ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განცალკევებით და სუფთა და სათანადო ფორმით.

35. პირადი ნივთების ქონა პირადი ცხოვრების უფლების არსებითი ნაწილია და მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური კეთილდღეობისათვის. თითოეული არასრულწლოვნის უფლება, ჰქონდეს პირადი ნივთები და მათ შესანახად ჰქონდეს საშუალებები, უნდა იქნეს აღიარებული და პატივი სცენ მას. პირადი ნივთები, რომელთა ფლობაზეც არასრულწლოვანი უარს ამბობს ან რომელიც მას ჩამოართვეს, უნდა იქნეს მოთავსებული უსაფრთხო ადგილას. ნივთების ამსახველი ოქმი ხელმოწერილ უნდა იქნეს არასრულწლოვნის მიერ უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა მოხდეს მათი კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება. ყველა ამგვარი საგანი თუ ფული არასრულწლოვანს უნდა დაუბრუნდეს გათავისუფლებისას, თუ მას არ ჰქონდა უფლება ფული დაეხარჯა ან თავისი პირადი ქონება საპატიმროს გარეთ გაეგზავნა. თუ არასრულწლოვანი იღებს ან მას აღმოუჩინეს რაიმე სახის წამალი, სამედიცინო პერსონალი წყვეტს მის შემდგომ გაგრძელებას.

36. შესაძლებლობის ფარგლებში, არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ უფლება გააჩნდეთ თავიანთი პირადი ტანსაცმელი. საპატიმრო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულ არასრულწლოვანს ჰქონდეს ამინდის შესაბამისი და მისი ჯანმრთელობისათვის საჭირო პირადი ტანსაცმელი, რომელიც არანაირად არ იქნება მისთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი. არასრულწლოვნებს, რომლებმაც რაღაც მიზნით დატოვეს დაწესებულება, უფლება უნდა მიეცეთ ჩაიცვან თავიანთი საკუთარი ტანსაცმელი.

37. ყველა საპატიმრო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულმა არასრულწლოვანმა მიიღოს სათანადოდ მომზადებული საჭმელი, სათანადო დროს, იმ რაოდენობითა და ხარისხით, რაც აკმაყოფილებს დიეტურ, ჰიგიენურ და ჯანმრთელ სტანდარტებსა და შეძლებისდაგვარად, რელიგიურ და კულტურულ მოთხოვნილებებს. ყველა არასრულწლოვნისათვის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს სუფთა სასმელი წყალი.

ე. განათლება, პროფესიული ტრენინგები და სამსახური

38. ყველა სავალდებულო სკოლის ასაკის არასრულწლოვანს უფლება აქვს მიიღოს მისი მოთხოვნებისათვის და შესაძლებლობებისათვის სათანადო განათლება, რაც მას მოამზადებს საზოგადოებაში დასაბრუნებლად. ამგვარი განათლება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საპატიმრო დაწესებულების გარეთ, შეძლებისდაგვარად, საზოგადოებრივ სკოლებში, ნებისმიერ შემთხვევაში, კვალიფიციური მასწავლებლის მიერ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებული პროგრამების საშუალებით იმგვარად, რომ გათავისუფლების შემდგომ, არასრულწლოვანმა დაუბრკოლებლად შეძლოს სწავლის გაგრძელება. საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უცხოელი ან განსაკუთრებული კულტურული ან ეთნიკური მოთხოვნების მქონე არასრულწლოვნისათვის განათლების მიცემას. არასრულწლოვნებს, რომელთაც არ იციან წერა–კითხვა ან აქვთ დაგვიანებული აზროვნება ან სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, უფლება უნდა ჰქონდეთ მიიღონ სპეციალური განათლება.

39. სავალდებულო სასკოლო ასაკს გადაცილებულ არასრულწლოვნებს, რომელთაც სურთ განათლების გაგრძელება, ნება უნდა მიეცეთ და წახალისებულ უნდა იქნან გააგრძელონ იგი, და მაქსიმალური მცდელობაა საჭირო, რომ მათთვის უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისადმი ხელმისაწვდომობა.

40. დიპლომები ან განათლებასთან დაკავშირებული სერთიფიკატები, რომლებიც არასრულწლოვნებს გადაეცემათ პატიმრობაში ყოფნისას, არ უნდა მიანიშნებდეს რაიმე სახით, რომ არასრულწლოვნის მიმართ განხორციელდა ინსტიტუციონალიზაცია.

41. ყოველ საპატიმრო დაწესებულებაში უნდა იყოს ბიბლიოთეკა, რომელიც ადეკვატურად იქნება აღჭურვილი როგორც საგანმანა-

თლებლო ასევე გასართობი წიგნებითა და ჟურნალებით, რომლებიც შესაფერისი იქნება არასრულწლოვნებისათვის, ისინი წახალისებულ უნდა იქნენ და ჰქონდეთ საშუალება სრულად ისარგებლონ ბიბლიოთეკით.

42. თითოეულ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება ისარგებლოს პროფესიული ტრენინგებით ისეთ გარემოში, რომელიც მოამზადებს მას სამომავლო დასაქმებისათვის.

43. ჯეროვანი პროფესიონალების შერჩევის მოთხოვნის დაცვითა და ინსტიტუციური ადმინისტრაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ უფლება, აირჩიონ მათთვის სასურველი სამუშაოს სახეობა.

44. დაცვასთან დაკავშირებული ყველა ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტი, რომლებიც გამოიყენება ბავშვისა და ახალგაზრდა პირების შრომასთან დაკავშირებით, უნდა გამოიყენებოდეს თავისუფლებაშეზღუდულ არასრულწლოვნებთან მიმართებით.

45. როდესაც ეს შესაძლებელია, არასრულწლოვნები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ იმის შესაძლებლობით, რომ განახორციელონ ანაზღაურებადი საქმიანობა, თუკი ეს შესაძლებელია ადგილობრივ საზოგადოებასთან ერთად, როგორც დამხმარე იმ პროფესიული განათლებისა, რომელიც მათთან მიმართებით მიმდინარეობს და რომლის მიზანია შესაძლებლობის გაზრდა, რათა მათ იპოვონ შესაფერისი სამუშაო, როდესაც დაბრუნდებიან საზოგადოებაში. სამუშაოს ტიპი იმგვარი უნდა იყოს, რომ მოიცავდეს შესაბამის ტრენინგს, რაც წაადგებათ არასრულწლოვნებს მათი გათავისუფლების შემდგომ. საპატიმრო დაწესებულებაში სამუშაოს ორგანიზება და მეთოდები უნდა ასახავდეს საზოგადოებაში განსახორციელებელ მაქსიმალურად ანალოგიურ სამუშაოს, იმგვარად, რომ მოამზადოს არასრულწლოვანი ნორმალური ცხოვრების პირობებისათვის.

46. ყოველ არასრულწლოვანს, რომელიც ახორციელებს სამუშაოს, უნდა ჰქონდეს უფლება შესაფერის ანაზღაურებაზე. არასრულწლოვანთა ინტერესები და მათი პროფესიული ტრენინგები არ უნდა იყოს მოტივირებული იმით, რომ საპატიმრო დაწესებულებამ ან მესამე მხარემ მიიღოს გარკვეული მოგება. არასრულწლოვნის მიერ გამომუშავებული თანხების ნაწილი გადანახული უნდა იქნეს,

რათა გადაეცეს არასრულწლოვანს გათავისუფლებისას. არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება გამომუშავებული თანხების დარჩენილი ნაწილი გამოიყენოს, რათა შეიძინოს პირადი მოხმარების ნივთები, აუნაზღაუროს მსხვერპლს თავისი დანაშაულით მიყენებული ზიანი ან გაუგზავნოს თავისი ოჯახის წევრებს ან სხვა პირებს საპატიმრო დაწესებულების გარეთ.

ვ. დასვენება

47. ყოველ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება გააჩნდეს შესაბამისი დრო ყოველდღიური თავისუფალი ვარჯიშისათვის სუფთა ჰაერზე, როდესაც ამის საშუალებას იძლევა ამინდი. ხსენებულის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს რეკრიაციული და ფიზიკური ვარჯიში. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ადეკვატური ფართი, მოწყობილობები და აღჭურვილობა. ყოველ არასრულწლოვანს უნდა გააჩნდეს დამატებითი დრო ყოველდღიური დასვენებისათვის. ხსენებული დროის ნაწილი, არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში, უნდა დაეთმოს ხელოვნებასა და ხელობის განვითარებასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას. საპატიმრო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულ არასრულწლოვანს ფიზიკურად შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს ფიზიკური განათლების არსებულ პროგრამებში. სამკურნალო ფიზიკური განათლება და თერაპია უნდა განხორციელდეს სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იმ არასრულწლოვნებთან მიმართებით, რომლებსაც ეს ესაჭიროებათ.

ზ. რელიგია

48. ყოველ არასრულწლოვანს უნდა გააჩნდეს ნებართვა დაიკმაყოფილოს თავისი საჭიროებები რელიგიასა და სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ მსახურებაზე ან შეხვედრებზე დასწრების გზით, რაც უზრუნველყოფილი იქნება საპატიმრო დაწესებულებაში, და ასევე მსახურების წარმართვით და უფლებით, რომ იქონიოს რელიგიური მსახურებისათვის საჭირო წიგნები და საგნები და მისდიოს საკუთარ რწმენას. იმ შემთხვევაში, თუკი საპატიმრო დაწესებულება მოიცავს კონკრეტული რელიგიის მიმდევარ არასრულწლოვანთა საკმარის ოდენობას, დანიშნულ ან დამტკიცებულ უნდა იქნეს ამ რელიგიის კომპენტენტური წარმომადგენელი და მას უფლება უნდა ჰქონდეს გამართოს რეგულარული

მსახურება და განახორციელოს აღსარების ჩაბარება არასრულწლოვანთაგან, მათი თხოვნის შემთხვევაში, კონფიდენციალურ გარემოში. ნებისმიერ არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს, რომ იგი მოინახულოს მის მიერ არჩეული ნებისმიერი რელიგიის კვალიფიციურმა წარმომადგენელმა, ისევე როგორც უფლება, რომ მონაწილეობა არ მიიღოს რელიგიურ მსახურებაში და თავისუფლად განაცხადოს უარი რელიგიურ სწავლებაზე, განხილვებსა თუ შთაგონებაზე.

თ. სამედიცინო მომსახურება

49. ყოველ არასრულწლოვალნს უფლება უნდა ჰქონდეს ისარგებლოს სამედიცინო მკურნალობით როგორც სასწრაფო, ასევე თერაპიული მკურნალობით, მათ შორის, სტომატოლოგის, ოფთალმოლოგისა და ფსიქიატრის მიერ გაწეული დახმარებით, ისევე როგორც ფარმაცევტული პროდუქტებითა და სპეციალური დიეტებით, რომლებიც განსაზღვრულია მკურნალობით. ყოველი ასეთი სამედიცინო მკურნალობა, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილ უნდა იყოს პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნისათვის შესაბამის საპატიმრო დაწესებულებაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში და ამავე დაწესებულებაში არსებული სამედიცინო მომსახურებით, რათა თავიდან იქნეს არიდებული არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია, რაც ხელს შეუწყობს საკუთარი თავის პატივისცემის ამაღლებასა და მის საზოგადოებაში ინტეგრაციას.

50. ყოველ არასრულწლოვანს უფლება აქვს გასინჯულ იქნეს ექიმის მიერ საპატიმრო დაწესებულებაში მისი მოთავსებისთანავე, რათა გამოვლინდეს ნებისმიერი მტკიცებულება არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და იმ მიზნით, რომ ექიმმა გამოავლინოს ფიზიკური ან სულიერი მდგომარეობა, რომლებიც მოითხოვენ სამედიცინო ჩარევას.

51. არასრულწლოვანთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურება მიზნად უნდა ისახავდეს ფიზიკური ან სულიერი ავადმყოფობის აღმოჩენას, მის დადგენასა და მკურნალობას, პრეპარატების ბოროტად გამოყენებას ან სხვა გარემოებებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ არასრულწლოვნის სზაოგადოებაში ინტეგრაციას. არასრულწლოვანთა ყოველ საპატიმრო დაწესებულებაში უნდა მოიპოვებოდეს ადეკვატურ სამედიცინო დაწესებულე-

ბასა და აღჭურვილობაზე დაუყოვნებელი ხელმისაწვდომობა, რაც საკმარისი იქნება შესახლებული პატიმრებისთვის და ასევე სახეზე უნდა იყოს კვალიფიციური პერსონალი სასწრაფო–სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სფეროში. ყოველი არასრულწლოვანი, რომელიც ავად არის და ჩივის, რომ ავად არის ან წარმოაჩენს ფიზიკური ან სულიერი ავადმყოფობის ნიშნებს, გასინჯული უნდა იქნეს დაუყოვნებლივ სამედიცინო მუშაკის მიერ.

52. ნებისმიერ მა სამედიცინო მუშაკმა, როდესაც გააჩნია საფუძველი, რათა იფიქროს, რომ არასრულწლოვნის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიადგება განგრძობადი პატიმრობით, შიმშილობით ან პატიმრობის ნებისმიერი პირობებით, დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოს ხსენებულის შესახებ საპატიმრო დაწესებულებების დირექტორსა და დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე.

53. არასრულწლოვანი, რომელიც დაავადებულია სულიერი დაავადებით უნდა მკურნალობდეს სპეციალურ დაწესებულებაში, რომელსაც დამოუკიდებელი სამედიცინო პერსონალი მართავს. გადადგმულ უნდა იქნეს ნებიჯები, რათა შესაბამის სააგენტოებთან ერთად გათავისუფლების შემდგომ გაგრძელდეს სულიერი ავადმყოფობის მკურნალობა.

54. არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ ნარკოტიკების აკრძალვასა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროგრამები, რომლებიც წარიმართება კვალიფიციური პერსონალის მიერ ხსენებული პროგრამები განხორციელებულ უნდა იქნეს ასაკის, სქესისა და არასრულწლოვანთა სხვა მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ისევე როგორც დეტოქსიფიკაციის დაწესებულებები, საწვდომი ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მომხმარებელი არასრულწლოვნებისათვის.

55. სამედიცინო პრეპარატები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ აუცილებელი სამედიცინო მკურნალობის ფარგლებში და როდესაც ეს შესაძლებელია შესაბამისი არასრულწლოვნისაგან დასტურის მიღების შემდგომ. კერძოდ, სამედიცინო პრეპარატების გამოყენება არ შეიძლება ინფორმაციის ან აღიარების მოსაპოვებლად, დასჯის ან დაშოშმინების მიზნით. არასრულწლოვნები არასოდეს უნდა

გახდნენ მათზე წამლების ან მკურნალობის გამოცდის ობიექტები. ნებისმიერი წამლის გამოყენება ნებადართულ უნდა იქნეს და განხორციელდეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ.

ი. ავადმყოფობის, დაზიანებების ან გარდაცვალების შესახებ შეტყობინება

56. არასრულწლოვნის ოჯახს ან მის მეურვეს, ასევე არასრულწლოვნის მიერ დასახელებულ ნებისმიერ პიროვნებას, უფლება აქვს, მოთხოვნისამებრ, ინფორმირებულ იქნეს არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ. საპატიმრო დაწესებულების დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შესაბამისი არასრულწლოვნის ოჯახსა და მეურვეს ან სხვა დასახელებულ პირს, არასრულწლოვნის გარდაცვალების ან ავადყოფობის შესახებ, რომელიც მოითხოვს არასრულწლოვნის სასწრაფო ტრანსპორტირებას რომელიმე საზოგადოებრივ სამედიცინო დაწესებულებაში, ან მდგომარეობის შესახებ, რომელიც კლინიკურ ზედამხედვლეობას საჭიროებს საპატიმრო დაწესებულებაში მინიმუმ 48 საათის განმავლობაში. შეტყობინება ასევე უნდა გადაეგზავნოს იმ ქვეყნის საკონსულოს, რომელი ქვეყნის მოქალაქეთაა აღნიშნული არასრულწლოვანი.

57. თავისუფლების აღკვეთის პერიოდში არასრულწლოვნის გარდაცვალებისას, უახლოეს ნათესავს უფლება აქვს შეისწავლოს გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი, ნახოს გარდაცვლილის სხეული და გადაწყვიტოს სხეულის ბედი. პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნის გარდაცვალებისას, უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი მოკვლევა სიკვდილის მიზეზების დასადგენად, რომლის დასკვნაც ხელმისაწვდომი უნდა გახდეს უახლოესი ნათესავებისათვის. ამგვარი მოკვლევა ასევე უნდა ჩატარდეს, არასრულწლოვნის პატიმრობიდან გათავისუფლებიდან ექვსი თვის ვადაში გარდაცვალების შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ გარდაცვალება კავშირშია მისი პატიმრობის პერიოდთან.

58. არასრულწლოვანი მაქსიმალურად მალე უნდა იქნას ინფორმირებული მისი პირდაპირი ხაზის ოჯახის წევრის გარდაცვალების, სერიოზული ავადმყოფობის ან დაზიანებების შესახებ და უნდა მიეცეს საშუალება დაესწროს გარდაცვლილის დაკრძალვას ან მივიდეს უმძიმეს მდგომარეობაში მყოფის სასთუმალთან.

კ. კონტაქტი გარესამყაროსთან

59. ყველა საშუალებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ის, რომ არასრულწლოვანი სათანადო კონტაქტში იყო გარესამყაროსთან, რაც სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის არსებით ნაწილს შეადგენს და მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის საზოგადოებისაკენ მოსაბრუნებლად. არასრულწლოვნებს უფლება უნდა ჰქონდეთ იკონტაქტონ თავიანთ ოჯახთან, მეგობრებთან და სხვა პირებთან თუ რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დატოვონ საპატიმრო დაწესებულება სახლისა და ოჯახის მოსანახულებლად და მიიღონ სპეციალური ნებართვა დატოვონ საპატიმრო დაწესებულება საგანმანათლებლო, პროფესიული თუ სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით. როდესაც არასრულწლოვანი სასჯელს იხდის, საპატიმრო დაწესებულების გარეთ გატარებული დრო მას სასჯელის ვადაში უნდა ჩაეთვალოს.

60. ყველა არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს პერიოდულად და ხშირად, პრინციპში კვირაში ერთხელ, მაგრამ არანაკლებ ერთხელ თვეში, მიიღონ მნახველები, იმ პირობებში, რომელ პირობებშიც დაცული იქნება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების, კონტაქტების, ოჯახთან და ადვოკატთან შეუზღუდავი კომუნიკაციის მოთხოვნები.

61. ყველა არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს წერილობით ან ტელეფონით, არანაკლებ კვირაში ორჯერ, ეკონტაქტოს მის მიერ სასურველ ადამიანს, თუ ეს მას კანონით არ ეკრძალება. არასრულწლოვანს საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს ამ უფლებით ეფექტიანად სარგებლობის მიზნით. ყველა არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს კორესპოდენცია.

62. არასრულწლოვნებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მუდმივად ინფორმირებული იყვნენ სიახლეების შესახებ გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პუბლიკაციების კითხვით, რადიოს მოსმენითა და სატელევიზიო გადაცემების ყურებით, ასევე კანონიერი კლუბებისა და ორგანიზაციების, რომელთა საქმიანობითაც არასრულწლოვანია დაინტერესებული, წარმომადგენლების ვიზიტებით.

ლ. ფიზიკური შეზღუდვებისა და ძალის გამოყენების შეზღუდვა

63. დაუშვებელია შეზღუდვის საშუალებებისა და ძალისადმი მიმართვა ნებისმიერი მიზნით, ქვემორე 64–ე წესში მითითებული პირობების გარდა.

64. შეზღუდვის საშუალებებისა და ძალის გამოყენება მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევებშია ნებადართული, როდესაც ამოწურულია ყველა სხვა კონტროლის მეთოდი და მათ ვერ გაამართლეს და თუ მათი გამოყენება ნათლადაა ნებადართული და დაკონკრეტებული შესაბამისი კანონითა და მარეგულირებელი წესებით. ამ საშუალებების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს დამცირება და შეურაცხმყოფა, უნდა იქნეს ძალიან შეზღუდულად გამოყენებული და მაქსიმალურად მცირე ვადით. ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანებით, ამგვარ ღონისძიებას შესაძლოა მიმართონ არასრულწლოვნის მიერ თვითდაზიანებების მიყენების, სხვების დაზიანების ან ქონების სერიოზულად განადგურების პრევენციის მიზნით. ამ შემთხვევებში, დირექტორი უნდა მოეთათბიროს სამედიცინო და სხვა შესაბამის პერსონალს და ამის შესახებ მოახსენოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

65. პერსონალის მიერ იარაღის ტარება და გამოყენება აკრძალულია ნებისმიერ საპატიმრო დაწესებულებაში, სადაც იმყოფებიან არასრულწლოვნები.

მ. დისციპლინური პროცედურები

66. ნებისმიერი დისციპლინური პროცედურა უნდა ემსახურებოდეს უსაფრთხოებისა და ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებს და შესაბამისობაში უნდა იყოს როგორც არასრულწლოვნის შინაგან პატივმოყვარეობასთან, ასევე ინსტიტუციური მზრუნველობის ობიექტებთან, სახელდობრ, სამართლიანობის გრძნობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და ყოველი პირის ძირითადი უფლებების გაღვივებასთან.

67. ყოველი დისციპლინური ღონისძიება, რომელიც წარმოადგენს საშინელ არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, სასტიკად უნდა იქნეს აკრძალული, მათ შორის, სხეულებრივი სასჯელები, ბნელ საკანში მოთავსება, კარცერი ან განმარტოებითი

პატიმრობა ან სხვა სახის სასჯელი, რომელმაც შეიძლება დააზიანოს შესაბამისი არასრულწლოვნის ფიზიკური ან სულიერი ჯანმრთელობა. დიეტის შემცირება ან არასრულწლოვნისათვის ოჯახის წევრებთან შეხვედრაზე უარის თქმა, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ხსენებული, აკრძალული უნდა იყოს. შრომა მუდამ უნდა განიხილებოდეს, როგორც საგანმანათლებლო საშუალება და არასრულწლოვნისათვის თვით პატივისცემის წახალისება, რათა ეს უკანასკნელი მოემზადოს საზოგადოებაში დაბრუნებისათვის. ხსენებული არ უნდა იყოს დაკისრებული დისციპლინური სასჯელის სახით. ერთი და იგივე დისციპლინური გადაცდომისათვის არ შეიძლება არასრულწლოვნის ორჯერ დასჯა. აკრძალული უნდა იყოს კოლექტიური სანქციები.

68. კანონმდებლობა ან ნორმები, რომლებიც მიღებულია კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, უნდა ადგენდეს ნორმებს, რომლებიც, ფუნდამენტური მახასიათებლების მხედველობაში მიღებით, ეხება არასრულწლოვანთა შემდეგ საჭიროებებსა და საკითხებს:

ა) ქმედება, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას;

ბ) დისციპლინური სანქციების ტიპის და ხანგრძლივობა, რომლებიც შესაძლოა დაკისრებულ იქნეს;

გ) ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს, რომელსაც აქვს უფლება დააკისროს ასეთი სანქციები;

დ) ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს, რომელიც განიხილავს საჩივრებს.

69. წესრიგის დარღვევასთან დაკავშირებული მოხსენება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს წარმოდგენილი ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს წინაშე, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება არაჯეროვანი გაჭიანურების გარეშე. ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ უნდა წარმართოს საქმის ჯეროვანი განხილვა.

70. არასრულწლოვანს დისციპლინური სანქცია უნდა დაეკისროს კანონმდებლობით დადგენილი პირობების მკაცრი დაცვით. არცერთ არასრუწლოვანს არ უნდა დაეკისროს სასჯელი მანამ, სანამ მას არ ეცნობება სავარაუდო სამართალდარღვევის შესახებ ისეთი ფორმით, რომ მან შეძლოს სრულად გაიგოს არსი, და მას

მიეცეს შესაბამისი შანსი დაიცვას საკუთარი თავი, მათ შორის, მიმართოს საჩივრით ხელისუფლების კომპეტენტურ მიუკერძოებელ ორგანოს. დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სრული საქმეები შენახულ უნდა იქნეს.

71. არცერთი არასრულწლოვანი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი დისციპლინური ფუნქციების განხორციელებისათვის, გარდა კონკრეტული სოციალური, საგანმანათლებლო ან სპორტული საქმიანობის ზედამხედველობაზე ან თვითმმართვლეობის პროგრამებში.

ნ. ინსპექცია და საჩივრები

72. კვალიფიციურ ინსპექტორებს ან ექვივალენტურად შესაბამისად შექმნილ ხელისუფლების ორგანოს, რომელიც არ ეკუთვნის დაწესებულების ადმინისტრაციას, უფლება უნდა ჰქონდეს წარმართოს შემოწმება რეგულარულად და განახორციელოს უეცარი შემოწმება საკუთარი ინიციატივით, ასევე უნდა სარგებლობდეს დამოუკიდებლობის გარანტიებით ხსენებული ფუნქციის განხორციელებისას. ინსპექტორებს შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა უნდა ჰქონდეთ ყველა პირთან მიმართებით, რომლებიც დასაქმებული არიან ან მუშაობენ დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვნებს შესაძლოა შეეზღუდოთ თავისუფლება. ხელმისაწვდომობის მოთხოვნა ეხება ასევე ყველა არასრულწლოვანს და დაწესებულებაში არსებულ ყველა საქმეს.

73. ინსპექციის განმახორციელებელ ხელისუფლების ორგანოზე მიმაგრებულ უნდა იქნეს სამედიცინო პერსონალი, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ინსპექციების განხორციელებაში, მათ უნდა შეაფასონ ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებულ ნორმებთან შესაბამისობა, ჰიგიენა, საცხოვრებელი, საჭმელი, ვარჯიშიდა სამედიცინო მომსახურება, ისევე როგორც სხვადასხვა ასპექტები ან პირობები დაწესებულების ცხოვრებაში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვანთა ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე. ყოველ არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს კონფიდენციალურად ესაუბროს ინსპექტორს.

74. შემოწმების დასრულების შემდგომ, ინსპექტორებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი დასკვნების შესახებ ანგარიშები. ანგარიშში ასახული უნდა იყოს საპატიმრო დაწესებულებების წინამდებარე

წესებთან და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის დებულებებთან შესაბამისობის შეფასება და რეკომენდაციები ნებისმიერი ნაბიჯის შესახებ, რომელთა გადადგმაც საჭიროა აღნიშნული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ინსპექტორის მიერ აღმოჩენილი ნებისმიერი ფაქტი, რომელიც მიანიშნებს, რომ ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანთა უფლებების შესახებ სამართლებრივი დებულების დარღვევას ან დარღვევებს არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულების ფუნქციონირებისას, უნდა ეცნობოთ საგამოძიებო და პროკურატურის შესაბამის ორგანოებს.

75. ყველა არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მოთხოვნებითა თუ საჩივრით მიმართოს საპატიმრო დაწესებულების დირექტორსა და მის კანონიერ წარმომადგენელს.

76. ყველა არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს უფლება მოთხოვნითა თუ საჩივრით მიმართოს ცენტრალურ ადმინისტრაციას, სასამართლო ორგანოსა თუ სხვა შესაბამის ორგანოებს სანდო გზებით შინაარსის ცენზურის და დაგვიანების გარეშე ინფორმირებულ იქნეს შესაბამისი პასუხის შესახებ.

77. ძალისხმევა უნდა ჩაიდოს, რომ შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო (ომბუდსმენი), რომელიც მიიღებს და გამოიძიებს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა საჩივრებს და დაეხმარება მათ თანასწორობის პრინციპზე განხორციელებული მორიგების მიღწევაში.

78. ყველა არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს, შესაძლებლობის ფარგლებში, საჩივრის შედგენისას დახმარების თხოვნით მიმართოს თავის ოჯახის წევრს, ადვოკატს, ჰუმანიტარულ ჯგუფებს ან სხვებს. წერა–კითხვის არმცოდნე არასრულწლოვნებს უნდა აღმოეჩინოთ დახმარება, თუნდაც მათ დასჭირდეთ ისეთი საჯარო ან კერძო სააგენტოებისა თუ ორგანიზაციების მომსახურება, რომლებიც გასცემენ იურიდიულ დახმარებას ან უფლებამოსილი არიან მიიღონ საჩივრები.

ო. საზოგადოებაში დაბრუნება

79. ყველა არასრულწლოვანმა უნდა ისარგებლოს იმ საშუალებებით, რაც მათ დაეხმარებათ გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებისკენ, ოჯახური ცხოვრებისკენ, განათლებისკენ ან სამსახურისკენ

მობრუნებაში. ამ მიზნით ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს სპეციალური კურსები და პროცედურები, ვადამდე ადრე გათავისუფლების ჩათვლით.

80. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი მომსახურება არასრულწლოვანთა დასახმარებლად თავი დაიმკვიდრონ საზოგადოებაში და ამგვარად შესუსტდეს ასეთ არასრულწლოვანთა მიმართ ჩამოყალიბებული საწინააღმდეგო აზრი. ეს მომსახურება უნდა უზრუნველყოფდეს, შესაძლებლობის ფარგლებში, რომ არასრულწლოვნებმა მიიღონ სათანადო საცხოვრებელი, სამსახური, ტანსაცმელი და საკმარისი სახსრები გათავისუფლების შემდგომ თავის გასატანად, წარმატებული რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. ამგვარი მომსახურების მიმწოდებელი სააგენტოების წარმომადგენლებს ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ არასრულწლოვნებთან, სანამ ისინი საპატიმროში იმყოფებიან, უნდა მოეთათბირონ მათ, რათა დაეხმარონ მათ საზოგადოებაში დასაბრუნებლად.

პერსონალი

81. პერსონალი უნდა იყოს კვალიფიცირებული და უნდა მოიცავდეს ისეთ სპეციალისტთა საკმარის რაოდენობას, როგორებიცაა მასწავლებლები, პროფესიული ინსტრუქტორები, ადვოკატები, სოციალური მუშაკები, ფსიქიატრები და ფსიქოლოგები. ამ და სხვა ტიპის სპეციალისტები მუდმივი შტატით უნდა იქნენ დაქირავებული. თუმცა, ეს ხელს არ უნდა უშლიდეს მუშაკთა ნახევარ განაკვეთზე ან ანაზღაურების გარეშე დაქირავებას, როდესაც მათ მიერ გაწეული დახმარებისა და მოწოდებული ტრენინგის ხარისხი სათანადო და საჭიროა. საპატიმრო დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ ყველა დამცავი, საგანმანათლებლო, მორალური, სულიერი და სხვა საშუალებები და დახმარების ფორმები, რომლებიც სათანადო და ხელმისაწვდომია საზოგადოებაში, ინდივიდუალური მოთხოვნებისა და დაკავებული არასრულწლოვნების პრობლემების შესაბამისად.

82. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა დონისა და ტიპის პერსონალის ფრთხილი შერჩევა და დაქირავება, რადგან საპატიმრო დაწესებულებების სათანადო მენეჯმენტი დამოკიდებულია მათ ერთიანობაზე, ჰუმანურობაზე, შესაძლებლობებსა და პროფესიულ უნარებზე – ურთიერთობა დაამყარონ არასრულწლოვნებთან, ისევე როგორც სამსახურთან თვისობრივ შესაბამისობაზე.

83. დასახული მიზნების მისაღწევად, დანიშნულ უნდა იქნენ პროფესიონალი ოფიცრები, რომლებსაც ადეკვატური ანაზღაურება ექნებათ და მიმზიდველი იქნება როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის. არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებების პერსონალი მუდმივად წახალისებული უნდა იყოს, რათა მათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები და ვალდებულებები ადამიანურად, თავდადებულად პროფესიონალურად, სამართლიანად და ეფექტიანად, მუდმივად იმოქმედონ იმგვარად, რომ დაიმსახურონ და მოიპოვონ არასრულწლოვანთა პატივისცემა და უზრუნველყონ არასრულწლოვნები პოზიტიური მოდელებითა და პერსპექტივებით.

84. ადმინისტრაციამ უნდა შემოიღოს ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ისეთი ფორმა, რომელიც აადვილებს კომუნიკაციას თანამშრომელთა სხვადასხვა კატეგორიებს შორის საპატიმრო დაწესებულებებში იმგვარად, რომ გაიზარდოს თანამშრომლობა არასრულწლოვანთა მოვლაში ჩაბმულ სამსახურებს შორის, ისევე როგორც თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას შორის, იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ თანამშრომლებმა არასრულწლოვნებთან პირდაპირ კონტაქტით შეძლონ იფუნქციონირონ ისეთ პირობებში, რომლებიც ხელს უწყობს მათზე დაკისრებული ვალდებულებების ეფექტიანად შესრულებას.

85. პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ისეთი ტრენინგი, რომელიც მისცემს მას შესაძლებლობას, რომ ეფექტინად განახორციელოს დაკისრებული პასუხისმგებლობები, კერძოდ, ტრენინგები ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში, მათ შორის წინამდებარე წესებში, პერსონალმა უნდა შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს ცოდნა და უნარები ტრენინგებზე დასწრებით, რომლებიც ორგანიზებულ უნდა იქნეს კარიერის მანძილზე შესაფერის ინტერვალებში.

86. დაწესებულების დირექტორი უნდა ფლობდეს მასზე დაკისრებული ამოცანების განხორციელებისათვის შესაფერის ადეკვატურ კვალიფიკაციას, რაც გულისხმობს ადმინისტრაციულ შესაძლებლობას და შესაბამის ტრენინგებსა და გამოცდილებას. დირექტორმა მასზე დაკისრებული ვალდებულებები უნდა განახორციელოს მუდმივად.

87. მოვალეობების განხორციელებისას საპატიმრო დაწესებულებათა პერსონალმა პატივი უნდა სცეს და დაიცვას არასრულწლოვანთა ადამიანური ღირსება და ფუნდამენტური უფლებები, კერძოდ კი, შემდეგი უფლებები:

ა) დაწესებულების არცერთ წევრს არ აქვს უფლება განახორციელოს, წააქეზოს ან შეიწყნაროს ნებისმიერი ქმედება, რომელიც წარმოადგენს წამებას ან ნებისმიერი სახის უხეში, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა, დასჯა, დისციპლინის შეცვლა, რაც არ უნდა იყოს პირობები და ქვეტექსტები.

ბ) პერსონალის ყველა წევრი მკაცრად უნდა ებრძოდეს და აღმოფხვრას კორუფციის ნებისმიერი აქტი, დაყოვნების გარეშე კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების წინაშე მოხსენების წარდგენის გზით;

გ) პერსონალის ყველა წევრმა უნდა დაიცვას წინამდებარე წესები. პერსონალს, რომელსაც აქვს მიზეზი, რათა სჯეროდეს, რომ წინამდებარე წესების სერიოზულ დარღვევას ჰქონდა ადგილი ან უნდა განხორციელდეს ახლო მომავალში, უნდა შეატყობინოს ხსენებული ზემდგომ ორგანოებს ან ისეთ ორგანოებს, რომლებსაც გააჩნიათ ზედამხედველობისა და სამართლებრივი დაცვის უფლებამოსილება.

დ) პერსონალის ყველა წევრმა უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის სრული დაცვა, მათ შორის, დაცვა ფიზიკური, სექსუალური და ემოციური ძალადობისა და ექსპლოატაციისაგან და უნდა განახორციელონ დაუყოვნებელი ქმედებები სამედიცინო ყურადღების უზრუნველსაყოფად, როდესაც ეს მოთხოვნილია;

ე) პერსონალის ყველა წევრმა პატივი უნდა სცეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებას და კერძოდ, უნდა დაიცვას ყველა კონფიდენციალური საკითხი, რომლებიც ეხება არასრულწლოვნებს ან მათ ოჯახებს და რომლებიც პერსონალისათვის ცნობილი გახდა მათი თანამდებობის გამო;

ვ) პერსონალის ყველა წევრი უნდა ეცადოს მინიმუმამდე დაიყვანოს ნებისმიერი სხვაობა, რაც არსებობს საპატიმროს შიგნით და გარეთ აღნიშნულ სხვაობას შეუძლია დააკნინოს არასრულწლოვნების, როგორც ადამიანების ღირსებისადმი პატივისცემა.

წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები)

სამდივნოს შენიშვნა

2010 წლის 22 ივლისის 2010/16 რეზოლუციით, ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ რეკომენდაცია მისცა გენერალურ ასამბლეას შემდეგი რეზოლუციის პროექტის მიღებაზე:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები)

გენერალური ასამბლეა, ითვალისწინებს რა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტებსა და ნორმებს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის სფეროში, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია პატიმართა მოპყრობასთან, კერძოდ პატიმართა მოპყრობის მინიმალურ სტარდარტულ წესებს[1], პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო პროცედურებს[2], პრინციპთა ერთობლიობას ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი ყველა ადამიანის დაცვის შესახებ[3] და პატიმართა მოპყრობის ძირითად პრინციპებს[4],

ასევე, *ითვალისწინებს რა*, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტებსა და ნორმებს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის სფეროში, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია პატიმრობის ალტერნატივებთან, კერძოდ არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებს (ტოკიოს წესები)[5], სისხლის სამართლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების ძირითად პრინციპებს[6],

1 ადამიანის უფლებები: საერთაშორისო დოკუმენტების ნაკრები, გამოცემა 1 ნაწილი I: უნივერსალური დოკუმენტები (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემები, გაყიდვის E.02.XIV.4 (გამ. I, ნაწ. I)), კარი J, 34.

2 ეკონომიკისა და სოციალური საბჭოს რეზოლუცია 1984/47, დანართი.

3 რეზოლუცია 43/173, დანართი.

4 რეზოლუცია 45/111 დანართი.

5 რეზოლუცია 45/110, დანართი.

6 ეკონომიკისა და სოციალური საბჭოს რეზოლუცია 2002/12, დანართი.

ასევე, *ითვალისწინებს რა*, საკუთარ რეზოლუციას 58/183 (2003 წლის 22 დეკემბერი), რომლითაც იგი იწვევს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს, შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანოებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს გამოიჩინონ მომეტებული ყურადღება პატიმრობაში მყოფი ქალების, მათ შორის პატიმრობაში მყოფი ქალების ბავშვებისადმი, რათა მოხდეს ძირითადი პრობლემებისა და მათი მოგვარების გზების განსაზღვრა, *ითვალისწინებს რა*, პატიმრობის ალტერნატივებს, რომელიც გაწერილია ტოკიოს წესებში და გენდერულ სპეციფიკასა და შესაბამის საჭიროებას პრიორიტეტი მიენიჭოს არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას იმ ქალების მიმართ, რომელთაც შეხება აქვს სისხლის სამართლის სისტემასთან, *ითვალისწინებს რა*, საკუთარ რეზოლუციას 61/143 (2006 წლის 19 დეკემბერი), რომელშიც იგი მოუწოდებს სახელმწიფოებს, გაატარონ პოზიტიური ღონისძიებები, რათა მოგვარდეს ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი სტრუქტურული მიზეზები და გააძლიერონ პრევენციული ღონისძიებები, რომელიც ეხება დისკრიმინაციულ პრაქტიკასა და სოციალურ ნორმებს, მათ შორის იმ ქალთა მიმართ, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შემუშავებაში, როგორებიც არიან ქალები დახურულ დაწესებულებებში ან თავისუფლების აღკვეთის სხვა ადგილებში, *ითვალისწინებს რა*, საკუთარ რეზოლუციას 63/241 (2008 წლის 24 დეკემბერი), რომელშიც იგი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ყურადღება გაამახვილოს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ბავშვებზე მშობლების დაკავება და პატიმრობა, კერძოდ, განსაზღვროს და ხელი შეუწყოს საუკეთესო პრაქტიკას საჭიროებებთან და ასევე იმ ჩვილებისა და ბავშვების ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ და ფსიქოლოგიური განვითარებასთან მიმართებაში, რომელნიც დაზარალდნენ მშობლების დაკავებითა და პატიმრობით, *ითვალისწინებს რა*, ვენის დეკლარაციას "დამნაშავეობისა და მართლმსაჯულების შესახებ: პასუხი XXI საუკუნის გამოწვევაზე"[7], რომლითაც წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა განავითარონ ქმედებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, ქალი პატიმრებისა და ქალ დამნაშავეების განსაკუთრებულ საჭიროებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები და დეკლარაციის განხორციელების მიზნით სამოქმედო გეგმა[8].

ამახვილებს რა ყურადღებას, ბანგკოკის დეკლარაციაზე „სინერგია და რეაგირება: დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის

7 რეზოლუცია 55/59, დანართი.

8 რეზოლუცია 56/261, დანართი.

სტრატეგიული ალიანსი[9]", რადგანაც იგი ეხება კონკრეტულად დაკავებულ, პატიმრობაში და არასაპატიმრო გარემოში მყოფ ქალებს, *ითვალისწინებს რა*, ბანგკოკის დეკლარაციის მეშვეობით წევრი სახელმწიფოების რეკომენდაციას დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის კომისიისადმი, რათა გადასინჯონ ციხის მართვისა და პატიმრების შესახებ სტანდარტებისა და ნორმების ადეკვატურობა, *ითვალისწინებს რა*, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ინიციატივას, დაეთმო 2008 წლის 6 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრამდე კვირა "დაკავებულთა ღირსებისა და სამართლიანობის კვირეულისთვის", რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა ქალთა და არასრულწლოვან გოგონათა უფლებებზე, *ითვალისწინებს რა*, რომ პატიმარი ქალები წარმოადგენენ ჯგუფს, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული საჭიროებები და მოთხოვნილებები.

აცნობიერებს რა, რომ მსოფლიოში არსებული სასჯელაღსრულების დაწესებულებები თავდაპირველად განკუთვნილ იქნა მამრობითი სქესის პატიმრებისთვის, თუმცა მდედრობითი სქესის პატიმართა რაოდენობა წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა, *აღიარებს რა*, რომ მდედრობითი სქესის დამნაშავეების გარკვეული ნაწილი არ წარმოადგენს რისკს საზოგადოებისთვის და როგორც ყველა დამნაშავესთან მიმართებაში, მათ პატიმრობამ შესაძლოა მათი სოციალური რეინტეგრაცია მეტად რთული გახადოს, *მიესალმება რა*, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის მიერ ციხის მმართველებისა და კანონმდებლებისათვის შემუშავებულ სახელმძღვანელოს ქალებისა და პატიმრობის შესახებ[10].

ასევე, *მიესალმება რა*, მოსაწვევს, რომელსაც შეიცავს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 10/2 (2009 წლის 25 მარტი), მთავრობებისადმი, შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონული ორგანოებისადმი, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისადმი და არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დაუთმონ მეტი ყურადღება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი ქალებისა და გოგონების საკითხს, მათ შორის იმ საკითხებს, რომლებიც უკავშირდებათ ციხეში მყოფი ქალების შვილებს, იმ მიზნით, რომ დადგინდეს და მოგვარდეს სქესთან დაკავშირებული სპეციფიკური ასპექტები და მათთან დაკავშირებული სირთულეები.

მიესალმება რა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისისა და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ურთიერთთანამშრომლობას, და ითვალ-

9 რეზოლუცია 60/177, დანართი.

10 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემა, გაყიდვის №E.08.IV.4.

ისწინებს რა კიევის დეკლარაციას ციხეებში ქალთა ჯანმრთელობის შესახებ[11].

ითვალისწინებს რა, ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის სახელმძღვანელო პრინციპებს[12].

ითვალისწინებს რა, დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის კომისიის რეზოლუციას 18/1 (2009 წლის 24 აპრილი), სადაც კომისია სთხოვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის აღმასრულებელ დირექტორს, 2009 წელს მოეწვია უვადო, სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა, რათა შეემუშავებინათ დამატებითი წესები კონკრეტულად, დაკავებული ქალებისა და პატიმრობასა და არასაპატიმრო გარემოში მყოფი ქალების მოპყრობის შესახებ, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა პატიმართა მოპყრობის სტანდარტულ მინიმალურ წესებსა და ტოკიოს წესებთან; მიიღო რა, ტაილანდის მთავრობის შემოთავაზება ემასპინძლა ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისათვის, და სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარედგინა მისი მუშაობის შედეგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მეთორმეტე კონგრესზე (ყრილობაზე), რომელიც შემდეგ გაიმართა სალვადორში, ბრაზილიაში, 2010 წლის 12-დან 19 აპრილის ჩათვლით, *ითვალისწინებს რა*, რომ გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მეთორმეტე კონგრესის ოთხი მოსამზადებელი შეხვედრის მონაწილეები მიესალმნენ დამატებითი წესების განვითარებას კონკრეტულად დაკავებული ქალებისა და პატიმრობასა და არასაპატიმრო გარემოში მყოფი ქალების მოპყრობის შესახებ[13].

ითვალისწინებს რა, სალვადორის დეკლარაციას გლობალური გამოწვევების ყოვლისმომცველი სტრატეგიის შესახებ: დანაშაულის პრევენცია და სისხლის სამართლის სისტემა და მათი განვითარება ცვალებად მსოფლიოში[14], სადაც წევრი სახელმწიფოები რეკომენდაციას აძლევენ დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის კომისიას განიხილოს ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესების შემუშავების საკითხი და დაისახოს იგი როგორც პრიორიტეტული ამოცანა.

11 მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი; ქალთა ჯანმრთელობა ციხეში: ციხის ჯანდაცვაში გენდერული უთანასწორობის გამოსწორება (კოპენჰაგენი, 2009).

12 რეზოლუცია 64/142, დანართი.

13 A/CONF.213/RPM.1/1, A/CONF.213/RPM.2/1, A/CONF.213/RPM.3/1 and A/CONF.213/RPM.4/1.

14 A/CONF.213/18, თავი I, რეზოლუცია 1

1. *გამოხატავს მის მადლიერებას* იმ ექსპერტთა ჯგუფის მიმართ, რომლებიც მუშაობდნენ კონკრეტულად პატიმარი ქალებისა და საპატიმრო და არასაპატიმრო გარემოში მყოფი ქალების მოპყრობის შესახებ დამატებითი წესების შემუშავებაზე 2009 წლის 23-26 ნოემბერს ბანგკოკში ჩატარებულ შეხვედრაზე და იმ შედეგთან დაკავშირებით, რომელიც ამ შეხვედრას მოჰყვა[15];

2. *გამოხატავს მის მადლიერებას* ტაილანდის მთავრობის მიმართ, რომელმაც ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრას უმასპინძლა და შეხვედრის ორგანიზება ფინანსურად უზრუნველყო;

3. *იღებს* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებს ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, რომელიც დანართის სახით თან ერთვის რეზოლუციას და მხედველობაში იღებს გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მეთორმეტე კონგრესის რეკომენდაციას - წესებს ეწოდოს "ბანგკოკის წესები";

4. *აღიარებს*, რომ მსოფლიოში არსებული სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ყველა წესი თანაბრად ვერ მოერგება ყველა ადგილს ნებისმიერ დროს. თუმცა, წესებმა უნდა მოახდინონ მუდმივი ძალისხმევის სტიმულირება, რომ გადალახულ იქნას პრაქტიკული სირთულეები მათი გამოყენების დროს, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი წარმოადგენენ გლობალურ მისწრაფებას საერთო მიზნისაკენ – გაუმჯობესდეს შედეგები პატიმარი ქალებისათვის, მათი შვილებისა და საზოგადოებისათვის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ;

5. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს მიიღონ კანონმდებლობა, რომელიც დანერგავს პატიმრობის ალტერნატიულ სასჯელებს და მიანიჭონ პრიორიტეტი მსგავსი სისტემების დაფინანსებასა და მათი განხორციელებისათვის საჭირო მექანიზმების განვითარებას;

6. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, რომელთაც უკვე განავითარეს კანონმდებლობა, პროცედურები, პოლიტიკა და პრაქტიკა ციხეში ქალების განთავსებასთან ან ქალი დამნაშავეებისთვის პატიმრობის ალტერნატივებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია სხვა სახელმწიფოებისათვის და შესაბამისი საერთაშორისო, რეგიონული ან სახელმწიფოთაშორისი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და დაეხმარონ მათ ტრენინგების

15 A/CONF.213/17.

შემუშავებასა და ჩატარებაში და სხვა ღონისძიებების გატარებაში, რომელიც დაკავშირებული იქნება კანონმდებლობის, პროცედურების, პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესებასთან;

7. *მოუწოდებს* წევრ ქვეყნებს შესაბამისი კანონმდებლობის, პროცედურების, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ ქალი პატიმრების სპეციალური საჭიროებები და რეალობა და მაქსიმალურად გაითვალისწინონ ბანგკოკის წესები;

8. *ასევე მოუწოდებს* წევრ ქვეყნებს შეაგროვონ, შეინახონ, გააანალიზონ და გამოაქვეყნონ, შესაბამისობის მიხედვით, მონაცემები ქალი პატიმრებისა და ქალი მსჯავრდებულების შესახებ;

9. *ხაზგასმით აღნიშნავს*, რომ ორსული ქალისთვის ან ბავშვის ერთადერთი ან ძირითადი მზრუნველისთვის სასჯელის შეფარდების ან წინასწარი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს არასაპატიმრო ღონისძიებებს, სადაც შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნება; და პატიმრობა გამოყენებულ იქნას მხოლოდ მძიმე და ძალადობრივი დანაშაულის შემთხვევაში;

10. *თხოვნით მიმართავს* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისს უზრუნველყოს ტექნიკური დახმარება და საკონსულტაციო მომსახურება წევრი სახელმწიფოებისათვის, მოთხოვნის საფუძველზე, რათა მათ შეიმუშაონ ან გააძლიერონ კანონმდებლობა, პროცედურები, პოლიტიკა და პრაქტიკა ციხეში ქალების განთავსებასთან ან ქალი დამნაშავეებისთვის პატიმრობის ალტერნატივებთან დაკავშირებით;

11. *თხოვნით მიმართავს* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისს, გადადგან შესაბამისი ნაბიჯები, საჭიროების მიხედვით, რათა უზრუნველყონ ბანგკოკის წესების ფართო გავრცელება, როგორც პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესებისა (1) და არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (ტოკიოს წესები)(5) დანართი და ამ სფეროში საინფორმაციო აქტივობების ინტენსიფიკაცია;

12. *ამის გარდა თხოვნით მიმართავს* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისს გაზარდოს ურთიერთთანამშრომლობა გაეროს სხვა, შესა-

ბამის ორგანოებთან, მთავრობათაშორის და რეგიონულ ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა მოხდეს ქვეყნებისათვის შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფა და საჭიროებებისა და შესაძლებლობების დადგენა, რათა გაიზარდოს ქვეყნებს შორის და სამხრეთ-სამხრეთის (South-South) თანამშრომლობა;

13. *იწვევს* გაეროს სისტემაში არსებულ სპეციალიზებულ სააგენტოებსა და შესაბამის რეგიონულ და საერთაშორისო მთავრობათაშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩაერთონ ბანგკოკის წესების განხორციელებაში;

14. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს და სხვა დონორებს უზრუნველყონ დამატებითი საბიუჯეტო შენატანები ამგვარი მიზნებისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებისა და პროცედურების დაცვით.

დანართი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები)

წინასწარი დაკვირვების მონაცემები

1. პატიმართა მოპყრობის სტარდარტულ მინიმალურ წესები ვრცელდება ყველა პატიმარზე, დისკრიმინაციის გარეშე; შესაბამისად, მათი გამოყენებისას, ყველა პატიმრის, მათ შორის ქალი პატიმრების, სპეციალური საჭიროებები და რეალობა უნდა იქნას გათვალისწინებული. თუმცა, 50 წელზე მეტი ხნის წინ მიღებული წესები, არ უთმობდა საკმარის ყურადღებას ქალთა სპეციალურ საჭიროებებს. მსოფლიო მასშტაბით ქალი პატიმრების რაოდენობის ზრდასთან ერთად, იმის საჭიროება, რომ უფრო კონკრეტული გახდეს ქალი პატიმრების მოპყრობის შესახებ განხილვები, მნიშვნელოვანი და აუცილებელი გახდა.

2. იმის აღიარებით, რომ აუცილებელია შემუშავდეს გლობალური სტანდარტები იმ განსხვავებული მოსაზრებების საფუძველზე,

რომელიც მიმართულ უნდა იქნას ქალი პატიმრებისა და დამნაშავეების მიმართ და გაეროს სხვადასხვა ორგანოს მიერ მიღებული მრავალი შესაბამისი რეზოლუციის გათვალისწინებით, რომლის ფარგლებშიც წევრ სახელმწიფოებს მოეწოდებოდათ რეაგირება მოეხდინათ ქალი დამნაშავეებისა და პატიმრების საჭიროებებზე, შემუშავდა წინამდებარე წესები, რომელიც წარმოადგენს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესებისა და არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (ტოკიოს წესები) დამატებასა და დანართს, ქალი პატიმრების მოპყრობასა და ქალი დამნაშავეებისათვის პატიმრობის ალტერნატივების გამოყენებასთან დაკავშირებით.

3. წინამდებარე წესები არ წარმოადგენს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების ან ტოკიოს წესების ჩანაცვლებას, შესაბამისად ამ ორწესთა კრებულში შესული ყველა შესაბამისი დებულება კვლავ ვრცელდება ყველა დამნაშავესა და პატიმარზე, დისკრიმინაციის გარეშე. წინამდებარე წესებიდან რამდენიმე წესი უფრო გარკვევით განმარტავს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესებისა და ტოკიოს წესების დებულებების ქალი პატიმრებისა და ქალი დამნაშავეების მიმართ გამოყენებას, ხოლო დანარჩენი წესები მოიცავს ახალ სფეროებს.

4. წინამდებარე წესები შთაგონებულია გაეროს სხვადასხვა კონვენციასა და დეკლარაციაში მოყვანილი პრინციპებით და შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. ისინი მიმართულია სასჯელაღსრულებისა და სისხლის სამართლის ორგანოებისადმი (მათ შორის პოლიტიკოსების, კანონმდებლების, პროკურატურის, სასამართლო სისტემისა და პრობაციის სამსახურის მიმართ), რომლებიც მონაწილეობენ არასაპატიმრო სანქციებისა და საზოგადოებრივი სასჯელებისა და ღონისძიებების ადმინისტრირებაში.

5. ქალ დამნაშავეებთან დაკავშირებული ვითარების გაუმჯობესებისათვის აუცილებელი კონკრეტული საჭიროებების შესახებ სხვადასხვა კონტექსტში იქნა აღნიშნული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მაგალითად, 1980 წელს, გაეროს დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მოპყრობის შესახებ მეექვსე კონგრესმა მიიღო რეზოლუცია ქალი პატიმრების სპეციალური საჭიროებების შესახებ, რომელშიც იგი რეკომენდაციას იძლება, რომ მეექვსე კონგრესის მიერ მიღებული და დამნაშავეების მოპყ-

რობასთან პირდაპირ ან ირიბ კავშირში მყოფი რეზოლუციების განხორციელებისას, აღიარებულ იქნას ქალ პატიმართა კონკრეტული პრობლემები და იმის საჭიროება, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი მოგვარება; რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეს ჯერ არ გაკეთებულა, პატიმრობის ალტერნატიული პროგრამები და მომსახურება უნდა გახდეს თანაბრად ხელმისაწვდომი ქალი დამნაშავეებისათვის; და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, საკონსულტაციო სტატუსის მქონე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გაიღონ უწყვეტი ძალისხმევა, რათა უზრუნველყონ ქალი დამნაშავის სამართლიანი და თანასწორუფლებიანი მოპყრობა დაპატიმრების, სასამართლოს წარმოების, განაჩენის გამოტანისა და პატიმრობის დროს. ზედმიწევნითი ყურადღება უნდა მიექცეს იმ განსაკუთრებულ საკითხებს, რომელსაც დამნაშავე ქალები აწყდებიან, როგორიცაა ორსულობა და ბავშვის მოვლა.

6. მეშვიდე, მერვე და მეცხრე კონგრესმაც შეიმუშავა ქალ პატიმრებთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები.

7. ვენის დეკლარაციაში "დამნაშავეობისა და მართლმსაჯულების შესახებ: პასუხი XXI საუკუნის გამოწვევაზე", რომელიც ასევე მეათე კონგრესის (ყრილობის) მიერ იქნა მიღებული, წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს პასუხისმგებლობა გაითვალისწინონ და ებრძოლონ ქალსა და მამაკაცს შორის არათანასწორუფლებიანობის ნებისმიერ გავლენას პროგრამებსა და პოლიტიკაში (პუნქტი 11), გაერთიანებული ერების დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის პროგრამისა და ეროვნული დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის სტრატეგიის ფარგლებში; ასევე შეიმუშაონ ქმედებაზე ორიენტირებული პოლიტიკის რეკომენდაციები, რომელიც დაფუძნებული იქნება ქალი პატიმრებისა და დამნაშავეების განსაკუთრებულ საჭიროებებზე (პუნქტი 12). ვენის დეკლარაციის განხორციელების სამოქმედო გეგმა შეიცავს ცალკე პარაგრაფს (პარაგრაფი XIII), რომელიც ეძღვნება კონკრეტულ რეკომენდირებულ ღონისძიებებს რათა მოხდეს დეკლარაციის 11 და 12 პუნქტებით აღებული ვალდებულების შესრულების შემდგომი შეფასება, მათ შორის სახელმწიფოების მიერ საკუთარი, სისხლის სამართალთან დაკავშირებული კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროცედურებისა და პრაქტიკის განხილვა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანა, რომელიც შესაბამისობაში იქნება

სამართლებრივ სისტემასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქალების სამართლიანი მოპყრობა სისხლის სამართლის სისტემაში.

8. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2003 წლის 22 დეკემბრის 58/183 რეზოლუციით - "ადამიანის უფლებები მართლმსაჯულების განხორციელებაში" - მოუწოდა ქალი პატიმრების, ასევე პატიმარი ქალების ბავშვების საკითხისადმი, მეტი ყურადღების გამახვილებაზე, რათა დადგინდეს ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის სავარაუდო გზები.

9. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მის 2006 წლის 19 დეკემბრის 61/143 რეზოლუციაში "ძალისხმევის გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის", ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ქალთა მიმართ ძალადობა" ნიშნავს გენდერული ძალადობის ნებისმიერ ქმედებას რომელიც იწვევს, ან შესაძლოა გამოიწვიოს, ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა. მსგავს ქმედებას მიეკუთვნება ასევე უკანონო თავისუფლების აღკვეთა, საჯარო თუ პირად ცხოვრებაში. ასამბლეამ მოუწოდა სახელმწიფოებს განიხილონ და საჭიროების მიხედვით შესწორება ან ცვლილება შეიტანონ ან სულაც გააუქმონ ყველა ის კანონი, რეგულაცია, პოლიტიკა, პრაქტიკა და ადათ-წესები, რომლებიც დისკრიმინაციულია ქალთა მიმართ ან აქვს დისკრიმინაციული გავლენა მათზე, და უზრუნველყონ, რომ სხვადასხვა საკანონმდებლო სისტემის დებულებები, არსებობის შემთხვევაში, თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან, პასუხისმგებლობებთან და პრინციპებთან, მათ შორის არადისკრიმინაციულობის პრინციპებთან; გაატარონ პოზიტიური ღონისძიებები, რათა აღმოიფხვრას ქალთა მიმართ ძალადობის სტრუქტურული მიზეზები და გააძლიერონ პრევენციული ძალისხმევა დისკრიმინაციული პრაქტიკისა და სოციალური ნორმების წინააღმდეგ, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების საჭიროების მქონე ქალებთან მიმართებაში, როგორიცაა თავისუფლებააღკვეთილი ქალები; და უზრუნველყონ სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სასამართლოს თანამშრომლების სწავლება და გადამზადება გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების საკითხებზე. აღნიშნული რეზოლუცია არის იმ ფაქტის აღიარება, რომ ქალთა წინააღმდეგ ძალადობას აქვს კონკრეტული გავლენა ქალთა კონტაქტს სისხლის სამართლის სისტემასთან, ისევე როგორც მათ უფლებაზე, რომ პატიმრობის დროს იყვნენ ვიქტიმიზაციისგან დაცული. ფიზიკური და ფსიქოლოგიური უს-

აფრთხოება უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებების დაცვისა და ქალ დამნაშავეებთან მიმართებაში შედეგების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. სწორედ ამ საკითხს ემსახურება და ითვალისწინებს წინამდებარე წესები.

10. 2005 წლის 25 აპრილს, გაეროს დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მეთერთმეტე კონგრესის (ყრილობის) მიერ მიღებული "ბანგკოკის დეკლარაცია სინერგიასა და პასუხებზე: დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის სტრატეგიული ალიანსის" მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერდნენ სამართლიანი და ეფექტური სისხლის სამართლის ინსტიტუტების განვითარებასა და შენარჩუნებას, მათ შორის წინასწარი დაკავების ადგილებსა და გამასწორებელ ობიექტებში განთავსებული პირების ჰუმანურ მოპყრობას მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (პუნქტი 8); მათ ასევე გაწიეს რეკომენდაცია, რომ დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის კომისიამ განიხილოს სტანდარტებისა და ნორმების ადეკვატურობა ციხის ადმინისტრაციასა და პატიმრებთან მიმართებაში (პუნქტი 30);

11. პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების მსგავსად, მსოფლიოში არსებული სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ცხადია, რომ ყველა წესი თანაბრად ვერ მოერგება ყველა ადგილს ნებისმიერ დროს. თუმცა, ისინი უნდა ემსახურებოდნენ მუდმივი ძალისხმევის სტიმულირებას იმ პრაქტიკული სირთულეების გადასალახად, რომელიც უკავშირდება მათ გამოყენებას, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი, ერთობლიობაში, წარმოადგენენ გლობალურ მისწრაფებებს, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განიხილავს როგორც მამოძრავებელ საერთო მიზანს ქალი პატიმრების, მათი შვილებისა და მათი საზოგადოების საერთო მდგომარეობისა და შედეგების გაუმჯობესებასთან მიმართებაში.

12. ზოგიერთი წესი აწესრიგებს საკითხებს, რომელიც ეხება როგორც ქალ ისე მამაკაც პატიმრებს, როგორიცაა მშობლის მოვალეობები, გარკვეული სამედიცინო მომსახურებები, ჩხრეკის პროცედურები და მათი მსგავსი, თუმცა წესები ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ქალი პატიმრებისა და მათი შვილების განსაკუთრებულ

საჭიროებებზე. მიუხედავად ამისა, მაშინ როცა განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პატიმარი ქალების შვილებზე, საჭიროა აღიარებულ იქნას ორივე მშობლის არსებითი როლი ბავშვის ცხოვრებაში. შესაბამისად, ზოგიერთი წესი, თანაბრად ეხება მამრობითი სქესის პატიმრებსა და მსჯავრდებულებს, რომლებიც არიან მამები.

შესავალი

13. წინამდებარე წესები არ წარმოადგენს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების ან ტოკიოს წესების ჩანაცვლებას, შესაბამისად ამ ორ წესთა კრებულში შესული ყველა შესაბამისი დებულება კვლავ ვრცელდება ყველა დამნაშავესა და პატიმარზე, დისკრიმინაციის გარეშე.

14. წინამდებარე წესების I ნაწილი, რომელიც მოიცავს ინსტიტუტების ზოგად მართვას, ეხება ყველა კატეგორიის თავისუფლება აღკვეთილ ქალს, მათ შორის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო წესით, მიუსჯელ და მსჯავრდებულ ქალებს, ასევე იმ ქალებს, რომლებიც მოსამართლის გადაწყვეტილებით ექვემდებარებიან "უსაფრთხოების ზომებს" ან გამასწორებელ ღონისძიებებს.

15. II ნაწილი მოიცავს წესებს მხოლოდ სპეციალური კატეგორიებისთვის, და განხილულია ცალკეულ პუნქტებად. აღსანიშნავია, რომ "ა" ქვეთავში მოყვანილი წესები, თანაბრად ეხება იმ კატეგორიის პატიმრებსაც, რომელთათვისაც წესები მოყვანილია "ბ" ქვეთავში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება იმ ნორმებს, რომელიც ამავე კატეგორიის ქალებს ეხება, მათ სასარგებლოდ.

16. "ა" და "ბ" ქვეთავები მოიცავს დამატებით წესებს არასრულწლოვანი მდედრობითი სქესის პატიმრების მოპყრობასთან დაკავშირებით. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, კერძოდ გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების მინიმალურ სტანდარტულ წესებთან („პეკინის წესები"), არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრევენციის შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებთან (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვისათვის და სისხლის სამართლის სისტემაში მყოფ ბავშვებთან

მიმართებაში ქმედების სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობაში, უნდა შემუშავდეს ცალკე სტრატეგიები და პოლიტიკა ამ კატეგორიის პატიმართა მოპყრობისა და რეაბილიტაციის მიზნით, ხოლო ინსტიტუციონალიზაცია მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან აცილებული.

17. III ნაწილი შეიცავს წესებს, რომელიც მოიცავს არასაპატიმრო სანქციებისა და ზომების გამოყენების წესებს ქალ პატიმრებთან და არასრულწლოვან მდედრობითი სქესის პატიმრებთან მიმართებაში, მათ შორის სისხლის სამართლის შემდეგ ეტაპებს: დაპატიმრება, წინასწარი პატიმრობა, თავისუფლების აღკვეთა და თავისუფლების აღკვეთის შემდგომი პერიოდი.

18. IV ნაწილი შეიცავს კვლევის, დაგეგმვის, შეფასების, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის გაზიარების წესებს, და ეხება ყველა კატეგორიის მდედრობითი სქესის დამნაშავეს, რომელიც მოყვანილია წინამდებარე წესებში.

I. ზოგადი გამოყენების წესები

1. ძირითადი პრინციპები

პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები; წესი №6-ის დამატება

წესი 1

იმისათვის, რომ პრაქტიკაში განხორციელდეს გაეროს პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მეექვსე წესით გათვალისწინებული არადისკრიმინაციულობის პრინციპი, ანგარიში უნდა გაეწიოს ქალი პატიმრების განსაკუთრებულ საჭიროებებს, წესების განხორციელების დროს. ამ საჭიროებების გათვალისწინება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს გენდერული თანასწორობა, არ განიხილება როგორც დისკრიმინაციული ქმედება.

2. მიღება

წესი 2

1. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ქალებისა და ბავშვების მიღების პროცედურებს, მოცემულ სიტუაციაში მათი განსაკუთრებული მოწყვლადობის გამო. ახლად შემოსული პატიმარი ქალები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შესაბამისი საშუალებებით, რათა კავშირი ჰქონდეთ ნათესავებთან; ხელი მიუწვდეთ იურიდიულ კონსულტაციაზე; ინფორმაცია მიიღონ ციხის წესების, ციხის რეჟიმისა და რეგულაციების შესახებ და თუ სად შეუძლიათ მოიძიონ დახმარება, საჭიროების შემთხვევაში, მათთვის გასაგებ ენაზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში, ხელი მიუწვდეთ საკონსულოს წარმომადგენლებთან.

2. დაწესებულებაში მიღებამდე ან მიღების დროს, ქალებს, რომელთაც მზრუნველობის პასუხისმგებლობა აქვთ ბავშვების მიმართ, ნება უნდა დაერთოთ ამ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები მოაგვარონ, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს პატიმრობის გადავადება ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით.

3. რეგისტრაცია

პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები; წესი №7-ის დამატება

წესი 3

1. მიღების დროს მონაცემები უნდა იქნას დაფიქსირებული შემოყვანილი ქალის ბავშვ(ებ)ის რაოდენობა და პირადი მონაცემები. ჩანაწერები უნდა შეიცავდეს, დედის უფლებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, როგორც მინიმუმ ბავშვების სახელებს, მათ ასაკს და იმ შემთხვევაში თუ არ ახლავს დედას, მათ ადგილმდებარეობას და დაცვისა ან მეურვეობის სტატუსს.

2. ბავშვის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია უნდა იქნას კონფიდენციალური, და მათი გამოყენება დაშვებული მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს ემსახურება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს.

4. განთავსება

წესი 4

პატიმარი ქალი უნდა განთავსდეს, შესაძლებლობის ფარგლებში,

იმ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომელიც ახლოსაა მის საცხოვრებელ ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან, მისი მზრუნველობის მოვალეობის გათვალისწინებით, ასევე თითოეული ქალის არჩევანისა და შესაბამისი პროგრამებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის მიხედვით.

5. პირადი ჰიგიენა

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები; წესი №15-ის და №16-ის დამატება

წესი 5

ქალი პატიმრების განთავსების ადგილს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საშუალებები და ნივთები, რაც დააკმაყოფილებს ქალთა განსაკუთრებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს, მათ შორის ბავშვებისა და ქალების პირადი ჰიგიენისთვის (კერძოდ, მზარეულობით დაკავებული ქალებისთვის და ორსული და მეძუძური, ასევე ციკლის მქონე ქალებისთვის) საჭირო სანიტარული პირსახოცები და წყალი, რომელიც მიწოდებული უნდა იქნას რეგულარულად და უფასოდ.

6. სამედიცინო მომსახურება

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები; წესები №22-26-ის დამატებები

(ა) სამედიცინო შემოწმება მიღების დროს

პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები; წესი 24-ის დამატება

წესი 6

პატიმარ ქალებს უნდა ჩაუტარდეთ სამედიცინო შემოწმება, რომელიც გულისხმობს სრულ სამედიცინო გამოკვლევას, პირველადი საჭიროებების გამოსავლენად და ასევე შემდეგი ფაქტორების განსასაზღვრად:

(ა) სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ან ინფექციური დაავადებების არსებობა; რისკ ფაქტორების გათვალისწინებით, ქალ პატიმრებს ასევე შეიძლება შეეთავაზოთ აივ ინფექციაზე შემოწმება, შემოწმების წინა და შემდგომი კონსულტირების ჩათვლით;

(ბ) ფსიქიკური მკურნალობის საჭიროებები, მათ შორის პოსტ-

ტრავმული სტრესული აშლილობა და თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების რისკი;

(გ) ქალი პატიმრის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისტორია, მიმდინარე ან წინა (ბოლო) ორსულობა, მშობიარობა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

(დ) ნარკოტიკებზე დამოკიდებულების არსებობა;

(ე) დაწესებულებაში მიღებამდე გადატანილი სექსუალური ან სხვა ფორმის ძალადობა.

წესი 7

1. თუ გამოვლინდება, რომ პატიმრობამდე ან პატიმრობის დროს, ადგილი ჰქონდა სექსუალურ ან სხვა სახის ძალადობას, ქალ პატიმარს უნდა ეცნობოს მისი უფლებების შესახებ, რათა მან დახმარებისათვის სასამართლო ორგანოებს მიმართოს. ქალი პატიმარი სრულად უნდა იქნას ინფორმირებული შესაბამისი პროცედურებისა და ეტაპების შესახებ. თუ პატიმარი ქალი თანახმაა სამართლებრივი ქმედების დასაწყებად, ეს უნდა ეცნობოს შესაბამის პერსონალს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა გადაამისამართოს საქმე კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოსკენ. ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს ასეთ ქალებს მიიღონ იურიდიული დახმარება.

2. მიუხედავად იმისა, გადაწყვეტს თუ არა ქალი დაიწყოს სამართლებრივი ქმედება, ციხის ადმინისტრაციამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა უზრუნველყოს დაუყოვნებლივი სპეციალიზირებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და კონსულტაცია.

3. კონკრეტული ღონისძიებები უნდა შემუშავდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული შურისძიების ნებისმიერი ფორმა მათ წინააღმდეგ ვინც განაცხადებს ძალადობის ფაქტის შესახებ ან დაიწყებს სამართლებრივ ქმედებას.

წესი 8

ქალი პატიმრების უფლება სამედიცინო კონფიდენციალურობაზე, განსაკუთრებით უფლება ინფორმაციის არ გავრცელებაზე და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოკვლევის არ ჩატარებაზე, უნდა იქნას მუდმივად დაცული.

წესი 9

თუ პატიმარ ქალს ახლავს ბავშვი, ამ ბავშვმაც უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, სასურველია ბავშვთა სამედიცინო სპეციალის-

ტის მიერ, რათა გამოკვლეულ იქნას მკურნალობის ან სხვა სამედიცინო საჭიროებები. უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაფერისი ჯანდაცვა, როგორც მინიმუმ იმ საზოგადოებაში არსებული ჯანდაცვის ტოლფასი.

(ბ) გენდერთან დაკავშირებული სპეციფიკური ჯანდაცვა

წესი 10

1. ქალი პატიმრებისთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას გენდერულად სპეციფიკური ჯანდაცვის, როგორც მინიმუმ იმ საზოგადოებაში არსებული ჯანდაცვის ტოლფასი, მომსახურება.

2. თუ ქალი პატიმარი ითხოვს, რომ იგი გასინჯოს ან უმკურნალოს ქალმა ექიმმა ან ექთანმა, ქალი ექიმი ან ექთანი უნდა იქნას გამოყოფილი მისთვის, შესაძლებლობის მიხედვით, გარდა იმ სიტუაციებისა, როდესაც აუცილებელია სასწრაფო სამედიცინო ჩარევა. თუ მამრობითი სქესის პრაქტიკოსი ექიმი ახორციელებს გამოკვლევას პატიმარი ქალის სურვილის საწინააღმდეგოდ, გამოკვლევას უნდა დაესწროს თანამშრომელი ქალიც.

წესი 11

1. მხოლოდ სამედიცინო პერსონალი უნდა ესწრებოდეს სამედიცინო შემოწმებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ექიმის მოსაზრებით არსებობს გამონაკლისი გარემოება ან ექიმი მოითხოვს ციხის თანამშრომლის დასწრებას უსაფრთხოების მიზნით ან როდესაც ქალი პატიმარი მოითხოვს ციხის თანამშრომლის დასწრებას, როგორც მითითებულია წინამდებარე წესებში (წესი 10, პუნქტი 2).

2. თუ არსებობს საჭიროება, რომ სამედიცინო შემოწმებას დაესწროს ციხის არასამედიცინო თანამშრომელი, იგი უნდა იყოს ქალი და შემოწმება უნდა განხორციელდეს ისე, რომ დაცულ იქნას პირადი საიდუმლოება, ღირსება და კონფიდენციალურობა.

(გ) ფსიქიკური ჯანმრთელობა და ზრუნვა

წესი 12

ინდივიდუალიზებული, გენდერულად მგრძნობიარე, კონკრეტული ტრავმის გათვალისწინებით სრული ფსიქიკური ჯანმრთელობის სამზრუნველო და სარეაბილიტაციო პროგრამები უნდა იქნას უზრუნველყოფილი ციხესა და არასაპატიმრო გარემოში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების მქონე ქალი პატიმრებისთვის.

წესი 13

ციხის თანამშრომლებს უნდა ესმოდეთ თუ როდის შეიძლება ქალები განიცდიდნენ განსაკუთრებულ სტრესს, რათა მგრძნობიარე იყვნენ მათი მდგომარეობის მიმართ და უზრუნველყონ ქალების მიმართ შესაბამისი თანადგომა.

(დ) აივ ინფექციის პრევენცია, მკურნალობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა

წესი 14

იმისათვის, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შემუშავდეს აივ/შიდსის პრობლემებზე რეაგირება, პროგრამები და მომსახურებები უნდა იყოს ქალის განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი, მათ შორის დედისგან ბავშვზე დაავადების გადადების პრევენციის საკითხის გათვალისწინებით. ამ კონტექსტში, ციხის ადმინისტრაციამ უნდა წაახალისოს და ხელი შეუწყოს აივ ინფექციის პრევენციის, მკურნალობისა და მზრუნველობის თვალსაზრისით ინიციატივების, როგორიცაა მაგალითად ურთიერთგანათლების ჯგუფების ჩამოყალიბება.

(ე) ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მკურნალობის პროგრამები

წესი 15

ციხის სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს მკურნალობის სპეციალიზირებულ პროგრამებს, რომელიც შედგენილია სპეციალურად ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე ქალებისთვის, და უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო წინამძღვრებ ვიქტიმიზაციას, ორსული ქალებისა და ბავშვიანი ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებს, ისევე როგორც მათ განსხვავებულ კულტურულ თავისებურებებს.

(ვ) თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების პრევენცია

წესი 16

ციხის ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის სამსახურებთან კონსულტაციის საფუძველზე სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, იმისათვის რომ ქალ პატიმრებს შორის მოხდეს თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების პრევენცია და უზრუნველყოფილ იქნას შესაფერისი, გენდერულად სპეციფიკური და სპეციალიზირე-

ბული მხარდაჭერა მათთვის, ვინც იმყოფება რისკის ქვეშ, უნდა იყოს ქალთა ციხეებში ფსიქიკური ჯანდაცვის ყოვლისმომცველი პოლიტიკის ნაწილი.

(ზ) პროფილაქტიკური ჯანდაცვა

წესი 17

ქალმა პატიმრებმა უნდა მიიღონ განათლება და ინფორმაცია ჯანმრთელობის პრევენციული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის აივ ინფექციის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და სხვა, ინფექციური დაავადებების, მათ შორის გენდერულად სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის პრევენციის შესახებ.

წესი 18

ქალებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პრევენციული ჯანდაცვის ღონისძიებები, როგორიცაა პაპანიკოლაუს ანალიზი და სარძევე ჯირკვლებისა და გინეკოლოგიური კიბოს დიაგნოსტიკა, თანაბრად უნდა იქნას შეთავაზებული ქალი პატიმრებისთვის ისევე, როგორც ეს საზოგადოებაში იმავე ასაკის ქალებისთვისაა.

7. უშიშროება და უსაფრთხოება

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები; წესები №27-36-ის დამატება

(ა) ჩხრეკა

წესი 19

ქმედითი ზომები უნდა იქნას მიღებული რათა ჩხრეკის დროს დაცული იყოს პატიმარი ქალების ღირსება და პატივი. ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ქალი თანამშრომლის მიერ, რომელიც სათანადოდ იქნება მომზადებული ჩხრეკის შესაბამის მეთოდებში და დადგენილი პროცედურების მიხედვით განახორციელებს მას.

წესი 20

შემოწმების ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიცაა სკანირება, უნდა ჩაანაცვლოს შიშველი ჩხრეკა და სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა, რადგან თავიდან იქნას აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა.

წესი 21

ციხის თანამშრომლებმა უნდა გამოავლინონ კომპეტენცია, პროფესიონალიზმი და თანაგრძნობა და უნდა შეინარჩუნონ პატივისცემა და ღირსება, როდესაც ჩხრეკენ ბავშვს, რომელიც დედასთან ერთად იმყოფება ციხეში, და ასევე მასთან პაემანზე მისულ ბავშვს.

(ბ) დისციპლინა და სასჯელი

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები; №27-32 წესების დამატება

წესი 22

სამარტოო საკანში მოთავსება ან დისციპლინური იზოლირება, როგორც სასჯელი, არ უნდა იქნას გამოყენებული ციხეში ფეხმძიმე ქალების, ახალშობილი ბავშვიანი ქალებისა და მეძუძური დედების მიმართ.

წესი 23

ქალი პატიმრების მიმართ დისციპლინური სანქციები არ უნდა ითვალისწინებდეს ოჯახთან, განსაკუთრებით ბავშვებთან კონტაქტის აკრძალვას.

(გ) შეკავების საშუალებები

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები; №33-34 წესების დამატება

წესი 24

შეკავების საშუალებები არასოდეს უნდა იქნას გამოყენებული ქალებზე მშობიარობის ტკივილების დროს, მშობიარობის დროს და დაუყოვნებლივ მშობიარობის შემდეგ.

(დ) პატიმრებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათი საჩივრები; ინსპექტირება

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები; წესი №35 და №36-ის დამატება

წესი 25

1. ის პატიმარი ქალები, რომლებიც განაცხადებენ ძალადობის შესახებ, უზრუნველყოფილ უნდა იქნან მყისიერი დაცვით, მხარდაჭერითა და რჩევით. მათი სარჩელი უნდა იქნას გამოძიებული კომპეტენტური

და დამოუკიდებელი ორგანოების მიერ, კონფიდენციალურობის პრინციპის სრული დაცვით. დაცვითი ღონისძიებები ასევე უნდა ითვალისწინებდეს შურისძიების რისკს.

2. სექსუალური ძალადობის მსხვერპლ პატიმარ ქალებს, და განსაკუთრებით კი მათ, ვინც სექსუალური ძალადობის შედეგად დაორსულდა, უნდა მიეწოდოთ შესაბამისი სამედიცინო დახმარება და რჩევები და უნდა შეეთავაზოთ საჭირო ფიზიკური და ფსიქიკური მოვლა, მხარდაჭერა და იურიდიული დახმარება.

3. ქალი პატიმრების დაკავებისა და მოპყრობის პირობების მონიტორინგის მიზნით, ინსპექციების, მონახულების ან მონიტორინგის საბჭოების ან საზედამხედველო ორგანოების წევრებს შორის უნდა იყვნენ ქალები.

8. კონტაქტი გარე სამყაროსთან

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები; №37-39 წესების დამატება

წესი 26

ქალი პატიმრების კონტაქტი მათ ოჯახებთან, მათ შორის შვილებთან, მათი შვილების მეურვეებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან უნდა წახალისდეს და ხელი შეეწყოს ყველა შესაძლო საშუალებით. შესაძლებლობის ფარგლებში, მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ საცხოვრებელი ადგილიდან შორს განთავსებით გამოწვეული არახელსაყრელი პირობები ქალებისთვის გაწონასწორდეს და გამოსწორდეს.

წესი 27

სადაც ცოლ–ქმრული პაემნები დაშვებულია, პატიმარ ქალებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ გამოიყენონ ეს უფლება მამაკაც პატიმრებთან თანაბარ პირობებში.

წესი 28

პაემნები, რომლებშიც ბავშვებიც იღებენ მონაწილეობას, უნდა ჩატარდეს ისეთ გარემოში, რომელიც ხელს შეუწყობს შეხვედრის დადებითად წარმართვას. გარემოში ასევე იგულისხმება თანამშრომელთა დამოკიდებულება და დედასა და ბავშვს შორის ღია და შეუზღუდავი კონტაქტი. შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი უნდა შეეწყოს ბავშვთან გახანგრძლივებულ კონტაქტს.

9. დაწესებულების პერსონალი და ტრენინგი

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები; №46-55 წესების დამატება

წესი 29

ქალთა ციხის თანამშრომლების გადამზადებამ საშუალება უნდა მისცეს მათ უპასუხონ პატიმარი ქალების განსაკუთრებულ სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებებს და მართონ უსაფრთხო და სარეაბილიტაციო დაწესებულებები. ქალი თანამშრომლების გადამზადება ასევე უნდა მოიცავდეს ხელმძღვანელ პოზიციებზე ხელმისაწვდომობას, იმ მიზნით, რომ შემუშავდეს ქალი პატიმრების მოპყრობისა და მათ მიმართ მზრუნველობის პოლიტიკა და სტრატეგია.

წესი 30

ციხის ადმინისტრაციის მმართველ დონეზე უნდა არსებობდეს მკაფიო და მუდმივი ვალდებულება, რომ თავიდან აიცილონ და მოაგვარონ ქალი თანამშრომლების მიმართ გენდერული დისკრიმინაცია.

წესი 31

მკაფიო პოლიტიკა და რეგულაციები უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ციხის თანამშრომლების ქცევასთან დაკავშირებით, რომლის მიზანი უნდა იყოს ქალი პატიმრების გენდერულ საფუძვლებზე ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობისგან, შეურაცხყოფისა და სექსუალური ძალადობისგან მაქსიმალურად დაცვა.

წესი 32

ციხის ქალმა თანამშრომლებმა უნდა მიიღონ ტრენინგზე ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა, იგივე, რაც მამრობითი სქესის თანამშრომლებმა. ასევე, ქალთა ციხის მმართველობაში ჩართულმა ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს სპეციალური ტრენინგი (მომზადება) გენდერულ საკითხებზე და დისკრიმინაციისა და სექსუალური ძალადობის აკრძალვაზე.

წესი 33

1. ციხის ყველა თანამშრომელმა, რომელიც მუშაობს ქალ პატიმრებთან, უნდა გაიაროს ტრენინგი გენდერულად განსაკუთრებულ საჭიროებებსა და ქალი პატიმრების უფლებებთან დაკავშირებით.

2. ზოგადი ტრენინგი, გარდა პირველადი დახმარების აღმოჩენისა

და ძირითადი მედიცინისა, უნდა ჩაუტარდეს ასევე ციხის იმ თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ ქალთა ციხეში ქალთა ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. იმ ციხის თანამშრომლებისთვის, სადაც ბავშვებს დედებთან ერთად დარჩენის უფლება აქვთ, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ცნობიერების ამაღლების ტრენინგი ბავშვთა განვითარებისა და მათი ძირითადი ჯანდაცვის საკითხებზე, რათა მათ შეძლონ სათანადო დახმარების აღმოჩენა საჭიროების ან საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში.

წესი 34

ტრენინგპროგრამები აივ ინფექციასთან დაკავშირებით, უნდა იყოს ციხის თანამშრომლების რეგულარული სასწავლო პროგრამის ნაწილი. აივ/შიდსის პრევენციის, მისი მკურნალობის, და ავადმყოფზე მოვლის გარდა, ისეთი საკითხები, როგორიცაა გენდერი და ადამიანის უფლებები, აივ ინფექციაზე, სტიგმასა და დისკრიმინაციაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, ასევე უნდა იყოს რეგულარული სასწავლო პროგრამის ნაწილი.

წესი 35

ციხის თანამშრომლები უნდა იქნან მომზადებულნი იმისათვის, რომ მათ შეძლონ ქალ პატიმრებს შორის ფსიქიკური მკურნალობის საჭიროებებისა და თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის რისკის არსებობის დადგენა, დახმარების უზრუნველყოფის შეთავაზება და მსგავსი შემთხვევის სპეციალისტისკენ გადამისამართება.

10. არასრულწლოვანი მდედრობითი სქესის პატიმრები

წესი 36

ციხის ხელმძღვანელობამ უნდა დანერგოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს არასრულწლოვანი მდედრობითი სქესის პატიმრების დაცვის საჭიროებები.

წესი 37

არასრულწლოვან მდედრობითი სქესის პატიმრებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე, იგივე რაც მამრობითი სქესის არასრულწლოვან პატიმრებს.

წესი 38

არასრულწლოვან მდედრობითი სქესის პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მათი ასაკისა და სქესის შესაბამის პროგრამებსა

და მომსახურებებზე, როგორიცაა მაგალითად კონსულტაცია სექსუალურ ან ფიზიკურ ძალადობაზე. მათ უნდა მიიღონ განათლება ქალთა ჯანდაცვის საკითხებზე და ჰქონდეთ რეგულარული ხელმისაწვდომობა გინეკოლოგის მომსახურებაზე, ზრდასრული ქალი პატიმრების მსგავსად.

წესი 39

მდედრობითი სქესის ორსულმა არასრულწლოვანმა პატიმრებმა, ზრდასრული ქალი პატიმრების მსგავსად, უნდა მიიღონ მხარდაჭერა და სამედიცინო მომსახურება. მათ ჯანმრთელობას უნდა დააკვირდეს სამედიცინო სპეციალისტი, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მათი მცირე ასაკის გამო არსებობს ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების უფრო მეტი რისკი.

II. წესები სპეციალური კატეგორიის პატიმრებისთვის

ა. მსჯავრდებული პატიმრები

1. კლასიფიკაცია და ინდივიდუალიზაცია

პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები; №67-69 წესების დამატება

წესი 40

ციხის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს კლასიფიკაციის მეთოდები, გენდერულად სპეციფიკურ საჭიროებებთან და ქალი პატიმრების განსაკუთრებულ გარემოებებთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოს პატიმრების შესაბამისი, ინდივიდუალიზირებული რეაბილიტაციის, მკურნალობისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის დაგეგმვა და განხორციელება.

წესი 41

გენდერულად მგრძნობიარე რისკის შეფასებისა და პატიმართა კლასიფიკაციის დროს:

(ა) გათვალისწინებულ უნდა იქნას პატიმარ ქალთა მხრიდან სხვის მიმართ უფრო დაბალი რისკის გამოვლენა, ასევე მათ წინააღმდეგ მაღალი უსაფრთხოების ზომებისა და სრული იზოლირების გამოყენებისგან გამოწვეული განსაკუთრებით საზიანო შედეგები ქალ პატიმრებზე;

(ბ) შესწავლილ უნდა იქნას არსებითი ინფორმაცია ქალთა წარსული ცხოვრების შესახებ, როგორიცაა ინფორმაცია განცდილი ძალადობის შესახებ, ისტორია გონებრივ შეზღუდლობასა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულებაზე, ასევე ინფორმაცია მშობლის ან სხვა მზრუნველობის პასუხისმგებლობაზე. მიღებული ინფორმაცია გათვალისწინებულ უნდა იქნას პირის ტერიტორიული განაწილებისა და სასჯელის დაგეგმვის პროცესში;

(გ) უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რომ მსჯავრდებული ქალის სასჯელის გეგმა შეიცავდეს სარეაბილიტაციო პროგრამებს და მის გენდერულად სპეციფიურ საჭიროებებთან შესაბამის სერვისებს;

(დ) უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რომ ფსიქიკური ჯანდაცვის საჭიროებების მქონე პირები განთავსებულნი იყვნენ ისეთ დაწესებულებაში, რომელიც არ არის შემზღუდავი, და სადაც არის მინიმალური უსაფრთხოების დონე და მათ მიიღონ საჭირო მკურნალობა, იმის ნაცვლად რომ განათავსონ მაღალი უსაფრთხოების დაწესებულებაში მხოლოდ მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამო.

2. ციხის რეჟიმი

პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები; №65, 66 და №70-81 წესების დამატება

წესი 42

1. ქალ პატიმრებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი დაბალანსებულ და მრავლისმომცველ აქტივობების პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს გენდერისთვის შესაფერის საჭიროებებს.

2. ციხის რეჟიმი უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა შეეფერებოდეს ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და ბავშვიანი ქალების საჭიროებებს. ბავშვზე ზრუნვის საშუალებები და მოწყობილობები უნდა იქნას უზრუნველყოფილი ციხეში, რათა პატიმარ ქალებს საშუალება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ ციხის აქტივობებში.

3. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნას გამოვლენილი, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაფერისი პროგრამები ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და ბავშვიანი ქალებისთვის.

4. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნას გამოვლენილი, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი მომსახურება იმ ქალი პატიმრებისთვის, ვისაც აქვს ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროებები, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ფიზიკური, ფსიქიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა.

სოციალური ურთიერთობები და შემდგომი ზრუნვა

პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები; №79-81 წესების დამატება

წესი 43

ციხის ხელმძღვანელობამ უნდა წაახალისოს და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს ქალ პატიმრებთან პაემნებს, როგორც მათი ფსიქიკური კეთილდღეობისა და სოციალური რეინტეგრაციის უზრუნველყოფის წინაპირობას.

წინა 44

იმის გათვალისწინებით, რომ ქალი პატიმრების გამოცდილება ოჯახურ ძალადობასთან მიმართებაში არაპროპორციულად მაღალია, მათთან უნდა იქნას სათანადო კონსულტაცია გავლილი თუ ვის მიეცეს მასთან პაემნის საშუალება.

წესი 45

ციხის ხელმძღვანელობამ, ქალი პატიმრებისთვის, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ისეთი შესაძლებლობები, როგორიცაა შვებულება, ღია ტიპის ციხეები, გარდამავალი დაწესებულებები (halfway houses), საზოგადოებრივი პროგრამები და სხვადასხვა მომსახურებები, რათა შეუმსუბუქოს მათ პატიმრობიდან თავისუფლებაზე გადასვლა, შეამციროს სტიგმა და გაუადვილოს მათ ოჯახებთან კონტაქტისა და ურთიერთობის აღდგენა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში.

წესი 46

ციხის ხელმძღვანელობამ, პრობაციასთან და/ან სოციალური კეთილდღეობის სამსახურებთან, ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ყოვლისმომცველი რეინტეგრაციის პროგრამები გათავისუფლებამდე და გათავისუფლების შემდგომ, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას ქალთა გენდერულად სპეციფიკური საჭიროებები.

წესი 47

საზოგადოებრივ სამსახურებთან თანამშრომლობით, გათავისუფლების შემდგომი დამატებითი მხარდაჭერა უნდა იქნას უზრუნველყოფილი გათავისუფლებული ქალი პატიმრებისთვის, რომელნიც

საჭიროებენ ფსიქოლოგიურ, სამედიცინო, იურიდიულ და პრაქტიკულ დახმარებას, რათა მოახდინონ საზოგადოებაში წარმატებული რეინტეგრაცია.

3. ორსული ქალები, მეძუძური დედები და ბავშვიანი ქალები ციხეში

პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები; №23 წესის დამატება

წესი 48

1. ორსულმა და მეძუძურმა ქალმა პატიმრებმა, კვალიფიციური პრაქტიკოსი ექიმების მიერ შექმნილი და მათივე ზედამხედველობით განხორციელებული პროგრამის ფარგლებში, უნდა მიიღონ რჩევა საკუთარ ჯანმრთელობასა და კვებაზე. ორსული ქალების, ჩვილი ბავშვების, ბავშვიანი და მეძუძური დედებისათვის უფასოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილ დროული და შესაფერისი საკვები, ჯანმრთელი გარემო და რეგულარული ვარჯიშის შესაძლებლობა.

2. ქალ პატიმრებს არ უნდა დაუშალონ ბავშვის ძუძუთი კვება, თუ არ არსებობს მიზეზი კონკრეტული ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.

3. ის ქალი პატიმრები, რომლებმაც ახლახანს იმშობიარეს, მაგრამ ჩვილი მათთან ერთად არ იმყოფება ციხეში, ჩართულნი უნდა იყვნენ მკურნალობის პროგრამებში მათი სამედიცინო და კვების საჭიროებების გათვალისწინებით.

წესი 49

ბავშვის დედასთან დატოვების გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით. ციხეში, დედასთან მყოფი ბავშვები არასოდეს უნდა ჩაითვალონ პატიმრებად.

წესი 50

პატიმარ ქალებს, რომელთაც ციხეში ყავთ საკუთარი შვილები, უნდა მიეცეთ საშუალება, მაქსიმალური დრო გაატარონ მათთან ერთად.

წესი 51

1. ციხეში, დედასთან ერთად მცხოვრები ბავშვებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯანდაცვის მიმდინარე სერვისები და მათ განვითარებას თვალყური უნდა ადევნონ სპეციალისტებმა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურებთან თანამშრომლობით.

2. ამ ბავშვების აღზრდისთვის შექმნილი გარემო მაქსიმალურად უნდა იქნას მიახლოებული ციხის გარეთ მყოფი ბავშვის გარემოსთან.

წესი 52

1. იმის თაობაზე გადაწყვეტილება, თუ როდის შეიძლება ბავშვისა და დედის დაშორება, უნდა იქნეს მიღებული ინდივიდუალურ შეფასებაზე დაყრდნობით და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში.

2. ბავშვის ციხიდან გაყვანა უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილითა და მგრძნობელობით, მხოლოდ მზრუნველობის ალტერნატივის იდენტიფიცირების შემდეგ, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრის შემთხვევაში, კონსულტაცია გავლილი უნდა იქნას შესაბამისი საკონსულოს თანამდებობის პირებთან.

3. ბავშვისა და დედის დაშორების და მისი ოჯახთან ან ნათესავთან დაბინავების ან სხვა ალტერნატიული მზრუნველობის უზრუნველყოფის შემდეგ, პატიმარ ქალებს უნდა მიეცეთ მაქსიმალურად ბევრი საშუალება და შესაძლებლობა შეხვდნენ საკუთარ ბავშვებს, მაშინ როცა ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებში იქნება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დათმობის გარეშე.

4. უცხო ქვეყნის მოქალაქეები

პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები; №38 წესის დამატება

წესი 53

1. იმ შემთხვევაში როცა არსებობს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება ქვეყნებს შორის, არარეზიდენტი უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალი პატიმრების გადაცემა მათი მშობლიური ქვეყნისთვის, განსაკუთრებით თუ მათ იქ შვილები ყავთ, მათი პატიმრობის მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე უნდა იქნას განხილული, ქალი პატიმრების განაცხადის ან მათი თანხმობის საფუძველზე.

2. როდესაც არარეზიდენტ უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალ პატიმართან მცხოვრები ბავში უნდა გაიყვანონ ციხიდან, განხილული უნდა იქნას ბავშვის მშობლიურ ქვეყანაში გაგზავნის საკითხი, მისივე საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და დედასთან კონსულტაციების გავლის საფუძველზე.

5. უმცირესობები და მკვიდრი მოსახლეობა

წესი 54

ციხის ხელმძღვანელობამ უნდა გააცნობიეროს, რომ სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის მქონე პატიმარ ქალებს გააჩნიათ განსხვავებული საჭიროებები და შესაძლოა დაემუქროთ სხვადასხვა სახის დისკრიმინაცია გენდერულ და კულტურულ პროგრამებსა და მომსახურებებში ჩართვისას. შესაბამისად, ციხის ხელმძღვანელობამ, თავად ქალ პატიმრებთან და შესაბამის ჯგუფებთან კონსულტაციის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს მრავლისმომცველი პროგრამები და სერვისები, რომელიც დააკმაყოფილებს ამ საჭიროებებს.

წესი 55

გათავისუფლებამდელი და გათავისუფლების შემდგომი სერვისები, შესაბამის ჯგუფებთან კონსულტაციით, უნდა იქნას კარგად გადახედილი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა და ხელმისაწვდომობა მკვიდრი და სხვადასხვა ეთნიკური და რასობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი პატიმრებისთვის.

ბ. წინასწარპატიმრობაში ან სასამართლოს მოლოდინში მყოფი პატიმრები

პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები; №84-93 წესების დამატება

წესი 56

განსაკუთრებული რისკი, რომელიც ქალებს წინასწარპატიმრობაში ყოფნის დროს ემუქრებათ, გაცნობიერებული უნდა იქნას შესაბამისი ხელმძღვანელობების მიერ, რომელთაც უნდა გაატარონ სათანადო ღონისძიებები პოლიტიკასა და პრაქტიკაში, რათა წინასწარი პატიმრობის პერიოდში უზრუნვეყოფილ იქნას ქალის უსაფრთხოება. (ასევე იხილეთ წესი 58, წინასწარი პატიმრობის ალტერნატივებთან დაკავშირებით.)

III. არასაპატიმრო ღონისძიებები

წესი 57

ტოკიოს წესების დებულებები იძლევა რეკომენდაციას თუ როგორ შემუშავდეს და განხორციელდეს სათანადო რეაგირება ქალი დამნა-

შავეების ქმედებებზე. განრიდების ზომებისა და წინასწარი და საპატიმრო ალტერნატივების გენდერულად სპეციფიკური საშუალებები უნდა შემუშავდეს წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებში, მრავალი ქალი დამნაშავის ვიქტიმიზაციის ისტორიისა და მათი მზრუნველობის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

წესი 58

ტოკიოს წესებიდან წესი 2.3-ის გათვალისწინებით, ქალი დამნაშავეები არ უნდა იქნან განცალკავებული მათი ოჯახებისგან და საზოგადოებისგან, წინასწარ მათი ისტორიისა და ოჯახური კავშირების შესწავლის გარეშე. დანაშაულის ჩამდენი ქალების საქმის წარმოებისას გამოყენებულ უნდა იქნას ალტერნატიული გზები, როგორიცაა განრიდების ღონისძიებები და წინასწარი და პატიმრობის ალტერნატივები, სადაც და როცა ეს შესაძლებელია.

წესი 59

ზოგადად, დაცვის არასაპატიმრო საშუალებები, მაგალითად თავშესაფრები, რომელთაც მართავს დამოუკიდებელი ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები ან სხვა საზოგადოებრივი სამსახურები, უნდა იქნას გამოყენებული იმ ქალების დასაცავად, რომლებიც ასეთ დაცვას საჭიროებენ. დროებითი ზომები, რომელიც გულისხმობს ქალის დაცვის მიზნით დახურულ დაწესებულებაში მოთავსება, უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ საჭიროებისა და ქალის მკაფიოდ გამოხატული მოთხოვნის შემთხვევაში და ყველა შემთხვევაში უნდა იყოს სასამართლო ან სხვა კომპეტენტური ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ. მსგავსი დაცვის საშუალებების გამოყენება არ უნდა გაგრძელდეს ქალის სურვილისა და ნების საწინააღმდეგოდ.

წესი 60

შესაბამისი რესურსი უნდა გამოიყოს, რომ შეიქმნას შესაფერისი ალტერნატივები ქალი დამნაშავეებისთვის, იმისათვის, რომ მოხდეს არასაპატიმრო ღონისძიებების იმ ღონისძიებებთან კომბინირება, რომელიც მიმართულია იმ ზოგადი პრობლემების მოგვარებაზე, რომელიც უბიძგებს ქალებს კავშირი იქონიონ სისხლის სამართლის სისტემასთან. ეს შესაძლოა მოიცავდეს თერაპიულ კურსებს და საკონსულტაციო მომსახურებას ოჯახური ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის; შესაბამის მკურნალობას გონებრივი შეზღუდულობის მქონეთათვის; და საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებს დასაქმების პერსპექტივების გასაუმჯობესებლად. მსგავ-

სი პროგრამები უნდა უზრუნველყოფდნენ ქალთა და ბავშვთა მზრუნ-ველობის საჭიროებას.

წესი 61

ქალი დამნაშავეების გასამართლების დრო, სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება განიხილოს შემამსუბუქებელი ფაქტორე-ბი, როგორიცაა ნასამართლობის არქონა და დანაშაულის ხასიათი და შედარებით ნაკლები სიმძიმე, ქალის, როგორც მზრუნველის პასუხ-ისმგებლობისა და დამახასიათებელი ისტორიის გათვალისწინებით.

წესი 62

გენდერულად მგრძნობიარე, განცდილი ტრავმის შესაბამისი, მხ-ოლოდ ქალისთვის განკუთვნილი ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მკურნალობის პროგრამების უზრუნველყოფა საზოგადოებაში და ქალთა ხელმისაწვდომობა მსგავს სამკურნალო პროგრამებზე უნდა გაუმჯობესდეს, დანაშაულის პრევენციისთვის, აგრეთვე განრიდებისა და სასჯელის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების მიზნები-სათვის.

1. მსჯავრდების შემდგომი გეგმები

წესი 63

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დროს ქალი პატიმრის სასარგებლოდ უნდა იქნას გათვალისწინებული მისი მზრუნველობაზე პასუხისმგებლო-ბა, ისევე როგორც მისი სპეციფიკური სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებები.

2. ორსული ქალები და ქალები დამოკიდებული ბავშვებით

წესი 64

ორსული ქალებისთვის და ქალებისთვის, რომლებსაც ყავთ მა-თზე დამოკიდებული ბავშვები უპირატესობა უნდა მიენიჭოს არასა-პატიმრო სასჯელების გამოყენებას როდესაც და რა შემთხვევებშიც ეს შესაძლებელია. საპატიმრო სასჯელები გამოყენებულ უნდა იქნას სერიოზული ან ძალადობრივი დანაშაულის დროს ან როდესაც ქალი წარმოადგენს განგრძობით საფრთხეს, და ისიც მხოლოდ ბავშვის ან ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით და ასეთი ბავშ-ვებისთვის შესაბამისი ზრუნვის უზრუნველყოფით.

3. არასრულწლოვანი მდედრობითი სქესის დამნაშავეები

წესი 65

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ინსტიტუციონალიზაცია მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან აცილებული. მსგავსი გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას არასრულწლოვანი მდედრობითი სქესის დამნაშავის სქესიდან გამომდინარე დაუცველობა.

4. უცხო ქვეყნის მოქალაქეები

წესი 66

მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნას გამოვლენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის – ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის პრევენციის, აკრძალვისა და დასჯის შესახებ – რატიფიცირებისთვის. ოქმი წარმოადგენს კონვენციის დამატებას, რათა უზრუნველყოს კონვენციის დებულებების სრული განხორციელება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ტრეფიკინგის მსხვერპლთა მაქსიმალური დაცვა, რომ აღმოხდეს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე ქალების მეორადი ვიქტიმიზაცია.

IV. კვლევა, დაგეგმვა, შეფასება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

1. კვლევა, დაგეგმვა და შეფასება

წესი 67

სათანადო ძალისხმევა უნდა იქნას გამოვლენილი ყოვლისმომცველი, შედეგზე ორიენტირებული კვლევის ორგანიზებისა და ხელის შეწყობისთვის. კვლევის საგანი უნდა იყოს ქალთა მიერ ჩადენილი დანაშაულების, ქალთა სისხლის სამართლის სისტემასთან კავშირის გამომწვევი მიზეზების, ქალთა მეორადი კრიმინალიზაციისა და პატიმრობის გავლენის, ქალი დამნაშავეების მახასიათებლების, ისევე როგორც იმ პროგრამების შესწავლა, რომლებიც შეიქმნა ქალთა მხრიდან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემცირების მიზნით. კვლევის ჩატარება იქნება ეფექტური დაგეგმვის, პროგრამის განვითარებისა და პოლიტი-

კის ფორმულირების საფუძველი, რომელიც მიმართული იქნება დამნაშავე ქალების სოციალური რეინტეგრაციისკენ.

წესი 68

ძალისხმევა უნდა იქნას გამოვლენილი, რათა მოხდეს იმ კვლევის ორგანიზება და ხელის შეწყობა, რომელიც შეისწავლის იმ ბავშვების რაოდენობას, რომელთა დედებიც სისხლის სამართლის სისტემასთან კონფლიქტში, განსაკუთრებით კი პატიმრობაში იმყოფებოდნენ და ასევე შეისწავლის ამ ყველაფრის შედეგად ბავშვებზე უარყოფით გავლენასა და ზემოქმედებას. კვლევის ჩატარება ხელს შეუწყობს პოლიტიკის ფორმულირებას და პროგრამის განვითარებას, ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით.

წესი 69

ძალისხმევა უნდა იქნას გამოვლენილი, რათა მოხდეს განხილვა, შეფასება და პერიოდულად საჯაროდ გამოქვეყნება იმ მიმართულებების, პრობლემებისა და ფაქტორების, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა დანაშაულებრივ ქმედებასთან, და იმ ეფექტური შედეგების, რომელიც ქალი დამნაშავეების, ისევე როგორც მათი შვილების, სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებების უზრუნველყოფით მიიღწევა, იმ მიზნით, რომ მოხდეს დაღის დასმისა და ბავშვებზე იმ უარყოფითი გავლენის შემცირება, რომელიც გამოწვეულია დედის სისხლის სამართლის სისტემასთან კონფლიქტში ყოფნით.

2. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ინფორმაციის გაცვლა და სწავლება

წესი 70

1. მედია და საზოგადოება უნდა იქნას ინფორმირებული იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც იწვევს ქალის სისხლის სამართლის სისტემაში მოხვედრას და ამ პრობლემაზე რეაგირების ყველაზე ეფექტური გზების შესახებ, რათა ხელი შეეწყოს ქალთა სოციალურ რეინტეგრაციას, მათი ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით.

2. კვლევისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გამოქვეყნება და გავრცელება უნდა ჩამოყალიბდეს როგორც პოლიტიკის ელემენტი, რომელიც მიზნად დაისახავს ქალი დამნაშავეების მიმართ სისხლის სამართლის მიდგომის, მათი და მათი შვილების სამართლიანი მოპყრობისა და საბოლოო შედეგების გაუმჯობესებას.

3. მედიას, საზოგადოებას და მათ, ვისაც პროფესიული პასუხისმგე-

ბლობა გააჩნია ქალი პატიმრებისა და დამნაშავეების მიმართ რეგულარულად უნდა მიეწოდოთ ფაქტობრივი ინფორმაცია იმ საკითხების და მათი განხორციელების შესახებ, რომელიც მოყვანილია წინამდებარე წესებში.

4. წინამდებარე წესებისა და კვლევის შედეგების შესახებ უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სასწავლო პროგრამები შესაბამისი სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე პირებისთვის, რათა მოხდეს მათი ცნობიერების ამაღლება და მგრძნობელობის გაზრდა წინამდებარე წესებში მოყვანილი დებულებების მიმართ.

ევროპის საბჭოს დოკუმენტები

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპის ციხის წესების შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, თანახმად ევროპის საბჭოს წესდების მე-15 ბ მუხლის პირობებისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით;

ასევე წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელის აღკვეთის ევროპული კომიტეტის მუშაობისა და განსაკუთრებით, მის ანგარიშებში შემუშავებული სტანდარტების გათვალისწინებით;

იმის გამეორებით, რომ არავის უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა უკიდურესი შემთხვევისა და კანონით დადგენილი პროცედურის გათვალისწინებით;

იმის ხაზგასმით, რომ საპატიმრო სასჯელების აღსრულება და პატიმრებთან მოპყრობა საჭიროებს უსაფრთხოების, უშიშროებისა და დისციპლინის საკითხების გათვალისწინებას, ასევე, ციხის ისეთი პირობების უზრუნველყოფას, რომელიც აღხელყოფს ადამიანის ღირსებას, არამედ იძლევა პატიმართათვის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის და დასაქმების საშუალებას, რითაც მათ ამზადებს საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის, მნიშვნელოვნად მიიჩნევს რა, რომ ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა განაგრძონ პენიტენციურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საერთო პრინციპების განახლება და დაცვა;

უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი საერთო პრინციპების დაცვა და შესრულება გააძლიერებს საერთაშორისო თანამშრომლობას ამ სფეროში; აღნიშნავს რა სოციალურ ცვლილებებს, რომელთაც ზეგავლენა მოახდინეს ევროპაში პენიტენციურ სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში;

ხელახლა ადასტურებენ რა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში მოცემულ სტანდარტებს, რომლებიც ეხება პენიტენციური პოლიტიკისა და პრაქტიკის სპეციფიკურ ასპექტებს და გან-

საკუთრებით (89)12 ციხეებში განათლების შესახებ, (93)6 რომელიც შეეხება ციხეს და ციხეში გადამდები დაავადებების, მათ შორის შიდსის და სხვა პრობლემების კონტროლის კრიმინოლოგიურ ასპექტებს, (97)12 კადრების შესახებ, რომელიც ასრულებს სანქციებს და ზომებს, (98)7 რომელიც ეხება ციხეებში ჯანდაცვის ეთიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებს, (99)22 რაც შეეხება ციხეების გადატვირთულობას და ციხის მოსახლეობის ინფლაციას, (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლებას და (2003)33 ციხეების ადმინისტრაციის მიერ უვადო პატიმრობამისჯილებისა და სხვა გრძელვადიანი სასჯელმისჯილების მართვას;

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების გათვალისწინებით;

იმის გათვალისწინებით, რომ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (87)3 ევროპულ ციხის წესების შესახებ საჭიროებს არსებით დამუშავებას და განახლებას, რათა ასახოს პენიტენციურ პოლიტიკაში, სასჯელის მისჯის პრაქტიკასა და ევროპაში ციხეების მართვის სისტემაში მომხდარი ცვლილებები და განვითარებები რეკომენდაციას იძლევა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა:

- საკუთარ კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში იხელმძღვანელონ იმ წესებით, რომლებიც მოცემულია ამ რეკომენდაციის დანართში და მინისტრთა კომიტეტის ევროპული ციხის წესების შესახებ რეკომენდაცია (87)3-ის ადგილს იკავებს;
- უზრუნველყონ, რათა ეს რეკომენდაცია და თანდართული კომენტარები ითარგმნოს და გავრცელდეს რაც შეიძლება ფართოდ, უფრო კონკრეტულად, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, ციხეების პერსონალსა და პატიმრებში.

რეკომენდაცია (2006)2-ის დანართი

ნაწილი I

ძირითადი პრინციპები

1. ყველა თავისუფლებააღკვეთილ ადამიანს უნდა მოეპყრონ მისი უფლებების პატივისცემით.

2. თავისუფლებააღკვეთილი პირები ინარჩუნებენ ყველა უფლებას, რომლებიც კანონიერად აღერთმევათ იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც მათ უსჯიან სასჯელს ან უფარდებენ პატიმრობას.

3. თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ დაწესებული შეზღუდვები უნდა იყოს მინიმალურად აუცილებელი და იმ ლეგიტიმური ამოცანის თანაზომიერი, რომლისთვისაც ხდება მათი დაწესება.

4. ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არარის გამართლებული რესურსების ნაკლებობით. 5. ციხეში ცხოვრება შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს.

6. პატიმრობის მართვა ისე უნდა მოხდეს, რომ ხელი შეუწყოს თავისუფლებააღკვეთილ პირთა რეინტეგრაციას თავისუფალ საზოგადოებაში.

7. უნდა ხდებოდეს სამოქალაქო საზოგადოების შეძლებისდაგვარად ჩართვა ციხის ცხოვრებაში და თანამშრომლობა სოციალურ სამსახურებთან.

8. ციხის პერსონალი ახორციელებს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სამსახურს, შესაბამისად, მათი დასაქმება, პროფესიული მომზადება და მუშაობის პირობები უნდა იყოს ისეთი, რომ პატიმრებზე ზრუნვის მაღალი სტანდარტები შეინარჩუნონ.

9. ყველა ციხე უნდა ექვემდებარებოდეს რეგულარულ სამთავრობო ინსპექტირებას და დამოუკიდებელ მონიტორინგს.

არეალი და გამოყენება

10.1 ევროპული ციხის წესები გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომელთა მოთავსება მოხდა საპატიმროში სასამართლო ხელისუფლების მიერ, ან რომელთაც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე აღეკვეთათ თავისუფლება.

10.2 პრინციპში, პირები, რომელთა მოთავსება მოხდა საპატიმროში, ან რომელთაც აღეკვეთათ თავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, მხოლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ანუ ამ ორი კატეგორიის პირთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში უნდა იყვნენ მოთავსებულნი.

10.3 ეს წესები, აგრეთვე, შეეხება იმ პირებს, რომლებიც:
ა. იმყოფებიან ციხეში ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო; ან
ბ. საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებულ იქნენ სასამართლო ხელისუფლების მიერ, ან თავისუფლება აღეკვეთათ გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე და რაიმე მიზეზის გამო, სხვაგან არიან მოთავსებული.

10.4 ყველა პირი, რომლებიც მოთავსებულნი არიან ციხეში, ან 10.3.ბ პარაგრაფში მითითებული წესისამებღარიან დაკავებულნი, ამ წესების მიხედვით იწოდებიან პატიმრებად.

11.1 18 წლამდე ასაკის ბავშვები არ უნდა იყვნენ მოთავსებული მოზრდილთა ციხეში, არამედ მათთვის სპეციალურად განკუთვნილ დაწესებულებაში.

11.2 თუ, იშვიათ შემთხვევებში, ბავშვები მაინც არიან მოთავსებული ასეთ დაწესებულებაში, უნდა არსებობდეს სპეციალური დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს მათ სტატუსს და საჭიროებებს.

12.1 პირები, რომლებიც ფსიქიკურად არიან დაავადებულნი და მათი ფსიქიკური მდგომარეობა შეუთავსებელია ციხეში პატიმრობასთან, უნდა მოთავსდნენ სპეციალურად მათთვის განკუთვნილ დაწესებულებაში.

12.2 მიუხედავად ამისა, თუ ასეთი პირები მაინც იმყოფებიან პატიმრობაში, უნდა არსებობდეს სპეციალური რეგულაციები, რაც ითვალისწინებს მათ სტატუსსა და საჭიროებებს.

13. ამ წესების გამოყენება უნდა მოხდეს მიუკერძოებლად, დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, საკუთრების, წარმომავლობის ან სხვა მდგომარეობის საფუძველზე.

ნაწილი II

მიღება

14. არცერთი პირის მიღება ან მოთავსება საპატიმრო დაწესებულებაში არ უნდა მოხდეს შესაბამისი სათანადო აქტის გარეშე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

15.1 მიღებისას თითოეულ პატიმართან დაკავშირებით უნდა მოხდეს შემდეგი დეტალების დაუყოვნებლივ დაფიქსირება:
ა. პატიმრის პირადობის დამადასტურებელი ინფორმაცია;
ბ. დაპატიმრების მიზეზი და პასუხისმგებელი პირი, რომელმაც გასცა შესაბამისი განკარგულება;
გ. მიღების დღე და საათი;
დ. პატიმრის პირადი ნივთების ნუსხა, რომლებიც უნდა მოთავს-

დეს საპატიმრო დაწესებულების შემნახველ განყოფილებაში 31-ე წესის შესაბამისად;

ე. ყოველი ხილული დაზიანება და საჩივარი დაწესებულებაში მიყვანამდე განცდილი ცუდად მოპყრობის შესახებ;

ვ. სამედიცინო საიდუმლოებას დაქვემდებარებული ნებისმიერი ინფორმაცია პატიმრის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რომელსაც მნიშვნელობა აქვს პატიმრის ან სხვათა ფიზიკური ან ფსიქიკური კეთილდღეობისთვის.

15.2 მიღებისას ყველა პატიმარს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია 30-ე წესის შესაბამისად.

15.3 მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს შეტყობინება პატიმრის საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ, 24.9 წესის შესაბამისად.

16. მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე:

ა. პატიმრის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას უნდა დაემატოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება, 42-ე მუხლის შესაბამისად;

ბ. პატიმრისათვის უსაფრთხოების სათანადო დონე უნდა განისაზღვროს 51-ე წესის შესაბამისად;

გ. უსაფრთხოებისადმი საშიშროება, რომელსაც პატიმარი წარმოადგენს, უნდა განისაზღვროს 52-ე მუხლის შესაბამისად;

დ. პატიმრის სოციალური მდგომარეობის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა შეფასდეს, რათა მოხდეს მისი პირადი საჭიროებების გადაწყვეტა;

ე. მსჯავრდებულების შემთხვევაში, დადგენილ უნდა იქნეს საჭირო ზომები იმ პროგრამების განსახორციელებლად, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესების VIII ნაწილით.

განაწილება და განთავსება

17.1 პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებსა ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.

17.2 განთავსება ასევე უნდა ითვალისწინებდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაგრძელების მოთხოვნებს, ასევე, უსაფრთხოებისა და უშიშროების და ყველა პატიმრისათვის სათანადო რეჟიმების უზრუნველყოფის საჭიროებებს.

17.3 რამდენადაც შესაძლებელია, პატიმრებთან უნდა ჩატარდეს კონსულტაცია მათი საწყისი განთავსების ადგილის შესახებ, ასევე,

ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში შემდგომი გადაყვანისას.

18.1 პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი შენობა, განსაკუთრებით კი, საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემის და შეძლებისდაგვარად, ასევე, განმარტოების მოთხოვნებს. გარდა ამისა, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და განსაკუთრებით, ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობის, განათების და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით.

18.2 ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან:

ა. ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მისცეს პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათებისას ნორმალურ პირობებში. ასევე, აუცილებელია, ხდებოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების სისტემა;

ბ. ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; გ. უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რაც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს.

18.3 კონკრეტული მინიმალური მოთხოვნები, 1-ელ და მე-2 პარაგრაფში მოცემული საკითხების გათვალისწინებით, მოცემული უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობაში.

18.4 ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ ამ მოთხოვნების დარღვევა აღმოხდეს ციხეების გადატვირთულობით.

18.5 პატიმრების განთავსება ღამით, ჩვეულებრივ, უნდა მოხდეს ინდივიდუალურ საკნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უმჯობესია მათი მოთავსება საერთო საძინებელში.

18.6 საცხოვრებლის საერთო გამოყენება უნდა იყოს შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ ეს ამ მიზნის შესაბამისია და პატიმრებიც ეთავსებიან ერთმანეთს.

18.7 პატიმრებს შეძლებისდაგვარად უნდა მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა, სანამ მიეთითებათ საძინებლის ერთობლივი გამოყენება.

18.8 პატიმრების კონკრეტულ დაწესებულებაში მოთავსების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების კონკრეტულ განყოფილებებში განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა მოხდეს საპატიმროში მოთავსების შემდეგი პირობების სათანადო გათვალისწინება:

ა. მიუსჯელი პატიმრების განცალკევებით მოთავსება მისჯილებისაგან;

ბ. მამაკაცი პატიმრების ქალი პატიმრებისაგან განცალკევებით მოთავსება; და

გ. ახალგაზრდა მოზრდილი პატიმრების შედარებით ასაკიანი პატიმრებისაგან ცალკე მოთავსება.

18.9 მე-8 პარაგრაფში მოცემული განცალკევებით მოთავსების მოთხოვნების მიმართ შეიძლება გამონაკლისების დაშვება, რათა პატიმრებს ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობის საშუალება მიეცეთ. თუმცა, ეს ჯგუფები განცალკევებით უნდა მოათავსონ ღამით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი თანხმობას აცხადებენ ერთად მოთავსებაზე და ციხის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ეს ყველა პატიმრისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება.

18.10 ყველა პატიმრის სადგომში უნდა იყოს ისეთი პირობები, რომელიც შეესაბამება მათი გაქცევის, საკუთარი თავისა ან სხვისთვის ზიანის მიყენების შესაძლო რისკს და მოიცავს ყველაზე ნაკლებად შემზღუდავ უსაფრთხოების ზომებს.

ჰიგიენა

19.1 ციხის ყოველი ნაწილი უნდა იყოს შენახული სათანადოდ სუფთა მდგომარეობაში.

19.2 როდესაც პატიმრები მიჰყავთ ციხეში, სუფთა უნდა იყოს ის საკნები და სხვა განყოფილებები, სადაც პატიმართა განთავსება ხდება.

19.3 პატიმრებს იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი სანიტარიულ სადგომებზე, რომლებიც ჰიგიენურია და განმარტოების საშუალებას იძლევა.

19.4 უნდა მოხდეს ადეკვატური სამყოფლის უზრუნველყოფა, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს შხაპით ან აბაზანით სარგებლობა კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში, თუ ეს შესაძლებელია — დღიურად, ან კვირაში ორჯერ მაინც (თუ

საჭიროა, უფრო ხშირადაც), ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე.

19.5 პატიმრებმა სუფთად და მოწესრიგებულად უნდა იქონიონ ტანსაცმელი და საძინებელი, ასევე, პირად ჰიგიენას მიაქციონ ყურადღება.

19.6 ამისათვის ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი საშუალებებით, ტუალეტისა და ჰიგიენური საშუალებებით და მასალებით.

19.7 უნდა მოხდეს ქალთა სანიტარიული საჭიროებების სპეციალური უზრუნველყოფა.

ტანსაცმელი და ქვეშაგები

20.1 პატიმრები, რომელთაც არა აქვთ სათანადო ტანსაცმელი, ან არ გააჩნიათ საკუთარი სამოსი, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ კლიმატის შესაბამისი ტანსაცმლით.

20.2 ამგვარი ტანსაცმელი არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი ან ღირსების დამამცირებელი.

20.3 ყველა ტანსაცმელი კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს შენარჩუნებული და საჭიროებისამებრ, შეიცვალოს.

20.4 პატიმრებს, რომელთაც ეძლევათ ციხიდან გასვლის ნებართვა, არ უნდა მოეთხოვოთ ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომელიც შესამჩნევს გახდის მათ სტატუსს.

21. ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით და ცალკე ქვეშაგებით, რომელიც მოწესრიგებულ მდგომარეობაში უნდა იქონიოს და შეიცვალოს იმდენად ხშირად, რომ მისი სისუფთავე იყოს დაცული.

კვება

22.1 პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.

22.2 საკვები რაციონის მოთხოვნები, როგორიცაა კალორიულობა და ცილების შემცველობა, გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით.

22.3 საკვების მომზადება და საჭმელად გამოტანა უნდა ხდებოდეს ჰიგიენურ პირობებში.

22.4 გათვალისწინებული უნდა იყოს სამჯერადი კვება, გონივრულ ინტერვალებში.

22.5 პატიმრებისთვის სუფთა სასმელი წყალი უნდა იყოს ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი.

22.6 ექიმმა ან კვალიფიციურმა მედდამ უნდა მოითხოვოს საკვები რაციონის შეცვლა კონკრეტული პატიმრისათვის, როდესაც ეს საჭიროა სამედიცინო მოსაზრებით.

იურიდიული კონსულტაცია

23.1 ყოველ პატიმარს აქვს იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლება და ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სათანადო ფართი ასეთი დახმარების ხელმისაწვდომობისათვის.

23.2 პატიმრებს საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერი ურიდიულ საკითხზე შეუძლიათ მიმართონ მათ მიერ ვე შერჩეულ იურისტ-კონსულტანტს საკუთარი ხარჯებით.

23.3 თუ არსებობს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამა, ციხის ადმინისტრაციამ ამის თაობაზე უნდა აცნობოს ყველა პატიმარს.

23.4 კონსულტაციები და სხვა კომუნიკაციები, ასევე, კორესპონდენცია სამართლებრივ საკითხებზე პატიმრებს შორის და მათსა და იურიდიულ კონსულტანტებს შორის უნდა იყოს კონფიდენციალური.

23.5 სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია, გამონაკლის შემთხვევებში, შეზღუდვები დააწესოს ასეთ კონფიდენციალურობაზე, სერიოზული დანაშაულის ან ციხის უსაფრთხოებისა და უშიშროების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

23.6 პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ, ანდა თვითონ ინახავდნენ მათი საქმის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

კონტაქტი გარესამყაროსთან

24.1 პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და

გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე, დაენიშნოთ პაემნები ამ ადამიანებთან.

24.2 კომუნიკაციები და პაემნები შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს და მონიტორინგს, რომელიც საჭირო იქნება სისხლის სამართლის გამოძიების გასაგრძელებლად, წესრიგის შესანარჩუნებლად, უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად და სისხლის სამართლის დანაშაულთა აღსაკვეთად, დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად. მაგრამ სასამართლო ხელისუფლების მიერ დაწესებული ასეთი შეზღუდვები, მათ შორის კონკრეტული შეზღუდვები, მაინც უნდა აკმაყოფილებდეს კონტაქტის დასაშვებ მინიმალურ დონეს.

24.3 ეროვნული კანონმდებლობა უნდა აკონკრეტებდეს ეროვნულ და საერთაშორისო ორგანოებს და თანამდებობის პირებს, რომლებთანაც კომუნიკაცია პატიმრებს არ უნდა შეეზღუდოთ.

24.4 პაემნების ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.

24.5 ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს პატიმრებს გარე სამყაროსთან ადეკვატური კონტაქტის შენარჩუნებაში და უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი მხარდაჭერით.

24.6 ნებისმიერი ინფორმაცია პატიმრის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სერიოზული ავადმყოფობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პატიმარს.

24.7 როდესაც გარემოებები იძლევა ამის საშუალებას, პატიმარს უფლება უნდა მიეცეს, დატოვოს ციხე ბადრაგის თანხლებით, ან მარტომ, ავადმყოფი ნათესავის მოსანახულებლად, სატირალში მისასვლელად ან სხვა ჰუმანიტარული მოსაზრებებით.

24.8 პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, დაუყოვნებლივ შეატყობინონ თავიანთ ოჯახებს დაპატიმრებისა ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ, ანდა სერიოზული დაავადებისა თუ დაზიანების შესახებ, რომელიც მათ აწუხებთ.

24.9 ციხეში პატიმრის მოყვანისას, ასევე, პატიმრის გარდაცვალებისა ან მძიმე ავადმყოფობისას, ანდა საავადმყოფოში გადაყვანისას, ციხის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის მეუღლეს ან პარტნიორს. თუ პატიმარი დაუოჯახებელია, ამის

შესახებ უნდა ეცნობოს მის უახლოეს ნათესავს ან პატიმრის მიერ დასახელებულ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატიმარი თვითონ ითხოვს შეუტყობინებლობას.

24.10 პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი საქმეების შესახებ და ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო ხელისუფლების მიერ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ინდივიდუალურ შემთხვევაში, კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული.

24.11 ციხის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს, რომ პატიმრებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება არჩევნებში, რეფერენდუმში და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტებში, თუკი ასეთი უფლება არარის შეზღუდული ეროვნული კანონმდებლობით.

24.12 პატიმრებს უნდა მიეცეთ მასმედიასთან ურთიერთობის ნებართვა, თუკი არარსებობს ასეთი კომუნიკაციის აკრძალვის ანგარიშგასაწევი მიზეზი უსაფრთხოებისა და უშიშროების მოსაზრებიდან გამომდინარე, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესით, ასევე, დაზარალებულის თუ სხვა პატიმრების ან პერსონალის დაცვის ინტერესებით.

ციხის რეჟიმი

25.1 ნებისმიერი პატიმრისთვის განკუთვნილი რეჟიმი უნდა შეიცავდეს ღონისძიებების ბალანსირებულ პროგრამას.

25.2 ეს რეჟიმი საშუალებას უნდა აძლევდეს ყველა პატიმარს, ყოველდღიურად რაც შეიძლება მეტი დრო გაატარონ საკნების გარეთ, რაც საჭიროა ადამიანური და სოციალური ურთიერთობების ადეკვატური დონის შესანარჩუნებლად.

25.3 რეჟიმი ასევე უნდა პასუხობდეს პატიმრის სოციალურ საჭიროებებს.

25.4 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პატიმრების საჭიროებებს, რომელთაც გადაიტანეს ფიზიკური, მორალური ამ სექსუალური შეურაცხყოფა.

სამუშაო

26.1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს გამოყენებული სასჯელის სახით.

26.2 ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი უზრუნველყოს.

26.3 პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო შეძლებისდაგვარად ისეთი უნდა იყოს, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.

26.4 მე-13 წესის თანახმად, უზრუნველყოფილი სამუშაოს ტიპთან მიმართებით, არ უნდა არსებობდეს დისკრიმინაცია გენდერული საფუძვლით.

26.5 სამუშაოზე, რომელიც ასევე მოიცავს პროფესიულ სწავლებას, უნდა დასაქმდნენ პატიმრები, რომლებსაც შეუძლიათ მისგან სარგებლობის მიღება, განსაკუთრებით, ახალგაზრდა პატიმრები.

26.6 პატიმრებს უნდა შეეძლოთ, თავად შეარჩიონ საქმიანობის ის ტიპის, რომელში მონაწილეობის სურვილიც აქვთ – არსებული სამუშაოს ლიმიტის ფარგლებში, აგრეთვე, სათანადო პროფესიული შერჩევის, წესრიგისა და დისციპლინის მოთხოვნების შესაბამისად.

26.7 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მუშაობის ორგანიზება და მეთოდები შეძლებისდაგვარად მიახლოებული უნდა იყოს საზოგადოებაში არსებულ სამუშაო სტანდარტებთან, რათა მოხდეს პატიმართა მომზადება ჩვეულებრივი პროფესიული ცხოვრებისათვის.

26.8 მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამრეწველო კომპანიების მიერ ფინანსური მოგების მიღების მიზნით საქმიანობების განხორციელება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სტანდარტების გაუმჯობესებისა და წვრთნის ხარისხის ამაღლებისათვის, მაგრამ პატიმართა ინტერესები არ უნდა დაექვემდებაროს ამ მიზანს.

26.9 პატიმრებისთვის სამუშაოს უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობა საკუთარი სახსრებით ან კერძო კონტრაქტორებთან თანამშრომლობით, როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ისე მის გარეთ.

26.10 ყველა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს პატიმართა სამუშაოს სამართლიანი ანაზღაურება.

26.11 პატიმრებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, რომ მათ მიერ გამომუშავებული თანხის ნაწილი მაინც დახარჯონ საკუთარი მოხმარებისთვის, დაშვებული საგნების შესაძენად, ასევე, ანაზღაურების ნაწილი მოახმარონ საკუთარ ოჯახს.

26.12 შეიძლება პატიმრების წახალისება, რომ მათ გამომუშავებული ანაზღაურების ნაწილი დაზოგონ, რომელიც გათავისუფლებისას გადაეცემათ ან გამოყენებული იქნება სხვა შეთანხმებული მიზნებისათვის.

26.13 მუშაობისას პატიმრების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომები უნდა იყოს ადეკვატური და ისინი არ უნდა იყვნენ იმაზე ნაკლებად დაცულნი, ვიდრე ციხის გარეთ მომუშავე მუშაკები.

26.14 პატიმართათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამრეწველო ტრავმისას ანაზღაურების მიღების გარანტია, მათ შორის, პროფესიული დაავადების დროს და მისი პირობები არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე კანონმდებლობით არის გათვალისწინებული ჩვეულებრივ მომუშავე მუშაკთათვის.

26.15 პატიმართა მაქსიმალური დღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათები უნდა იყოს დაფიქსირებული ადგილობრივი წესების მიხედვით, რომლებიც არეგულირებს თავისუფალ მუშაკთა დასაქმების პირობებს.

26.16 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ერთი დასვენების დღე კვირაში და საკმარისი დრო განათლებისა და სხვა საქმიანობისათვის.

26.17 მომუშავე პატიმრები შეძლებისდაგვარად უნდა ჩართონ ეროვნული სოციალური უსაფრთხოების სისტემებში.

ვარჯიში და დასვენება

27.1 ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას.

27.2 ავდრის პირობებში, პატიმრებს ალტერნატიული შესაძლებლობა უნდა მიეცეთ სავარჯიშოდ.

27.3 სათანადოდ ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სიჯანსაღეს და უზრუნველყოფს ფიზიკურ ვარჯიშსა და დასვენებას, უნდა წარმოადგენდეს რეჟიმის განუყოფელ ნაწილს.

27.4 სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელობა ხელს უნდა უწყობდეს მსგავს ღონისძიებებს შესაბამისი აღჭურვილობისა თუ ბაზის უზრუნველყოფის მეშვეობით.

27.5 დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მოაგვაროს სპეციალური ღონისძიებების ორგანიზების საკითხები იმ პატიმართათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ.

27.6 დასვენების საშუალებები, მათ შორის სპორტი, თამაშები, კულტურული ღონისძიებები, ჰობი და თავისუფალი დროის გატარების სხვა ხერხები, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და პატიმრებს, შეძლებისდაგვარად, უნდა მიეცეთ მათი ორგანიზების შესაძლებლობა.

27.7 პატიმრებს ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ ვარჯიშის დროს და სარეკრეაციო ღონისძიებებში მონაწილეობისას.

განათლება

28.1 ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.

28.2 პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პატიმრებს, რომელთაც წერა-კითხვის და ანგარიშის სწავლის საჭიროება აქვთ და აკლიათ საბაზისო და პროფესიული განათლება.

28.3 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა და სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების განათლებას.

28.4 განათლებას არ უნდა მიენიჭოს ნაკლები სტატუსი, ვიდრე მუშაობას ციხის რეჟიმის ფარგლებში და პატიმრები არ უნდა ჩააყენონ ფინანსურად ან სხვაგვარად არახელსაყრელ პირობებში საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიღების გამო.

28.5 ყოველ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკა ყველა პატიმრის სარგებლობისთვის, რომელიც სათანადოდ იქნება აღჭურვილი როგორც რეკრეაციული, ასევე საგანმანათლებლო რესურსებით, წიგნებით და სხვა საშუალებებით.

28.6 სადაც შესაძლებელია, ციხის ბიბლიოთეკა უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის სამსახურებთან თანამშრომლობით.

28.7 რამდენადაც განხორციელებადი იქნება, პატიმართა განათლება უნდა:

ა. იყოს ინტეგრირებული ქვეყნის საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემასთან, იმგვარად, რომ პატიმართა გათავისუფლების შემდგომ მათ შეძლონ სწავლის ან პროფესიული განათლების გაგრძელება სიძნელეების გარეშე; და

ბ. მიმდინარეობდეს გარე საგანმანათლებლო დაწესებულებების ეგიდით.

აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება

29.1 პატივი უნდა ეცეს პატიმართა აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებას.

29.2 ციხეების რეჟიმი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეძლებისდაგვარად საშუალება მისცეს პატიმრებს, თავიანთ რელიგიას და რწმენას მისდიონ, რელიგიის და სარწმუნოების აკრედიტებული წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ ღვთისმსახურებას და შეხვედრებს დაესწრონ, კერძოდ, შეხვდნენ თავიანთი რელიგიის წარმომადგენლებს და საკუთრებაში იქონიონ თავის რელიგიასთან ან მრწამსთან დაკავშირებული ლიტერატურა ან წიგნები.

29.3 პატიმრებს არ უნდა აიძულებდნენ, მისდიონ რელიგიას ან სარწმუნოებას, დაესწრონ ღვთისმსახურებას ან შეხვედრებს, მიიღონ მონაწილეობა რელიგიურ ცერემონიაში ან შეხვდნენ რომელიმე რელიგიის ან სარწმუნოების წარმომადგენლებს.

ინფორმაცია

30.1 მიღებისას და შემდგომ, საჭიროებისამებრ, პატიმრებს ხშირად უნდა ეცნობოთ წერილობით და ზეპირად, მათთვის გასაგებ ენაზე, თავიანთი უფლებების, მოვალეობებისა და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი წესების შესახებ.

30.2 პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, საკუთრებაში იქონიონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის წერილობითი ვერსია.

30.3 პატიმრებს უნდა შეატყობინონ მათთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოებისა თუ საპროცესო მოქმედებების შესახებ, ანდა, მსჯავრდებულების შემთხვევაში – მოსახდელი ვადისა და პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობების შესახებ.

პატიმრის საკუთრება

31.1 პატიმრის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ნივთი, რომელიც აკრძალულია ციხის შიდა რეგულაციებით (ნორმატიული აქტებით), შენახული უნდა იქნეს პატიმრის დაწესებულებაში მიღებისას.

31.2 პატიმარმა, რომლის საკუთრებაში არსებული ნივთები ინახება დაწესებულებაში, ხელი უნდა მოაწეროს ამ ნივთების ჩამონათვალს.

31.3 ამ საკუთრების კარგ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად უნდა გატარდეს ზომები.

31.4 თუ საჭიროდ იქნა ცნობილი ასეთი საკუთრების განადგურება, ეს უნდა დაფიქსირდეს და პატიმარს ეცნობოს ამის შესახებ.

31.5 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეიძინონ ან სხვაგვარად მიიღონ საქონელი, საკვების და სასმელის ჩათვლით, საკუთარი გამოყენებისთვის, ჰიგიენის, წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით, იმ ფასებში, რომლებიც ბევრად აღაღემატება თავისუფალ საზოგადოებაში არსებულ ფასებს.

31.6 თუ პატიმარი შემოიტანს მედიკამენტებს, ექიმმა უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ მოხდეს მათი გამოყენება.

31.7 თუ პატიმრებს უფლება ეძლევათ, საკუთრებაში არსებული ნივთები თან იქონიონ, დაწესებულების ხელმძღვანელობამ ზომები უნდა მიიღოს მათ დასაცავად.

პატიმართა გადაყვანა

32.1 პატიმრების გადაყვანისას ციხეში და ციხიდან, ან სხვა ადგილას, როგორიცაა სასამართლო ან საავადმყოფო, ისინი რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ეჩვენონ საზოგადოებას. მათი ანონიმურობის დასაცავად სათანადო საშუალებები უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

32.2 პატიმართა ტრანსპორტირება საბადრაგო მანქანით, რომელსაც აღაქვს ადეკვატური ვენტილაცია ან განათება, ან რომელიც მათ ზედმეტ ფიზიკურ დისკომფორტს ან უხერხულობას უქმნის, უნდა იქნეს აკრძალული.

32.3 პატიმართა ბადრაგირება უნდა განხორციელდეს საჯარო ხელისუფლების ხარჯებით და მითითებებით.

პატიმართა გათავისუფლება

33.1 ყველა პატიმარი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობის შესახებ სასამართლო ბრძანების ვადის გასვლის შემდგომ, ან როცა სასამართლო ან სხვა ორგანო მათი გათავისუფლების შესახებ აქტს გამოსცემს.

33.2 გათავისუფლების თარიღი და დრო უნდა დაფიქსირდეს.

33.3 ყველა პატიმარს უნდა გაეწიოს შეღავათი მათი მომზადებისას გათავისუფლების შემდგომ თავისუფალ საზოგადოებაში დასაბრუნებლად.

33.4 გათავისუფლებისას ყველა ნივთი და ფული, რომელიც პატიმარს ეკუთვნის და რომელიც ჩამოერთვა შესანახად, უნდა დაუბრუნდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფულის გამოტანა ხორციელდებოდა ნებართვით ან ის გაიგზავნა დაწესებულებიდან, ან საჭიროდ იქნა მიჩნეული ზოგიერთი ნივთის განადგურება, ჰიგიენური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

33.5 პატიმარი, მისი კუთვნილი ნივთების დაბრუნებისას, ხელს აწერს ქვითარს.

33.6 როდესაც გათავისუფლება წინასწარ ორგანიზებულია, პატიმარს უნდა შესთავაზონ სამედიცინო შემოწმება 42-ე წესის მიხედვით, გათავისუფლებამდე რაც შეიძლება ახლო ხანებში.

33.7 უნდა განხორციელდეს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გათავისუფლებისას პატიმრებს საჭიროებისამებრ ჰქონდეთ სათანადო დოკუმენტები და პირადობის დამადასტურებელი საბუთები, ასევე, მათ დახმარება უნდა გაეწიოთ შესაბამისი ბინისა და სამსახურის მოძებნაში.

33.8 უნდა გატარდეს სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გათავისუფლებისას პატიმრებს გააჩნდეთ არსებობის საშუალება, კლიმატისა და სეზონის შესაბამისი ტანსაცმელი, ასევე, დანიშნულების ადგილამდე მისაღწევი სახსრები.

ქალები

34.1 გარდა სპეციფიკური დებულებებისა, რომლებიც მოცემულია ამ წესებში და ეხება ქალ პატიმრებს, სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობა, ქალთა პატიმრობის რაიმე ასპექტთან მიმართებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს ქალთა საჭიროებებს, როგორიცაა მათი ფიზიკური, პროფესიული, სოციალური და ფსიქოლოგიური საჭიროებები.

34.2 განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა გატარდეს იმ ქალ პატიმართა სპეციალური სამსახურების უზრუნველყოფისათვის, რომელთაც აქვთ 25.4 წესში მოცემული საჭიროებები.

34.3 პატიმარ ქალებს უნდა მიეცეთ საშუალება, იმშობიარონ ციხის გარეთ, მაგრამ, თუ ბავშვის დაბადება ხდება ციხეში, ხელმძღვანელობამ საჭირო დახმარება და ბაზა უნდა უზრუნველყოს.

პატიმარი არასრულწლოვნები

35.1 როცა, გამონაკლის შემთხვევებში, 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები მოთავსებული არიან მოზრდილებისთვის განკუთვნილ ციხეში, ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პატიმრისათვის გაწეული მომსახურებების გარდა, არასრულწლოვან პატიმრებს აგრეთვე გაეწიოთ სოციალური, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო მომსახურება, რელიგიური მზრუნველობა და გაჯანსაღების ღონისძიებები, ან საზოგადოებაში ბავშვთათვის არსებულ მსგავსი პროგრამების ეკვივალენტური ღონისძიებები.

35.2 ყოველ არასრულწლოვან პატიმარს, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო განათლებას, ხელი უნდა მიუწვდებოდეს ასეთ განათლებაზე.

35.3 დამატებითი დახმარება უნდა გაეწიოთ ბავშვებს, რომელთა გათავისუფლება ხდება ციხიდან.

35.4 თუ არასრულწლოვნები მოთავსებული არიან ციხეში, ისინი უნდა იმყოფებოდნენ ცალკე განყოფილებაში, რომელიც გამოყოფილია მოზრდილი პატიმრებისთვის განკუთვნილი ნაწილისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიჩნეულ იქნება, რომ ეს ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ჩვილი ბავშვები

36.1 ჩვილი ბავშვები შეიძლება დატოვებულ იქნენ მშობლებთან ციხეში მხოლოდ მაშინ, თუ ეს ბავშვის აუცილებელ ინტერესებში შედის. მათ არ უნდა მოეპყრონ როგორც პატიმრებს.

36.2 როდესაც ჩვილებს უფლება აქვთ, ციხეში მშობლებთან ერთად იმყოფებოდნენ, განსაკუთრებულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მათთვის ბაგის არსებობა. ბაგა დაკომპლექტებული უნდა იყოს კვალიფიციური მომვლელებით, სადაც ჩვილ ბავშვთა

მოთავსება მოხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი მონაწილეობს ღონისძიებებში, რომლებზეც ბავშვთა დასწრება არარის შესაძლებელი.

36.3 სპეციალური სადგომი უნდა იყოს გამოყოფილი ჩვილების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

უცხოელი მოქალაქეები

37.1 უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ, რომ აქვთ უფლება, მოითხოვონ კონტაქტი და სათანადო საშუალებები თავიანთი სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან.

37.2 პატიმრები, რომლებიც არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელსაც არ გააჩნია აღნიშნულ სახელმწიფოში დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, არიან დევნილები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, უნდა იქნენ უზრუნველყოფილი მსგავსი საკომუნიკაციო საშუალებით იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან დასაკავშირებლად, რომელიც იცავს მათ ინტერესებს, ეროვნულ ან საერთაშორისო ხელმძღვანელობასთან, რომლის ამოცანაა ასეთი კატეგორიის პირების ინტერესების დაცვა.

37.3 ციხეში მყოფი უცხოელი მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე, რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ განსაკუთრებული საჭიროებები, ციხის ადმინისტრაციამ სათანადოდ უნდა ითანამშრომლოს ამ პატიმართა დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან.

37.4 იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პატიმრებს, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან.

37.5 პატიმრებს, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, უნდა ეცნობოთ იმის შესახებ, რომ მათ აქვთ თავიანთი სასჯელების სხვა ქვეყანაში აღსრულების მოთხოვნის შესაძლებლობა.

ეთნიკური ან ენობრივი უმცირესობები

38.1 ეთნიკური ან ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სპეციალური ღონისძიებები უნდა გატარდეს.

38.2 სხვადასხვა ჯგუფების კულტურული პრაქტიკა შეძლებისდაგვარად უნდა გაგრძელდეს ციხეში.

38.3 ენასთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს კომპეტენტური თარჯიმნების მეშვეობით და კონკრეტულ ციხეში გამოყენებული სხვადასხვა ენაზე შესრულებული წერილობითი ინფორმაციის მიწოდებით.

ნაწილი III

ჯანმრთელობა

ჯანდაცვა

39. ციხის ხელმძღვანელობამ უნდა დაიცვას მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი პატიმრების ჯანმრთელობა.

ციხეში ჯანდაცვის ორგანიზაცია

40.1 ციხეში სამედიცინო სამსახური უნდა იყოს ორგანიზებული სახელმწიფოსა ან საზოგადოების ზოგადი ჯანდაცვის ადმინისტრაციასთან ახლო თანამშრომლობით.

40.2 ციხეებში ჯანდაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული და ეთავსებოდეს ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკას.

40.3 პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ქვეყანაში არსებულ ჯანდაცვის სამსახურზე, მათი სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე.

40.4 ციხეში სამედიცინო სამსახურები უნდა ცდილობდნენ, გამოიკვლიონ და უმკურნალონ ფიზიკურ და ფსიქიკურ დაავადებებს ან დეფექტებს, რომელიც პატიმრებს აწუხებს.

40.5 პატიმრებს უნდა გაეწიოთ ყველა საჭირო სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება, მათ შორის ისეთიც, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში ტარდება.

სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალი

41.1 ყოველი ციხე უნდა სარგებლობდეს მინიმუმ ერთი კვალიფიციური თერაპევტის მომსახურებით.

41.2 ღონისძიებები უნდა გატარდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვალიფიციური მედიცინის მუშაკი მუდმივად იყოს დაუყოვნე-

ბლივ ხელმისაწვდომი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში.

41.3 თუ პატიმრებს აღჰყავთ სრულ განაკვეთზე მომუშავე ექიმი, რეგულარულად უნდა დადიოდეს ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მედიცინის მუშაკი.

41.4 ყოველ ციხეს უნდა ჰყავდეს ჯანდაცვის სფეროში სათანადოდ მომზადებული სამედიცინო პერსონალი.

41.5 ყოველი პატიმრისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კვალიფიციური სტომატოლოგისა და ოკულისტის დახმარება.

ექიმის მოვალეობები

42.1 მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა, რომელიც ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე, უნდა ნახულობდეს პატიმრებს მათი მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე და ჩაუტაროს მათ სამედიცინო გამოკვლევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს აშკარად აღწარმოადგენს აუცილებლობას.

42.2 მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა, რომელიც ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე, უნდა სინჯავდეს პატიმრებს თხოვნისამებღგათავისუფლებისას, სხვა შემთხვევებში კი — საჭიროებისამებრ.

42.3 პატიმრის გასინჯვისას, მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა განსაკუთრებული გულისხმიერ ებით უნდა მოეპყროს შემდეგ საკითხებს:

ა. სამედიცინო საიდუმლოების ნორმალური წესების დაცვა;

ბ. ფიზიკური ან ფსიქიატრიული დაავადების დიაგნოზირება და მის სამკურნალოდ საჭირო ზომების მიღება, ასევე, მიმდინარე სამედიცინო მკურნალობის გაგრძელება;

გ. პატიმართა მიმართ ძალადობრივი მოპყრობის ნებისმიერი ნიშნის ან გამოვლინების დაფიქსირება და შესაბამისი ხელმძღვანელობისთვის შეტყობინება;

დ. ნარკოტიკების, მედიკამენტებისა და ალკოჰოლის გამოყენების შედეგად გამოვლენილი აბსტინენციის სიმპტომების მკურნალობა;

ე. თავისუფლების აღკვეთის ფაქტით გამოწვეული ნებისმიერი ფსიქოლოგიური ან სხვა სტრესული ნიშნების გამოვლენა;

ვ. იმ პატიმრების იზოლირება, რომელთაც სავარაუდოდ აქვთ ინფექციური ან გადამდები დაავადებები ინფექციის პერიოდის

განმავლობაში და მათთვის სათანადო მკურნალობის უზრუნველყოფა;
ზ. იმის უზრუნველყოფა, რომ აივ ინფექციით დაავადებული პატიმრების იზოლირება აღმოხდეს მხოლოდ ამ ნიშნით;
თ. იმ ფიზიკური და ფსიქიკური დეფექტების შენიშვნა, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ გათავისუფლების შემდგომი ადაპტაციის პროცესი.
ი. ყოველი პატიმრის მდგომარეობის მუშაობისა და ვარჯიშისათვის შესაბამისობის დადგენა;
კ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებების მიღწევა ნებისმიერი აუცილებელი სამედიცინო და ფსიქიატრიული მკურნალობის გაგრძელების შესახებ გათავისუფლების შემდგომ, თუ პატიმრები თანხმობას განაცხადებენ ასეთ შეთანხმებაზე.

43.1 სამედიცინო მუშაკი უნდა ზრუნავდეს პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში მიღებული სტანდარტებისა და პირობების შესაბამისი სიხშირით უნდა ნახულობდეს ავადმყოფ პატიმრებს, რომლებიც უჩივიან რაიმე დაავადებას ან დაზიანებას და ნებისმიერ პატიმარს, ვის მიმართაც განსაკუთრებული ყურადღების მიქცევაა საჭირო.

43.2 მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს იმ პატიმართა ჯანმრთელობას, რომლებიც სამარტოო პატიმრობაში იმყოფებიან. ასეთ პატიმრებს ყოველდღე უნდა ნახულობდეს, უწევდეს მათ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და მკურნალობას მათივე ან ციხის თანამშრომელთა თხოვნით.

43.3 ექიმმა უნდა აცნობოს ციხის დირექტორს, თუკი მიიჩნევს, რომ პატიმრის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა სერიოზულ რისკს ექვემდებარება პატიმრობის გაგრძელების ან მისი რომელიმე პირობის გამო, სამარტოო პატიმრობის ჩათვლით.

44. ექიმი ან სხვა კომპეტენტური პირი რეგულარულად უნდა ამოწმებდეს, აგროვებდეს ინფორმაციას სხვა სათანადო წყაროებიდან და რეკომენდაციას უწევდეს დირექტორს შემდეგზე:
ა. საკვების და წყლის რაოდენობა, ხარისხი, მომზადება და მიწოდება;
ბ. დაწესებულების და პატიმრების ჰიგიენა და სისუფთავე;
გ. სასჯელაღსრულების დაწესებულების სანიტარიული მდგომარეობა, გათბობა, განათება და ვენტილაცია;

დ. პატიმართა ტანსაცმლისა და ქვეშაგების სისუფთავე და გამოსადეგობა.

45.1 დირექტორმა უნდა განიხილოს ანგარიშები და რჩევა, რომელსაც მას წარუდგენს ექიმი და სხვა კომპეტენტური პირი, 43-ე და 44-ე წესების შესაბამისად, გაწეული რეკომენდაციების თანახმად, მიიღოს გადაუდებელი ზომები მათ განსახორციელებლად.

45.2 თუ სამედიცინო მუშაკის რეკომენდაციები აღშედის დირექტორის კომპეტენციაში, ან თუ დირექტორი მათ აღეთანხმება, მან დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს აღნიშნული რჩევები და პირადი ანგარიში ზემდგომ ორგანოს.

ჯანდაცვის უზრუნველყოფა

46.1 ავადმყოფი პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალისტის მკურნალობას, გადაყვანილ უნდა იქნენ სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში, თუკი ასეთი მკურნალობის შესაძლებლობა არარსებობს ციხეში.

46.2 თუ სასჯელაღსრულების სამსახურს გააჩნია საკუთარი სტაციონარი, ის სათანადოდ უნდა იყოს დაკომპლექტებული და აღჭურვილი პატიმართათვის შესაბამისი მზრუნველობისა და მკურნალობის გასაწევად.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

47.1 სამედიცინო კონტროლს დაქვემდებარებული სპეციალიზებული სასჯელაღსრულების დაწესებულებები ან განყოფილებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფსიქიკური დაავადების ან გადახრების მქონე იმ პატიმართა გამოსაკვლევად და სამკურნალოდ, რომლებიც მე-12 წესის დებულებებს აღექვემდებარებიან.

47.2 ციხის სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ფსიქიატრიული მკურნალობა ასეთი საჭიროების მქონე ყველა პატიმრისთვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თვითმკვლელობების (სუიციდი) თავიდან აცილებას.

სხვა საკითხები

48.1 პატიმრები არ უნდა გახდნენ ექსპერიმენტის ობიექტი მათივე თანხმობის გარეშე.

48.2 პატიმრებზე ექსპერიმენტები, რომლებიც იწვევს ფიზიკურ დაზიანებას, ფსიქიკურ აშლილობას ან ჯანმრთელობის სხვაგვაღდაზიანებას, უნდა აიკრძალოს.

ნაწილი IV

წესრიგი

ზოგადად წესრიგის საკითხების შესახებ

49. ციხეში წესრიგის შენარჩუნება უნდა მოხდეს უსაფრთხოების, უშიშროების და დისციპლინის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამავე დროს, პატიმართათვის ისეთი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს, რომლებიც ადამიანის ღირსებას პატივს სცემს, სთავაზობს მათ, 25-ე წესის შესაბამისად, ღონისძიებებით დატვირთულ პროგრამას.

50. წესრიგის, უსაფრთხოებისა და უშიშროების საჭიროებების გათვალისწინებით, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, განიხილონ საკითხები, რომლებიც შეეხება პატიმრობის ზოგად პირობებს. პატიმრებს ხელი უნდა შეეწყოთ ხელმძღვანელობასთან ამ საკითხების განხილვაში.

უშიშროება

51.1 ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისათვის.

51.2 უშიშროება, რომელიც დაცულია ფიზიკური ბარიერებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით, განმტკიცებული უნდა იყოს დინამიური უსაფრთხოების მეშვეობით, რომელსაც უზრუნველყოფს პერსონალი, რომლებიც კარგად იცნობენ მათი კონტროლის ქვეშ მყოფ პატიმრებს.

51.3 მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე უნდა მოხდეს პატიმართა შეფასება, რათა განისაზღვროს რისკები:
ა. რამდენად სახიფათონი შეიძლება იყვნენ ისინი საზოგადოებისათვის, გაქცევის შემთხვევაში;
ბ. რამდენად შეეცდებიან ისინი გაქცევას დამოუკიდებლად ან გარეშეთა დახმარებით.

51.4 ამის შედეგად, ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.

51.5 საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით, პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.

უსაფრთხოება

52.1 მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე, უნდა მოხდეს პატიმრების შეფასება, რათა განისაზღვროს, უქმნიან თუ არა საფრთხეს სხვა პატიმრების, ასევე ციხის პერსონალის, ამ დაწესებულებაში მომუშავე ან ვიზიტად მყოფი პირების უსაფრთხოებას, ან რამდენადაა მოსალოდნელი, მიმართონ თვითდაზიანებას.

52.2 უნდა არსებობდეს და მოქმედებდეს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პატიმართა, ციხის პერსონალის და ყველა ვიზიტორის უსაფრთხოებას და მინიმუმამდე შეამციროს ძალადობის რისკი ან უსაფრთხოების ხელმყოფი სხვა ინციდენტები.

52.3 ყოველნაირი ძალისხმევა უნდა გატარდეს, რათა ყველა პატიმარს საშუალება მიეცეს, უსაფრთხოდ სრული მონაწილეობა მიიღოს ყოველდღიურ ღონისძიებებში.

52.4 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაუკავშირდნენ ციხის თანამშრომლებს დღე-ღამის ნებისმიერ დროს;

52.5 ციხეების უსაფრთხოება უნდა რეგულირდებოდეს ეროვნული კანონმდებლობით.

უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებები

53.1 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

53.2 დაწესებულებაში უნდა არსებობდეს პროცედურები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს ნებისმიერი პატიმრის მიმართ უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში.

53.3 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიების ხასიათი, ხანგრძლივობა და საფუძველი, რომლის გამოც შეიძლება გამოყენებული იყოს სპეციალური ზომები, განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით.

53.4 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებების გამოყენება თითოეულ შემთხვევაში უნდა იყოს ნებადართული შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ დროის განსაზღვრული პერიოდისათვის.

53.5 ნებისმიერი გადაწყვეტილება 53.4 წესში აღნიშნული დროის გაგრძელების შესახებ დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური თანამდებობის პირის მიერ.

53.6 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებები პატიმრების

მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ინდივიდუალურად და არა ჯგუფურად.

53.7 ნებისმიერი პატიმარი, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა ასეთი სახის ღონისძიება, უნდა სარგებლობდეს საჩივრის უფლებით, რომელიც მოცემულია 70-ე წესში.

ჩხრეკა და კონტროლი

54.1 ეროვნული კანონმდებლობა დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს პროცედურებს, რომელიც უნდა გამოიყენონ დაწესებულების თანამშრომლებმა შემდეგ ადგილებში ჩხრეკის ჩატარების დროს:
ა. პატიმრის საცხოვრებელი ყველა ადგილი, სამუშაო და შეხვედრის ადგილები;
ბ. პატიმრების სხეული;
გ. მსჯავრდებულის ახლობლები და მათი საკუთრება;
დ. დაწესებულების თანამშრომლები.

54.2 სიტუაცია, რომელშიც ასეთი ჩხრეკის ჩატარება აუცილებელია, აგრეთვე, ასეთი ღონისძიების ხასიათი უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით.

54.3 დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა აითვისონ ჩხრეკის ჩატარების ის სპეციფიკა, რომელიც უზრუნველყოფს გაქცევის ნებისმიერი მცდელობის პრევენციას ან კონტრაბანდის დამალვას. იმავდროულად, დაცული უნდა იყოს იმ ადამიანების ღირსების პატივისცემა, რომლებსაც ჩხრეკა უტარდებათ.

54.4 პირები, რომელთაც ჩხრეკა უტარდებათ, არ შეიძლება მოცემულ პროცესში იყვნენ შეურაცხყოფილნი.

54.5 პირებს შეიძლება ჩხრეკა ჩაუტარდეთ მხოლოდ დაწესებულების იმავე სქესის თანამშრომლის მიერ

54.6 არ შეიძლება პატიმრების შიდა სხეულის ჩხრეკა ჩატარებული იყოს დაწესებულების თანამშრომლის მიერ.

54.7 სხეულის ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ პრაქტიკოსი ექიმის მიერ.

54.8 პატიმრები უნდა ესწრებოდნენ მათი პირადი ნივთების ჩხრეკის პროცესს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაწესებულების ადმინისტრაცია კრძალავს ამას საგამოძიებო ტექნიკის მიზეზებით ან პოტენციური საფრთხის არსებობის გამო.

54.9 უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვის ვალდებულება არ შეიძლება არღვევდეს ვიზიტორების პირად ხელშეუხებლობას.

54.10 პროფესიული ვიზიტების კონტროლთან დაკავშირებით გადაწყვეტილება — როგორიცაა დამცველი, სოციალური მუშაკი, ექიმი და ა.შ. — მიღებული უნდა იქნეს მათ პროფესიულ ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდეგ, რათა დაბალანსებული იყოს უსაფრთხოება და უშიშროება კონფიდენციალურ პროფესიულ ხელმისაწვდომობასთან.

სისხლის სამართლის დანაშაულები

55. ციხეში ჩადენილი დანაშაული გამოძიებული უნდა იქნეს იგივე პროცედურებით, როგორც ეს იქნებოდა ჩვეულებრივ საზოგადოებაში ჩადენილი დანაშაულისას. გამოძიების პროცედურები უნდა ჩატარდეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

დისციპლინა და დასჯა

56.1 დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იყოს, როგორც უკიდურესი საშუალება.

56.2 ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.

57.1 მხოლოდ ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის წესრიგს, უსაფრთხოებას და უშიშროებას, შეიძლება ჩაითვალოს როგორც დისციპლინური გადაცდომა.

57.2 ეროვნული კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს, რომ:

ა. პატიმარი დაუყოვნებლივ იყოს ინფორმირებული იმ ენაზე რომელიც გასაგებია მისთვის და დეტალურად ჰქონდეს მიწოდებული ინფორმაცია იმ დანაშაულის შესახებ, რომელშიც ბრალი ედება;

ბ. პატიმარს გააჩნდეს ადეკვატური დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დასაცავად;

გ. პატიმარი იყოს უფლებამოსილი, დაიცვას თავი თვითონ ან ადვოკატის მეშვეობით, როდესაც სამართლიანობის ინტერესები ამას მოითხოვს;

დ. პატიმარი იყოს უფლებამოსილი, მოითხოვოს დამსწრეთა ყოფნა სასამართლო მოსმენებზე და მოითხოვოს მათი დაკითხვა;

ე. პატიმარს გააჩნდეს თავისუფალი ხელმისაწვდომობა თარჯიმანზე, თუ მას აღშეუძლია გაიგოს ან ისაუბროს იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება სასამართლო მოსმენისას.

60.1 ნებისმიერი სასჯელი, რომელიც შეფარდებული აქვს მსჯავრდებულს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ, შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობასთან.

60.2 ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.

60.3 დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია: კოლექტიური და სხეულებრივი სასჯელი, დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, სხვა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა დასჯის თვალსაზრისით.

60.4 სასჯელი არ შეიძლება მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.

60.5 სასჯელის სახით კარცერში მოთავსება პატიმარს შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, რომელიც უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე.

60.6 დაუშვებელია უშიშროების ღონისძიების გამოყენება სასჯელის სახით.

61. პატიმარს, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური სასჯელი, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, მიმართოს კომპეტენტურ და დამოუკიდებელ უმაღლეს ორგანოს.

62. ციხეში მყოფი პატიმარი არ შეიძლება იყოს დაწესებულების თანამშრომელი, ან გააჩნდეს დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მიცემული სპეციალური უფლებამოსილება, რაიმე დისციპლინური დამსახურების საფუძველზე.

ერთიდაიგივე ქმედებისთვის განმეორებითი პასუხისმგებლობის დაკისრება

63. პატიმარი არ შეიძლება დაისაჯოს ორჯერ ერთსა და იმავე ქმედებისა და გადაცდომისთვის.

ძალის გამოყენება

64.1 ციხის ადმინისტრაციამ არ შეიძლება გამოიყენოს ძალა პატიმრების წინააღმდეგ, გარდა თავდაცვის ან გაქცევის მცდელობის შემთხვევებისა, აგრეთვე, აქტიური ან პასიური ფიზიკური წინააღმდეგობისას, კანონის ფარგლებში და ყოველთვის როგორც უკანასკნელი ღონისძიება.

64.2 გამოყენებული ძალის ხარისხი უნდა იყოს საჭიროების მინიმუმი და გამოყენებულ იქნეს დროის ძალზედ მცირე პერიოდში.

65. უნდა არსებობდეს დეტალური პროცედურები ძალის გამოყენების შესახებ, შემდეგი პირობების ჩათვლით:
ა. სხვადასხვა ძალა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს;
ბ. გარემოებები, რომელშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული სახეობის ძალა;
გ. ციხის თანამშრომლები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ სხვადასხვა სახის ძალა;
დ. რომელი დონის თანამდებობის პირი გასცემს ნებართვას ძალის გამოყენების წინ ძალის გამოყენებაზე და ე. ანგარიში ძალის გამოყენების შესახებ უნდა შედგეს მისი დასრულებისთანავე.

66 ციხის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ პატიმრებთან მუშაობენ, უნდა გადიოდნენ სპეციალურ წვრთნას იმ ტექნიკურ საჭიროებებში, რომელიც უზრუნველყოფს ძალის შემდგომ გამოყენებას გარკვეული შეზღუდვების მიზნით, იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არიან აგრესიულები.

67.1 სხვა სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი შეიძლება ჩაერიოს ციხის შიგნით პატიმრებთან ურთიერთობაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

67.2 ასეთი სახის ურთიერთობა უნდა იყოს რეგულირებული ციხის ადმინისტრაციისა და სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს შორის დადებული შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ურთიერთობა უკვე აღაღრეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით.

67.3 ასეთი შეთანხმება უნდა მოიცავდეს:
ა. იმ გარემოებებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, შეიძლება სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები შევიდნენ ციხეში კონკრეტული კონფლიქტის გადასაწყვეტად;
ბ. უფლებამოსილების ხარისხს, რომელიც უნდა გააჩნდეთ ასეთი სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებს მათი ციხეში ყოფნისას;
გ. სხვადასხვა სახის ძალას, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ასეთი ორგანოს წარმომადგენელმა;
დ. ის გარემოებები, რომლის არსებობისასაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული სახის ძალა;
ე. თანამდებობის პირი, რომელიც გასცემს ძალის გამოყენების ნებართვას;

ვ. ანგარიში ძალის გამოყენების შესახებ უნდა შედგეს ძალის გამოყენების დასრულებისთანავე.

უშიშროების ღონისძიებები

68.1 ჯაჭვებისა და გაზის გამოყენება უნდა აიკრძალოს;

68.2 ხელბორკილების, დამაწყნარებელი პერანგის და შეზღუდვის სხვა საშუალებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა. როდესაც აუცილებელია მისი გამოყენება, როგორც უსაფრთხოების ზომა გაქცევის საწინააღმდეგოდ, პატიმართა სასამართლოსა ან სხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურაში გადაყვანისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ციხის ადმინისტრაცია მიიღებს სხვაგვაღგადაწყვეტილებას;

ბ. ციხის დირექტორის ბრძანებით, თუ კონტროლის სხვა ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს პატიმრის დაცვას თვითდაზიანებისაგან ან პატიმრის მიერ გარშემომყოფთა დაზიანებას, აგრეთვე იმისათვის, რომ აღკვეთილ იქნეს საკუთრების დაზიანება. ასეთ შემთხვევებში, ციხის დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს ექიმს და ციხის ადმინისტრაციას.

68.3 უშიშროების ღონისძიებები არ შეიძლება გამოიყენებოდეს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს აუცილებელია.

68.4 უშიშროების ღონისძიების გამოყენების წესს უნდა განსაზღვრავდეს ეროვნული კანონმდებლობა.

იარაღი

69.1 გადაუდებელი საჭიროების შემთხვევების გარდა, ციხის თანამშრომელმა არ უნდა ატაროს სასიკვდილო იარაღი ციხის შიდა პერიმეტრზე.

69.2 ციხის პერიმეტრზე უნდა აიკრძალოს იარაღის ღიად ტარება, ხელკეტის ჩათვლით, იმ პირების მიერ, რომლებიც კონტაქტში იმყოფებიან პატიმრებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია უსაფრთხოებისა და უშიშროების მოსაზრებებით კონკრეტული ინციდენტის არსებობისას.

69.3 ციხის თანამშრომლები არ უნდა ატარებდნენ იარაღს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება.

70.1 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი შესაძლებლობა, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მიმართონ საჩივრით ან მოთხოვნით ციხის დირექტორს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს.

70.2 თუ, სავარაუდოდ, ჩანს, რომ მედიაცია ამართლებს, იგი გამოყენებული უნდა იყოს პირველ რიგში.

70.3 თუ მოთხოვნა ან საჩივარი უარყოფილი იქნა, პატიმარს უნდა განემარტოს მიზეზები და მიეცეს შესაძლებლობა, მიმართოს საჩივრით დამოუკიდებელ ორგანოს.

70.4 პატიმარი არ შეიძლება დაისაჯოს მოთხოვნით ან საჩივრით მიმართვის გამო.

70.5 შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს პატიმრის ახლობელთა საჩივრები, როდესაც მათ აქვთ საფუძველი, იფიქრონ, რომ დაირღვა პატიმრის უფლებები.

70.6 არ შეიძლება პატიმრის ადვოკატმა ან ორგანიზაციამ, რომელიც ზრუნავს პატიმრის კეთილდღეობაზე, შეიტანოს საჩივარი პატიმრის მაგივრად, მისი თანხმობის გარეშე.

70.7 პატიმრებს შეუძლიათ მოითხოვონ სამართლებრივი რჩევა საჩივრებსა და საჩივრებით მიმართვების პროცედურებთან დაკავშირებით, აგრეთვე, სამარ- თლებრივი დახმარება, როდესაც ამას მოითხოვს სამართლიანობა.

ნაწილი V

მენეჯმენტი (ციხის მართვა) და დაწესებულების თანამშრომლები

ციხე, როგორც საჯარო სამსახური

71. ციხეებს უნდა გააჩნდეთ დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა და გამოყოფილი იყვნენ საჯარისო, საპოლიციო და სხვა სისხლის სამართლის საგამოძიებო სამსახურებიდან.

72.1 ციხეები უნდა იმართებოდეს შესაბამისი ეთიკური ნორმებით, რომელიც აღიარებს ვალდებულებას, პატიმრებს მოეპყრონ ადამიანურად და პატივისცენ მის ადამიანურ ღირსებას.

72.2 ციხის თანამშრომლებმა უნდა გამოაცხადონ ციხის სისტემის გარკვეული, ზუსტი მიზანი. მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს, თუ როგორ შეიძლება იქნეს მიღწეული ეს მიზანი.

72.3 ციხის თანამშრომლების ვალდებულებები გაზრდილია და შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იყოს იმის საჭიროება, რომ დაეხმარონ პატიმრებს სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებრივ რეინტეგრაციაში, დახმარებისა და სხვა პოზიტიური პროგრამების საშუალებით.

72.4 ციხის თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ მაღალი პროფესიონალიზმის სტანდარტებით.

73. ციხის ადმინისტრაციის პრიორიტეტი უნდა იყოს, ზუსტად შეასრულოს ციხის თანამშრომლებთან დაკავშირებული წესები.

74 განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ურთიერთობების მართვას ციხის მმართველ და მათთვის დაქვემდებარებულ თანამშრომლებს შორის.

75. ციხის თანამშრომლები ყოველთვის უნდა იქცეოდნენ და ასრულებდნენ საკუთარ ვალდებულებებს ისე, რომ გავლენა მოახდინონ პატიმრებზე და იყვნენ კარგი მაგალითი, აგრეთვე, დაიმსახურონ პატივისცემა.

ციხის თანამშრომელთა შერჩევა

76. ციხის თანამშრომლები უნდა იყვნენ სათანადოდ შერჩეულნი და გაწვრთნილი, როგორც საწყის ასევე შემდგომ სტადიაზე. თანამშრომლებს უნდა გაჩნდეთ პროფესიონალი მუშაკების შესაბამისი ანაზღაურება და ჰქონდეთ ისეთი სტატუსი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება პატივს სცემს.

77. როდესაც ხდება ახალი თანამშრომლების შერჩევა, ციხის ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ინტეგრაციის, ადამიანურობის და პროფესიონალიზმის მხარეებზე, აგრეთვე, პერსონალურ შესაბამისობაზე კომპლექსური სამუშაოსათვის, რომელიც მათ უნდა შეასრულონ შემდგომში.

78. ციხის პროფესიონალი თანამშრომლები, როგორც წესი, უნდა ინიშნებოდნენ მუდმივ საწყისებზე და ჰქონდეთ საჯარო მოსამსახურის სტატუსი, შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფით. აგრეთვე, უნდა იყვნენ აქტიურნი, კარგი ქცევის, კარგი ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის და ადეკვატური განათლების მქონენი.

79.1 ციხის თანამშრომელთა ხელფასები უნდა იყოს ადეკვატური, რათა მიიზიდოს და შეინარჩუნოს შესაბამისი თანამშრომლები.

79.2 არსებული პირობები და სარგებელი უნდა ასახავდეს აღნიშნული სამსახურის, როგორც სამართალდამცავი ორგანოს, ზუსტ ბუნებას.

80. როდესაც საჭიროა ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლები, ეს კრიტერიუმი შესაბამისად უნდა იყოს გამოყენებული.

დაწესებულების თანამშრომელთა ტრენინგები

81.1 ციხის შერჩეულმა თანამშრომლებმა სამსახურის დაწყებამდე უნდა გაიარონ სპეციალური მომზადება მათ ზოგად და სპეციფიკურ ვალდებულებებში, აგრეთვე, უნდა მოეთხოვოთ, ჩააბარონ თეორიული და პრაქტიკული გამოცდები.

81.2 მენეჯმენტი ისე უნდა იყოს წარმართული, რომ თანამშრომლებმა შეძლონ საკუთარ პროფესიონალიზმზე ზრუნვა, განიმტკიცონ ცოდნა და პროფესიული დონე სხვადასხვა ტრენინგში მონაწილეობით.

81.3 ციხის თანამშრომლები, რომლებმაც, სავარაუდოდ, უნდა იმუშაონ პატიმართა სპეციფიკურ ჯგუფებთან, როგორებიც არიან უცხოელები, ქალები, არასრულწლოვანი ან გონებრივი შეზღუდულობის მქონე პატიმრები, მომზადებულ უნდა იქნენ იმ სპეციფიკურ საკითხებში, რომელიც გამომდინარეობს მათი სამუშაოს ხასიათიდან.

81.4 ციხის თანამშრომელთა ტრენინგები უნდა მოიცავდეს ინსტრუქციებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების შესახებ, განსაკუთრებით ციხის ევროპულ წესებს.

ციხის მართვა

82. ციხის თანამშრომლები უნდა შეირჩნენ და დაინიშნონ თანასწორობის პრინციპის დაცვით, მიუხედავად მათი კანის ფერისა, რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, სოციალური მდგომარეობისა, საკუთრებისა, დაბადებისა და სხვა სტატუსისა.

83. ციხის ადმინისტრაციამ ისე უნდა მართოს ციხე, რომ:
ა. უზრუნველყოფილი იყოს ციხეების მართვა საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებთან შესაბამისობაში, და
ბ. უზრუნველყოფილი იყოს კარგი დამოკიდებულება ციხეებს შო-

რის, ასევე, სხვადასხვა დონის თანამშრომელთა შორის შესაბამის ციხეში. აღნიშნული, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოფდეს ციხეებში პატიმრებზე ზრუნვას და მათ რეინტეგრაციას.

84.1 ყველა ციხეს უნდა ჰყავდეს დირექტორი, რომელსაც ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული თვისებები, შესაბამისი პროფესიული უნარები და გამოცდილება.

84.2 დირექტორი უნდა დაინიშნოს მუდმივ სამუშაო განაკვეთზე და მან უნდა მიუძღვნას საკუთარი სამუშაო საათები ოფიციალურად დაკისრებულ ვალდებულებებს.

84.3 ციხის სისტემის ხელმძღვანელობა უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა ციხეს ჰყავს დირექტორი, რომელიც შესაბამისად მუშაობს, აგრეთვე, დირექტორის მოადგილეები და სხვა ოფიციალური ხელმძღვანელობა.

84.4 თუ დირექტორს აკისრია პასუხისმგებლობა ერთზე მეტ ციხეზე, უნდა არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც ექნებათ იმავდროულად თითოეულ კონკრეტულ ციხეზე პასუხისმგებლობა.

85. უნდა გატარდეს ზომები ციხის თანამშრომლებში გენდერული ბალანსის მისაღწევად.

86. ციხის მენეჯმენტთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები განხილული უნდა იყოს ციხის თანამშრომლებთან ერთად იმ სპეციფიკურ საქმიანობებზე, რომლებსაც ისინი ასრულებენ.

87.1 ასეთი ტიპის განხილვები უნდა მოეწყოს ისე, რომ პერსონალი წაახალისოს ურთიერთთანამშრომლობაზე, აგრეთვე, სხვა ციხის თანამშრომლებთან, დაწესებულებებსა და პატიმრებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე.

87.2 ციხის დირექტორი, ციხის მმართველები და სხვა თანამშრომლები უნდა საუბრობდნენ ციხეში მოთავსებულ პატიმართა უმრავლესობის ენაზე, ან იმ ენაზე, რომელიც მათ ესმით.

88. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს პირადი/კომერციული ციხეები, ციხის ევროპული წესები უნდა მოქმედებდეს ერთპიროვნულად.

სპეციალიზირებული თანამშრომლები

89.1 რომელ ციხეშიც შესაძლებელია, უნდა არსებობდნენ სხვადასხვა სპეციალიზაციის თანამშრომლები: ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, აგრეთვე, ფიზკულტურის, სპორტის და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ინსტრუქტორები.

89.2 რომელ ციხეშიც შესაძლებელია, ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლები წახალისებულ უნდა იქნენ, რათა მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ პატიმართა აქტიურობაში.

საზოგადოებრივი ცნობიერება

90.1 ციხის სისტემის ხელმძღვანელობამ მუდმივად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას ციხის სისტემის მიზნებისა და იმ სამუშაოს შესახებ, რომელსაც ციხის თანამშრომლები ასრულებენ. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმისათვის, რათა ამაღლდეს საზოგადოებრივი ცნობიერება ციხის სისტემასთან მიმართებით და მის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

90.2 ციხის სისტემათა ხელმძღვანელობამ უნდა წაახალისოს საზოგადოების წევრები, რათა გამოიჩინონ ენთუზიაზმი და შეასრულონ გარკვეული სამუშაოები ციხეში, სადაც ეს შესაძლებელია.

კვლევა და შეფასება

91. ციხის სისტემათა ხელმძღვანელობამ მხარი უნდა დაუჭიროს ციხეებში კვლევისა და შეფასების პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება ციხის სისტემის გაძლიერების და მისი როლის ამაღლებით მიზნით დემოკრატიულ საზოგადოებაში. აგრეთვე, უნდა გააფართოვოს მისი მანდატი გამოკვლევისა და შეფასების სრულად განხორციელების მიზნით.

ნაწილი VI

ინსპექცია და მონიტორინგი

სახელმწიფო ინსპექცია

92. ციხეები მუდმივად უნდა იყვნენ ინსპექტირებული სახელმწიფო ორგანოს მიერ, რათა შეფასდეს ციხის მართვა და ადმინისტრირება საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

დამოუკიდებელი მონიტორინგი

93.1 თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და პატიმართა მოპყრობაზე უნდა ხორციელდებოდეს მონიტორინგი დამოუკიდებელი ორგანოს ან ორგანოების მიერ, რომლებიც საჯაროდ უნდა აცხადებდნენ აღმოჩენილი გარემოებების შესახებ.

93.2 ასეთი დამოუკიდებელი ორგანო ან ორგანოები უნდა წახალისდ-

ნენ და თანამშრომლობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც აგრეთვე უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ მონიტორინგის ვიზიტები ციხეებში.

ნაწილი VII

მიუსჯელი პატიმრები (ბრალდებულები)

მიუსჯელი პატიმრების სტატუსი

94.1 ციხის ევროპული წესების მიზნებისათვის, მიუსჯელი პატიმრები არიან ის პირები, რომლებიც იმყოფებიან ციხეში სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე.

94.2 სახელმწიფოს შეუძლია პატიმრები მიიჩნიოს მიუსჯელად იმ შემთხვევაშიც, თუ მათ მიმართ სააპელაციო/საკასაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება აღგამოუტანია.

მიუსჯელი პატიმრებისადმი მიდგომა

95.1 მიუსჯელი პატიმრებისთვის არსებული რეჟიმი არ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ პატიმრები შესაძლოა მომავალში გახდნენ მსჯავრდებულები.

95.2 ციხის წესების ამ ნაწილში მოცემული დებულებები წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების გარანტიებს მიუსჯელი პატიმრებისთვის.

95.3 წინასწარი პატიმრობის ციხეების ადმინისტრაციამ უნდა იხელმძღვანელოს ამ წესებით და ნება დართოს პატიმრებს, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობაში, რომლებიც მოცემულია წინამდებარე წესებში.

განთავსება

96. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ შეიძლება ამის პრაქტიკაში გატარება, მიუსჯელ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, აირჩიოს, სურს თუ არა ოთახში მარტო ცხოვრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეიძლება უკე- თესი იყოს მიუსჯელ პატიმართან ერთად მისი ცხოვრება, ან სასამართლოს მიუსჯელი პატიმრის განთავსებასთან დაკავშირებით მიღებული აქვს სპეციალური გადაწყვეტილება.

ტანსაცმელი

97.1 მიუსჯელი პატიმრები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, ატარონ

საკუთარი ტანსაცმელი, თუ ეს კონკრეტულ ციხეში ყოფნის შესაბამისია.

97.2 იმ მიუსჯელ პატიმრებს, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი ტანსაცმელი, უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ციხის ადმინისტრაციის მიერ უნიფორმით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა იყოს ისეთივე, როგორსაც ატარებენ მისჯილი პატიმრები ციხეებში.

სამართლებრივი დახმარება

98.1 მიუსჯელი პატიმრები უნდა იყვნენ სრულად ინფორმირებულნი მათი უფლების შესახებ სამართლებრივი რჩევის მიღების თაობაზე.

98.2 ყველა ციხის შენობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმისათვის, რომ მიუსჯელ პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოემზადონ დასაცავად და შეხვდნენ საკუთარ წარმომადგენლებს/იურისტებს.

კონტაქტი გარესამყაროსთან

99. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილება დროის განსაზღვრულ პერიოდზე და კონკრეტულ შემთხვევებში, მიუსჯელ პატიმრებზე:

ა. უნდა ჰქონდეთ ვიზიტები და იყვნენ უფლებამოსილნი, იკონტაქტონ საკუთარ ოჯახთან და სხვა პირებთან ისეთივე წესების დაცვით, როგორც მისჯილმა პატიმრებმა;

ბ. უნდა გააჩნდეთ დამატებითი ვიზიტები და ხელმისაწვდომობა სხვა სახის კომუნიკაციაზე.

გ. უნდა გააჩნდეთ ხელმისაწვდომობა წიგნებზე, გაზეთებსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებზე.

სამუშაო

100.1 მიუსჯელ პატიმრებს უნდა შესთავაზონ სამუშაო, მაგრამ არ შეიძლება მოეთხოვოთ მუშაობა.

100.2 თუ მიუსჯელი პატიმარი გადაწყვეტს, რომ იმუშაოს, ამ წესების 26-ე წესი უპირობოდ გამოიყენება მის მიმართ, რაც მოიცავს მისთვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას. მისჯილი პატიმრების ხელმისაწვდომობა რეჟიმებზე

101. თუ მიუსჯელი პატიმარი მოითხოვს, რომ ნება დაერთოს, ისარგებლოს იგივე რეჟიმით, რაც დადგენილია მისჯილი პატიმრებისთვის, ციხის ადმინისტრაციამ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა.

ნაწილი VIII

რეჟიმის მიზნები მისჯილი პატიმრებისთვის

102.1 იმ წესების გარდა, რომლებიც ყველა პატიმარზე ვრცელდება, მისჯილი პატიმრებისთვის რეჟიმი ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ მათ შესაძლებლობა მიეცეთ, პასუხისმგებლობა აიღონ დანაშაულის ჩადენის გარეშე ცხოვრებაზე.

102.2 პატიმრობა თავისთავად არის თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სახით და აქედან გამომდინარე, რეჟიმი მისჯილი პატიმრებისთვის არ უნდა იყოს დამამძიმებელი გარემოება, გამოწვეული პატიმრობის გამო.

რეჟიმის იმპლემენტაცია მისჯილი პატიმრებისთვის

103.1 მისჯილი პატიმრისათვის რეჟიმი უნდა იწყებოდეს იმ მომენტიდან, როდესაც იგი ციხეში მოთავსდება მისჯილის/მსჯავრდებულის სტატუსით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეჟიმი იწყება უფრო ადრე.

103.2 ასეთი ნებართვის მიღებისთანავე (დაწყებული იქნეს რეჟიმის აღსრულება), უნდა შემუშავდეს და გაიწეროს ანგარიში თითოეული პატიმრისათვის მათი პიროვნული მდგომარეობის შესახებ, შემოთავაზებული უნდა იყოს პერსონალური გეგმა თითოეული პატიმრის სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით და აგრეთვე, სტრატეგია პატიმართა გათავისუფლებისათვის მომზადებისა და მათი საზოგადოებაში დაბრუნების თაობაზე.

103.3 მისჯილი პატიმრები წახალისებულნი უნდა იყვნენ, რომ მონაწილეობა მიიღონ სასჯელის მოხდის შესახებ მათი ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში.

103.4 ასეთი გეგმა, რამდენადაც მისი პრაქტიკაში გატარება შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს:
ა. სამუშაოს;
ბ. განათლებას;
გ. სხვა აქტივობებს;
დ. გათავისუფლებისათვის მომზადებას.

103.5 სოციალური სამუშაო, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება წარმოადგენს მთლიანი გეგმის განუყოფელ ნაწილს, რომელიც შემუშავებულია თითოეული პატიმრისათვის.

103.7 პატიმრები, რომელთაც თანხმობა გამოთქვეს ასეთ სამუშაოში

მონაწილეობაზე, ჩართულნი უნდა იყვნენ სამართლიანობის აღდგენის პროგრამებში და აგრეთვე, რეპარაციის განხორციელებაში მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.

103.8 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შემუშავდეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და გრძელვადიანი პატიმრებისთვის.

მისჯილი პატიმრებისთვის სასჯელის მოხდის ორგანიზაციული ასპექტები

104.1 რამდენადაც შესაძლებელია, ცალკე ციხე ან ცალკე შენობა უნდა იქნეს გამოყენებული რეჟიმის მართვისათვის სხვადასხვა კატეგორიის პატიმრების მიმართ. ეს ამ წესების მე-17 წესის მოთხოვნასაც წარმოადგენს.

104.2 უნდა შემუშავდეს პროცედურები სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის რეგულარული გადახედვის შესახებ, სადაც შესაბამისი ანგარიშის მიღებასა და განხილვაში, აგრეთვე, შესაბამის თანამშრომელთა და პატიმართა შორის კონსულტაციებში შეძლებისდაგვარად უნდა მონაწილეობდნენ პატიმრები.

104.3 ასეთი ანგარიშებს, როგორც წესი, ამზადებენ ის თანამშრომლები, რომლებიც პირდაპირ შეხებაში არიან პატიმრებთან.

მისჯილ პატიმართა შრომა

105.1 შრომის სისტემატური პროგრამები ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ შეესაბამებოდეს მისჯილი პატიმრებისთვის სასჯელის მოხდის მიზნებს.

105.2 მისჯილ პატიმრებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ შესაბამისი საპენსიო ასაკისათვის, უნდა მოეთხოვოთ, რომ იმუშაონ მათი ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც აგრეთვე დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლის მიერ.

105.3 თუ მისჯილ პატიმრებს მოეთხოვებათ, რომ იმუშაონ, მათი სამუშაო პირობები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს და კონტროლდებოდეს ისე, როგორც ეს ხდება გარე საზოგადოებაში.

105.4 მისჯილ პატიმარს უნდა უნაზღაურდებოდეს ის სამუშაო, რომელსაც იგი ასრულებს სამუშაო საათების განმავლობაში და იმავდროულად, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში.

105.5 იმ შემთხვევაში, როდესაც მისჯილ პატიმარს თანხა უნაზღაურდება და ანგარიშზე ენახება, დანაზოგი შეიძლება გამოყენებული იქნეს რეპარაციის მიზნებისათვის, თუ ეს განსაზღვრულია სასამართლოს მიერ ან არსებობს პატიმრის თანხმობა.

მისჯილი პატიმრების განათლება

106.1 განათლების სისტემატური პროგრამები, უნარჩვევების ტრენინგების ჩათვლით, პატიმართა საერთო განათლების გაღრმავებისა და დანაშაულის გარეშე ცხოვრების წახალისების მიზნით, რეჟიმების ძირითადი ნაწილი უნდა იყოს.

106.2 უნდა მოხდეს ყველა მისჯილი პატიმრის წახალისება, რათა მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამებში.

106.3 საგანმანათლებლო პროგრამები მისჯილი პატიმრებისთვის უნდა განხორციელდეს ციხეში მათი ყოფნის პერიოდში.

მისჯილი პატიმრების გათავისუფლება

107.1 მისჯილ პატიმრებს უნდა დაეხმარონ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროცედურასა და სპეციალურ პროგრამაში, რაც მათ დაეხმარება, მოახდინონ ტრანსფორმაცია ციხეში ცხოვრებიდან სამართალმორჩილი ცხოვრებისაკენ ნორმალურ საზოგადოებაში.

107.2 იმ პატიმართა შემთხვევაში, რომლებიც დიდი ვადით რჩებიან ციხეში, მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები, რათა თანდათან განხორციელდეს მათი დაბრუნება თავისუფალ, ჩვეულებრივ საზოგადოებაში.

107.3 ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იყოს ციხეებში გათავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობით, ანდა ნაწილობრივ ან პირობით გათავისუფლებით ზედამხედველობის ქვეშ, სათანადო სოციალურ დახმარებასთან კომბინაციაში.

107.4 ციხის ადმინისტრაციამ შეიძლება მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვადასხვა სააგენტოსა და ორგანოსთან, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას და ეხმარებიან გათავისუფლებულ პატიმრებს საზოგადოებაში მათი ადგილის დამკვიდრებაში, განსაკუთრებით, საყოფაცხოვრებო და სამსახურებრივ სფეროში.

107.5 ასეთი სოციალური სამსახურების ან სააგენტოების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შევიდნენ ციხეში და დაეხმარონ მათ გათავისუფლებისათვის მომზადებაში, აგრეთვე, გათავისუფლების შემდგომი გეგმის შემუშავებაში.

ნაწილი IX

წესების განახლება/ახალი რედაქციით შემუშავება

108. ციხის ევროპული წესები შესაძლებელია განახლებულ იქნეს რეგულარულად. შენიშვნა 1. ამ რეკომენდაციების მიღებისას, მე-10 "გ" მუხლის განხორციელებასთან მიმართებით (რომელიც შეეხება მინისტრთა მოადგილეების შეხვედრების პროცედურებს), დანიის წარმომადგენელმა გააკეთა დათქმა, რითაც დანიის სახელმწიფომ უფლება დაიტოვა, თავად განსაზღვროს რეკომენდაციების დანართში მოცემული 43-ე წესის შესაბამისობა მე-2 პარაგრაფის მოთხოვნებთან. აღნიშნული განაპირობა დანიის ხელისუფლების წარმომადგენლის მოსაზრებამ იმის თაობაზე, რომ მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს პატიმართა განმარტოებით მოთავსებისას მათ ყოველდღიურ მონახულებას ექიმის მიერ, იწვევს ეთიკური თვალსაზრისით სერიოზულ შეშფოთებას სამედიცინო პერსონალის შესაძლო როლის გამო, რაც გამოიხატება პატიმართა სამარტოო პატიმრობაში დატოვებისათვის მიზანშეწონილობის დადასტურების სახით.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97)12 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ

(დამტკიცებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1997 წლის 10 სექტემბერს, მინისტრთა მოადგილეების მე-600 შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის პირობების თანახმად, დანაშაულის კონტროლისა და ეჭვმიტანილთა ან მსჯავრდებულ სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის მიზნით, ციხის პოლიტიკის საერთო პრინციპების დანერგვის კუთხით, ევროპის საბჭოს ინტერესებიდან გამომდინარე, იმავდროულად, ადამიანის უფლებათა ეფექტურად პატივისცემის ნიშნად;

აღიარებს (66)26 რეზოლუციის მნიშვნელობას ციხის თანამშრომელთა სტატუსის, შერჩევის და ტრენინგის შესახებ, ასევე (68)24 რეზოლუციას ციხის თანამშრომელთა სტატუსის, შერჩევის და თანამდებობრივი რანგის მოსაპოვებელი ტრენინგის შესახებ და ციხის ადმინისტრირებისა და პროფესიული პრაქტიკის განახლების საჭიროების გათვალისწინებით, რომელიც ამ პრაქტიკის მიღების შედეგად წარმოიშვა, სხვებთან ერთად შეიმუშავეს (87)3 რეკომენდაცია ევროპის ციხის წესების შესახებ;

ასევე, აღიარებს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების (92) 16 რეკომენდაციაში გაცხადებული საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაში ჩართული თანამშრომლების შერჩევის, ტრენინგისა და სტატუსის დადგენის პრინციპების დაწესების აუცილებლობას;

აღიარებს, რომ საზოგადოებრივი და საპატიმრო სანქციებისა და ღონისძიებების დამაკმაყოფილებლად იმპლემენტაცია საჭიროებს კვალიფიციურ, კომპეტენტურ და ერთგულ კადრებს, რათა მიღწეულ იქნეს სანქციებისა და ღონისძიებების მიზნები;

უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებრივ და საპატიმრო სანქციათა და ღონისძიებათა რამდენიმე მიზნის განხორციელება განსაკუთრებით საჭიროებს აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების მჭიდრო თანამშრომლობას ოღსექტორს შორის, შესაბამისად, ყურადღება

უნდა მიექცეს კადრების მობილურობის შესაძლებლობებსაც; ითვალისწინებს, რომ სასურველია კადრების შერჩევა განხორციელდეს მათი კვალიფიკაციისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, რაც აუცილებელია სხვადასხვა დავალების შესასრულებლად;

აქვე ამტკიცებს, რომ მათ უნდა მიეცეთ საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მუდმივად განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რათა კომპეტენტურად და ინოვაციურად შეასრულონ საკუთარი დავალებები და გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს;

ითვალისწინებს რა, რომ სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სხვადასხვა პირს შორის თანამშრომლობის ხელშესაწყობად, სამუშაო უნდა განხორციელდეს მიზნებისა და სამუშაო მეთოდების შესახებ საკუთარი ცოდნის ურთიერთგაზიარების საფუძველზე;

ითვალისწინებს, რომ სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი კადრების შერჩევა და პროფესიული განვითარება უნდა განხორციელდეს სამუშაოსადმი ერთიანი მიდგომის პრინციპების თანახმად;

მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლებს მიენიჭოთ შესაბამისი სტატუსი, რაც გულისხმობს იმ ძირითად ფუნქციებს, რომლებსაც ისინი ახორციელებენ საზოგადოების სახელით და აქვთ მუშაობის ისეთი პირობები, რომლებიც შეესაბამება მათ კვალიფიკაციას და ითვალისწინებს მათი სამუშაოს მოთხოვნებს;

აღიარებს საზოგადოებრივი და საპატიმრო სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების მიერ შესრულებული სამუშაოს ეთიკური საფუძვლების დეტალურობის მნიშვნელობას;

და წევრი სახელმწიფოების მთავრობებს აძლევს რეკომენდაციებს, რომ: - იხელმძღვანელონ იმ პრინციპებით, რომლებიც უპირატესია კადრების შერჩევის, ტრენინგის, სამუშაო პირობებისა და მობილურობის თვალსაზრისით სანქციებისა და ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით და მოცემულია ამ რეკომენდაციის I დანართში;
- შესაბამისი ქმედებების განხორციელება ეროვნული ეთიკური გაიდლაინების შესამუშავებლად იმ კადრებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სანქციებსა და ღონისძიებებს. ეს გაიდლაინები უნდა მომზადდეს ამ რეკომენდაციის II დანართში მოცემული ევროპული გაიდლაინების შესაბამისად, ან, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ეთიკური გაიდლაინების მიღებით, რომლებიც შეესაბამება ევროპულ გაიდლაინებს;
- განხორციელდეს რეკომენდაციისა და მისი განმარტებითი მემორანდუმის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელების ხელშეწყობა.

(97) 12 რეკომენდაციის I დანართი

სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების შერჩევისა და ტრენინგის პრინციპები, თანამშრომელთა მუშაობისა და მობილურობის პირობები

1. ზოგადი პრინციპები

1. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ თანამშრომელთა მოვალეობების დეტალური პოლიტიკა უნდა მომზადდეს ფორმალური დოკუმენტის ან დოკუმენტების სახით და მასში მოცემული უნდა იყოს შერჩევის, ტრენინგის, სტატუსის დადგენის ძირითადი ასპექტები, მუშაობისა და მობილურობის პირობები. პოლიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ამახვილებდეს კორპორაციული და ინდივიდუალური მოვალეობების ეთიკურ ხასიათსა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების ეროვნულ ასპექტებზე. მისი ფორმულირება უნდა მოხდეს თანამშრომლებსა და/ან პროფესიულ წარმომადგენლებთან ერთად. სამსახურის ბიუჯეტში უნდა გამოიყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები ამ პოლიტიკის განსახორციელებლად.

2. თანამშრომელთა მიმართ პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ცვლილებები, რომლებიც სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციის სფეროში ხორციელდება, უფრო ზოგადად კი, მიმდინარე ადმინისტრაციული, პროფესიული და სოციალური განვი- თარებები, ამიტომ უნდა მოხდეს პოლიტიკის პრინციპების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, შეცვლა.

3. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს დაკისრებული სხვადასხვა ვალდებულების ეფექტურად განსახორციელებლად. მათ უნდა გააჩნდეთ პიროვნული მახასიათებლები და ხასიათი, ასევე პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც აუცილებელია დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.

II. კადრების შერჩევა

4. შესაძლებელი უნდა იყოს კადრების შერჩევის პრინციპების ფართოდ გამოყენება არა მხოლოდ სამსახურში მიღების საწყის ეტაპზე, არამედ ასევე პრობაციისა და სასჯელაღსრულების სამსახურების სხვა პოზიციებისთვისაც.

5. სამსახურში მიღების ან არმიღების გადაწყვეტილებისას გამოყენებული უნდა იყოს სამუშაოს აღწერილობები, რომლებიც ნათლად და კონკრეტულად უნდა განმარტავდეს შესასრულებელი სამუშაოს მიზნებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას. ზუსტად უნდა იყოს განმარტებული ასევე დაქირავების პირობები, მათ შორის, დაწინაურების შესაძლებლობები.

6. შესაფერისი კანდიდატების მოსაზიდად, შესაბამისი განცხადება უნდა გაკეთდეს შერჩევის კრიტერიუმებისა და საჭირო კვალიფიკაციის შესახებ.

7. გარდა შესაბამისი განათლების, კარგი ხასიათისა და სათანადო გამოცდილებისა, აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ მოქნილი და სტაბილური ხასიათი, იყვნენ მოტივირებულნი, გააჩნდეთ ადამიანებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის უნარი და გააჩნდეთ სწავლის სურვილი.

8. კადრების შერჩევის პროცედურები უნდა იყოს დეტალური, ნათელი, სამართლიანი და არადისკრიმინაციული. სამსახურში აყვანა-არაყვანაზე პასუხისმგებელი ორგანო უნდა შედგებოდეს შესაბამისი გამოცდილების მქონე პირებისაგან და უნდა მუშაობდეს მიუკერძოებლად.

9. იმის მიუხედავად, თუ რა მეთოდები გამოიყენება პიროვნული მახასიათებლების შესარჩევად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზომი მექანიზმების მიუკერძოებლობა, ვალიდურობა და კანონიერება.

10. კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქალი და მამაკაცი კადრების სასურველი რაოდენობით წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა, რათა შესაძლებელი იყოს ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის საჭიროებების დაკმაყოფილება.

11. მაღალ თანამდებობებზე კადრების შერჩევა ეფუძნება პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას და მენეჯერულ პოტენციალს. ეფექტური მომსახურების ან მომსახურებების მიწოდების ინტერესებიდან გამომდინარე, მაღალი თანამდებობის კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს კარიერული ზრდის შესაძლებლობები, ასევე, ახალი მიდგომებისა და კონკრეტული უნარ- ჩვევების განვითარება. გარე შერჩევის შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულ პიროვნებას გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილება და უნარები.

12. იმ შემთხვევებში, როდესაც კადრები დაქირავებულნი არიან კონტრაქტის საფუძველზე, ან მუშაობენ მთავრობის მიერ გრანტით დაფინანსებულ სამსახურში, რომელსაც ევალება სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულება, მათი შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ პიროვნული თვისებები და ფორმალური კვალიფიკაცია მათი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების ადეკვატური იყოს.

13. უკმაყოფილების გამო სამსახურის დატოვებისა და სამუშაო ძალის ფუჭად დახარჯვის თავიდან ასაცილებლად, უნდა ჩამოყალიბდეს სოლიდური ტრენინგის ბაზა, ასევე შესაბამისი ზომები უნდა გატარდეს ახლად შერჩეული თანამშრომლების ორიენტირებისა და სამუშაოს შესახებ რეალისტური მოსაზრებების ჩამოყალიბებისათვის.

III. ტრენინგი

14. თანამშრომელთა ყველა ტრენინგზე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ დავალებებზე, რომლებსაც სამსახური სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციისას ასრულებს მათი მიზნების, შინაარსისა და მეთოდების თვალსაზრისით. სანქციებისა და ღონისძიებების აღმსრულებელმა სამსახურმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომლები ადეკვატური ტრენინგით, რაც ასევე მოიცავს შესაბამისი საერ- თაშორისო მექანიზმების ცოდნას.

15. იმ შემთხვევაში, თუკი თანამშრომელს შერჩევამდე აღგაუვლია საჭირო პროფესიული ტრენინგი, სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელმა სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ამგვარი ტრენინგის ჩატარება.

16. საწყისი ტრენინგის მიზანია ახლად დაქირავებული თანამშრომლისათვის იმ დავალებების გაცნობა, რომლებიც უნდა განხორციელდეს პროფესიული უნარ-ჩვევების გამოყენებით, ასევე, სამუშაო გარემოს, კერძოდ კი, იმ პრობლემების გაცნობა, რომლებიც შეეხება დანაშაულს და შესაბამის სოციალურ კონტექსტს. ტრენინგი ასევე წარმოდგენას უქმნის თანამშრომელს მოცემული პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესახებ და შესაბამისად, საშუალებას აძლევს, იპოვოს საკუთარი ადგილი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სამსახურში.

17. საწყისი ტრენინგის პროგრამები უნდა მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომლებიც ინდივიდუალურ დავალებებსა და ფუნქციებს უკავშირდება, ასევე, სამსახურის მოწყობასა და

ფუნქციების შესახებ ინფორმაციას. ტრენინგის ხანგრძლივობა შესაბამისი უნდა იყოს. პროგრამები უნდა მოიცავდეს ქცევის, კომუნიკაციისა და სხვა ადამიანური ურთიერთობების უნარ- ჩვევების დაკვირვებასა და ინტერპრეტაციის საკითხების შესწავლას. მათი შეცვლა უნდა განხორციელდეს სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი სამსახურის მიზნებისა და მეთოდების გათვალისწინებით. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ პროგრამებს, რომლებიც გულისხმობს კონკრეტული ფუნქციების ხასიათის შეცვლას და ნებისმიერ გარე განვითარებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ საკითხებს.

18. თავდაპირველი ტრენინგები სწავლების ეფექტური პროცედურების გამოყენებით უნდა განხორციელდეს. საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მასწავლებლების მოწვევა სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელ სამსახურში.

19. თავდაპირველი ტრენინგის პროცესი გულისხმობს მიღებული ცოდნის გადამოწმებას და ტრენინგის მონაწილეთა შეფასების საშუალებას იძლევა. მიღებული უნდა იქნეს სპეციალური ზომები, რათა შეფასებები იყოს სამართლიანი როგორც ტრენინგის პერიოდში, ასევე ტრენინგის დასასრულ.

20. უწყვეტი ტრენინგის მიზანია, თანამშრომლებს მისცეს მუდმივი განვითარების შესაძლებლობა და შესაბამისად, ხელი შეუწყოს მათი პროფესიონალიზმის ზრდას. ტრენინგის შედეგი, როგორც წესი, კონკრეტულ საგანსა ან საგნებში ეროვნული კვალიფიკაციის მიღებაა. ამგვარი ტრენინგი შესაბამის პირებთან კონსულტაციების საფუძველზე უნდა დაიგეგმოს. უწყვეტი ტრენინგი სავალდებულო უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც განსახორციელებელი განვითარებების შედეგად სამსახურს ახალი და მნიშვნელოვანი მოთხოვნები ეკისრება და ტრენინგი სწორედ ამგვარი ცვლილებების განხორციელებამდე უნდა მოეწყოს. სავალდებულო უნდა იყოს იმ შემთხვევებშიც, როდესაც ამას კონკრეტული დავალებების ასპექტები მოითხოვს. რამდენადაც შესაძლებელია, ტრენინგი უნდა მოიცავდეს საერთაშორისო დონეზე არსებული გამოცდილებების გაზიარებას, თუკი ეს ინდივიდუალური პირის განვითარებას შეუწყობს ხელს, ან როდესაც ეს რომელიმე კონკრეტულ სამსახურს ესაჭიროება.

21. უწყვეტი ტრენინგის შინაარსი, რამდენადაც შესაძლებელია, მიმართული უნდა იყოს თანამშრომელთა მიერ სამუშაოსთან დაკა-

ვშირებით გამოთქმულ საჭიროებებზე. პროცედურები, რომლებიც ამგვარი საჭიროებების გამოხატვის საშუალებას იძლევა, თანამშრომლებთან კონსულტაციის საფუძველზე უნდა მომზადდეს.

22. თუკი დაწინაურებისათვის უწყვეტი ტრენინგის კონკრეტული ფორმების გამოყენების აუცილებლობა არსებობს, სანქციებისა და ღონისძიებების აღმსრულებელმა სამსახურმა ძალისხმევა უნდა მოახმაროს ამგვარი პირების სპეციალური ტრენინგებით უზრუნველყოფას.

23. ტრენინგების ჩასატარებლად მოწვეულნი უნდა იყვნენ სპეციალისტები, რომლებიც აღმუშაობენ სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტატოღსამსახურში. ამგვარი ტრენინგი სამსახურის გარე უწყებებთან თანამშრომლობით უნდა ჩატარდეს. 24. სპეციალური ზომები უნდა გატარდეს სამუშაო საათების დაგეგმვასთან დაკავშირებით, რათა თანამშრომლებს უწყვეტ ტრენინგებზე დასწრების საშუალება მიეცეთ ჩვეულებრივი სამუშაო საათების პერიოდში.

25. მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, უწყვეტი ტრენინგი უნდა მოიცავდეს სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომლებთან ჩასატარებელ პროგრამებს, განურჩევლად მათი წოდებისა და ფუნქციებისა, რათა გაუმჯობესდეს სამსახურში სხვადასხვა კატეგორიის კადრებს შორის თანამშრომლობა. შესაბამისად, ტრენინგის პროგრამები სხვადასხვა სპეციალობის მქონე წევრებისაგან შემდგარი ჯგუფის ერთად მუშაობის სწავლებას უნდა ისახავდეს მიზნად.

26. მენეჯმენტის ტრენინგები თანამშრომლებს სხვადასხვა შინაარსისა და მეთოდების პროგრამებს უნდა სთავაზობდეს, რომელთა მიზანი იქნება ადმინისტრაციული და გუნდის ხელმძღვანელობის ინსტიტუციური განვითარება და საჭიროების შემთხვევაში, გარე რესურსების მობილიზაციის საშუალებას მოგვცემს. სხვადასხვა თემას შორის სპეციალური ადგილი უნდა დაეთმოს პასუხისმგებლობის დელეგირების საკითხს. დაკისრებული მოვალეობების შინაარსის შესაბამისი მენეჯმენტის ტრენინგი სავალდებულო უნდა იყოს როგორც მაღალი წოდების მენეჯერთათვის, ასევე მათთვის, ვისაც უშუალოდ ევალება სამმართველოების ხელმძღვანელობა.

27. უნდა განხორციელდეს ტრენინგების სისტემატიური შეფასება ტრენინგების ეფექტურობის გაზომვის მიზნით, რათა გაირკვეს, ერთი მხრივ, რა შეისწავლეს მონაწილეებმა და მეორე მხრივ, რამდენად იყენებენ მიღებულ ცოდნას სამსახურში. ამგვარი შეფასე-

ბების შედეგების საფუძველზე, საჭირო ცვლილებები უნდა განხორციელდეს ტრენინგის პროგრამებსა ან ტრენინგის შედეგების გამოყენების პირობებში.

28. რამდენადაც ტრენერთა შერჩევა მთლიანად ტრენინგის სახეობაზეა დამოკიდებული, უნდა არსებობდეს ფართო არჩევანის საშუალება. კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ პროფესიული მიდგომა, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ცოდნის გამოცდილება, ქცევის ანალიზის და სხვების მოსმენის უნარი.

29. ტრენერები იმ პროცედურების მეშვეობით უნდა შეირჩნენ, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ხარისხის ადამიანური და პროფესიული ჩვევებით, რაც აუცილებელია მათი ფუნქციების განსახორციელებლად. ამისათვის ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ყველა საჭირო ფუნქციით და საკმარისი დროით.

30. როდესაც ტრენერები სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელი სამსახურიდან არიან შერ-ეული, მათი თანამდებობები და ვალდებულებები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული. საჭიროების შემთხვევაში, ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების განახლებისათვის ისინი უნდა დაუბრუნდნენ საველე სამუშაო ადგილს. ნებისმიერი დრო, რომელიც ტრენინგის საქმიანობების განხორციელებისათვის საჭირო დროებითი დავალების შესრულებას მოხმარდა, აღიარებული უნდა იყოს კარიერული თვალსაზრისით.

31. რამდენადაც ნებისმიერი წოდების თანამშრომელთა ტრენინგი ეფექტურობის მიღწევისათვის მნიშვნელოვან ინვესტიციად უნდა ჩაითვალოს, სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელი სამსახურის ბიუჯეტიდან ადეკვატური თანხა უნდა გამოიყოს ტრენინგის ხარჯებისათვის. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებული პოლიტიკის არსებითი ცვლილება, რომელიც თანამშრომელთა ტრენინგის საჭიროებას გამოიწვევს, უნდა მოიცავდეს შესაბამისი საბიუჯეტო საჭიროებების გამოთვლებს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც სპეციალური პროექტები მზადდება ეჭვმიტანილთა ან მსჯავრდებულთათვის, რამაც შეიძლება ამ საქმიანობაში ჩართული თანამშრომლების დამატებითი ტრენინგის საჭიროება წარმოშვას.

32. ტრენინგის საქმიანობების დეცენტრალიზაციას ყოველთვის თან უნდა სდევდეს დეცენტრალიზებული ტრენინგის განმახორციელებელი ორგანოსათვის ინდივიდუალური ბიუჯეტის გამოყოფა.

33. თანამშრომლებს, რომლებიც სპეციალისტის ფუნქციებს ასრულებენ სრულ თუ ნახევარ განაკვეთზე, შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულების სამსახურში მუშაობის დაწყებამდე გაიარონ ტრენინგი, რომელიც სპეციალურად ახალ გარემოსთან შესაგუებლად და მათი კონკრეტული ფუნქციის შესასწავლადაა შემუშავებული. საჭიროების შემთხვევაში, ამ კატეგორიის თანამ- შრომლებს უნდა ჩაუტარდეთ მათი სამუშაოს სწორად შესრულებისათვის საჭირო ნებისმიერი ფორმის დამატებითი ტრენინგი.

IV. სამუშაო პირობები და მენეჯმენტის მოვალეობები

34. ეფექტურობა მოითხოვს, რომ თანამშრომლები კარგად იცნობდნენ მათი საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ამისათვის უნდა მომზადდეს პოლიტიკის განაცხადი, რომელიც მომავალში საჭიროებისამებღგანახლდება. პოლიტიკა განსაზღვრავს შესაბამისი სამსახურის ზოგად მიზნებს, პრინციპებს, ღირებულებებსა და მეთოდებს.

35. ამგვარი პოლიტიკის განაცხადის მომზადება თანამ- შრომლებთან კონსულტაციის საფუძველზე უნდა მოხდეს, რათა დაცული იყოს მათი ინტერესები და უზრუნველყოფილი იყოს პროცესში მათი ჩართულობა.

36. პოლიტიკის განაცხადი უნდა მოიცავდეს იმ სამსახურის საქმიანობებს, რომელიც პასუხს აგებს საზოგადოებრივ და საპატიმრო სანქციებსა და ღონისძიებებზე და ხაზს უსვამს თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების მნიშვნელობას. იმ შემთხვევა- ში, თუკი სამსახური ერთდროულადაა პასუხისმგებელი საზოგადოებრივ და საპატიმრო სანქციებსა და ღონისძიებებზე, მაგრამ მათი ადმინისტრირება დამოუკიდებლად ხორციელდება, უნდა მოხდეს ორი დოკუმენტის ჰარმონიზაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოს პრინციპებისა და ფასეულობების თანხვედრა.

37. პოლიტიკის განაცხადს თან უნდა ერთვოდეს გაცხადებული მიზნების მიღწევის გეგმა. მიზნები რეალური და პოტენციურად მიღწევადი უნდა იყოს. მიზნების დასახვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს თანამშრომელთა პროფესიული მოსაზრებები.

38. მიზნების მიღწევის მეთოდები მიმართული უნდა იყოს ორგანიზაციის თანამშრომელთა შემოქმედებითი უნარის გამოყენებასა

და პასუხისმგებლობის გრძნობის არსებობაზე, ყველა დონეზე. ამისათვის ყველა დონის მენეჯერმა მკაცრად უნდა შეინარჩუნოს და ხელი შეუწყოს თანამშრომელთა პროფესიული თვითმყოფადობისა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

39. პროფესიული თვითმყოფადობა იმ ორგანოს გაცნობიერებასა და ეთიკიდან მომდინარეობს, რომელიც სპეციალიზირებულია და ავითარებს ცოდნას და სამუშაო უნარ-ჩვევებს. ამიტომ ყველა რანგის და კატეგორიის თანამშრომელს მუდმივად უნდა შესთავაზონ სწავლის სხვადასხვა შესაძლებლობა, რათა გაეცნონ მოცემულ სფეროში არსებულ წინსვლებს. უფრო კონკრეტულად, პრობაციის თანამშრომლებს საშუალება უნდა მიეცეთ, გაეცნონ ციხის მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და შეეცადონ, გადალახონ ისინი. შესაბამისად, ციხის თანამშრომლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ გაეცნონ პრობაციის სამსახურის მუშაობას.

40. სამუშაო პირობები და გასამრჯელო ეფექტურ თანამშრომლებს ახლიდან შერჩევისა და გადამზადების საშუალებებს უნდა აძლევდეს, ასევე, ხელს უნდა უწყობდეს საკუთარი ფუნქციების სწორად განხორციელებასა და პროფესიული ვალდებულებების ცოდნის დახვეწაში.

41. სპეციალური ძალისხმევა უნდა მოხმარდეს იმის უზრუნველყოფას, რომ სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები იღებდნენ სათანადო სოციალურ აღიარებას.

42. ყველა დონის მენეჯმენტი უნდა მიილტვოდეს ისეთი სამუშაო პირობების პრევენციისაკენ, რომელიც ხელს უწყობს სტრესის სიმპტომების ზრდას თანამშრომლებში და ამისათვის უნდა უზრუნველყოს მათი ფიზიკური უსაფრთხოება, გონივრული სამუშაო საათების არსებობა, გადაწყვეტილების მიღების მოცულობა, თითოეულ სამუშაო სამსახურში ოპერატიული კომუნიკაციისა და ფსიქოლოგიურად მხარდამჭერი გარემოს შექმნა.

43. იმ შემთხვევაში, თუკი თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ტრავმული შემთხვევის მსხვერპლი გახდა, მას დაუყოვნებლივ უნდა გაეწიოს დახმარება. თუ საჭიროა, უნდა ჩაუტარდეს პირადი კონსულტაცია და სხვა ნებისმიერი სახის გრძელვადიანი ღონისძიება.

44. უნდა დაინერგოს თანამშრომელთა კეთილდღეობის პოლიტი-

კა, რაც თანამშრომლებს იმ პირადი პრობლემების გამკლავებაში დაეხმარება, რომლებიც გავლენას ახდენენ მის მუშაობაზე. თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრულყოფილი ინფორმაცია შეთავაზებული დახმარების ხასიათის შესახებ.

45. თანამშრომელთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს რეალური ინფორმაცია დაწინაურების შესაძლებლობების შესახებ. დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილებები ხაზს უნდა უსვამდეს იმ კომპეტენციებს, რომელიც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ქონას გულისხმობს. შეფასებისას შერჩევის პროცედურები საშუალებას უნდა იძლეოდეს სამართლიანად იქნეს გათვალისწინებული სამუშაო გამოცდილება, სამუშაოსათვის მოხმარებული ძალისხმევა და შესრულებული სამუშაოს პროფესიული ხარისხი, მათ შორის, სხვებთან მუშაობის უნარი. რეგულარული და ხშირი სამუშაოს შესრულების შეფასება განხილული უნდა იქნეს შესაბამის პირთან, რათა დაეხმაროს თანამშრომელს პოტენციალის სრულად გამოვლენასა და შესაძლო დაწინაურებისათვის მომზადებაში.

46. დაწინაურება კომპეტენციის აღიარების ერთადერთი ფორმა აღარის. უნდა მოიძებნოს და საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს აღიარების სხვა ფორმები.

47. უნდა წახალისდეს თანამშრომელთა მუშაობის შესახებ კვლევის ჩატარება. ამგვარი კვლევის მიზანი უნდა იყოს იმის დადგენა, თუ რამდენად შეიძლება მოცემული მომსახურების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება თანამშრომელთა უკეთესად შერჩევის, ტრენინგის, სამუშაოს ორგანიზებით, დაინტერესებითა და პროფესიული მხარდაჭერის გზით.

V. მობილურობა

48. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურებში და სამსახურებს შორის ეფექტური მუშაობის მხარდასაჭერად, ერთი სამსახურის თანამშრომლებს უნდა მიეცეთ მეორე სამსახურის ტრენინგებზე დასწრების შესაძლებლობა. ამგვარი შესაძლებლობა მხოლოდ მოცემული პირის თანხმობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს და არ უნდა გულისხმობდეს თანამშრომლის ფორმალური სტატუსის შეცვლას.

49. სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი სამსახურის მუშაობის გასაუმჯობესებლად, შესაძლებელი

უნდა იყოს პრობაციის სამსახურის თანამშრომელთა სტაჟირებაზე გაგზავნა ციხეში და პირიქით, ციხის თანამშრომელთა სტაჟირება პრობაციის სამსახურში. სტაჟირების ხანგრძლივობა, რომელიც არ უნდა გახდეს სხვა სამუშაოზე გადაყვანის საფუძველი, განისაზღვრება მისი მიზნის ან მიზნების შესაბამისად.

50. დროებითი სტაჟირება დამოკიდებულია მოცემული კონკრეტული პიროვნების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის ქონაზე. საბიუჯეტო შეზღუდვები არ უნდა გახდეს იმ პიროვნების სტაჟირებაზე გაგზავნის საფუძველი, რომელსაც არ გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია. სპეციალური ზომები უნდა გატარდეს შესაფერისი კანდიდატის შესარჩევად. ნებისმიერი სახის საჭირო ტრენინგი ან მომზადება სტაჟირებამდე უნდა განხორციელდეს.

51. თანამშრომლის მიერ ციხიდან პრობაციაში (ან პირიქით) სამუშაოდ მუდმივად გადასვლის საკითხი განხილული უნდა იქნეს ამგვარი ქმედების მარეგულირებელი სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად.

(97)12 რეკომენდაციის II დანართი

ევროპული სახელმძღვანელო სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელი თანამშრომლებისათვის განკუთვნილი ეროვნული ეთიკური სახელმძღვანელოსათვის

1. ზოგადი ეთიკური მოთხოვნები

1. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები ერთგულად და კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ სახელმწიფო მექანიზმებით დაკისრებულ მოვალეობებს. იგივე წესი ვრცელდება სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელი სამსახურის პოლიტიკის, პრაქტიკისა და ინსტრუქციების თავსებადობაზე სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან, რამდენადაც ჯერჯერობით ისინი აშკარად განსხვავდება გამოყენებული იურიდიული მექანიზმებისაგან.

2. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სამსახური ვალდებულია, განუმარტოს თანამშრომლებს სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციისას გამოყენებული

ეთიკური მოთხოვნები, რათა ყველა დონეზე განხორციელებული სამუშაო ეფუძნებოდეს ეთიკის დაცვის პრინციპებს. სამსახური უნდა ცდილობდეს, მოახდინოს პრევენცია ან, სადაც საჭიროა, შესაფერისი პროცედურებისა და მითითებების გზით გადაჭრას ეთიკასთან დაკავშირებული ეჭვები, რომლებიც თანამშრომლებს გააჩნიათ პოლიტიკის, პრაქტიკის ან ინსტრუქციების შესახებ.

3. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების ქცევა სამსახურსა და მის გარეთ უნდა შეესაბამებოდეს სამსახურის მიერ დადგენილ პოლიტიკას, პრინციპებსა და ინსტრუქციებს, რათა უარყოფითად აღაისახოს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე და აღშეურაცხყოს მისი ღირსება. თანამშრომელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობს ზედამხედველს ნებისმიერი ქცევის ან ქმედების შესახებ, რომელსაც შესაძლოა სამსახურისათვის საზიანო შედეგი ჰქონდეს.

4. თანამშრომელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქცევისაგან, რომელმაც შეიძლება წარმოშვას ეჭვი, რომ სამსახურისათვის გამოყოფილი ფული ან სხვა რესურსი არასაჭიროებისამებღარის გახარჯული.

5. როდესაც საჭიროა ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უფლებამოსილი მიმღები ორგანოსათვის, თანამშრომელს ეკისრება ეთიკური ვალდებულება, უზრუნველყოს მიწოდებული ინფორმაციის ობიექტურობა, გულახდილობა და ყოვლისმომცველობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ინფორმაცია უკავშირდება სამართალდამრღვევის მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებას.

6. კოლეგებს შორის ურთიერთობისას, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპები უპირატესი უნდა იყოს, რაც ხელს შეუწყობს იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი და უსაფრთხო იქნება როგორც თანამშრომლების, ასევე ეჭვმიტანილებისა ან მსჯავრდებულებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლები მზად უნდა იყვნენ, რომ დაეხმარონ ერთმანეთს სამუშაოს შესრულებისას, განსაკუთრებით ძალადობის ან სხვა სტრესული შემთხვევების დროს.

7. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები პატივს უნდა სცემდნენ კოლეგების უფლებებს, განურჩევლად მათი რასისა, ეთნიკური თუ ნაციონალური წარმო-

მავლობისა, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ასაკის, სქესის, სექსუალური მიდრეკილებების, ფიზიკური ან გონებრივი მდგომარეობისა. მათ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ მონაწილეობა რაიმე ფორმით განხორციელებულ ძალადობასა ან დისკრიმინაციაში, ასევე, არ უნდა ჰქონდეთ მცდელობა, გაამართლონ მსგავსი ქმედება.

8. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები სათანადო პატივისცემით უნდა იღებდნენ განსხვავებულ აზრს, რათა თავიდან აიცილონ სხვათა შეურაცხყოფა და უზრუნველყონ პატივისცემა. მათ არ უნდა გააკრიტიკონ საკუთარი კოლეგები ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის, მათი ნებისმიერი ოჯახის წევრის ან ნაცნობის წინაშე.

9. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები კეთილსინდისიერად და გამჭვირვალედ უნდა ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობებს სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სამსახურში მომუშავე თანამშრომლების ან ორგანოების და საზოგადოების წინაშე, რათა ხელი შეუწყონ სამსახურისა და მისი თანამშრომლების მიმართ რწმენის ჩამოყალიბებას.

10. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სამსახურს ეკისრება ეთიკური ვალდებულება, უზრუნველყოს თანამშრომელთა სრული ინფორმირება მედიასთან მათი ურთიერთობის ხასიათზე, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლებასთან, მასზე დაფუძნებულ ნებისმიერ პოლიტიკასა ან ინსტრუქციებთან. როდესაც თანამშრომლები განცხადებას აკეთებენ მედიასთან, ისინი უნდა მოქმედებდნენ კანონის, პოლიტიკის ან ინსტრუქციების შესაბამისად. ასეთ შემთხვევებში, მათ უნდა გამოავლინონ გულწრფელობა, ობიექტურობა და გულახდილობა.

2. ეჭვმიტანილებსა ან მსჯავრდებულებთან დაკავშირებული ეთიკური მოთხოვნები

11. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული ან საერთაშორისო იურიდიული მექანიზმებით განსაზღვრული ცალკეული პირის და ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის უფლებების პატივისცემას. ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის პატივისცემა ასევე გულისხმობს მისი ოჯახის წევრებისა და ნათესავების პატივისცემას.

12. ეჭვმიტანილებსა ან მსჯავრდებულებთან მუშაობისას, თანამშრომლები ერთგულად უნდა ემსახურებოდნენ სანქციების და ღონისძიებების აღსრულებას მათი სამსახურის პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაბამისად.

13. თანამშრომლებმა თავი უნდა შეიკავონ ეჭვმიტანილი ან მსჯავრდებული სამართალდამრღვევის წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმის ფიზიკური ან გონებრივი არასათანადო მოპყრობის განხორციელებისაგან და ყველა ღონე უნდა იხმარონ სხვათა მხრიდან მსგავსი ქცევის შესაჩერებლად.

14. თანამშრომლებმა თავი უნდა შეიკავონ სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებისას ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისაგან და ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა აღდაუშვან დისკრიმინაციული ქმედების ჩადენა სხვა პირების ან ორგანოების მხრიდან.

15. თანამშრომლებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც პროვოცირებას უწევს ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის ბრალდებას. პირიქით, თანამშრომლები უნდა ცდილობდნენ, უბიძგონ ეჭვმიტანილსა ან მსჯავრდებულს დადებითი ქმედებისაკენ საკუთარი კონსტრუქციული დამოკიდებულებების, სიტყვებისა და ქმედებების მაგალითით.

16. თანამშრომელს, რომელიც უშუალოდ მუშაობს ეჭვმიტანილსა ან მსჯავრდებულთან, ეკისრება ეთიკური ვალდებულება, მიაწოდოს ინფორმაცია მათი მოვალეობებისა და უფლებების შესახებ, დაკისრებულ სანქციებსა და ღონისძიებებთან მიმართებით, ასევე იმ დახმარების ფორმების შესახებ, რომლებიც შეუძლია გაუწიოს კანონმორჩილი ქცევის განსახორციელებლად.

17. ინფორმაცია ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის, მისი მდგომარეობის, ასევე, მისი ოჯახის შესახებ დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობის შესახებ არსებული საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული პირობების შესაბამისად.

18. დაუშვებელია თანამშრომლის მიერ ნებისმიერ პირობებში რაიმე ტიპის ქრთამის მიღება ან კორუფციულ საქმიანობებში მონაწილეობა ეჭვმიტანილთან, ბრალდებულსა ანდა მისი ოჯახის წევრებთან. მან ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა აღდაუშვას ამგვარი ქმედების ჩადენა სხვა თანამშრომლების მხრიდან.

19. თანამშრომლებმა უნდა დაამყარონ და შეინარჩუნონ პროფესიული ურთიერთობები ეჭვმიტანილსა ან მსჯავრდებულთან და მისი

ოჯახის წევრებთან. იმ შემთხვევაში, თუკი ეჭვი ეპარება სამართალდამრღვევსა და მისი ოჯახის წევრებთან მისი ურთიერთობის მართებულობაში, უნდა მოითხოვოს შესაბამისი რჩევა. თანამშრომელმა, რომელსაც ეკისრება ზედამხედველობის ფუნქცია, უყოყმანოდ უნდა განახორციელოს შესაბამისი ქმედება დაქვემდებარებულსა და სამართალდამრღვევს ანდა მისი ოჯახის წევრებს შორის საეჭვო ურთიერთობის შემ თხვევაში. ტერმინოლოგია

20. ტერმინი "სანქციები და ღონისძიებები" გულისხმობს როგორც საპატიმრო, ასევე საზოგადოებრივ სანქციებსა და ღონისძიებებს. (92) 16 რეკომენდაცია- ში მოცემული განმარტების თანახმად, საზოგადოებრივი სანქციები და ღონისძიებები უზრუნველყოფს სამართალდამრღვევის საზოგადოებაში ყოფნას და მისი თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვას შესაბამისი პირობებისა და/ან ვალდებულებების დაკისრებით, რომლებსაც კანონით ამ მიზნისათვის განსაზღვრული ორგანოები ახორციელებენ. "ღონისძიებები" არის ის ზომები, რომლებიც გამოიყენება გაცხადებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული სანქციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ან მის ნაცვლად, ასევე, საპატიმრო დაწესებულების გარეთ თავისუფლების შეზღუდვის შესახებ მსჯავრის აღსრულებისათვის.

21. "სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები" გულისხმობს სამსახურის თანამშრომლებს, რომელთაც სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციის ოპერაციული ან მენეჯერული ვალდებულებები აქვთ, როგორც ეს ზემოთაა განსაზღვრული (ჩვეულებრივ, ციხისა და პრობაციის თანამშრომლები).

22. ტექსტში გამოყენებულია ტერმინი "ეჭვმიტანილი (სამართალდამრღვევები)", რამდენადაც სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სამსახური შესაძლოა ასევე პასუხისმგებელი იყოს სასამართლო განხილვამდე განხორციელებულ ღონისძიებებზე. ამის მაგალითი შეიძლება იყოს დაცვის ქვეშ დაბრუნება, საკონტაქტო პირის სასამართლო განხილვაზე წარდგენა ან, მოცემულ კონკრეტულ პირობებში და კონკრეტული უსაფრთხოების მიზნით, მოპყრობის დაგეგმვის დაწყება. 4. რამდენადაც II დანართი აწესებს ეთიკურ პრინციპებს და არა წესებს, გამოყენებულია ტერმინი "უნდა" (ფრანგულად ტერმინი "Devoir"). ეს კი გულისხმობს, რომ პრინციპებს უპირატესი ეთიკური ძალა გააჩნია.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)5 წევრი ქვეყნებისადმი ციხის თანამშრომლების ეთიკის ევროპული კოდექსის შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2012 წლის 12 აპრილს მინისტრის მოადგილეების 1140-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის დებულებების შესაბამისად, შეიხსენებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მეტ ერთობას მიაღწიოს მის წევრებს შორის;

მხედველობაში იღებს რა, რომ ევროპის საბჭოს ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენს კანონის უზენაესობის დამკვიდრება, რაც ყველა ნამდვილი დემოკრატიის საფუძველია;

სთვლის რა, რომ სისხლის სამართლის წარმოების სისტემა მთავაღროლს ასრულებს კანონის უზენაესობის უზრუნველყოფაში, ხოლო ციხის თანამშრომლებს ამ სისტემაში არსებითი როლი ეკისრებათ;

მხედველობაში იღებს რა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ითვალისწინებს რა ასევე წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ ჩატარებულ მუშაობას, კერძოდ კი მის მიერ საერთო ანგარიშებში ჩამოყალიბებულ სტანდარტებს;

კვლავ ადასტურებს რა, რომ არავის არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება, გარდა იმ შემთხვევისა როცა ეს არის გარდაუვალი ზომა და მიიღება კანონით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით;

ხაზს უსვამს რა, რომ საპატიმრო სასჯელის სისრულეში მოყვანა და პატიმრებთან მოპყრობა საჭიროებს უსაფრთხოების მოთხოვნათა გათვალისწინებას და წესრიგის დაცვას; ამავე დროს ციხეებში ისეთი პირობების შექმნას, რომ აღიბღალებოდეს ადამიანური ღირსება და უზრუნველყოფილი იყოს პატიმრებისთვის პროფესიული საქმიანობა და პროგრამები, რომლებიც მათ მოამზადებს საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის;

სთვლის რა მნიშვნელოვნად, რომ ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებ-

მა განაგრძონ ციხეებთან მიმართებაში საკუთარი პოლიტიკის ზოგადი პრინციპების მუდმივი გადახედვა და სრულყოფა;

მიაჩნია რა, ამასთანავე, რომ ამ ზოგადი პრინციპების დაცვა ხელს შეუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას ამ სფეროში;

სთვლის რა, რომ ციხის სამსახურის მრავალი მიზნის მიღწევა დამოკიდებულია საზოგადოების მონაწილეობასა და თანამშრომლობაზე და რომ ციხის სამსახურის ეფექტიანობა დამოკიდებულია საზოგადოების მხარდაჭერაზე;

აღნიშნავს რა სერიოზულ სოციალურ ცვლილებებს, რომლებმაც გავლენა იქონიეს ბოლო ორი ათწლეულის მნიშვნელოვან მოვლენებზე ევროპის პენიტენციალური სისტემაში;

კიდევ ერთხელ იწონებს რა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში მოცემულ, პენიტენციალურ სისტემასთან და პრაქტიკასთან დაკავშირებულ სტანდარტებს, და კერძოდ:

- რეკომენდაცია (89)12 ციხეში განათლების შესახებ;
- რეკომენდაცია (93)6 ციხეში ინფექციური დაავადებების, მათ შორის შიდს-ის, და ჯანრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების კონტროლის კრიმინოლოგიური ასპექტების შესახებ;
- რეკომენდაცია (97)12 სანქციებისა და ზომების აღმასრულებელი კადრების შესახებ
- რეკომენდაცია (98)7 ციხეში ჯანმრთელობის დაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ;
- რეკომენდაცია (99)22 ციხეების გადავსებისა და ციხის მაცხოვრებელთა რაოდენობის ზრდის შესახებ
- რეკომენდაცია (2003)22 ციხიდან პირობითი განთავისუფლების შესახებ;
- რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ სამუდამო პატიმრობამისჯილი და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მიმართ დამოკიდებულების შესახებ;
- რეკომენდაცია (2006)2 ევროპული პენიტენციალური წესების შესახებ;
- რეკომენდაცია (2006)13 პატიმრობის ზომის გამოყენების, მისი პირობებისა და ძალადობის საწინააღმდეგო გარანტიების შესახებ;
- რეკომენდაცია (2008)11 სანქციებსა და ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების მიმართ ევროპული წესების შესახებ;

მხედველობაში იღებს რა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა გაეროს ქცევის კოდექსს, პატიმრებისადმი მოპყრო-

ბის გაეროს სტანდარტული წესების მინიმუმს, და ქალი პატიმრების მიმართ მოპყრობის გაეროს სტანდარტული წესების მინიმუმს, და სამართალდამრღვევი ქალების მიმართ არასაპატიმრო ზომების გამოყენების (ბანგკოკის წსები) წესებს;

ითვალისწინებს რა, რომ აუცილებელია ერთიანი ევროპული პრინციპებისა და ძირითადი მიმართულებების რეკომენდირება საერთო მიზნების მისაღწევად, ციხის პერსონალის ეფექტიანი საქმიანობისა და მათი ანგარიშვალდებულების განსახორციელებლად, რაც მოემსახურება დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და მათი უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, როგორც ამას მოითხოვს კანონის უზენაესობის პრინციპი.

რეკომენდაციას იძლევა, რომ წევრი ქვეყნების მთავრობებმა, მათი ქვეყნების კანონმდებლობებში, პრაქტიკასა და პენიტენციალური სისტემის თანამშრომელთა ქცევის კოდექსებში იხელმძღვანელონ პენიტენციალური დაწესებულებების თანამშრომელთა ევროპული კოდექსის სამოდელო ტექსტში ჩამოყალიბებული პრინციპებით, რომლებიც თან ერთვის ამ რეკომენდაციებს და განიხილება ევროპულ პენიტენციალურ წესებთან ერთობლიობაში;

ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ წევრი ქვეყნების მთავრობებმა რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ ეს ტექსტი და მის საფუძველზე შექმნილი ეთიკის კოდექსი და გააკონტროლონ მისი შესრულება შესაბამისი დაწესებულებების მიერ.

(2012)5 რეკომენდაციის დანართი

I კოდექსის მოქმედების სფეროს განსაზღვრა

მოცემული კოდექსი ვრცელდება პენიტენციალური სისტემის იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე მომსახურე პერსონალზე.

მოცემულ კოდექსში ტერმინი "ციხე" გამოიყენება იმ დაწესებულებების აღსანიშნავად, რომლებიც განკუთვნილია სასამართლო ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული, ან გასამართლების შედეგად თავისუფლებააღკვეთილი პირების განსათავსებლად.

მოცემულ კოდექსში არაფერი არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს ის გამორიცხავს ადამიანის უფლებების შესახებ ნებისმიერი საერთაშორისო დოკუმენტის და სტანდარტების, განსაკუთრებით კი ევროპული პენიტენციალური წესების, ან სხვა სპეციალიზირებული პერსონალისათვის განკუთვნილი პროფესიული ეთიკის კოდექსების გამოყენებას.

II. ციხის პერსონალის ამოცანები

დემოკარტიულ საზოგადოებაში, სადაც კანონის უზენაესობა სუფევს ციხის პერსონალის მთავარი მიზანია:

საკუთარი მოვალეობების შესრულება ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

პიროვნების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა, როგორც ამას მოითხოვს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;

პატიმრებისთვის უსაფრთხოებისა და ისეთი პირობების უზრუნველყოფა, რომლებიც პასუხობს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების, კერძოდ კი ევროპული პენიტენციალური წესების მოთხოვნებს;[1]

საზოგდოების დანაშაულებრივი ქმედებისაგან დაცულობის უფლების პატივისცემა და დაცვა;

განთავისუფლების შემდეგ პატიმართა სოციალური ინტეგრაციის მიმართულებით მუშაობა, პატიმრებისთვის ციხეში ყოფნის პერიოდის სასარგებლოდ გამოყენების საშუალების მიცემა.

III ციხის პერსონალი და სისხლის სამართლის სისტემა

პატიმრებთან მიმართებაში ციხის პერსონალს უნდა ეკისრებოდეს პოლიციისაგან, ჯარისაგან, პროკურატურისაგან და სასამართლო ორგანოებისაგან განსხვავებული როლი და მოვალეობები.

ციხის პერსონალი სათანადოდ უნდა თანამშრომლობდეს სისხლის სამართლის სისტემის შესაბამის უწყებებთან, მათ შორის პრობაციის სამსახურებთან, თუ ისინი არსებობს.

IV. ციხის პერსონალის ქცევის ძირითადი მიმართულებები

ა. ანგარიშვალდებულება

ციხის პერსონალი, ყველა დონეზე, პირადად აგებს პასუხს და თავის თავზე იღებს საკუთარი ქმედების, უმოქმედობის ან ქვეშევრდომთათვის გაცემული ბრძანებების შედეგებზე პასუხისმგებლობას; ვალდებულია ყოველთვის წინასწარ გადაამონმოს განზრახული ქმედების კანონიერება.

1 წევრი ქვეყნების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 პენიტენციალური წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრის მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე).

ბ. კეთილსინდისიერება

ციხის პერსონალი ვალდებულია ატარებდეს და ჰქადაგებდეს პირადი პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების მაღალ სტანდარტებს

ციხის პერსონალი უნდა ცდილობდეს დაამყაროს დადებითი პროფესიული ურთიერთობები პატიმრებთან და მათი ოჯახის წევრებთან.

ციხის პერსონალმა არ უნდა დაუშვას, რომ მისი პირადი, ფინანსური ან სხვა ინტერესები ეწინააღმდეგებოდეს მის თანამდებობრივ ინტერესებს.

ციხის პერსონალი ვალდებულია წინ აღუდგეს კორუფციის ყველა ფორმას ციხის სამსახურის შიგნით. ვალდებულია აცნობოს უშუალო ხელმძღვანელობას და სხვა შესაბამის ორგანოებს ციხის შიგნით კორუფციის ნებისმიერი ფაქტის შესახებ.

ციხის პერსონალი ვალდებულია შეასრულოს უშუალო უფროსის ყველა კანონიერი და სწორად გაფორმებული მითითება; ამავე დროს ევალება თავი შეიკავოს ისეთი მითითებების შესრულებისაგან, რომლებიც აშკარა და სერიოზულ კანონდარღვევას წარმოადგენს და მოსალოდნელი სანქციების წინაშე შიშის გარეშე განაცხადოს ასეთი მითითებების მიღების შესახებ.

გ. ადამიანური ღირსების პატივისცემა და დაცვა

ციხის პერსონალი ვალდებულია ყოველთვის პატივი სცეს და დაიცვას ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის უფლება.

ყოველდღიური ამოცანების შესრულებისას ციხის პერსონალი ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის ღირსება, მხარი დაუჭიროს და დაიცვას ყველა ადამიანის უფლებები.

ციხის პერსონალი არ უნდა ანხორციელებდეს, აქეზებდეს ან ეგუებოდეს წამების ან სხვა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, დასჯის აქტებს ნებისმიერ გარემოებებში, მათ შორის უფროსის ბრძანებითაც.

ციხის პერსონალი პატივს უნდა სცემდეს და დაიცვას ყველა პატიმრის ფიზიკური, სექსუალური და ფსიქიური ხელშეუხებლობა, მათ შორის დაიცვას დანარჩენი პატიმრების ან ნებისმიერი სხვა პირის ხელყოფისაგან.

ციხის პერსონალი ყოველთვის ზრდილობიანად და პატივისცემით უნდა მოექცეს პატიმრებს, კოლეგებს და ყველას, ვინც ციხის კარიბჭეს გადააბიჯებს.

ციხის პერსონალმა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და მხო-

ლოდ კანონიერი მიზნების მისაღწევად შეიძლება დაარღვიოს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

ციხის პერსონალმა არ უნდა გამოიყენოს ძალა პატიმრების წინააღმდეგ, თუ ეს არარის თავდაცვის, ან ციხიდან გაქცევის მცდელობისა და კანონიერი წესრიგისადმი აქტიური ან პასიური ფიზიკური წინააღმდეგობის აღკვეთის მიზნით, და ისიც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

ციხის პერსონალი პირად ჩხრეკას უნდა ატარებდეს მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში და ამ დროს არ უნდა ამცირებდეს პატიმრებს.

ციხის პერსონალი შემზღუდავ საშუალებებს უნდა იყენებდეს მხოლოდ ევროპული პენიტენციალური წესების 68-ე წესის შესაბამისად. კერძოდ არასოდეს არ უნდა გამოიყენოს ისინი ქალების მიმართ ორსულობის, მშობიარობის და უშუალოდ მშობიარობის შემდგომ პერიოდში.

დ. მოვლა და დახმარება

ციხის პერსონალი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ცალკეული პატიმრების განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს. ამ პატიმართა რიცხვს განეკუთვნებიან არასრულწლოვნები, ქალები, უმცირესობები, უცხოეთის მოქალაქეები, ხნიერი ადამიანები და ინვალიდები, ასევე ნებისმიერი პატიმარი, რომელიც რაიმე სხვა მიზეზის გამო შეიძლება დუცველად გრძნობდეს თავს; უნდა ყველანაირად დაეხმაროს მათ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

ციხის პერსონალმა უნდა უზრუნველჰყოს პატიმრობაში აყვანილი პირების ჯანმრთელობის სრული დაცვა, კერძოდ მიიღოს დაუყოვნებელი ზომები სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად საჭიროების შემთხვევაში.

ციხის პერსონალმა უნდა უზრუნველჰყოს პატიმრობაში მყოფი ადამიანების უსაფრთხოება, ჰიგიენა და შესაბამისი კვება. ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ პატიმრობის პირობები ციხეებში აკმაყოფილებდეს შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს, კონკრეტულად კი ევროპულ პენიტენციალურ წესებს.

ციხის პერსონალმა უნდა იმუშაოს პატიმრების სოციალური რეინტეგრაციის მიმართულებით კონსტრუქციული საქმიანობის, ინდივიდუალური ურთიერთქმედებისა და დახმარების პროგრამების ფარგლებში.

ე. სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და არადისკრიმინაცია.

ციხის პერსონალი პატივს უნდა სცემდეს პლურალიზმს და მრავალფეროვნებას, აღდაუშვას დისკრიმინაცია არც ერთი პატიმრის მიმართ

სქესის, ასაკის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა თვალსაზრისის, ეროვნების, სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი ცენზის, წარმოშობის ან სხვა სტატუსის მიუხედავად, ან მის მიერ სვარაუდოდ ან ნამდვილად ჩადენილი დანაშაულის საფუძველზე. ციხის პერსონალი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს ევროპული პენიტენციალური წესების 29-ე წესის მოთხოვნებს.

ციხის პერსონალმა სრულად უნდა გაითვალისწინოს რასიზმის, ქსენოფობიის დაგმობის და მათთან ბრძოლის აუცილებლობა; გარდა ამისა გაითვალისწინოს გენდერული თავისებურებები და აღდაუშვას ნებისმიერი ფორმის სქესობრივი ხელყოფა როგორც სხვა პერსონალის ასევე პატიმრების მიმართ.

ციხის პერსონალმა საკუთარი მოვალეობები უნდა შეასრულოს სამართლიანად, ობიექტურად და თანმიმდევრულად

ციხის პერსონალმა პატივი უნდა სცეს იმ პატიმართა უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომლებიც ჯერ არ არიან გასამართლებული და მსჯავრდებული სასამართლოს მიერ.

ციხის პერსონალმა უნდა გამოიყენოს ევროპული პენიტენციალური წესებით[2] გათვალისწინებული სამართლიანი და ობიექტური დისციპლინარული პროცედურები, გარდა ამისა მათ უნდა დაიცვან პრინციპი, რომლის მიხედვითაც დისციპლინარულ დარღვევაში ეჭვმიტანილი პატიმარი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი დანაშაული აღდამტკიცდება.

3. თანამშრომლობა

ციხის პერსონალმა უნდა უზრუნველჰყოს, რომ პატიმრებმა საკუთარ ადვოკატებთან და ოჯახის წევრებთან რეგულარული და ადეკვატური კონტაქტის უფლებით ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის მთელი დროის განმავლობაში.

ციხის პერსონალმა ხელი უნდა შეუწყოს პატიმართა კეთილდღეობისათვის მოღვაწე სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი ჯგუფების თანამშრომლობას.

ციხის პერსონალმა ხელი უნდა შეუწყოს კოლეგებს შორის თანამშრომლობის, მხარდაჭერის, ურთიერთნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

2 56-63 წესები

ზ. კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა

ციხის პერსონალის ხელთ არსებული კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაცია საიდუმლოდ უნდა იყოს დაცული, თუ საკუთარი მოვალეობების შესრულების ან მართლმსაჯულების საჭიროებები სხვაგვარად აღმოითხოვს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საექიმო საიდუმლოს პრინციპის პატივისცემის ვალდებულებას.

პირადი მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება ციხის პერსონალის მიერ უნდა ხდებოდეს მონაცემთა დაცვის პრინიცპების სრული დაცვით, კერძოდ, შეზღუდული უნდა იყოს იმ ზომით, რაც აუცილებელია კანონიერი, ლეგიტიმური და კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

V. ზოგადი ნაწილი

ციხის პერსონალმა პატივი უნდა სცეს მოცემულ კოდექსს. აგრეთვე, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, თავიდან აიცილოს და ყოველმხრივ წინ აღუდგეს მის დარღვევას.

ციხის პერსონალმა, რომელსაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ადგილი ჰქონდა ან ექნება ამ კოდექსის დარღვევას, უნდა მოახსენოს თავის ზემდგომ ხელმძღვანელობას და საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამის ორგანოებს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)13 წევრი სახელმწიფოებისადმი წინასწარი პატიმრობის გამოყენების, მისი განხორციელების პირობებისა და ძალადობის საწინააღმდეგო ზომების შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 27 სექტემ-ბერს მინისტრთა მოადგილეების 974-ე სხდომაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს დებულების 15 ბ პუნქტის შესაბამისად, ანიჭებს რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას უდანაშაულობის პრეზუმფციასა და პიროვნების თავისუფლების უფლებას;

გაიაზრებს რა აუნაზღაურებელ ზიანს, რომელიც პატიმრობის გამო შეიძლება მიადგეს ადამიანს, რომელიც შემდგომში უდანაშაულოდ იქნება ცნობილი, ან განთავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხ-ისმგებლობისაგან, ასევე იმას, თუ რა დამანგრეველი გავლენა შეიძლე-ბა იქონიოს პატიმრობამ ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნებაზე;

მხედველობაში იღებს რა ადამიანის წინასწარპატიმრობაში ყოფ-ნის ფინანსურ შედეგებს სახელმწიფოსათვის, ცალკეული პირისა და მთლიანად ეკონომიკისათვის;

ეყრდნობა რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშებს, ასევე გაეროს ადამიანის უფლებათა სააგენ-ტოების აზრს;

მხედველობაში იღებს რა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას (99)22 ციხეების გადავსებისა და ციხის მოსახლეობის შემცირების შესახებ;

სცნობს რა იმის აუცილებლობას, რომ წინასწარი პატიმრობა გახ-დეს ყოველთვის გამონაკლისი და ყოველთვის გამართლებული ზომა;

მხედველობაში იღებს რა თავისუფლება აღკვეთილ ყველა პირთა ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, აგრეთვე იმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ წინასწარპატიმრობაში

მყოფ პირებს არა მარტო შეეძლოთ დაცვისათვის მომზადება და ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნება, არამედ იმყოფებოდნენ მათი უფლებრივი სტატუსის შესაბამის, უდანაშაულობის პრეზუმფციაზე დაფუძნებულ პირობებში;

ითვალისწინებს რა წინასწარი პატიმრობის ღონისძიების შესახებ საერთაშორისო ნორმების შემუშავების მნიშვნელობას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა წინასწარი პატიმრობის დანიშვნის გამამართლებელი გარემოებები, მისი დანიშვნისა და გაგრძელების პროცედურები და წინასწარპატიმრობაში ყოფნის პირობები, ასევე ამ ნორმების ეფექტიანად გამოყენების მექანიზმები ;

რეკომენდაციას აძლევს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებს გააცნონ საზოგადოებას და საკუთარ სამართალწარმოებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში იხელმძღვანელონ იმ პრინციპებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია წინამდებარე რეკომენდაციის დანართში, რომელიც სცვლის რეზოლუციას (65)11 პატიმრობაში აყვანის შესახებ და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას (80)11 წინასწარი პატიმრობის შესახებ.

რეკომენდაციის (2006)13 დანართი

წინასწარი პატიმრობის ღონისძიების გამოყენების, მისი პირობებისა და ძალადობის საწინააღმდეგო გარანტიების უზრუნველყოფის წესები

პრეამბულა

წინამდებარე წესები მიზნად ისახავს:

ა. დააწესოს მკაცრი შეზღუდვები წინასწარი პატიმრობის ღონისძიების გამოყენებისათვის;
ბ. ხელი შეუწყოს აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებას იქ, სადაც ეს შესაძლებელია;
გ. მოითხოვოს სასამართლოს უფლებამოსილება წინასწარი პატიმრობის დანიშვნასა და მისი ხანგრძლივად გამოყენებისათვის, ასევე პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისთვის;
დ. უზრუნველყოფილ იქნას, რომ დაპატიმრებული პირები იმყოფებოდნენ იმ პირობებსა და რეჟიმში, რომელიც შეესაბამება მათ უფლებრივ სტატუსს, გამომდინარეს უდანაშაულობის პრეზუმციიდან;

ე. მოითხოვოს ღირსეული პირობებისა და შესაბამისი მენეჯმენტის უზრუნველყოფა წინასწარპატიმრობაში მყოფი პირებისათვის;
ვ. გათვალისწინებულ იქნას წინამდებარე წესების შესაძლო დარღვევების თავიდან აცილების ეფექტიანი ზომები.

წინამდებარე წესები ითვალისწინებს ადამიანის ყველა უფლებასა და ძირითად თავისუფლებებს, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვაზე, სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებაზე, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემაზე.

წინამდებარე წესები გამოიყენება ყველა იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაულშია ეჭვმიტანილი, თუმცა შეიცავს განსაკუთრებულ მოთხოვნებს არასრულწლოვნებისა და სხვა განსაკუთრებული კატეგორიის პირების მიმართ მათი გამოყენების შემთხვევისათვის.

განსაზღვრებები და ძირითადი პრინციპები

განსაზღვრებები

1. [1] „წინასწარი პატიმრობა“ - ეს არის ეჭვმიტანილი პირისათვის თავისუფლების აღკვეთა სასამართლოს მიერ დანიშნული ვადით მის მიმართ განაჩენის გამოტანამდე. ის ასევე გულისხმობს თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ ვადას სამართლებრივ საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის და ექსტრადიციის ნორმების შესაბამისად და მათი კონკრეტული მოთხოვნების თანახმად. ის აღგულისხმობს დაკითხვის მიზნით პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის (ან ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს) მიერ წინასწარ, დროებით დაკავებას.
   [2] „წინასწარი პატიმრობა“ ასევე ნიშნავს პიროვნების დამნაშავედ ცნობის შემდეგ თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ ვადას, სანამ ის ელოდება განაჩენის გამოტანას ან მისი ბრალეულობის დამტკიცებას და არითვლება მსჯავრდებულად.
   [3] „წინასწარპატიმრობაში მყოფი პირები“ არიან თავისუფლებააღკვეთილი პირები, რომლებსაც ჯერ არა აქვთ მისჯილი ციხე, ან დაპატიმრებული არიან სხვა საფუძველზე.

2. [1] წინასწარი პატიმრობის სანაცვლო „ალტერნატიული ზომე-

ბი“ შეიძლება გულისხმობდეს, მაგალითად: სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებას დადგენილ დროსა და დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად; სამართალწარმოებისათვის ხელის არშეშლას და გარკვეული პროფესიული ან სხვა სახის საქმიანობისაგან თავის შეკავებას; სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა ორგანოებში ყოველდღიურ ან რეგულარულ გამოცხადებას; სასამართლოს მიერ დადგენილი ორგანოს მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნის მოთხოვნას; ელექტრონული მონიტორინგის ქვეშ ყოფნის მოთხოვნას; კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების მოთხოვნას, იქ ყოფნის ხანგრძლივობის პირობების დადგენით ან დაუდგენლად; ნებართვის გარეშე კონკრეტული ადგილების ან უბნების არმიტოვების, ან იქ არგამოჩენის მოთხოვნას; ნებართვის გარეშე კონკრეტულ პირებთან არშეხვედრის მოთხოვნას; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ჩაბარების მოთხოვნას; სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში ფინანსური ან სხვა სახის გარანტიების წარდგენის მოთხოვნას.

[2] შეძლებისდაგვარად, ალტერნატიული ზომების გამოყენება უნდა მოხდეს იმ სახელმწიფოში, სადაც ეჭვმიტანილი ცხოვრობს, თუ ეს არარის სახელმწიფო, სადაც სავარაუდოდ ჩადენილია დანაშაული.

ზოგადი პრინციპები

3. [1] როგორც უდანაშაულობის პრეზუმფციის, ისე პიროვნების თავისუფლების სასარგებლოდ პრეზუმფციის თვალსაზრისით, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის წინასწარპატიმრობაში აყვანა უფრო გამონაკლისი შემთხვევა უნდა იყოს, ვიდრე ნორმა.

   [2] კანონი არ უნდა ითვალლისწინებდეს დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის (ან ასეთი პირების კერძო კატეგორიების) წინასწარპატიმრობაში აყვანის აუცილებლობის მოთხოვნას.

   [3] ცალკეულ შემთხვევებში წინასწარი პატიმრობა უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი ზომა, მხოლოდ როცა არსებობს ამის მკაცრი აუცილებლობა; არ უნდა მოხდეს მისი გამოყენება სადამსჯელო მიზნებით.

4. უსაფუძვლო წინასწარი პატიმრობის არდაშვების მიზნით საჭიროა ალტერნატიული ზომების რაც შეიძლება მეტი სახის გათვალისწინება; ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეჭვმიტანილის ქცევის ნაკლებად შემზღუდველი ზომები.

5. წინასწარპატიმრობაში მყოფი პირებისათვის უნდა შეიქმნას მათი სამართლებრივი სტატუსის შესაფერისი პირობები; ეს გულისხმობს ისეთი სამართლებრივი შეზღუდვების შემოღებას, რომლებიც აუცილებელია სამართლიანობის აღსასრულებლად, დაწესებულების, პატიმრებისა და თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სხვა პირების უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით კი ციხის ევროპული წესებისა და მოცემული დანართის III ნაწილში ჩამოყალიბებული წესების მოთხოვნათა შესრულების მიზნით.

წინასწარი პატიმრობის ღონისძიების გამოყენება

საფუძვლები

6. ზოგადად, წინასწარი პატიმრობა უნდა შეეფარდოთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან დანაშაულში, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით.

7. პირის წინასწარპატიმრობაში აყვანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ოთხი პირობა:
ა. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;
ბ. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ განთავისუფლების შემთხვევაში ის: (I) მიიმალება, (II) ჩაიდენს მძიმე დანაშაულს (III) ხელს შეუშლის მართლმსაჯულებას ან (IV) დაემუქრება საზოგადოების უსაფრთხოებას;
გ. არარსებობს ალტერნატიული ზომების გამოყენებით „ბ“ პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევების თავიდან აცილების საშუალება;
დ. ეს არის სისხლის სამართლის წარმოების ერთ-ერთი ეტაპი.

8. [1] იმის დასადგენად, თუ რამდენად არსებობს 7ბ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები, აგრეთვე შესაძლებელია თუ არა მათი გამორიცხვა ალტერნატიული ზომების საშუალებით, საჭიროა რომ სასამართლომ, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ეჭვმიტანილის წინასწარპატიმრობაში აყვანის, ან თუ ასეთი გადაწყვეტილება უკვე არსებობს, მისი გაგრძელების შესახებ, გამოიყენოს ობიექტური კრიტერიუმები.
[2] პროკურატურამ ან გამოძიებაში მონაწილე მოსამართლემ უნდა დაადგინონ, არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი რისკი, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელია.

9. [1] რისკის არსებობის დადგენა უნდა ხდებოდეს თითოეული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:
ა. სავარაუდო დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს;
ბ. სასჯელს, რომელიც შეიძლება დაინიშნოს დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში;
გ. ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, პიროვნულ თავისებურებებს, განვლილ ცხოვრებას, პიროვნების პირად და სოციალურ გარემოებებს, კერძოდ კი მის საზოგადოებრივ კავშირებს;
დ. პიროვნების საქციელს, განსაკუთრებით იმას, თუ როგორ შეასრულა წინასწარი გამოძიების პროცესში მასზე დაკისრებული ვალდებულებები.
[2] ის ფაქტი, რომ პირი არარის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც მან სავარუდო დანაშაული ჩაიდინა, ან ის, რომ ამ ქვეყანასთან მას სხვა კავშირები არ გააჩნია, თავისთავად არ უნდა ჩაითვალოს საკმარის მიზეზად დასკვნისათვის, რომ ის თავს აარიდებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას.

10. შეძლებისდაგვარად საჭიროა დაპატიმრებისაგან თავის შეკავება იმ შემთხვევაში, თუ ეჭვმიტანილს ხელზე ჰყავს არასრულწლოვანი ბავშვები;

11. წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაშია მისაღები, რომ შესაძლებელია დროთა განმავლობაში აღმოფხვრილიყო ის მიზეზები, რომელთა გამოც აუცილებელი იყო ამ ზომის დანიშვნა და ალტერნატიული ზომების გამორიცხვა.

12. ალტერნატიული ზომების პირობების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს შესაბამისი სანქციების გამოყენება, მაგრამ არ უნდა გამოიწვიოს ავტომატურად დაპატიმრება. ამ შემთხვევაში ალტერნატიული ზომის წინასწარი პატიმრობით შეცვლას განსაკუთრებული დასაბუთება სჭირდება.

სასამართლოს უფლებამოსილება

13. წინასწარი პატიმრობის, მისი ვადის გაგრძელების ან ალტერნატიული ზომების შეფარდების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ.

14. [1] სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის (ან სხვა უფლებამოსილი პირის) მიერ დანაშაულში ეჭვმიტანილის დაკავების შემდეგ, ის დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადაყვანილი სასამართლოში გადაწყვეტილების მისაღებად იმის თაობაზე, თუ რამდენად გამართლებულია მისთვის თავისუფლების აღკვეთა, საჭიროა თუ არა მისი ვადის გაგრძელება, რამდენად აუცილებელია მისი წინასწარპატიმრობაში აყვანა ან საჭიროა ალტერნატიული ზომის გამოყენება.
[2] დროის მონაკვეთი დროებით დაკავებასა და სასამართლოში გადაყვანას შორის არ უნდა აღემატებოდეს ორმოცდარვა საათს, ხოლო ბევრშემთხვევაში უფრო ნაკლებიც საკმარისია.

15. ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული გადაუდებელი ზომების მიღების აუცილებლობამ არ შეიძლება გამოიწვიოს წინასწარ დაკავებასა და სასამართლოში, წინასწარპატიმრობაში აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით გადაყვანას შორის ინტერვალის შვიდ დღეზე მეტად გაზრდა, თუ ეს არარის გამოწვეული საქმის სასამართლო მოსმენის ჩატარების შეუძლებლობით.

16. სასამართლომ, რომელიც იღებს წინასწარპატიმრობაში აყვანის, პატიმრობის გაგრძელების ან მისი ალტერნატიული ზომით შეცვლის გადაწყვეტილებას, დაუყოვნებლივ უნდა მოისმინოს საქმე და გამოიტანოს გადაწყვეტილება.

17. [1] დაპატიმრების საფუძვლებს პერიოდულად უნდა გადახედოს სასამართლომ, რომელმაც შეიძლება მიიღოს ეჭვმიტანილის განთავისუფლების გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში თუ დაადგენს, რომ მე-6 და მე-7 ა, ბ, გ, დ წესებით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე პირობა აღარ არსებობს.
[2] საქმის გადახედვებს შორის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს, თუ მოცემული პირი აღისარგებლებს უფლებით, რომ ნებისმიერ დროს შეიტანოს განცხადება წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლების თაობაზე.
[3] დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილებების გადახედვის კონტროლი უნდა დაევალოს პროკურატურას ან საგამოძიებო ორგანოს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პროკურატურა ან საგამოძიებო ორგანო არ შეიტანენ განცხადებას წინასწარი პატიმრობის გაგრძელების შესახებ, პირი, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო ეს ზომა, ავტომატურად უნდა განთავისუფლდეს.

18. ნებისმიერ პირს, რომელიც წინასწარპატიმრობაში იმყოფება, ისევე როგორც მას, ვის მიმართაც მიღებულია წინასწარი პატიმრობის გაგრძელების ან მისი ალტერნატიული ზომით შეცვლის გადაწყვეტილება, უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და ამ უფლების თაობაზე ინფორმაციის მიღების უფლება.

19. [1] წინასწარპატიმრობაში მყოფ პირს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული უფლება დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს მისი დაპატიმრების უსამართლობის თაობაზე.
[2] ამ უფლების რეალიზაცია შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე გადაწყვეტილების პერიოდული გადახედვის საშუალებით, რა დროსაც განიხილება წინასწარპატიმრობაში მყოფი პირის განცხადების ყველა ასპექტი.

20. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოებები არ გამორიცხავს წინასწარპატიმრობაში მყოფი პირის უფლებას, რომ შეიტანოს განცხადება მისი პატიმრობის უკანონობის თაობაზე.

21. [1] სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის შეფარდების, პატიმრობის ვადის გაგრძელების ან ალტერნატიული ზომის გამოყენების თაობაზე უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო პირს, რომლის მიმართაც მიიღება გადაწყვეტილება უნდა მიეწოდოს დასაბუთებების ასლი.
[2] პირს იმავე დღეს უნდა ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ თუკი არ არსებობს ამის ხელისშემშლელი ობიექტური გარემოებები.

ვადები

22. [1] წინასწარი პატიმრობის ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება მე-6 და მე-7 წესებით გათვალისწინებული პირობები;
[2] ნებისმიერ შემთხვევაში მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს, და არ უნდა იყოს შეუსაბამო იმ სასჯელისა, რომელიც შეიძლება დაეკისროს პიროვნებას ჩადენილი დანაშაულისათვის;
[3] პატიმრობამ არავითარშემთხვევაში არ უნდა დაარღვიოს პირის უფლება, რომ დაენიშნოს სასამართლო განხილვა დადგენილ ვადებში.

23. წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადის დადგენამ არ უნდა გამორიცხოს პატიმრობის ვადის რეგულარული გადახედვა თითოეული კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით მისი შეცვლის თვალსაზრისით.

24. [1] პროკურატურის ან საგამოძიებო ორგანოს ვალდებულებაა გულდასმით ჩაატაროს გამოძიება და ყურადღება მიაქციოს იმას, რომ მუდმივად ხდებოდეს პატიმრობის ყველა საფუძვლის გადახედვა.
[2] პირველ რიგში იმ პირებს უნდა მიექცეს ყურადღება, რომლებიც უკვე იმყოფებიან პატიმრობაში.

ადვოკატის დახმარება, პირის დასწრება და თარგმანი

25. [1] გადაწყვეტილება შესაძლო დაპატიმრებისა და მისი საფუძვლების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პირს მისთვის გასაგებ ენაზე.
[2] პირს, რომლის მიმართაც შესაძლოა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე, უნდა ჰქონდეს ადვოკატის დახმარების უფლება მთელი სამართალწარმოების განმავლობაში, უნდა ჰქონდეს საკუთარ ადვოკატთან კონსულტაციის საშუალება დაცვისათვის მომზადების მიზნით. პირს უნდა აეხსნას საკუთარი უფლებები მისთვის გასაგებ ენაზე.
[3] ადვოკატის დახმარება უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ხარჯებით, თუ პირს, რომლის მიმართაც შესაძლოა პატიმრობის ზომის გამოყენება არა აქვს ამ მომსახურების საფასურის გადახდის საშუალება.
[4] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული განსაკუთრებული გარემოებები არ გამორიცხავს პირის უფლებას სამართალწარმოების პერიოდში იურიდიულ მომსახურებასა და ადვოკატის დახმარებაზე.

26. პირს, რომლის მიმართაც შესაძლოა გამოტანილ იქნეს გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის თაობაზე, ასევე მის ადვოკატს დროულად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე.

27. [1] სხვა ქვეყნის მოქალაქე პირს, რომლის მიმართაც შესაძლოა განხორციელდეს წინასწარი პატიმრობა, უფლება უნდა ჰქონდეს დროულად შეატყობინოს საკუთარი ქვეყნის კონსულს ასეთი შესაძლებლობის შესახებ, რათა მისგან მიიღოს კონსულტაცია და დახმარება.

[2] შეძლებისდაგვარად ეს უფლება უნდა გავრცელდეს იმ პირებზეც, რომლებიც ერთდროულად იმ ქვეყნის მოქალაქეებიც არიან, სადაც შესაძლოა დაპატიმრებული იყვნენ და სხვა ქვეყნისაც.

28. პირს, რომლის მიმართაც შესაძლოა განხორციელდეს წინასწარი პატიმრობა, უნდა ჰქონდეს სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება. გარკვეულ პირობებში ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია ტექნიკური ვიდეო საშუალებების გამოყენებით.

29. სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაღალხარისხიანი სათარჯიმნო მომსახურება წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს, თუ პირს არესმის და ვერ ლაპარაკობს იმ ენაზე, რომელზედაც მიმდინარეობს პროცესი.

30. პირს, რომელიც უნდა დაესწროს წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესს, უნდა მიეცეს დაბანვის, ხოლო მამაკაცს - ასევე გაპარსვის საშუალება, თუ ეს კარდინალურად არ ცვლის მის გარეგნობას.

31. ამ თავის ქვემოთ მოყვანილი წესები ასევე უნდა იყოს დაცული წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შემთხვევაში.

ოჯახისთვის შეტყობინება

32. [1] პირს, რომლის მიმართაც მიიღება დაპატიმრების (ან წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების) გადაწყვეტილება უფლება უნდა ჰქონდეს შეატყობინოს საკუთარ ოჯახს საქმის მოსმენის ჩატარების დრო და ადგილი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს ან აღუქმნის საფრთხეს ეროვნულ უსაფრთხოებას.

[2] ნებისმიერ შემთხვევაში ოჯახის წევრებთან კონტაქტის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პირმა, რომელსაც შეეფარდება წინასწარი პატიმრობა (ან პატიმრობის ვადის გაგრძელება), თუ ეს პიროვნება ქმედითუნარიანია, ან არ არსებობს ამის გამომრიცხავი სხვა გარემოებები.

წინასწარი პატიმრობის ვადის ჩათვლა სასჯელის ვადაში

33. [1] წინასწარი პატიმრობის ვადა, მიუხედავად მისი განხორციელების ადგილისა, უნდა ჩაითვალოს თავისუფლების აღკვეთის ვადაში, თუკი სასჯელი ასეთი სახით იქნება დანიშნული.

[2] ნებისმიერი სასჯელის დანიშვნისას, რომელიც არ გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული წინასწარი პატიმრობის ყველა ვადა.

[3] ადრე დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ზომის ხასიათი და ხანგრძლივობა ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნისას.

კომპენსაცია

34. [1] გათვალისწინებული უნდა იყოს კომპენსაცია იმ პირებისათვის, რომლებიც შემდგომში აღიქნებიან მსჯავრდებული იმ დანაშაულისათვის, რომლის გამოც პატიმრობაში იმყოფებოდნენ; ამ კომპენსაციით უნდა ანაზღაურდეს ფინანსური დანაკარგები, ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები და მორალური ზარალი.

[2] ზარალი არ ანაზღაურდება, თუ დადგინდა, რომ პატიმრობაში მყოფი პირი თავისი საქციელით აღვივებდა ეჭვს მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, ან თუ ეს პიროვნება გამიზნულად უშლიდა ხელს დანაშაულის გამოძიებას.

III. წინასწარპატიმრობაში ყოფნის პირობები

ზოგადი საკითხები

35. წინასწარპატიმრობაში ყოფნის პირობები, რომლებზედაც ქვემოთ ჩამოთვლილი წესები ვრცელდება, ასევე უნდა რეგულირდებოდეს ციხის ევროპული წესებით.

საპატიმრო დაწესებულების გარეთ ყოფნა

36. [1] წინასწარპატიმრობაში მყოფს შეუძლია დატოვოს საპატიმრო დაწესებულება მხოლოდ გამოძიების ჩატარების ინტერესებისათვის თუ ამის ნებართვას გასცემს სასამართლო ან პროკურატურა, ან ამის თანხმობას განაცხადებს პატიმრობაში მყოფი პირი. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ დროის შეზღუდული ვადით.

[2] დაწესებულებაში დაბრუნების შემდეგ წინასწარპატიმრობაში მყოფ პირს, მისივე თხოვნით, უმოკლეს ვადაში უნდა ჩაუტარდეს ძირეული სამედიცინო გამოკვლევა ექიმის ან, გამონაკლის შემთხვევაში, ექთნის მიერ

სამედიცინო მკურნალობის გაგრძელება

37. [1] საჭიროა, რომ წინასწარპატიმრობაში მყოფ პირს საშუალება მიეცეს გააგრძელოს სამედიცინო და სტომატოლოგიური მკურნალობა, რომელსაც იგი დაპატიმრებამდე გადიოდა, თუ ამის გადაწყვეტილებას მიიღებს საპატიმრო დაწესებულების ექიმი ან სტომატოლოგი, შეძლებისდაგვარად წინასწარპატიმრობაში მყოფი პირის მკურნალ ექიმთან ან სტომატოლოგთან კონსულტაციის შედეგად.
[2] წინასწარპატიმრობაში მყოფ პირს საშუალება უნდა მიეცეს საკუთარ ექიმთან ან სტომატოლოგთან გაიაროს კონსულტაცია და მკურნალობა, თუ ეს გამოწვეულია სამედიცინო აუცილებლობით.
[3] თუ წინასწარპატიმრობაში მყოფ პირს უარი ეთქვა საკუთარ ექიმთან ან სტომატოლოგთან კონსულტაციასა და მკურნალობაზე, აუცილებელია ასეთი უარის მიზეზების ჩამოყალიბება.
[4] ამ მკურნალობის ფასსა და ხარჯებს არ აანაზღაურებს საპატიმრო დაწესებულება.

მიმოწერა

38. ჩვეულებრივ არ უნდა არსებობდეს წინასწარპატიმრობაში მყოფი პირის მიერ მიღებული ან გაგზავნილი წერილების რაოდენობის შეზღუდვა.

ხმის მიცემა

39. წინასწარპატიმრობაში მყოფ პირს უნდა ჰქონდეს მისი პატიმრობის პერიოდში ჩატარებულ არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის საშუალება.

განათლება

40. წინასწარპატიმრობაში ყოფნამ არ უნდა გამოიწვიოს ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლების პროცესის შეწყვეტა ან განათლების გაგრძელების ხელის შეშლა.

დისციპლინა და დისციპლინარული სასჯელი

41. წინასწარპატიმრობაში მყოფი პირის მიმართ დისციპლინარულმა სასჯელმა არ უნდა გამოიწვიოს პატიმრობის ვადის გაგრძელება ან მისი დაცვის ღონისძიებების მომზადებისათვის ხელის შეშლა.

42. დისციპლინარული სასჯელის სახით სამარტოო საკანში განთავსებამ არ უნდა შეუშალოს ხელი ადვოკატთან ურთიერთობას და უნდა მისცეს ოჯახთან მინიმალური კონტაქტების საშუალება. ამან არ უნდა გამოიწვიოს პატიმრობაში მყოფის პირობების გაუარესება ლოგინის, ფიზიკური ვარჯიშის და სპორტის, ჰიგიენის და ასევე, ბეჭვდური საშუალებების ხელმისაწვდომობისა და რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებთან შეხვედრების თვალსაზრისით.

პერსონალი

43. საპატიმრო დაწესებულების პერსონალი, რომელსაც ურთიერთობა აქვს წინასწარპატიმრობაში მყოფ პირებთან ისე უნდა შეირჩეს და მომზადდეს, რომ ესმოდეს პატიმრობაში მყოფის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები და მისი პრობლემები.

გასაჩივრების პროცედურა

44. [1] წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირს უნდა ჰქონდეს გასაჩივრების საშუალება როგორც საპატიმრო დაწესებულებაში ისე მის გარეთ ყოფნისას, და ასევე, კონფიდენციალურად დაუკავშირდეს იმ ოფიციალურ პირებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ მათი საჩივრები.
[2] ეს უფლება ავსებს (ემატება) სასამართლო წესით გასაჩივრების უფლებას.
[3] საჩივრების განხილვა უნდა მოხდეს უმოკლეს ვადებში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (98)7 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ციხეში ჯანდაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების თაობაზე

(მიღებულია 1998 წლის 8 აპრილს მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა მოადგილეების 627-ე სხდომაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს დებულების მე-15 (ბ) მუხლის შესაბამისად, თვლის რა, რომ სამედიცინო პრაქტიკა საზოგადოებაში და ციხის კონტექსტში ერთსა და იმავე ეთიკურ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს;

ესმის რა, რომ პატიმართა ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა პატიმართათვის ფართო საზოგადოებაში არსებულის ექვივალენტური პრევენციული მკურნალობისა და ჯანდაცვის უზრუნველყოფას მოიცავს;

აღიარებს რა, რომ ციხის მედიცინის მუშაკი ხშირად რთული პრობლემების წინაშე დგება, რომლებიც ციხის ადმინისტრაციისა და პატიმრების ურთიერთსაწინააღმდეგო მოლოდინებიდან გამომდინარეობენ, რომელთა შედეგებიც მუშაკისგან მოითხოვენ ძალზედ მკაცრი ეთიკური პრინციპების დაცვას;

თვლის რა, რომ ციხის ექიმის, ჯანდაცვის სხვა პერსონალის, პატიმრებისა და ციხის ადმინისტრაციის ინტერესებში შედის მკაფიო ხედვის ქონა ციხეში ჯანდაცვის უფლების და ციხის ექიმის და ჯანდაცვის სხვა პერსონალის განსაკუთრებული როლის შესახებ;

თვლის რა, რომ ისეთი სპეფიციური პრობლემური სიტუაციები ციხეებში, როგორიც არის გადატვირთულობა, ინფექციური დაავადებები, წამლისადმი დამოკიდებულება, ფსიქიური აშლილობები, ძალადობა, ტუსაღობა ან სხეულის ჩხრეკა მოითხოვს სამედიცინო პრაქტიკის ჯანსაღი ეთიკური პრინციპების დაცვით გატარებას;

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ევროპის სოციალურ ქარტიასა და ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციას;

მხედველობაში იღებს რა ევროპის კონვენციას წამების და არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის თაობაზე, და რეკომენდაციებს ციხეებში ჯანდაცვის მომსახურების თაობაზე,

რომლებიც წამებისა და არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის საქმიანობის მესამე ზოგად ანგარიშშია შეჯამებული;

მიუთითებს რა ციხის ევროპული წესების თაობაზე (87)3 რეკომენდაციაზე, რომელიც ციხეებში ჰუმანურობისა და ღირსების მინიმალურ სტანდარტებს უზრუნველყოფს;

იხსენებს რა ადამიანების სამედიცინო კვლევების თაობაზე (90)3 რეკომენდაციას და (93)6 რეკომენდაციას გადამდები დაავადებების, მათ შორის შიდსის და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების ციხეში კონტროლისა და კრიმინოლოგიური ასპექტების თაობაზე, ასევე ციხეში აივ ინფექციისა და შიდსის თაობაზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 1993 წლის სახელმძღვანელო პრინციპებს;

ითვალისწინებს რა რეკომენდაციებს 1235(1994) ფსიქიატრიისა და ადამიანის უფლებების და 1257(1995) ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში დაკავების პირობების შესახებ, რომლებიც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მოამზადა;

მიუთითებს რა დაპატიმრებული პირებისა და პატიმრების წამებისაგან და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან დასჯისაგან დაცვისთვის სამედიცინო ეთიკის პრინციპებზე, რომლებიც 1982 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო;

მიუთითებს რა მედიცინის მსოფლიო ასოციაციის კონკრეტულ დეკლარაციებზე სამედიცინო ეთიკის თაობაზე, კერძოდ კი ტოკიოს დეკლარაციაზე (1975), შიმშილობის შესახებ მალტის დეკლარაციაზე (1991) და პატიმართა სხეულის დათვალიერების შესახებ განცხადებაზე (1993);

აღნიშნავს რა რიგ წევრ სახელმწიფოებში ციხის ჯანდაცვის სერვისების სტრუქტურაში, ორგანიზებასა და რეგულირებაში გატარებულ ბოლოდროინდელ რეფორმებს, კერძოდ მათი ჯანდაცვის სისტემებთან დაკავშირებით;

ითვალისწინებს რა წევრი სახელმწიფოების სხვადასხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურებს, რომლებიც რეკომენდაციების ფედარალურ და სახელმწიფო დონეებზე განხორციელებას საჭიროებენ, რეკომენდაციას უწევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს:

თავიანთი კანონმდებლობის გადახედვისას და ციხეში ჯანდაცვის მიწოდების სფეროში საქმიანობის დროს მხედველობაში მიიღონ წინამდებარე რეკომენდაციის დანართში მოცემული პრინციპები და რეკომენდაციები;

უზრუნველყონ რეკომენდაციისა და მისი განმარტებითი მემორანდუმის შეძლებისდაგვარად ფართოდ გავრცელება, ციხეში პრევენცი-

ულ მკურნალობასა და ჯანდაცვის ორგანიზებასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ყველა პირისა თუ დაწესებულებისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობით.

დანართი რეკომენდაციაზე (98)7

I. ციხეში ჯანდაცვის უფლების მთავარი მახასიათებლები

ა. ექიმის ხელმისაწვდომობა

ციხეში შესვლისას და მოგვიანებით, პატიმრობისას, ჯანმრთელობის მდგომარეობის საჭიროებიდან გამომდინარე პატიმრებს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა ქონდეთ წვდომა ექიმის ან სათანადოდ კვალიფიცირებული ექთნის მომსახურებაზე მიუხედავად დაკავების რეჟიმისა. ყველა დაკავებულმა უნდა ისარგებლოს ჯეროვანი სამედიცინო შემოწმებით საპატიმროში შესვლისთანავე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქიური აშლილობების სკრინინგს, ციხეში ფსიქოლოგიურ ადაპტაციას, ნარკოტიკული საშუალებების, მედიკამენტების ან ალკოჰოლის მოხმარების შედეგად გამოწვეულ სიმპტომებს და გადამდებ და ქრონიკულ დაავადებებს.

პატიმართა ჯანმრთელობის საჭიროებათა დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სასჯელაღსრულების მსხვილ დაწესებულებებში, პატიმართა რაოდენობისა და ბრუნვის, ასევე მათი უმრავლესობის ჯანმრთელობის მდგომარეობისდა მიხედვით, სრულ განაკვეთზე უნდა იყოს ექიმებისა და კვალიფიციური ექთნების მომსახურება ხელმისაწვდომი.

ციხის ჯანდაცვის მომსახურებამ სულ მცირე უნდა უზრუნველყოს არასტაციონარული კონსულტაციები და გადაუდებელი მკურნალობა. იმ შემთხვევაში, თუ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს ისეთ მკურნალობას, რომლის ჩატარება ციხის პირობებში შეუძლებელია, ყველა შესაძლო ნაბიჯი უნდა გადაიდგას ციხის გარეთ არსებულ ჯანდაცვის ობიექტებში მკურნალობის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით.

პატიმრებს, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან დაკავშირების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ დღე-ღამის ნებისმიერ დროს. პირველადი დახმარების გასაწევად, ციხის ტერიტორიაზე მუდმივად უნდა იმყოფებოდეს კომპეტენტური პირი. სერიოზული გადაუდებელი მდგომარეობის დროს, უნდა გააფთხილონ ექიმი, ექთნების გუნდის წევრი და ციხის ადმინისტრაცია; გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს ციხის პერსონალის აქტიურ ჩართულობასა და ხელშეწყობას.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფსიქატრიულ კონსულტაციებსა და რჩევებზე მისაწვდომობა. იმ შემთხვევაში, თუ ეს მცირე ზომის დაწესებულებებში შეუძლებელია, კონსულტაციები უნდა უზრუნველყონ საავადმყოფოს ან კერძო პრაქტიკის ფსიქიატრებმა.

კვალიფიციური სტომატოლოგის მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს თითოეული პატიმრისთვის.

ციხის ადმინისტრაციამ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს ჯანდაცვის ადგილობრივ კერძო და საჯარო დაწესებულებებთან კონტაქტებისა და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. ვინაიდან მარტივი არარის ციხის პირობებში ჯეროვანი მკურნალობის ჩატარება, რიგი პაციენტებისთვის, რომლებიც ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან მედიკამენტებზე არიან დამოკიდებული, კონსულტაციებისა და მკურნალობის მიზნითაც უნდა მოიწვიონ გარეშე კონსულტანტები, რომლებიც იმ სისტემას ეკუთვნიან, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებაში უწევს პროფესიონალურ დახმარებას დამოკიდებულ პირებს.

სპეციფიური მომსახურება უნდა გაეწიოთ ქალ პატიმრებს საჭიროების შემთხვევაში. ორსული პატიმრები სამედიცინო მონიტორინგის ქვეშ უნდა იყვნენ და მათი მდგომარეობის შესაბამის, სამოქალაქო საავადმყოფოში მშობიარობის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ.

საავადმყოფოში ბადრაგირებისას, პაციენტს, საჭიროების შემთხვევაში, თან უნდა ახლდეს ექიმი ან ექთანი.

ბ. ზრუნვის ექვივალენტურობა

ციხის ჯანდაცვის პოლიტიკა ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკაში ინტეგრირებული და მისი შესაბამისი უნდა იყოს. ციხის ჯანდაცვის სერვისებმა უნდა უზრუნველყონ სამედიცინო, ფსიქიატრიული და სტომატოლოგიური მკურნალობა და უნდა განახორციელონ ჰიგიენისა და პრევენციული მედიცინის პროგრამები ფართო საზოგადოებისთვის არსებული პირობების შესაბამისად.

ციხის ჯანდაცვის სერვისი დაკომპლექტებული უნდა იყოს კვალიფიციური სამედიცინო, საექთნო და ტექნიკური პერსონალით, ასევე შესაბამისი შენობით, აღჭურვილობითა და დანადგარებით, რომლის ხარისხიც ციხის გარეთ არსებულის იდენტური თუ არა, შესაბამისი მაინც იქნება.

ჯანდაცვაზე პასუხისმგებელი სამინისტროს როლი უნდა გაიზარდოს ციხეებში ჰიგიენისა და ჯანდაცვის, ასევე ჯანდაცვის სერვისების ორ-

განიზების ხარისხის შეფასების კუთხით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს პასუხისმგებლობები და უნდა შეიქმნას ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელ სამინისტროსა და სხვა შესაბამის სამინისტროებს შორის რგოლი, რომელიც ციხეში ჯანდაცვის ინტეგრირებული პოლიტიკის განხორციელებაზე ითანამშრომლებს.

გ. პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალურობა

სამედიცინო კონფიდენციალურობა იგივე სიმკაცრით უნდა იყოს გარანტირებული და პატივცემული, როგორც ეს დანარჩენს საზოგადოებაშია მიღებული.

თუ კანონით სხვა რამ არარის მოთხოვნილი, პატიმრებს ყოველთვის უნდა მიეცეთ უფლება ინფორმირებული თანხობა განუცხადონ ექიმს მათი სხეულის ფიზიკურ გასინჯვამდე ან სხეულის პროდუქტის ანალიზის ჩატარებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მათი დაავადება აღიძლევა საშუალებას, რომ მათ გაათვითცნობიერონ საკუთარი მდგომარეობა. თითოეული გასინჯვის მიზეზი მკაფიოდ უნდა იყოს ახსნილი პატიმრებისთვის და გაცნობიერებული მათ მიერ პატიმრებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მედიკამენტის ჩვენებებისა და მათი შესაძლო გვერდითი მოვლენების შესახებ.

ინფორმირებული თანხობა უნდა იყოს მოპოვებული ფსიქიურად დაავადებული პაციენტების შემთხვევებში და ასევე იმ შემთხვევებშიც, როცა სამედიცინო მოვალეობა და უსაფრთხოების მოთხოვნები არარის თანხვედრაში, მაგალითად მკურნალობაზე ან საკვების მიღებაზე უარის დროს.

თანხმობის თავისუფლების პრინციპიდან ნებისმიერი გადახვევა კანონს უნდა ეფუძნებოდეს და იმ პრინციპით უნდა ხორციელდებოდეს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებაშია მიღებული.

წინასწარპატიმრობაში მყოფ პირებს საკუთარ ექიმთან ან სხვა გარეშე ექიმთან საკუთარი ხარჯებით კონსულტაციის მოთხოვნის უფლება უნდა მიეცეთ.

მსჯავრდებულებს უნდა შეეძლოთ განსხვავებული სამედიცინო მოსაზრების მოთხოვნა და ციხის ექიმი ამ წინადადებას გაგებით უნდა მოეკიდოს. თუმცა, ამ მოთხოვნასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება მხოლოდ მისი პასუხისმგებლობა იქნება.

სხვა ციხეებში ნებისმიერ გადაყვანას თან უნდა ახლდეს სრულყოფილი

სამედიცინო დოკუმენტაცია. სამედიცინო დოკუმენტაციის გადაგზავნა უნდა განხორციელდეს კონფიდენციალურობის სრული დაცვით. პატიმრები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, რომ მათი სამედიცინო დოკუმენტაცია გადაიგზავნება. მათ უფლება უნდა ჰქონდეთ გაასაჩივრონ გადაყვანა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

ყველა გათავისუფლებულ პატიმარს უნდა მიეცეს მისი ჯანმრთელობის შესახებ შესაბამისი წერილობითი ინფორმაცია ოჯახის ექიმისთვის წარსადგენად.

დ. პროფესიული დამოუკიდებლობა

ციხეში მომუშავე ექიმებმა უნდა უზრუნველყონ თითოეული პატიმრის ჯანმრთელობის დაცვა იმავე სტანდარტებით, როგორებითაც უზრუნველყოფილი არიან პაციენტები საზოგადოებაში. პატიმრის ჯანმრთელობის საჭიროებები ექიმის ყურადღების მთავარი საგანი უნდა იყოს.

პატიმრებთან დაკავშირებული კლინიკური გადაწყვეტილებები და სხვა გამოკვლევები უნდა დაეფუძნოს მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმებს. სამედიცინო პერსონალი უნდა მოქმედებდეს სრული დამოუკიდებლობის პირობებში, საკუთარი კვალიფიკაციისა და კომპეტენციების ფარგლებში.

ექთნებმა და ჯანდაცვის სხვა პერსონალმა თავიანთი მოვალეობები უფროსი ექიმის პირდაპირი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა შეასრულონ, რომელმაც პარასამედიცინო პერსონალს არ უნდა დაავალოს ისეთი ფუნქციების შესრულება, რომელიც არარის კანონით ან დეონტოლოგიური კოდექსებით ნებადართული. სამედიცინო და საექთნო სერვისების ხარისხი ჯანდაცვის კვალიფიციურმა ორგანოებმა უნდა შეაფასონ.

სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში არსებულ ანაზღაურებაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

II. ციხის ექიმისა და ჯანდაცვის სხვა პერსონალის სფეციფიური როლი

ა. ზოგადი მოთხოვნები

ციხის ექიმის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევა და რჩევის მიცემა ყველა იმ პატიმრისთვის, რომელზედაც იგი კლინიკურად არის პასუხისმგებელი.

ეს ასევე უნდა გულისხმობდეს ციხის ხელმძღვანელობისთვის რჩევების მიცემას კვებასთან და პატიმრების საცხოვრებელ გარემოსთან, ასევე ჰიგიენისა და სანიტარულ პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჯანდაცვის პერსონალს უნდა შეეძლოს ჯანმრთელობის შესახებ ციხის ადმინისტრაციისა და ციხის პერსონალის ინფორმირება, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ჯანდაცვის საკითხებზე ტრენინგების ჩატარება.

ბ. ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ, პრევენცია და სწავლება

ციხეში მიყვანისთანავე თითოეულმა პატიმარმა უნდა მიიღოს ინფორმაცია მის უფლებებსა და ვალდებულებებზე, დაწესებულების შინაგანაწესზე, აგრეთვე მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ და სად უნდა მიიღოს დახმარება და რჩევა. ეს ინფორმაცია ყველა პატიმარმა უნდა გააცნობიეროს, ხოლო წერა-კითხვის უცოდინაღპატიმრებს უნდა მიეცეს სპეციალური ინსტრუქციები.

ჯანმრთელობის შესახებ საგანმანათლებო პროგრამა უნდა შემუშავდეს ყველა საპატიმროში. პატიმრებმა და ციხის ადმინისტრაციამ უნდა მიიღონ საპატიმროში მყოფთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისკენ მიმართული საინფორმაციო პაკეტები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადამდები დაავადებების ნებაყოფლობითი და ანონიმური სკრინინგის დადებითი მხარეების და ჰეპატიტის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, ტუბერკულოზის ან აივ ინფექციების შესაძლო უარყოფითი შედეგების ახსნას.

ჯანმრთელობის საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ცხოვრების ჯანმრთელი წესის წახალისებას და პატიმართათვის თავიანთი და ოჯახების ჯანმრთელობის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის მიცემას, ოჯახური ერთობის შენარჩუნებასა და დაცვას, დამოკიდებულებისა და რეციდივის რისკების შემცირებას უნდა ისახავდეს. ასეთმა მიდგომამ პატიმრებს მოტივაცია უნდა გაუზარდოს ჩაერთონ ჯანდაცვის პროგრამებში, რომლებშიც მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირეული რისკების შემცირების სტრატეგიებსა და ქცევებს ასწავლიან შესაბამისი ფორმით.

გ. პათოლოგიის განსაკუთრებული ფორმები და პრევენციული ჯანდაცვა ციხეებში

ციხეში მიღებისას სამედიცინო შემოწმების დროს აღმოჩენილი ძალადობის ნებისმიერი ნიშანი სრულად უნდა ჩაიწეროს ექიმმა პატიმრის შესაბამის განცხადებებთან და ექიმის დასკვნებთან ერთად. პატიმრის თანხმობით, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს ციხის ადმინისტრაციისთვის.

პატიმართა წინააღმდეგ პატიმრობის პერიოდში განხორციელებული ძალადობის შემთხვევების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს უნდა გადაეცეს. როგორც წესი, ასეთი მოქმედება უნდა განხორციელდეს მხოლოდ დაზარალებული პატიმრის თანხმობით.

რიგ გამონაკლის შემთხვევებში, მაგრამ აუცილებლად პროფესიული ეთიკის წესების სრული დაცვით, აუცილებლობად შეიძლება აღჩაითვალოს პატიმრის ინფორმირებული თანხმობა, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ ექიმი ჩათვლის, რომ პაციენტზე და ციხის დანარჩენ მოსახლეობაზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აძლევს მას რეალური საფრთხის შემცველ ინციდენტზე ინფორმაციის მიწოდების უფლებას. ჯანდაცვის სამსახურმა, სადაც შესაძლებელია, პერიოდული სტატისტიკური მონაცემები უნდა შეაგროვოს დაფიქსირებული დაზიანებების შესახებ ციხის ადმინისტრაციისთვის და შესაბამისი სამინისტროებისთვის გადაცემის მიზნით, მონაცემთა დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

ციხის პერსონალს შესაბამისი ტრენინგები უნდა ჩაუტარდეს ციხის მოსახლეობაში ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში მათი დაფიქსირების შესაძლებლობის მიზნით.

დ. პროფესიული ტრენინგები ციხის სამედიცინო პერსონალისთვის

ციხის ექიმები კარგად უნდა იყვენ განსწავლული ზოგად მედიცინაში და ფსიქიკურ დაავადებებში. მათი ტრენინგები უნდა შეიცავდეს პირველადი თეორიული ცოდნის მიღებას, ციხის გარემოს გაგებასა და მის გავლენას ციხეში სამედიცინო პრაქტიკაზე, მათი ცოდნისა და უნარების შეფასებას და უფროსი ექიმის მეთვალყურეობით პრაქტიკას. გარდა ამისა, მათ ადგილზევე უნდა ჩაუტარდეთ პერიოდული ტრენინგები.

შესაბამისი ტრენინგები უნდა ჩაუტარდეს სხვა კატეგორიის სამედიცინო პერსონალს და უნდა მოიცვას ცოდნა ციხის ფუნქციონირებისა და ციხის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ.

III. ციხეში ჯანდაცვის ორგანიზება რიგი გავრცელებული პრობლემის მართვაზე განსაკუთრებული აქცენტით

ა. გადამდები დაავადებები, კერძოდ: აივ ინფექცია და შიდსი, ტუბერკულოზი, ჰეპატიტი

ციხეში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციის მიზნით ჯეროვანი პროფილაქტიკური ზომების მიღებაა საჭირო.

აივ ტესტები უნდა ჩატარდეს მხოლოდ პატიმრების თანხმობით, ანონიმურად და არსებული კანონმდებლობის დაცვით. ტესტამდე და ტესტის შემდგომ საჭიროა სრულყოფილი კონსულტაციების უზრუნველყოფა.

ინფექციური დაავადების მქონე პაციენტის იზოლირება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ზომის მიღება იგივე სამედიცინო მიზეზიებით გამართლებულია ციხის გარეთაც.

აივ ანტისხეულების მიმართ პოზიტიური პაციენტების სეგრეგაცია დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით, გარდა იმ პირობებისა, რომელიც მე-40 მუხლშია მოცემული.

შიდსთან დაკავშირებული დაავადებით სერიოზულად დასნებოვნებულ პაციენტებს მკურნალობა უნდა ჩაუტარდეთ ციხის სამედიცინო განყოფილებაში, სრული იზოლირების აუცილებლობის გარეშე. პაციენტები, რომლებიც სხვა პაციენტებისგან ინფექციური დაავადებების გადადებისგან დაცვას საჭიროებენ, იზოლირებულ უნდა იყვნენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ იზილორება საჭიროა მათსავე დასაცავად გადამდები ინფექციებისგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუ მათი იმუნური სისტემა სერიოზულად არის დაზიანებული.

ტუბერკულოზის აღმოჩენის შემთხვევაში, ყველა ნაბიჯი უნდა გადაიდგას ამ ინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის დაცვით. თერაპიული ჩარევა ციხის გარეთ არსებული სტანდარტის შესაბამისი უნდა იყოს.

ვინაიდან ჰეპატიტის გავრცელების წინააღმდეგ ერთადერთ ეფექტურ საშუალებას აცრა წარმოადგენს, ვაქცინაცია უნდა შეეთავაზოს პატიმრებსა და პერსონალს. ინფორმაცია და შესაბამისი პრევენციული საშუალებები უნდა იყოს მისაწვდომი იმის გათვალისწინებით, რომ B და C ჰეპატიტის გადაცემა ძირითადად წამლის ინტრავენურად გამოყენების და სქესობრივი და სისხლის მოწამვლის გზით ხდება.

ბ. ნარკოტიკულ საშუალებებზე, ალკოჰოლსა და მედიკამენტებზე დამოკიდებულება: მედიკამენტების მართვა და გავრცელება

მეტად უნდა განვითარდეს ალკოჰოლთან და ნარკიტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმრებზე ზრუნვა, განსაკუთრებით ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებული პატიმრებისთვის შეთავაზებული სერვისების კუთხით, რის შესახებაც რეკომენდაციებს იძლევა ნარკომანიასთან და ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის ჯგუფი (პომპიდუს ჯგუფი). შესაბამისად, აუცილებელია ციხისა და სამედიცინო პერსონალისთვის სათანადო ტრენინგების ჩატარება და საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგ, უწყვეტი შემდგომი თერაპიის უზრუნველყოფის მიზნით გარეშე საკონსულტაციო სამსახურებთან თანამშრომლობა.

ციხის ექიმმა, ნარკომანიის, მედიკამენტებზე და ალკოჰოლზე დამოკიდებულების რისკების პრევენციის მიზნით, პაციენტებს უნდა მოუწოდოს ისარგებლონ სოციალური და ფსიქოთერაპიული დახმარების სისტემებით.

ნარკომანიის, ალკოჰოლზე და მედიკამენტებზე დამოკიდებულების შედეგად გამოწვეული სიმპტომების მკურნალობა ციხეებში უნდა ჩატარდეს საზოგადოებაში დამკვიდრებული მეთოდებით.

წამალდამოკიდებულებით გამოწვეული სიმპტომების მკურნალობის შემთხვევაში, ექიმმა პატიმრებს ციხეში ყოფნისა და გათავისუფლების შემდეგაც უნდა ურჩიოს რეციდივისგან თავის ასაცილებლად აუცილებელი ნაბიჯების გადადმა.

პატიმრებს უნდა შეეძლოთ ციხის და გარეშე სპეციალისტებისგან კონსულტაციების მიღება, რომლებიც მათ საჭირო დახმარებას გაუწევენ როგორც პატიმრობის დროს, ასევე გათავისუფლების შემდეგ. ასეთ სპეციალისტებს ასევე უნდა შეეძლოთ საპატიმროების პერსონალისთვის ადგილზე ტრენინგების ჩატარება.

სადაც შესაძლებელია, პატიმრებს დანიშნული მედიკამენტების ტარების უფლება უნდა მიეცეთ. თუმცა, ისეთი მედიკამენტები, რომელთა ჭარბი დოზით მიღება საშიშია, უნდა ჩამოერთვათ და თითოეულ ჯერზე, დოზებად უნდა მიეწოდოთ.

კომპეტენტურ ფარმაცევტებთან კონსულტაციის შემდეგ, ციხის ექიმმა სრული სია უნდა მოამზადოს იმ მედიკამენტებისა და წამლების, რომელიც ჩვეულებრივ ინიშნება სამედიცინო სამსახურის მიერ სამედიცინო დანიშნულება უნდა დარჩეს პროფესიონალი მედიკოსის ექსკლუზიურ პასუხისმგებლობად და მედიკამენტები მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილმა პერსონალმა უნდა დაარიგოს.

გ. თავისუფლების ხანგრძლივად აღკვეთისთვის შეუსაბამო პირები: სერიოზული ფიზიკური ნაკლი, ასაკოვნება, უახლოესი ფატალური პროგნოზები

სერიოზული ფიზიკური ნაკლის მქონე და ასაკოვანი პაციენტები ისე უნდა განთავსდნენ, რომ შეძლებისდაგვარად ნორმალურად ცხოვრების საშუალება ჰქონდეთ ციხის სხვა მოსახლეობისგან სეგრეგაციის გარეშე. სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ეტლს მიჯაჭვული და ფიზიკური ნაკლის მქონე პატიმრების დასახმარებლად ისე, როგორც ეს ციხის გარეთ ხდება.

ახლო მომავალში ფატალური პროგნოზის მქონე პატიმრების ციხის გარეთ მდებარე საავადმყოფოში გადაყვანის გადაწვეტილება მხოლოდ სამედიცინო საფუძველზე უნდა მიიღებოდეს. ასეთი ტრანსფერის მოლოდინში, პატიმრებმა, მათი დაავადების ბოლო სტადიაში, შესაფერისი საექთნო მზრუნველობა უნდა მიიღონ ციხის სამედიცინო განყოფილებაში. ასეთ შემთხვევებში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ციხის გარეთ პერიოდული შემამსუბუქებელი მკურნალობა. უნდა განიხილებოდეს შეწყალების ან ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობა.

დ. ფსიქიატრიული სიმპტომები, ფსიქიური და ძირითადი პიროვნული აშლილობა, სუიციდის რისკი

ციხის ადმინისტრაციამ და ფსიქიურ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელმა სამინისტრომ უნდა ითანამშრომლონ პატიმრებისთვის ფსიქიატრიული სერვისების ორგანიზების კუთხით.

ციხესთან არსებული ფსიქიური ჯანდაცვისა და სოციალური სერვისები მიზნად პატიმართათვის დახმარების გაწევას და რჩევების მიცემას, მათი შეგუებისა და ადაპტაციის უნარების გაძლიერებას უნდა ისახავდნენ. ამ სერვისებმა კოორდინირებულად უნდა იმოქმედონ თავიანთი მოვალეობების გათავისებით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი პროფესიული დამოუკიდებლობა ციხის კონტექსტის განსაკუთრებული პირობების სათანადოდ გათვალისწინებით.

სქესობრივი დანაშაულისთვის პატიმრობამისჯილებს ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური შემოწმება და სათანადო მკურნალობა უნდა შეეთავაზოთ პატიმრობის დროს და მის შემდგომ.

სერიოზული ფსიქიური აშლილობების მქონე პაციენტები უნდა მოთავსდნენ და მკურნალობა უნდა ჩაუტარდეთ საავადმყოფოში,

რომელიც სათანადოდ იქნება აღჭურვილი და ეყოლება შესაბამისად მომზადებული პერსონალი. სამოქალაქო საავადმყოფოში პატიმრის მიღების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ფსიქიატრმა კომპეტენტური ორგანოების ნებართვით.

ისეთი შემთხვევები, როცა ფსიქიურად დაავადებული პაციენტის განმარტოებით პატიმრობის აცილება შეუძლებელია, აბსოლიტურ მინიმუმამდე უნდა დაიყვანებოდეს და დაუყოვნებლივ ჩანაცვლდეს უწყვეტი ინდივიდუალური საექთნო მზრუნველობით.

გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია დაიშვას მძიმე ფსიქიური აშლილობის მქონე პაციენტის ფიზიკური შეზღუდვა მოკლე პერიოდით, სანამ შესაბამისი მედიკამენტები დამაწყნარებელ ეფექტს გამოიღებენ.

სამედიცინო და საპატრიმროს სხვა პერსონალმა მუდმივად უნდა აკონტროლოს სუიციდების რისკი. კრიზისულ სიტუაციებში უნდა გამოიყენებოდეს თვით-დაზიანების თავიდან აცილებისთვის შექმნილი ფიზიკური მეთოდები, ახლო და მუდმივი დაკვირვება, დიალოგი და გამხნევება.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს პატიმრების საკონტროლო მკურნალობა გარეშე სპეციალიზებულ დაწესებულებებში

ე. უარი მკურნალობაზე, შიმშილობა

მკურნალობაზე უარის შემთხვევაში, ექიმმა პაციენტის მიერ მოწმის თანდასწრებით ხელმოწერილი განცხადება უნდა მოითხოვოს. ექიმმა პაციენტს მკურნალობის სავარაუდო სიკეთეებზე, შესაძლო თერაპიულ ალტერნატივებზე უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია და გააფრთხილოს მის უართან დაკავშირებულ რისკებზე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პაციენტის მიერ მისი მდგომარეობის სრულად გააზრება. ინფორმაციის აღქმადობასთან დაკავშირებით ენობრივი ბარიერის არსებობის შემთხვევაში, მოთხოვნილი უნდა იყოს გამოცდილი თარჯიმნის მომსახურება.

მოშიმშილის კლინიკური შეფასება მხოლოდ პაციენტის გამოხატული ნებართვით უნდა მოხდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ პაციენტი ისეთი სერიოზული ფსიქიური აშლილობით არის დაავადებული, რომელიც ფსიქიატრიული მომსახურების ცენტრში გადაყვანას საჭიროებს.

მოშიმშილეებს ობიექტური ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ მათი მოქმედების მათსავე ფიზიკურ ჯანმრთელობაზე მავნე შედეგების შესახებ ისე, რომ მათ გაიაზრონ ხანგრძლივი შიმშილობის საფრთხეები.

თუ ექიმის აზრით, მოშიმშილის მდგომარეობა მნიშვნელოვნად უარესდება, აუცილებელია ექიმმა ეს ფაქტი შესაბამის ორგანოებს მიაწოდოს და ეროვნული კანონმდებლობის (მათ შორის პროფესიული სტანდარტების) შესაბამისად იმოქმედოს.

ვ. ძალადობა ციხეებში: დისციპლინარული პროცედურები და სანქციები, სამართლო საკანში განთავსება, ფიზიკური შეზღუდვა, მკაცრი რეჟიმის პატიმრობა

პატიმრებს, რომელთაც ძალადობის, მათ შორის პოტენციური სქესობრივი ძალადობის შიში აქვთ ნებისმიერი საფუძვლიანი მიზეზით სხვა პატიმრებისგან, ან რომელნიც გახდნენ ციხის მოსახლეობის სხვა წევრებისგან ძალადობის ან დაზიანების მსხვერპლნი, სრულად დაცული უნდა იყვნენ საპატიმროს პერსონალის მხრიდან.

ექიმის ფუნქციებში არ უნდა შედიოდეს ციხის პერსონალის მიერ ძალის გამოყენებაზე ნებართვის გაცემა და ამ ფაქტის შეწყნარება. ციხის პერსონალი თავად უნდა იყოს წესრიგისა და დისციპლინის დამყარებაზე პასუხისმგებელი.

სამართლო საკანში განთავსების, ნებისმიერი დისციპლინარული სასჯელის ან უსაფრთხოების ზომის შემთხვევებში, რომელსაც შესაძლოა პატიმრის ფიზიკურ ან ფსიქიურ ჯანმრთელობაზე უარყოფითი შედეგი ჰქონდეს, სამედიცინო პერსონალმა დახმარება ან მკურნალობა უნდა გასწიოს პატიმრის ან ციხის პერსონალის მოთხოვნისთანავე.

ზ. ჯანდაცვის სპეციალური პროგრამები: სოციოთერაპიული პროგრამები, ოჯახური კავშირები და კონტაქტი გარესამყაროსთან, დედები და შვილები

სოციოთერაპიული პროგრამები საზოგადოებაში არსებულის შესაბამისად ორგანიზებული და მკაცრად კონტროლირებული უნდა იყოს. ექიმები ყველა დაკავშირებულ სერვისში უნდა იყვნენ ნებაყოფლობით, კონსტრუქციულად ჩართულები, რათა პატიმრებს ასეთი პროგრამებისგან სარგებლის მიღების და შესაბამისად, იმ სოციალური უნარების შეძენის შესაძლებლობა მისცენ, რომლებიც მათ გათავისუფლების შემდგომ დანაშაულის რეციდივის რისკების შემცირებაში დაეხმარება.

უნდა დაიშვას პატიმრების თავიანთ სქესობრივ პარტნიორებთან, ვიზუალური ზედამხედველობის გარეშე, პაემნის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

მცირეწლოვანი ბავშვებისთვის პატიმარ დედებთან დარჩენა უნდა

იყოს შესაძლებელი, რათა დედებმა შეძლონ მშობლიური მზუნველობისა და ყურადღების გამოჩენა, რაც საჭიროა კარგი ჯანმრთელობისა და ემოციური და ფსიქოლოგიური კავშირების შენარჩუნებისთვის.

სპეციალური პირობები უნდა არსებობდეს ბავშვიანი დედებისთვის (ბავშვის საწოლები, დღის ბაღი).

ექიმები არ უნდა იყვნენ ჩართულნი გარკვეული ასაკში ბავშვების დედისგან მოშორებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებაში.

თ. სხეულის ჩხრეკა, სამედიცინო დასკვნები, სამედიცინო დათვალიერება

სხეულის ჩხრეკა ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის პრეროგატივაა და ექიმები არ უნდა ჩაერთონ ასეთ პროცედურებში. თუმცა, ინტიმური სამედიცინო დათვალიერება ექიმმა უნდა ჩაატაროს, როცა ასეთ ჩარევის საჭიროებას ობიექტური სამედიცინო მიზეზი განაპირობებს.

ციხის ექიმმა არ უნდა მოამზადოს სამედიცინო ან ფსიქიატრიული დასკვნები დაცვისთვის ან სასამართლო დევნისთვის, გარდა პატიმრის მიერ ფორმალურად მოთხოვნის ან სასამართლოს მიერ მოთხოვნის შემთხვევებისა. მათ თავიდან უნდა აირიდონ სამედიცინო ექსპერტობა ისეთ საქმეებში, რომლებიც წინასწარპატიმრობაში მყოფ პირებთან დაკავშირებულ სამართლებრივ პროცედურებს ეხება. მათ ნიმუშები მხოლოდ დიაგნოსტიკური და მხოლოდ სამედიცინო მიზნებიდან გამომდინარე უნდა შეაგროვონ და ანალიზი ჩაუტარონ.

პატიმართა სამედიცინო დათვალიერება ევროპული ციხის წესების შესახებ (87)3, ადამიანების სამედიცინო დათვალიერების თაობაზე (90)3 და გადამდები დაავადებების, მათ შორის შიდსის და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების ციხეში კონტროლისა და კრიმინოლოგიური ასპექტების თაობაზე (93)6 რეკომენდაციებში მოცემული პრინციპების შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2008)11 წევრი სახელმწიფოებისადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპის წესების შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მინისტრების მოადგილეთა 1040-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრ ქვეყნებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა, კერძოდ ერთობლივი ინტერესების სფეროში არსებული კანონების ჰარმონიზაციის გზით;

მხედველობაში იღებს რა, კერძოდ:

- ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;
- ევროპულ კონვენციას წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის თავიდან აცილების შესახებ და კონვენციის დაცვაზე პასუხისმგებელი კომიტეტის მუშაობას;
- გაერთიანებული ერების კონვენციას ბავშვის უფლებების შესახებ;

ითვალისწინებს რა:

- რეკომენდაციას (2006)2 ევროპული პენიტენციალური წესების შესახებ;
- რეკომენდაციას (2006)5 ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვების უფლებების შესახებ;
- რეკომენდაციას (2006)10 ფსიქიური დარღვევების მქონე პირების უფლებებისა და ღირსების დაცვის შესახებ;
- რეკომენდაციას (2006)20 არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლის ახალი გზებისა და არასრულწლოვანთა საქმეებზე

მართლმსაჯულების როლის შესახებ;
- რეკომენდაციას (97)12 სანქციებისა და ზომების აღმსრულებელი პერსონალის შესახებ;
- რეკომენდაციას (92)16 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ;
- რეკომენდაციას (87)20 არასრულწლოვანთა დამნაშავეობაზე სოციალური რეაქციის შესახებ;

ამასთანავე იღებს რა მხედველობაში:
- გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის თვიდან აცილების შესახებ (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები);
- გაეროს სტანდარტულ მინიმალურ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ (პეკინის წესები);
- გაეროს სტანდარტულ მინიმალურ წესებს სასჯელის არასაპატიმრო ზომების შესახებ (ტოკიოს წესები);
- გაეროს წესებს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანის წესები);

ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა მესამე სამიტზე მიღებულ საბოლოო დეკლარაციას და სამოქმედო გეგმას (ვარშავა, პოლონეთი, 2005 წლის 16-17 მაისი) და კერძოდ სამოქმედო გეგმის III.2 ნაწილს, სათაურით "ევროპის მშენებლობა ბავშვებისათვის" და ასევე ითვალისწინებს რა ევროპის იუსტიციის მინისტრთა 28-ე კონფერენციაზე (ლანზეროტი, ესპანეთი, 2007 წლის 25-26 ოქტომბერი) მიღებულ. 2 რეზოლუციას;

ამასთან დაკავშირებით სთვლის რა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა უფლებების და მათი კეთილდღეობის უკეთ დასაცავად აუცილებელია ევროპის დონეზე ერთობლივი მოქმედება და წევრ ქვეყნებში ბავშვების მიმართ ნაკლებად მკაცრი სამრათლებრივი სისტემის შემუშავება;

სთვლის რა, რომ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ არასრულწლოვანთა საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების სახელმწიფო პოლიტიკისა და პრაქტიკის ზოგადი პრინციპების სრულყოფა, განახლება და დაცვა და ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, იძლევა რეკომენდაციას, რომ წევრი ქვეყნების მთავრობებმა:

- საკუთარ კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში იხელმძღვანელონ წინამდებარე რეკომენდაციასე თანდართული წესებით;
- უზრუნველჰყონ ამ რეკომენდაციისა და თანდართული კომენტარების თარგმნა და რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება, განსაკუთრებით სასამართლო ხელისუფლებასა და პოლიციაში; სამსახურებში, რომელთაც ევალებათ არასრულწლოვანთა მიმართ სანქციებისა და ზომების აღსრულება; პენიტენციალურ, საქველმოქმედო და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, სადაც იმყოფებიან არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები, მათ თანამშრომლებს შორის, და ასევე მედია საშუალებებსა და ფართო საზოგადოებაში.

(2008)11 რეკომენდაციის დანართი

სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპული წესები

წინამდებარე წესების მიზანია სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა და მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა იმ დროს, როცა მათ მიმართ საზოგადოებრივი სანქციები ან ზომები, ისევე როგორც თავისუფლების აღკვეთის სხვა ფორმები მოქმედებს.

მოცემული წესებში არაფერი არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს გამოირიცხება ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული, არასრულწლოვანთა უფლებების, მათზე ზრუნვისა და მათი დაცვის უკეთესად უზრუნველმყოფელი სხვა შესაბამისი საერთაშროისო დოკუმენტების და სტანდარტების გამოყენება. უფრო მეტიც, (2006)2 რეკომენდაციის დებულებები ევროპული პენიტენციალური წესების შესახებ და (92) 16 რეკომენდაცია საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების შესახებ გამოყენებული უნდა იყოს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების სასარგებლოდ რამდენადაც ისინი აღეწინააღმდებებიან წინამდებარე წესებს.

ნაწილი I – ძირითადი პრინციპები, გავრცელების სფერო და ტერმინოლოგია

ა. ძირითადი პრინციპები

1. სანქციებსა და ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს უნდა მოექცნენ მათი ადამიანური უფლებებისადმი პატივიცემით.

2. არასრულწლოვანთა მიმართ შესაფარდებელ სანქციებსა და ზომებს, ისევე, როგორც მათი აღსრულების წესს განსაზღვრავს კანონი სოციალური ინტეგრაციის და აღმზრდელობით, ისევე როგორც რეციდივის პროფილაქტიკის პრინციპებზე დაყრდნობით.

3. სანქციების ან ზომების შეფარდების შესახებ გადწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება გამოაქვს სხვა, კანონიერად უფლებამოსილ ორგანოს, ის ექვემდებარება გადაუდებელ სასამართლო განხილვას. სანქციები და ზომები ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული და შეფარდებული მინიმალურად აუცილებელი ვადით და მხოლოდ კანონიერი მიზნით.

4. მინიმალური ასაკი, რომლის მიმართაც შესაძლებელია დანაშაულისათვის სანქციებისა და ზომების შეფარდება არ უნდა იყოს ძალიან დაბალი და უნდა განისაზღვროს კანონით.

5. სანქციებისა და ზომების შეფარდება და მათი აღსრულება უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ინტერესებს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ანგარიშის გაწევით (პროპორციულობის პრინციპი) და მათი ასაკის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, განვითარების, შესაძლებლობებისა და პირადი გარემოებების გათვალისწინებით (ინდივიდუალიზაციის პრინციპი), რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, დგინდება ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული და სოციალური გამოკვლევის შედეგებით.

6. იმისათვის, რომ სანქციებისა და ზომების აღსრულება მისადაგებული იყოს თვითეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებთან, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ მოქმედების საკმარისი თავისუფლება, რამაც არ უნდა გამოიწვიოს სერიოზული უთანასწორობა მოპყრობაში.

7. შეფარდებული სანქციები და ზომები არ უნდა იყოს არასრულწ-ლოვნებისათვის შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი.

8. სანქციებისა და ზომების აღსრულებას არ უნდა მოჰყვეს მათი ისედაც მტკივნეული ხასიათის კიდევ უფრო დამძიმება ან ფიზი-კური და მორალური ზიანის მიყენების საფრთხე.

9. სანქციები და ზომები უნდა აღსრულდეს უსაფუძვლო გადადების გარეშე, მკაცრად სავალდებულო მოცულობითა და ვადით (მინი-მალური ჩარევის პრინციპი).

10. არასრულწოლვანის თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია დასაშვები და უნდა შეეფარდოს და აღ-სრულდეს უმცირესი ვადით. საჭიროა განსაკუთრებული ზომე-ბის მიღება წინასწარი პატიმრობის თავიდან ასაცილებლად.

11. სანქციებისა და ზომების შეფარდებისას უნდა გამოირიცხოს დისკრიმინაცია, იქნება ეს სქესის, რასის, კანის ფერის, ენო-ბრივი, რელიგიური, სქესობრივი ორიენტაციის, პოლიტიკური ან განსხვავებული აზრის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშო-ბის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი, დაბადების ან სხვა სტატუსის საფუძველზე (არადისკრიმინაციის პრინციპი).

12. საშუამავლო საქმიანობა და სხვა შესარიგებელი ღონისძიებები მისასალმებელი უნდა იყოს არასრულწლოვნებთან ურთიერთო-ბის ყველა ეტაპზე.

13. მართლმსაჯულების ნებისმიერ მა სისტემამ, რომელსაც საქმე აქვს არასრულწლოვნებთან უნდა უზრუნველჰყოს მათი აქ-ტიური მონაწილეობა სანქციებისა და ზომების როგორც შე-ფარდების, ასევე აღსრულების პროცედურებში. არასრულწ-ლოვნებს არ უნდა ჰქონდეთ იმაზე ნაკლები კანონიერი უფლე-ბები და გარანტიები, რაც ზრდასრული დამნაშავეებისათვისაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო ზოგადი წესებით.

14. მართლმსაჯულების ნებისმიერ მა სისტემამ, რომელსაც საქმე აქვს არასრულწლოვნებან სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს მშობლებისა და კანონიერი მეურვეების უფლება-მოვალეობები და შეძლებისდაგვარად ჩართოს ისინი როგორც მთლეს პრო-ცედურაში, ისე სანქციებისა და ზომების აღსრულების მიმდინ-არეობაში, თუ ეს ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერე-

სებს. სრულწლოვანებას მიღწეული სამართალდამრღვევის მშობლებისა და კანონიერი მეურვეების მონაწილეობა სავალდებულო აღარის. თუ უპრიანი იქნება შესაძლებელია მოხდეს არასრულწლოვნის სხვა ნათესავებისა და ფართო საზოგადოების ჩართვა საპროცედურო ქმედებებში.

15. მართლმსაჯულების ნებისმიერ მა სისტემამ, რომელსაც საქმე აქვს არასრულწლოვნებთან უნდა გამოიყენოს მრავალპროფილიანი და საუწყებათაშორისო მიდგომა, ის ჩართული უნდა იყოს არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ უფრო ფართო სოციალურ ინიციატივებში, რათა უზრუნველჰყოს კომპლექსური მიდგომა და მუდმივი ზრუნვა ასეთ არასრულწლოვნებზე (საზოგადოებრიობის ჩართულობისა და მუდმივი ზრუნვის პრინციპი).

16. არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება სრულად უნდა იყოს დაცული საპროცედურო ქმედებების ყველა ეტაპზე. არასრულწლოვნის ვინაობა და კონფიდენციალური ინფორმაცია მასზე და მის ოჯახზე არ უნდა მიეწოდოს გარეშე პირებს, რომლებსაც კანონი აღაძლევს მისი მიღების უფლებას.

17. მოზარდი სრულწლოვანი სამართალდამრღვევები, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია განხილულ იქნან არასრულწლოვნებად და მათდამი მიდგომაც შესაბამისი უნდა იყოს.

18. მთელი პერსონალი, რომელსაც არასრულწლოვნებთან აქვს შეხება, მნიშვნელოვან საჯარო სამსახურს ასრულებს. მათი სამსახურში აყვანის, სპეციალური სწავლებისა და მუშაობის პირობები ისეთი უნდა იყოს, რომ შესძლონ მზრუნველობის შესაბამისი სტანდარტის უზრუნველყოფა, გაუმკლავდნენ არასრულწლოვანთა სპეციფიურ პრობლემებს და წარმოადგენდნენ მათთვის დადებით მისაბაძ მაგალითს.

19. საჭიროა საკმარისი რესურსებისა და პერსონალის გამოყოფა, რათა არასრულწლოვანთა ცხოვრებაში ჩარევას გონივრული შედეგი მოჰყვეს. რესურსების ნაკლებობით არავითარშემთხვევაში არ შეიძლება არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევის გამართლება.

20. ნებისმიერი სანქციის ან ზომის აღსრულება უნდა დაექვემდებაროს მთავრობის მუდმივ კონტროლს და დამოუკიდებელ მონიტორინგს.

ბ. გავრცელების სფერო და ტერმინოლოგია

21. წინამდებარე წესების მიზნებისათვის:

21.1. "არასულწლოვანი სამართალდამრღვევი" აღნიშნავს 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც ბრალდება ან ჩაიდინა დანაშაული. მოცემულ წესებში მოხსენიებული სიტყვა არასრულწლოვანი გულისხმობს არასრულწლოვან სამართალდამრღვევს, როგორც ეს ზემოთ არის განმარტებული;

21.2. "მოზარდი სრულწლოვანი დამნაშავე" ნიშნავს 18-დან 21 წლამდე ნებისმიერ ახალგაზრდას, რომელსაც ბრალად ედება ან ჩაიდინა დანაშაული და მასზე ვრცელდება წინამდებარე წესები ისე, როგორც ეს მე-17 წესშია მითითებული. მოზარდი სრულწლოვანის მოხსენიება გულისხმობს მოზარდ სრულწლოვან დამნაშავეს, როგორც ეს ზემოთ არის განმარტებული;

21.3. "დანაშაული" ნიშნავს ქმედებას ან უმოქმედობას, რომლებითაც ირღვევა სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ამ წესების მიზნებისათვის ტერმინი ასევე აღნიშნავს ნებისმიერ დარღვევას, რომელიც კრიმინალური სასამართლოს ან სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში შედის;

21.4. "საზოგადოებრივი სანქციები და ზომები" ნიშნავს ნებისმიერ სანქციას ან ზომას დაკავების ზომის გარდა, რომლის შესაბამისადაც არასრულწლოვანი რჩება საზოგადოებაში მაგრამ რამდენადმე ეზღუდება მოქმედების თავისუფლება გაკრვეული პირობების წაყენებით ან ვალდებულებების დაკისრებით, და რომელსაც ამ მიზნით აღასრულებს კანონით დადგენილი ორგატერმინი გულისხმობს ნებისმიერ სანქციას, დაწესებულს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ნებისმიერ ზომას, მიღებულს სანქციამდე ან სანქციის მაგიერ, ისევე, როგორც პენიტენციალური დაწესებულების გარეთ პატიმრობის მოხდის განაჩენის სისრულეში მოყვანის გზებს;

21.5. "თავისუფლების აღკვეთა" ნიშნავს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით დაწესებულებაში განთავსების ნებისმიერ ფორმას, საიდანაც არასრულწლოვანს საკუთარი სურვილის მიხედვით გამოსვლის უფლება არა აქვს;

21.6. "დაწესებულება" ნიშნავს სახელმწიფო ორგანოების კონტროლის ქვეშ მყოფ ფიზიკურ ერთეულს, სადაც არასრულწლოვნები ცხოვრობენ პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ ოფიციალური წესების შესაბამისად;

22. ეს წესები შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნას იმ პირების მიმართ, რომლებიც იმავე დაწესებულებებში ან ადგილებში იმყოფებიან, სადაც არასრულწლოვნები.

ნაწილი II – საზოგადოებრივი სანქციები და ზომები

გ. სამართლებრივი ჩარჩოები

23.1. არასრულწლოვანთა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მორგებული საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების ფართო სპექტრი გათვალისწინებული უნდა იყოს პროცედურის ყველა ეტაპზე.

23.2. უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ სანქციებსა და ზომებს, რომლებსაც აღმზრდელობითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ და ასევე მათ, რომლებიც არასრულწლოვნებს შეაგნებინებენ პასუხისმგებლობას მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

24. სახელმწიფო კანონმდებლობით დაკონკრეტებული უნდა იყოს სხვადასხვა საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების შემდეგი პარამეტრები:

ა. არასრულწლოვნების მიმართ შესაფარდებელი სანქციებისა და ზომების განსაზღვრება და მათი აღსრულების გზები;

ბ. ნებისმიერი პირობა ან ვალდებულება, რომელიც მოჰყვება ასეთი სანქციების ან ზომების შეფარდებას;

გ. შემთხვევები, როდესაც სანქციების ან ზომების შეფარდებამდე საჭიროა არასრულწლოვნის თანხმობის მიღება;

დ. სანქციების ან ზომების შეფარდებაზე, შეცვლაზე და აღსრულებაზე პასუხისმგებელი ხელისუფლების ორგანოები, მათი შესაბამისი მოვალეობები და ვალდებულებები;

ე. შეფარდებული სანქციების ან ზომების შეცვლისთვის საჭირო საფუძვლები და პროცედურა; და

ვ. აღმსრულებელი ორგანოების მუშაობის რეგულარული და გარეშე კონტროლის განხორციელების პროცედურა.

25. არასრულწლოვანთა კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინების მიზნით ეროვნულ კანონმდებლობაში მითითებული უნდა იყოს:

ა. ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს ვალდებულება გააცნოს არასრულწლოვან სამართალდამრღვევს, და თუ საჭიროა მის მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს საზოგადოებრივი სან-

ქციების ან ზომების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმის შინაარსი და მიზნები;

ბ. ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს ვალდებულება ისწრაფოდეს არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან და მათ მშობლებთან ან კანონიერ მეურვეებთან რაც შეიძლება უკეთესი თანამშრომლობისკენ;

გ. საზოგადოებრივ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების მშობელთა და კანონიერ მეურვეთა უფლებები, ასეთი სანქციების და ზომების შეფარდებითა და აღსრულებით გამოწვეული მათი უფლებების და მოვალეობების შესაძლო შეზღუდვები.

26. საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების შეფარდების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლო ორგანომ, ხოლო თუ ის მიღებულია კანონიერი უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, იგი უნდა იყოს განხილული სასამართლოს წესით.

27. იმის მიხედვით, თუ როგორ წარმატებებს აღწევს არასრულწლოვანი კომპეტენტურ ორგანოებს უნდა შეეძლოთ შეფარდებული სანქციის ან ზომის ვადების შემცირება, თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია სახელმწიფო კანონმდებლობით.

28. უფლებები, რომლებიც არასრულწლოვანს გააჩნია განათლების, პროფესიული მომზადების, ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოებისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში არ უნდა შეიზღუდოს მის მიმართ საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების შემოღების ან აღსრულების გამო.

29. იმ შემთხვევებში, როდესაც საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების შემოღებისათვის საჭიროა არასრულწლოვნის, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების თანხმობა, ეს თანხმობა უნდა იყოს გამოცხადებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული.

30.1. არასრულწლოვნის მიერ საზოგადოებრივი სანქციებით ან ზომებით გათვალისწინებულ პირობებისა და ვალდებულებების აღდაცვამ ავტომატურად არ უნდა გამოიწვიოს თავისუფლების აღკვეთა. თუ შესაძლებელია, ძველი ზომები და სანქციები ჩანაცვლებული უნდა იყოს სახეცვლილი ან ახალი საზოგადოებრივი სანქციებით.

30.2. არდაცვა ავტომატურად არ უნდა შეადგენდეს დანაშაულს.

დ. აღსრულების პირობები და პირობების შეუსრულებლობის შედეგები

დ. 1. აღსრულების პირობები

31.1. საზოგადოებრივი სანქციები და ზომები უნდა აღსრულდეს იმგვარად, რომ მათ მნიშვნელობა ჰქონდეთ არასრულწლოვანთათვის და ხელი შეუწყონ მათ აღზრდასა და განვითარებას და მათი სოციალური უნარ-ჩვევების ამაღლებას.

31.2. უნდა ხდებოდეს არასრულწლოვნების წახალისება საზობადოებრივ სანქციებისა და ზომების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობისათვის, მათ ამ საკითხებით ხელისუფლების წარმომადგენლებთან კოლექტიურად ან იდივიდუალურად მიმართვის საშუალება უნდა ჰქონდეთ.

32. საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების აღსრულებისას შეძლებისდაგვარდ ანგარიში უნდა გაეწიოს არასრულწლოვანთა არსებულ კონსტრუქტიულ სოციალურ ქსელებს და მათ ოჯახთან დამოკიდებულებას.

33.1. არასრულწოლავნებს მათთვის გასაგებ ენაზე და გასაგები მანერით უნდა ეცნობოთ, თუ როგორ აღსრულდება მათდამი შეფარდებული სანქციები ან ზომები, ისევე როგორც აღსრულებასთან დაკავშირებული მათი უფლება-მოვალეობები.

33.2. არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ ზეპირი ან წერილობითი განცხადების გაკეთების უფლება მანამ, სანამ რაიმე ოფიციალური გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების აღსრულების შესახებ, ისევე, როგორც აღსრულების პირობების შეცვლის თხოვნით მიმართვის უფლება.

34.1. აღმსრულებელმა ორგანოებმა ყველა ინდივიდუალურ საქმეზე უნდა აწარმოონ დოსიე და მუდმივად შეიტანონ მასში ახალ-ახალი მონაცემები.

34.2. დოსიე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა. დოსიეში შესული ინფორმაცია უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საზოგადოებრივ სანქციებთან ან ზომებთან, მათ შემოღებასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხებით;

ბ. არასრულწლოვნებს და მათ მშობლებს ან კანონიერ მეურვეე-

ბს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი მოცემული არასრულწლოვნის დოსიეზე იმ პირობით, რომ ეს აღდაარღვევს სხვათა კონფიდენციალურობას; მათ უნდა ჰქონდეთ დოსიეს შინაარსის გაპროტესტების უფლება.

გ. დოსიეში არსებული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა მიეცემათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც ამისი კანონიერი უფლება აქვთ და მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც აუცილებელია ინფორმაციის გამომთხოვი ორგანოს წინაშე არსებული დავალების შესრულებისათვის.

დ. საზოგადოებრივი სანქციის ან ზომის ვადის გასვლის შემდეგ დოსიე უნდა განადგურდეს ან გადაეცეს არქივს, სადაც მოქმედებს წესები მათი შინაარსის მესამე პირებისათვის აღგაცემის გარანტიების შესახებ.

35. არასრულწლოვანთა განათლებისა და დასაქმების, მათთივს პირადი და სოცილაური დახმარების აღმოჩენის საკითხებით დაკავებულ დაწესებულებებს ნებისმიერი ინფორმაცია არასრულწლოვანთა შესახებ მიეწოდებათ იმ დოზით, რა დოზითაც ეს ესაჭიროება კონკრეტულ ქმედებას.

36.1. არასრულწლოვნების მიერ საზოგადოებრვი სამუშაოს შესრულების ან მასთან გათანაბრებული საქმიანობის პირობები უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ზოგადი კანონმდებლობით დადგენილ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტებს.

36.2. არასრულწლოვნები დაზღვეულნი ან სხვაგავარად დაცულნი უნდა იყვნენ ავარიით, სხეულის დაზიანებით გამოწვეული შედეგებისა და საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების განხორციელებიდან გამომდინარე სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან;

37. აღსრულების ხარჯები პრინციპში არ უნდა გაიღონ არასრულწლოვნებმა ან მათმა ოჯახებმა.

38. შესაბამის პერსონალსა და არასრულსწლოვანებს შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი პრინციპები უნდა იყოს აღზრდა და განვითარება.

39.1. საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების აღსრულება უნდა ხდებოდეს ინდივიდუალიზებული შეფასების შედეგებისა და პროცესებში ჩარევის დადგენილი პროფესიული სტანდარტების შესაბამისი მეთოდების საფუძველზე.

39.2. ეს მეთოდები უნდა შემუშავდეს გამოკვლევების შედეგების მიხედვით, და სოციალური, ახალგაზრდული პრობლემებისა და სხვა, ანალოგიურ სფეროებში მუშაობის არსებული გამოცდილების საფუძველზე.

40. მოცემული საზოგადოებრივი სანქციის ან ზომის ფარგლებში, იმისათვის, რომ უკეთ იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვანთა მოთხოვნილებები, გამოყენებული უნდა იყოს სხვადასხვა მიდგომები, როგორიცაა ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური თერაპია, დამრიგებლობა და ნახვის დღეები, განსხვავებული მიდგომა სხვადასხვა კატეგორიის სამართალდამრღვევებისადმი და ა.შ.

41.1. თავისუფლების შეზღუდვები საზოგდოებრივი სანქციის ან ზომის პროპორციული და მიზნებზე მორგებული უნდა იყოს და გამოიყენებოდეს არასრულწლოვნის მიმართ იმ ზომით რა ზომითაც აუცილებელია მისი სათანადოდ აღსრულებისათვის;

41.2. საზოგადეობრივი სანქიების ან ზომების აღსრულებაზე პირდაპირ პასუხისმგებელ პერსონალს პრაქტიკული და ზუსტი ინსტრუქციები უნდა მიეცეს.

42. შეძლებისდაგვარად აუცილებელია განუწყვეტელი და გრძელვადიანი ურთიერთობების შენარჩუნება საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების აღმსრულებელ პერსონალსა და არასრულწლოვნებს შორის მაშინაც კი, თუ იცვლება არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილი, სამართლებრივი სტატუსი ან პროცესებში ჩარევის ფორმა.

43.1. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროცესებში ჩარევის სწორი ფორმების გამოყენებას ენობრივი და ეთნიკური უმცირესობებისათვის, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე არასრულწლოვნებისათვის.

43.2. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის მოქალაქე არასრულწლოვნისათვის გამოტანილი საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების აღსრულების გადაცემის შესახებ, ისინი უნდდა გაეცნონ საკუთარ უფლებებს. საჭიროა დამყარდეს მჭიდრო თანამშრომლობა არასრულწლოვანთა საკითხებზე მომუშავე და სასამართლო ორგანოებთან ასეთი არასრულწლოვნებისათვის საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებისთანავე საჭირო დახმარების უზრუნველსაყოფად.

43.3. გამონაკლის შემთხვევებში, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქე არასრულწლოვანი საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების განხორციელების შემდეგ ექვემდებარება საკუთარ ქვეყანაში გასახლებას, საჭიროა ძალისხმევა მათი ქვეყნების არასრულწლოვანთა პრობლემებზე მომუშავე ორგანოებთან დასაკავშირებლად თუ ასეთი კავშირები აღნიშნული არასრულწლოვნების ინტერესებს ემსახურება.

44. არასრულწლოვნებს უნდა მიეცეთ საშუალება საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში აანაზღაურონ ის ზარალი, რაც მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს მოჰყვა, თუკი ასეთი ანაზღაურება ჯდება მათთვის დაკისრებული საზოგადოებრვივი სანქციების ან ზომების ჩარჩოებში.

45. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა არ უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ მოგების მიღების მიზნით.

.

დ.2. პირობების შეუსრულებლობის შედეგები

46. არასრულწლოვნებს და მათ მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს უნდა ეცნობოთ, თუ რა შედეგები შეიძლება გამოიღოს საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობამ ისევე როგორც წესები, რომელთა შესაბამისადაც წამოიჭრება პირობების შეუსრულებლობის ბრალდება.

47.1. ნათლად უნდა იყოს დადგენილი პროცედურა, რომლითაც ხელმძღვანელობს ორგანო, რომელიც მოახსენებს ან გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების მოთხოვნების შეუსრულებლობის შესახებ.

47.2. უმნიშვნელო დარღვევები შეტანილი უნდა იყოს ინდივიდუალურ დოსიეში, თუმცა არარის საჭირო ამ შემთხვევების შესახებ ეცნობოს შეუსრულებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, თუ ამას აღმოითხოვს ადგილობრივი კანონმდებლობა. ასეთი დარღვევების ოპერატიული მოგვარება შესაძლებელია დისკრეციული საშუალებებით.

47.3. საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების მოთხოვნათა მნიშვნელოვანი დარღვევის შესახებ ოპერატიულად წერილობით უნდა ეცნობოს შეუსრულებლობის გადაწყვეტილების მიმღებ ოფიციალურ ორგანოს.

47.4. ასეთ მოხსენებებში დეტალურად უნდა იყოს მოცემული, თუ რაში მდგომარეობდა შეუსრულებლობა და რა გარემოებებში ჰქონდა მას ადგილი ისევე, როგორც არასრულწლოვნის პირადი მდგომარეობა.

48.1. შეუსრულებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, მისთვის მიწოდებული ფაქტების დეტალური შესწავლის შემდეგ, მხოლოდ რეკომენდაციას იძლევა საზოგადოებრივი სანქციების ან ზომების მოდიფიკაციის ან ნაწილობრივი ან მთლიანი გაუქმების შესახებ.

48.2. აუცილებლობის შემთხვევაში მოთხონვილ უნდა იყოს ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული შეფასებები ან დაკვირვებები, ისევე, როგორც სოციალური კვლევის შედეგები.

48.3. აღნიშნულმა ორგანომ უნდა უზრუნველჰყოს, რომ არასრულწლოვანს და თუ აუცილებელია მის მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს შეეძლოთ პირობების შეუსრულებლობის დამამტკიცებელი ფაქტების გადამოწმება, რომელთა საფუძველზეც დგება რეკომენდაცია მოდიფიკაციის ან გაუქმების შესახებ და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები.

48.4. საზოგადოებრივი სანქციის ან ზომის მოდიფიკაციის ან გაუქმების საკითხის გადწყვეტისას სათანადო ყრადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა დონემდე შეასრულა არასრულწლოვანმა საწყისი სანქციებისა და ზომების მოთხოვნები რათა ახალი ან მოდიფიცირებული სანქცია ან ზომა ჩადენილი დანაშაულის პროპორციული დარჩეს.

48.5. როდესაც პირობების შეუსრულებლობის გამო საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების მოდიფიკაცია ან შეცვლა ხდება არა სასამართლოს მიერ, ნებისმიერი ოფიციალური ორგანოს გადაწყვეტილება უნდა გადაისინჯოს სასამართლო წესით.

III ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა

ე. ზოგადი ნაწილი

ე.1. საერთო მიდგომა

49.1. თავისუფლების აღკვეთა განხორციელდება მხოლოდ იმ მიზნით, რისთვისაც ის იქნა შეფარდებული და იმგვარად, რომ აღდაამძიმოს მისი თანმდევი ტანჯვა.

49.2. არასრულწლოვნისათვის თავისუფლების აღკვეთა უნდა გულისხმობდეს ვადამდე განთავისუფლების შესაძლებლობას.

50.1. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისათვის გარანტირებული უნდა იყოს სხვადასხვა აქტივობა და ღონისძიება ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ნაკლებად შემზღუდავი რეჟიმის გზით განთავისუფლებისათვის და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მომზადებას.

50.2. არასრულწლოვანს ხელი უნდა შეეწყოს ასეთ აქტივობებსა და ღონისძიებებში მონაწილეობაში.

50.3. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს საშუალება უნდა ჰქონდეთ იმსჯელონ დაწესებულებებში საერთო პირობებსა და სარეჟიმო აქტივობებთან დაკავშირებულ საკითხებზე და გაესაუბრონ ამ თემებზე ხელმძღვანელობას ინდივიდუალურად ან, თუ შესაძლებელია, კოლექტიურად.

51. იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს მზრუნველობის უწყვეტი ხასიათი, თავისუფლების აღკვეთის პირველი დღიდან და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, არასრულწლოვნებს დახმარებას გაუწევენ ის ორგანოები, რომლებმაც შეიძლება განთავისუფლების შემდეგ მათზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღონ.

52.1. რამდენადაც თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები მეტად მოწყვლადნი არიან ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველჰყოს მათი ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობა და ხელი შეუწყოს მათ კეთილდღეობას.

52.2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებმაც განიცადეს ფიზიკური, ფსიქიური ან სექსუალური ძალადობა.

ე. 2. ინსტიტუციონალური სტრუქტურა

53.1. დაწესებულებებში ან მათ დანაყოფებში უნდა არსებობდეს სხვადასხვა საშუალებათა სპექტრი იქ მყოფ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მათი დანაშაულის შესაბამისი კონკრეტული მიზნისათვის.

53.2. ასეთ დაწესებულებებში უნდა არსებობდეს უსაფრთხოებისა და კონტროლის ნაკლებ შემზღუდავი პირობები, რაც აუცილებელია არასრულწლოვანთა მიერ საკუთარი თავისთვის, პერსონალისათვის, სხვა ადამიანებისათვის ან ფართო საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

53.3. დაწსებულებაში ცხოვრების წესი რაც შეიძლება მეტად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს.

53.4. არასრულწლოვანთა რაოდენობა დაწესებულებაში საკმარისად მცირე უნდა იყოს, რათა არსებობდეს ინდივიდუალური ზრუნვის საშუალება. დაწესებულებები მცირე ზომის საცხოვრებლებად უნდა იყოს დაყოფილი.

53.5. არასრულწლოვანთა დაწესებულებები უნდა განლაგდეს ადვილად მისადგომ ადგილებში და ხელს უწყობდეს კონტაქტებს არასრულწლოვნებსა და მათ ოჯახებს შორის. ისინი საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში უნდა იყვნენ ინტეგრირებულნი.

ე. 3. განთავსება

54. სხვადასხვა კატეგორიის არასრულწლოვანთა დაწესებულებებში განთავსებაისას უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი ტიპის მოვლა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ კონკრეტულ მოთხოვნებს და მათი ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობისა და კეთილდღეობის დაცვას.

55. არასრულწლოვნები, შეძლებისდაგავარდ უნდა მოთავსდნენ მათი საცხოვრებელი სახლებიდან ან სოციალური რეინტეგრაციის ადგილებიდან ადვილად მისასვლელ დაწესებულებებში.

56. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნები უნდა გაიგზავნონ ნაკლებად შემზღუდველი უსაფრთხოების დონის დაწესებულებაში სადაც მათ არაფერი დაემუქრებათ.

57. ფსიქიურად დაავადებული არასრულწლოვნები, რომელთაც აღეკვეთათ თვისუფლება უნდა განთავსდნენ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

58. არასრულწლოვნებს, და თუ უპრიანია მათი მშბოლებს ან კანონიერ მეურვეებს შეძლებისდაგვარად უნდა ეცნობოთ პირველადი განთავსების ადგილის ისევე, როგორც ერთი დაწესებულებიდან მეორეში შემდგომი გადაყვანის შესახებ.

59.1. არასრულწლოვნები არ უნდა განთავსდნენ უფროსებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებში, არამედ სპეციალურად მათთვის გამოყოფილ დაწესებულებებში. თუ არასრულწლოვნები მაინც მხოლოდ დიდებისთვის განკუთვნილ დაწსებულებებში განთავსდებიან, ისინი ცალკე უნდა დაბინავდნენ გარდა იმ ინდივიდუალური შემთხვევებისა, როცა ამის გაკეთება მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ყველა შემთხვევაში მათზე გავრცელდება წინამდებარე წესები.

59.2. პატიმრობაში ცალკე ყოფნის შესახებ ქვე-პუნქტ 1-ის მოთხოვნებთან დაკავშირებით გამონაკლისი შეიძლება დაიშვას რათა არასრულწლოვანს საშუალება ჰქონდეს მონაწილეობა მიიღოს უფრსოებისთვის განკუთვნილი დაწესებულების ბინადრებთან ერთობლივ აქტივობებში.

59.3. სრულწლოვანებას მიღწეული მოზარდები და ახალგაზრდა სრულწლოვანები, რომლების მიმართ მიდგომაც ისეთია, თითქოს ისინი არასრულწლოვნები იყვნენ, განთავსდებიან არასრულწლოვან სამართალდამრღვევთათვის განკუთვნილ დაწესებულებაში ან სპეციალიზებულ დაწესებულებაში ახალგაზრდა სრულწლოვანებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი სოციალური რეინტეგრაციისათვის უკეთესია მათი მოზრდილთა დაწესებულებაში განთავსება.

60. მამრობითი და მდედრობითი სქესის არასრულწლოვნები ჩვეულებრივ ცალკ-ცალკე დაწესებულებებში ან დაწესებულების შიგნით ცალკ-ცალკე დანაყოფებში უნდა განთავსდნენ. მაშინაც, როცა მამრობითი და მდედრობითი სქესის არასრულწლოვნები ცალკ-ცალკე არიან განთავსებული მათ უნდა შეეძლოთ ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობა.

61. დაწესებულებების შიგნით უნდა იყოს სათანადო შეფასების სისტემა რათა არასრულწლოვნების განთავსება მოხდეს მათი განათლების, განვითარების დონისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

ე.4 დაპატიმრება

62.1. არც ერთი არასრულწლოვანი არ უნდა მოხვდეს ან იმყოფებოდეს დაწესებულებაში პატიმრობის სათანადო ორდერის გარეშე.

62.2. დაწსებულებაში მიღებისთანავე უნდა მოხდეს არასრულწლოვნების შესახებ შემდეგი მონაცემების დარეგისტრირება:

ა. ინფორმაცია არასრულწლოვნის და მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ვინაობის შესახებ;

ბ. დაპატიმრების მიზეზები და მასზედ პასუხისმგებელი ორგანო;

გ. დაწესებულებაში შემოსვლის თარიღი და დრო;

დ. არასრულწლოვნის პირადი ნივთების აღწერა, რომელთა საიმედოდ შენახვაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს;

ე. სხეულის ხილული დაზიანებები ან ადრინდელი სასტიკი მოპყრობის დამადასტურებელი ნიშნების არსებობა;

ვ. ინფორმაცია ან ცნობები არასრულწლოვნის წარსულზე, მისი აღმზრდელობითი და სოციალური მოთხოვნილებები; და

ზ. საექიმო საიდუმლოს დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ნებისმიერი ინფორმაცია არასრულწლოვნის თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით არასრულწლოვნის, ისე სხვათა ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობისათვის.

62.3. არასრულწლოვნის დაწესებულებაში მოხვედრისთანავე შინაგანაწესი და მისი უფლება-მოვალეობანი არასრულწლოვანს უნდა განემარტოს იმ ენაზე და იმგვარად, რომ მისთვის გასაგები იყოს.

62.4. შეტყობინება არასრულწლოვნის დაწსებულებაში შესვლის შესახებ, ისევე როგორ დაწესებულების შინაგანაწესი და სხვა სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ არასრულწლოვნის მშობლებს ან მის კანონიერ მეურვეებს.

62.5. განთვსების შემდეგ შემდეგ რაც შეიძლება დროულად უნდა მოხდეს მისი სამედიცინო შემოწმება, გაიხსნას სამედიცინო ბარათი და დაიწყოს დადგენილი ავადმყოფობის ან დაზიანებების მკურნალობა.

62.6. განთავსების შემდეგ რაც შეიძლება დროულად:

ა. უნდა ჩატარდეს არასრულწლოვანთან გასაუბრება ფსიქოლოგიური, განათლების და სოციალური დონის შესახებ პირველადი დასკვნის გასაკეთებლად. იქვე უნდა არინიშნოს, თუ კონკრე-

ტულად რა ტიპის და რა დონის მზრუნველობაა საჭირო და ფაქტორები, რომლებიც ამაზედ მიანიშნებს რის შემდეგაც უნდა მოხდეს შესაბამისი ჩარევა;

ბ. არასრულწლოვნისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხოების საკმარისი დონე და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს საწყისი განთავსების ადგილი;

გ. თავისუფლების მოკლევადიანი აღკვეთის შემთხვევაში უნდა შედგეს საგანმანათლებლო და სასწვალო პროგრამების საერთო გეგმა არასრულწლოვნების ინდივდუალური თავისებურებების შესაბამისად და დაიწყოს ამ პროგრამების განხორციელება; და

დ. ასეთი პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვანთა მოსაზრებები.

ე. 5 საცხოვრებელი პირობები

63.1. არასრულწლოვნისათვის გათვალისწინებული საცხოვრებელი პირობები, განსაკუთრებით კი საძინებელი პირობები ისეთი უნდა იყოს, რომ აღლახავდეს ადამიანის ღირსებას და შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდეს კონფიდნეციალურობის უფლებას, აკმაყოფილებდეს ჯანდაცივსა და ჰიგიენის მოთხოვნებს, სთანადო ყურადღება ექცეოდეს კლიმატურ პირობებს და განსაკუთრებით გამოყოფილი ფართის რაოდენობას, ჰაერის კუბატურას, განათებას, გათბობას და ვენტილაციას. ამ საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული მინიმალური მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

63.2. ღამის განმავლობაში არასრულწლოვნაები, როგორც წესი, ინდივიდუალურ საძინებლებში უნდა განლაგდნენ, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ისინი თავად საერთო საძინებელში განლაგებას ანიჭებენ უპირატესობას. საერთო საკანში განთავსება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც ის ამ მიზნებს ემსახურება და ერთად მოთავსდებიან ის არასრულწლოვნები, რომელთა ურთიერთობაც დასაშვებია. სანამ საერთო დაბინავებას შესთავაზებენ საჭიროა არასრულწლოვნებთან გასაუბრება, საიდანაც შეიძლება გაირკვეს, თუ ვისთან ერთად სურთ მათ საკანში ყოფნა.

64. თვითეული არასრულწლოვნის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უნდა არსებობდეს პერსონალის მიერ ყველა საკნის მუდმივი და არა აშკარა ზედამხედველობა, განსაკუთრებით ღამის განმავლობაში. გარდა ამისა უნდა არსებობდეს ქმედითი საგანგაშო სისტემა საგანგებო სიტუაციებში გამოსაყენებლად.

ე. 6 ჰიგიენა

65.1. დაწესებულების ყველა ადგილი სათანადოდ უნდა ლაგდებოდეს და მუდმივად იყოს დაცული სისუფთავე;

65.2. არასრულწლოვნები შეუფერხებლად უნდა სარგებლობდნენ აბაზანა-ტუალეტებით, რომლებიც ჰიგიენურია და იძლევა განმარტოების საშუალებას.

65.3. უნდა არსებობდეს შესაბამისი საშუალებები, რომ არასრულწლოვანმა, თუ შესაძლებელია ყოველდღიურად, მიიღოს კლიმატისათვის შესაფერი ტემპერატურის აბაზანა ან შხაპი.

65.4. არასრულწლოვნებმა უნდა დაიცვან პირადი ჰიგიენა, სისუფთავეში იქონიონ საკუთარი ტანსაცმელი და საძინებელი, ხოლო ხელმძღვანელობამ უნდა ასწავლოს მათ როგორ მიაღწიონ ამას და მოამარაგონ ისინი ამისათვის აუცილებელი საშუალებებით.

ე. 7 ტანსაცმელი და ლოგინი

66.1. არასრულწლოვნებს ნება უნდა დაერთოთ ატარონ საკუთარი ტანსაცმელი, იმ პირობით, რომ ეს შესაფერისი სამოსი იქნება.

66.2. არასრულწოვანებს, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი და შესაფერისი საკუთარი ტანსაცმელი დაწესებულება მოამარაგებს ასეთი ტანსაცმლით.

66.3. შესაფერისია ისეთი ტანსაცმელი, რომელიც არარის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი, კლიმატისათვის შესაფერისია, და აღემუქრება დაცულობასა და უსაფრთხოებას.

66.4. არასრულწლოვნები, რომელთაც დაწესებულების გარეთ გასვლა ნებადართული აქვთ, არ უნდა იყვნენ ვალდებულნი ატარონ ტანსაცმელი, რომლითაც ამოიცნობა თავისუფლებააღკვეთილი პიროვნება.

67. ყველა არასრულწლოვანს უნდა გამოეყოს ცალკე საწოლი და ცალკე ლოგინი და თეთრეული, რომელიც წესრიგში იქნება და საკმაოდ ხშირად გამოცვლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სისუფთავე.

ე. 8 კვება

68.1. არასრულწლოვნების კვების დიეტა ისეთი უნდა იყოს, რომ ითვალისწინებდეს მათ ასაკს, ჯანმრთელობას, ფიზიკურ მდგომარეობას, რელიგიას, კულტურას და იმას, თუ რა საქმიანობას ეწევიან ისინი დანესებულებაში.

68.2. საკვები უნდა მომზადდეს და მიეწოდოს სუფთად, დღეში სამჯერ, კვებათა შორის გონივრული ინტერვალის დაცვით.

68.3. სუფთა დასალევი წყალი მუდამ უნდა იყოს არასრულწლოვნების განკარგულებაში.

68.4. თუ შესაძლებელია, არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ თავისთვის საკვების შეძენის საშუალება.

ე. 9 ჯანმრთელობა

69.1. დებულებები, რომლებსაც შეიცავს დოკუმენტები მოზრდილი პატიმრების ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ვრცელდება ასევე თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებზე.

69..2 თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების ჯანმრთელობაზე ზრუნვა უნდა წარმოებდეს საზოგადოების წევრი ყველა არასრულწლოვნისათვის დადგენილი სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად.

70.1. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯანმრთელობისათვის მუქარის შემცველ მომენტებს, დაკავშიერბულს თავისუფლების აღკვეთასთან.

70.2. უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური პოლიტიკა არასრულწლოვანთა შორის თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების ფაქტების პროფილაქტიკის მიზნით, განსაკუთრებით პატიმრობის ადრეულ ეტაპზე, სეგრეგაციისა და სხვა, მაღალი რისკის პეროდად ცნობილ ეტაპებზე.

71. უნდა სწარმოებდეს არასრულწლოვნებს შორის ავადმყოფობათა პროფილაქტიკა და მათი სანიტარული განათლება.

72.1. საექიმო მკურნალობა, მათ შორის წამლების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ სამედიცინო ჩვენებების საფუძველზე და არა

სიმშვიდის დამყარების ან დასჯის მიზნით. უნდა მოქმედებდეს იგივე ეთიკური პრინციპები და თანხმობის პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობენ თავისუფალი საზოგადოების მკურნალობისას. უნდა კეთდებოდეს ჩანაწერი ნებისმიერი სამედიცინო მომსახურების ან წამლის გაცემის შესახებ.

72.2. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებზე არასდროს უნდა მოხდეს წამლების ან სამედიცინო მომსახურების გამოცდა;

73. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

ა. მცირე ასაკის არასრულწლოვანთა მოთხოვნილებებს;

ბ. ფეხმძიმე გოგონებს და მცირეწლოვანი ჩვილების დედებს;

გ. ნარკომანებსა და ალკოჰოლიკებს

დ. ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემების მქონე არასრულწლოვნებს;

ე. არასრულწლოვნებს, რომელთაც, გამონაკლისის სახით ხანგრძლივად აქვთ აღკვეთილი თავისუფლება;

ვ. არასრულწლოვნებს, რომლებიც ფიზიკური, ფსიქიური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი არიან;

ზ. სოციალურ ად იზოლირებულ არასრულწლოვნებს; და

თ. დამნაშავეთა სხვა, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს.

74.1. არასრულწლოვანთა სამედიცინო მომსახურება უნდა წარმოადგენდეს ზრუნვის მრავალპროფილიანი პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

74.2. იმისათვის, რომ პროფილაქტიკისა და მკურნალობის კურსმა ჩაიაროს სწორად და პროფესიული კონფიდენციალურობის დაცვით, თვითეული პროფესიის როლის დაკნინების გარეშე, ექიმებისა და ექთნების მუშაობა უშუალოდ უნდა იყოს შეთანხმებული სოციალურ მუშაკებთან, ფსიქოლოგებთან, პედაგოგებთან, სხვა სპეციალისტებთან და პერსონალთან, რომელიც მუდმივ კონტაქტშია არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან.

75. სამედიცინო მომსახურება არასრულწლოვანთა დაწესებულებებში არ უნდა შემოიფარგლოს ავადმყოფი პაციენტების მკურნალობით, არამედ უნდა მოიცავდეს პროფილაქტიკურ და სოციალურ ღონისძიებებს ისევე, როგორც საკვების კონტროლს.

ე. 10. სარეჟიმო საქმიანობა

76.1. პროცესებში ყველანაირი ჩარევა მიმართული უნდა იყოს არასრულწლოვნის განვითარებისაკენ, რაშიც მას აქტიურად უნდა შეეწყოს ხელი.

76.2. ასეთი ჩარევები უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვანთა ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მათი ასაკის, სქესის, სოციალური და კულტურული წარმომავლობის, განვითარების დონისა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის შესაბამისად. ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ დადებითი გამოცდილების გაზიარებასა და კვლევის შედეგებზე დამყარებულ საყოველთაოდ აღიარებულ პროფესიულ სტანდარტებს..

77. სარეჟიმო საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს აღმზრდელობით, პირადი და სოციალური განვითარების, პროფესიული განათლების, რეაბილიტაციისა და განთავისუფლებისათვის მომზადების მიზნებს. ამ საქმიანობაში შედის:

ა. სკოლაში სწავლა;
ბ. პროფესიული მომზადება;
გ. შრომითი და დასაქმების თერაპია;
დ. სამოქალაქო განათლება;
ე. სოციალური ჩვევების დანერგვა და ინტელექტუალური მომზადება;
ვ. აგრესიის მართვა;
ზ. რაიმეზე დამოკიდებულობის მკურნალობა;
თ. ინდივიდუალური ან ჯგუფური თერაპია;
ი. ფიზკულტურა და სპორტი;
კ. კოლეჯის დონის ან შემდგომი განათლების მიღება;
ლ. ვალის რეგულირება;
მ. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამა *(როდესაც სამართალდამრღვევს დაბეჯითებით სთხოვენ აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ დანაშაულზე, მსხვერპლთან შეხვედრას, მის ან საზოგადოების წინაშე დანაშაულის გამოსყიდვას*) და დანაშაულისათვის საზღაურის გაღება;
ნ. კრეატიული აქტივობები თავისუფალ დროს და საყვარელი საქმის კეთება;
ო. დაწესებულების გარეთ საზოგადოებაში აქტივობა, ერთდღიანი და სხვა ფორმის შვებულებები; და
პ. მომზადება განთავისუფლებისათვის და შემდგომი აღმზრდელობითი მუშაობა.

78.1. სკოლაში სწავლასა და პროფესიულ მომზადებას, და თუ საჭიროა სამკურნალო ჩარევას უნდა მიენიჭოს უპირატესობა შრომით საქმიანობასთან შედარებით.

78.2. შეძლებისდაგვარად უნდა ჩატარდეს საორგანიზაციო მუშაობა, რომ არასრულწლოვნებმა შესძლონ ადგილობრივ სკოლებში და სასწავლო ცენტრებში სიარული, საზოგადოების სხვა აქტივობებზე დასწრება.

78. 3. იქ, სადაც არარის შესაძლებელი, რომ არასრულწლოვნებმა იარონ ადგილობრვი სკოლებსა და სასწავლო ცენტრებში დაწესებულების გარეთ, სწავლა-განათლება ჩატარდება დაწესებულების შიგნით, გარე საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დაწესებულებების პატრონობით.

78.4. პატიმრობის პერიოდში არასრულწლოვნებს საშუალება უნდა მიეცეთ გააგრძელონ სწავლა ან პროფესიული მომზადება, ხოლო, მათ, ვისაც არა აქვს მიღებული სავალდებულო სასკოლო განათლება შეიძლება დაევალოთ ამის გაკეთება.

78.5. პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები იმდენად უნდა იყვნენ ინტეგრირებულნი ქვეყნის საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების სისტემაში, რომ განთავისუფლების შემდეგ აღგაუჭირდეთ სწავლისა და პროფესიული მომზადების გაგრძელება.

79.1. 77-ე წესში ჩამოთვლილი აქტივობების ბაზაზე უნდა შეიქმნას ინდივიდუალური გეგმა, რაშიც არასრულწლოვანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა

79.2. ამ გეგმის მიზანი უნდა იყოს არასრულწლოვნების ისეთი მომზადება, რომ განთავისუფლების შემდეგ მათ ადვილად შესძლონ მიღებული ცოდნისა და უნარების გმოყენება და ამ გზით საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

79.3. გეგმა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ემსახურებოდეს არასრულწლოვნის მომზადებას რაც შეიძლება ადრე განთავისუფლებისათვის და მიუთითებდეს განთავისუფლების შემდგომ შესაბამის ზომებზე.

79.4. გეგმა უნდა ხორციელდებოდეს და მუდმივად ახლდებოდეს არასრულწლოვანთა, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და შეძლებისდაგვარად მშობლების ან კანონიერი მეურვეების მონაწილეობით.

80.1. რეჟიმი ისეთი უნდა იყოს, რომ საშუალებას აძლევდეს არასრულწლოვნებს დღეში იმდენი საათი დაჰყონ საძინებლის გარეთ რამდენიც საჭიროა სოციალური ინტერაქტივობის ადეკვატური დონისათვის. სასურველია ეს პაერიოდი დღეში მინიმუმ რვა საათით განისაზღვრებოდეს.

80.2. დაწესებულებამ ასევე უნდა ჩაატაროს გონივრული ღონისძიებები უქმე დღეებსა და დღესასწაულებზე.

81. თავისუფლებაშეზღუდულ ყველა არასრულწლოვანს უნდა დაერთოს რეგულარული ვარჯიშის ნება დღეში მინიმუმ ორი საათის განმავლობაში, აქედან 1 საათი – ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას.

82.1. დაწესებულებამ საკმარისად უნდა დაასაქმოს არასრულწლოვნები, რასაც მასტიმულირებელი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება.

82.2. შრომა შესაბამისად უნდა ანაზღაურდებოდეს.

82.3. როდესაც არასრულწლოვნები სამუშაო დროს ატარებენ სარეჟიმო საქმიანობაში, ეს ისევე უნდა ანაზღაურდეს, როგორც ჩვეულებრივი მუშაობა.

82.4. არასრულწლოვნებზე უნდა გავრცელდეს ისეთივე ტიპის სოციალური დაზღვევა, რომლითაც სარგებლობენ თავისუფალი საზოგადოების წევრები.

ე. 11. კონტაქტი გარე სამყაროსთან

83. არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ საკუთარ ოჯახთან, სხვა ადამიანებთან და გარეშე ორგანიზაციებთან შეუზღუდავი მიმოწერის, მათთან რაც შეიძლება ხშირი სატელეფონო ან სხვა სახის კომუნიკაციის ნებართვა ისევე, როგორც ამ პირების მიერ მათი მონახულების ნებართვა.

84. მნახველების მიღება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ არასრულწლოვანს შეეძლოს შეინარჩუნოს და განავითაროს ჩვეულებრივი ოჯახური ურთიერთობები და ჰქონდეს სოციალური რეინტეგრაციის შანსი.

85..1 დაწესებულების ხელმძღვანელობა უნდა დაეხმაროს არასრულწლოვანს გარე სამყაროსთან ადეკვატური ურთიერთობის

დამყარებაში და მოამარაგოს ისინი ამისათვის საჭირო აუცილებელი საშუალებებით.

85.2. კომუნიკაცია და მონახულება შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვასა და მონიტორინგს მიმდინარე გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ისევე როგორც წესრიგის დამყარების, უსაფრთხოებისა და დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის მიზნით, მაგრამ შეზღუდვები, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების განკარგულებით შემოღებული კონკრეტული შეზღუდვები მაინც უნდა იძლეოდნენ მინიმალურად დასაშვები კონტაქტების საშუალებას.

85.3. ნებისმიერი ინფორმაცია ახლო ნათესავის გარდაცვალების ან მძიმე ავადმყოფობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს არასრულწლოვანს.

86.1. ნორმალური რეჟიმის ფარგლებში არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ, თანხლებით ან მის გარეშე, დაწესებულებიდან რეგულარული გასვლის უფლება. გარდა ამისა არასრულწლოვნებს უფლება უნდა ჰქონდეთ ჰუმანიტარული მიზნებით დაწესებულებიდან გასვლის უფლება.

86. 2. თუ პრაქტიკულად შეუძლებელია რეგულარული გასველბი, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ოჯახის წევრების ან სხვათა მიერ უფრო ხშირი ან უფრო გრძლევადიანი მონახულების პირობები, რაც დაეხმარება არასრულწლოვნის განვითარებას.

ე. 12. აზრის, სინდისისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლება

87.1. პატივი უნდა ეცეს არასრულწლოვნის აზრის, სინდისისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლებას;

87.2. დაწესებულების რეჟიმი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ არასრულწლოვანს ჰქონდეს საკუთარი რელიგიის აღსარებისა და საკუთარი მრწამსის განხორციელების, ამ რელიგიების აღიარებული წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ წირვებსა და შეკრებებზე დასწრების, მათი რელიგიისა და მრწამისის აღიარებულ წარმომადგენლებთან პირისპიღშეხვედრის საშუალება, ასევე მათი რელიგიისა და მრწამსის შესაბამისი წიგნებისა და ლიტერატურის შენახვის უფლება.

87.3. დაუშვებელია არასრულწლოვანთა იძულება აღიარონ რომელიმე

რელიგია ან მიჰყვნენ რომელიმე მრწამსს, დაესწრონ საეკლესიო მსახურებას ან შეკრებებს, მონაწილეობა მიიღონ რელიგიურ წეს-ჩვეულებებში ან თანხმობა განაცხადონ რომელიმე რელიგიის ან მრწამსის წარმომადგენელთან შეხვედრაზე.

ე. 13. წესრიგი

ე. 13.1. ზოგადი მიდგომა

88.1. წესრიგი უნდა დამყარდეს უსაფრთხო და დაცული გარემოს, არასრულწლოვნის ღირსებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის პატივისცემის ატმოსფეროს შექმნის გზით, რაც ხელს შეუწყობს მათი განვითარების ძირითადი მიზნების შესრულებას.

88.2. განსაკუთრებული ყრადღება უნდა მიექცეს მოწყვლადი არასრულწლოვნების დაცვას და რეპრესიების პროფილაქტიკას.

88.3. პერსონალმა უნდა შეიმუშაოს უსაფრთხოებასა და დაცულობასთან დინამიური მიდგომა, რომელიც დაეფუძნება იქნება დაწესებულებაში არასრულწლოვნებთან პოზიტიურ დამოკიდებულებას.

88.4. მოწონებული უნდა იყოს არასრულწლოვნების ინდივიდუალური ან კოლექტიური სურვილი თავის თავზე აიღონ დაწესებულებაში წესრიგის დაცვა.

ე. 13.2. ჩხრეკა

89.1. არასრულწლოვნების, პერსონალის, მნახველებისა და შენობის ჩხრეკის პროცედურა დეტალურად უნდა იყოს გაწერილი. სიტუაციებს, როდესაც აუცილებელია ჩხრეკის ჩატარება და მის ხასიათს განსაზღვრავს ეროვნული კანონმდებლობა.

89.2. ჩხრეკისას პატივი უნდა ეცეს არასრულწლოვნის ღისებას და შეძლებისდაგვარად, მის პირად უფლებებს. ჩხრეკა უნდა აწარმოოს იგივე სქესის წარმომადგენელმა პერსონალმა. შესაბამისი ინტიმური შემოწმების აუცილებლობა დასაბუთებული უნდა იყოს საფუძვლიანი ეჭვით და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ის უნდა ჩაატაროს მხოლოდ ექიმმა.

89.3. მნახველების ჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ თან აქვთ ისეთი რამ, რაც დაემუქრება დაწესებულების უსაფრთხოებასა და დაცულობას.

89.4. პერსონალი უნდა გაიწვრთნას ჩხრეკის ეფექტურად ჩატარებაში ისე, რომ ამავდროულად აღშეილახოს ჩხრეკის ობიექტთა ღირსება და დაცული იყოს მათი პირადი ნივთების ხელშეუხებლობა.

ე.13.3. ძალის გამოყენება, ფიზიკური შეზღუდვა და იარაღი

90.1. პერსონალმა არ უნდა გამოიყენოს ძალა არასრულწლოვნების მიმართ, თუ ეს არა რის გარდაუვალი თავის დაცვის მიზნით ან გაქცევის მცდელობის, კანონიერი განკარგულებისადმი ფიზიკური წინააღმდეგობის, თვითდაზიანების პირდაპირი რისკის, სხვების დაზიანების ან ქონებისათვის სერიოზული ზარალის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

90.2. გამოყენებული ძალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მინიმალურად აუცილებელს და იმოქმედოს მხოლოდ უმოკლესად აუცილებელი დროით.

90.3. არასრულწლოვნებთან უშუალო შეხებაში მყოფი პერსონალი გაწვრთნილი უნდა იყოს მინიმალური ძალის გამოყენებით აგრესიული ქმედების შეზღუდვის ტექნიკაში.

90.4. უნდა არსებობდეს ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული დეტალური პროცედურა, რომელშიც აღწერილი იქნება:

ა. გამოსაყენებელი ძალის სახეობები;
ბ. თვითეული სახეობის ძალის გამოყენების გარემოებები;
გ. პერსონალი, რომელსაც ამა თუ იმ სახეობის ძალის გამოყენების უფლება აქვს;
დ. ძალის გამოყენებისათვის საჭირო უფლებამოსილებათა დონე;
ე. ძალის გამოყენების შემდეგ აუცილებლად შესადგენი მოხსენება;
ვ. ზემოხსენებული მოხსენებების განხილვის პროცედურა.

91.1. ხელბორკილები და დასამშვიდებელი პერანგი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალის გამოყენების ნაკლებ ინტენსიური მეთოდები აღჭრის. ხელბორკილების გამოყენება ასევე დასაშვებია სიფრთხილის ღონისძიების სახით გადაყვანისას შესაძლო ძალისმიერი ქმედების ან გაქცევის აღსაკვეთად. როდესაც არასრულწლოვანი წარსდგება სასამართლო ან ადმინისტრაციული ხელისუფლების წინაშე მას ბორკილები უნდა მოეხსნას, თუ აღნიშნულ ხელისუფლებს სხვა აზრი არა აქვს.

91.2 შემზღუდველი საშუალებები არ უნდა გამოიყენებოდეს მკაცრად აუცილებელ დროზე მეტი ხნით, აკრძალულია ჯაჭვებისა და ბორკილების გამოყენება.

91.3. შემზღუდავი საშუალებების გამოყენების წესს განსაზღვრავს ეროვნული კანონმდებლობა.

91.4. შეზღუდვის დროებითი ზომის სახით დამამშვიდებელ საკანში იზოლირება უნდა გამოიყენებოდეს გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ რამდენიმე საათით, მაგრამ არა უმეტეს 24 საათისა. იზოლირების ზომის მიღების შესახებ უნდა ეცნობოს ექიმს, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს არასრულწლოვნის მონახულების საშუალება.

92. იმ დაწესებულების პერსონალს, სადაც არასრულწლოვნები იხდიან სასჯელს არ უნდა ჰქონდეთ იარაღის ტარების უფლება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ოპერატიული აუცილებლობითაა გამოწვეული.

ე. 13. 4. იზოლირება უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით

თუ გამონაკლის შემთხვევებში, უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით აუცილებელია კონკრეტული არასრულწლოვნის დანარჩენებისაგან იზოლირება, ეს უნდა გადაწყვიტოს კომპეტენტურმა ორგანომ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ზუსტი პროცედურების საფუძველზე, იზოლიაციის ხასიათის, მაქსიმალური ხანგრძლივობისა და მისი გამოყენების საფუძვლების დაკონკრეტებით.

93. 2. ასეთი იზოლაციის გადაწყვეტილება პერიოდულად უნდა გადაისინჯოს. გარდა ამისა არასრულწლოვანს უფლება აქვს, 121-ე წესის შესაბამისად, საჩივარი შეიტანოს იზოლაციის ნებისმიერი ასპექტის გამო. ექიმს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს იზოლაციის შესახებ და მიეცეს აღნიშნული არასრულწლოვნის დაუყოვნებლივ მონახულების საშუალება.

ე. 13.5. დისციპლინა და სასჯელი

94.1. დისციპლინარული ზომები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოიყენებოდეს. ოფიციალური დისციპლინარული მოსმენების და დასჯის საპირისპიროდ უპირატესობა უნდა მიენიჭოთ კონფლიქტის აღდგენით მოგვარებას და ნორმის გადამოწმების მიზნით აღმზრდელობით ზემოქმედებას.

94.2. მხოლოდ ის საქციელი უნდა ჩაითვალოს დისციპლინარულ სამართალდარღვევად, რომელიც სავარაუდოდ საფრთხეს უქმნის წესრიგს, უსაფრთხოებასა და დაცულობას.

94.3. ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული უნდა იყოს ქმედებები ან უმოქმედობა, რომლებიც დისციპლინარულ სამართალდარღვევად ჩაითვლება, დისციპლინარული მოსმენების პროცედურა, შესაფარდებელი სასჯელის სახეობები და ხანგრძლივობა, და ასევე კომპეტენტური ორგანო, რომელსაც ასეთი სასჯელის შეფარდება შეუძლია და სააპელაციო პროცედურა.

94.4. არასრულწლოვნებს, რომელთაც ბრალად ედებათ დისციპლინარული სამართალდარღვევა დაუყონვებლივ უნდა ეცნობოთ, თუ რა ხასიათის ბრალდებას უყენებენ მათ იმ ენაზე და იმგვარად, რომ ეს მათთვის გასაგები იყოს, მიეცეთ საკმარისი დრო და სშუალება მოემზადონ თავის დასაცავად; ნება დაერთოთ თავად დაიცვან თავი ან მოიშველიონ მშობლები და კანონიერი მეურვეები, ან, იმ შემთხევევაში, თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, საქმეში ჩაერევა ადვოკატი.

95.1. დისციპლინარული სასჯელი შეძლებისდაგვარად ისე უნდა შეირჩეს, რომ მას აღმზრდელობითი ხასიათი ჰქონდეს. ის არ უნდა იყოს ჩადენილი სამართალდარღვევის სერიოზულობისათვის შესაფერისზე უფრო მძიმე.

95.2. აკრძალული უნდა იყოს კოლექტიური დასჯა, გაშოლტვა, ბნელ საკანში გამომწყვდევა და სასჯელის სხვა არაჰუმანური და დამამცირებელი ფორმები.

95.3. არასრულწლოვანს არ უნდა მიესაჯოს კარცერში განმარტოებით სასჯელის მოხდა.

95.4. დისციპლინარული მიზნით სასჯელის ზომად იზოლაცია მხოლოდ გამონაკლის შემთხევებში უნდა გამოიყენებოდეს, როცა სხვა სანქციები აღიქნებოდა ეფექტური. ასეთი იზოლაცია დროის გარკვეული პერიოდით შეიძლება მოხდეს და არ უნდა იყოს ხანგრძლივი. ამ პერიოდში რეჟიმი უნდა ითვალისწინებდეს შესაფერის ადამიანურ კონტაქტებს, საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობას და დღეში მინიმუმ ერთ საათიან ჰაერზე ვარჯიშს, თუ ამინდი ამის საშუალებას იძლევა.

95.5 ასეთი იზოლიაციის შესახებ უნდა ეცნობოს ექიმს და იგი დაუყოვნებლივ უნდა იყოს დაშვებული აღნიშნულ არასრულწლოვანთან.

95.6. დისციპლინარული სასჯელი არ უნდა გულისხმობდეს ოჯახთან კონტაქტის ან მნახველების მიღების შეზღუდვას, თუ თავად

დისციპლინარული სამართალდარღვევა არარის გამოწვეული ასეთ კონტაქტებსა და ვიზიტების გამო.

95.7. არ უნდა მოხდეს 81-ე წესით გათვალისწინებული ვარჯიშის ხანგრძლივობის შემცირება დისციპლინარული დასჯის მიზნით.

ე.14. ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანა

96. არასრულწლოვნების გადაყვანა ხდება მაშინ, როცა სხვა დაწესებულებაში უფრო ეფექტურად შეიძლება განთავსების საწყისი კრიტერიუმების შესრულება და საზოგადოებაში რეინტეგტრაციის მიზნების განხორციელება, ან ასეთი გადაყვანის აუცილებლობა გამოწვეულია უსაფრთხოებისა და დაცულობისათვის სერიოზული საფრთხის არსებობით.

97. გადაყვანა არ უნდა იყოს დისციპლინარული სასჯელის ზომა.

98. თუ კანონი ამას ითვალისწინებს არასრულწლვანი შეიძლება გადაყვანილ იყოს ერთი ტიპის დაწესებულებიდან მეორეში სასამართლო ან ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოს განკარგულებით სათანადო გამოძიების შემდეგ.

99.1. მზრუნველობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად მოცემულ არასრულწლვოანთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია და მონაცემი ასეეე უნდა გადაიგზავნოს ახალი პატიმრობის ადგილას.

99.2. არასრულწლოვნის ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს დაპატიმრებულისადმი ჰუმანური მოპყრობის მოთხოვნებს.

99.3. დაცული უნდა იყოს ტრანსპორტირებული არასრულწლოვნის ანონიმურობა და კონფიდენციალურობა.

ე. 15. განთავისუფლებისათვის მომზადება

100.1. თავისუფლებააღკვეთილ ყველა არასრულწლოვანს დახმარება უნდა გაეწიოს საზოგადოებაში ცხოვრების გაგრძელებისათვის მომზადებაში.

100.2. იმ არასრულწლოვნების მიმართ, რომელთა დანაშაულიც დადგენილია, გამოყენებული უნდა იყოს პროცესში ჩარევის სპეციალური ფორმები.

100.3. ასეთი ჩარევის ფორმები გათვალსიწინებული უნდა იყოს ინდივიდუალურ გეგმაში, როგორც ეს 79.1. წესით არის განსაზღვრული და განთავისუფლებამდე საკმაო დროით ადრე უნდა დაიწყოს მათი განხორციელება.

101.1. თავისუფლების აღკვეთის პირველივე დღეებიდან მჭიდრო თანამშრომლობა უნდა დმაყარდეს დაწესებულების ხელმძღვანელობასა და იმ სამსახურებსა და ორგანოებს შორის, რომლებიც მეთვალყურეობენ პატიმრობიდან განთავისუფლებულ არასრულწლოვნებს და ეხმარებიან მათ საზოგადოებაში ხელახლა დამკვიდრებაში ისეთი გზებით, როგორიცაა მაგალითად:

ა. ოჯახში დაბრუნებაში დახმარება ან მათთვის მიმღები ოჯახის პოვნა, ისევე, როგორც სოციალური ურთიერთობის სხვა ფორმების დამყარებაში დახმარება;
ბ. საცხოვრებლის მოძიება;
გ. მათი სწავლა-განათლების გაგრძელება;
დ. სამუშაოს პოვნა;
ე. გაგზავნა შესაბამის სოციალურ და ჯანდაცვის ორგანოებში; და
ვ. ფულადი დახმარების გაწევა.

102. 2. ასეთი სამსახურებისა და ორგანოების წარმომადგენლები უნდა დაიშვებოდნენ არასრულწლოვანთა დაწესებულებებში განთავისუფლებისათვის მათ მომზადებაში დასახმარებლად.

102.3. ეს სამსახურები და ორგანოები ვალდებულნი არიან განთავისუფლების თარიღის დადგომამდე ეფექტური და დროული განთავისუფლებისწინა დახმარება გაუწიონ არასრულწლოვნებს.

103. თუ არასრულწლოვანი პირობითად არის განთავისუფლებული, პირობითი განთავისუფლება უნდა განხორციელდეს იმავე პრინციპებით, რომელიც მოცემული წესების შესაბამისად საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების გატარებას.

ე.16. უცხოეთის მოქალაქეები

104.1. უცხოეთის მოქალაქე იმ არასრულწლოვნების მიმართ, რომლებიც რჩებიან ქვეყანაში, სადაც ისინი დააპატიმრეს მიდგომა ისეთივე უნდა იყოს როგორც დანარჩენი არასრულწლოვნების მიმართ.

104.2. საკუთარ სამშობლოში არასრულწლოვნის გადაყვანა – აღგადაყვანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მის მი-

მართ მოპყრობა ისეთივე უნდა იყოს როგორც დანარჩენი არასრულწლოვნების მიმართ.

104.3. თუ მიღებულია გადაწყვეტილება მათი გადაყვანის შესახებ, ისინი უნდა მომზადდნენ საკუთარ სამშობლოში რეინტეგრაციისათვის. თუ შესაძლებელია უნდა დამყარდეს მჭიდრო თანამშრომლობა სოციალური უზრუნველყოფის და სასამართლო ორგანოებთან ასეთი არასრულწლოვნებისათვის სამშობლოში დაბრუნებისთანავე აუცილებელი დახმარების უზრუნველსაყოფად.

104.4. უცხოეთის მოქალაქე არასრულწლოვნებს უნდა ეცნობოთ, რომ არსებობს თავისუფლების აღკვეთის ზომის სამშობლოში მოხდის თხოვნის საშუალება.

104.5. უცხოეთის მოქალაქე არასრულწლოვნებს უფრო ხანგრძლივი პაემანების ან გარე სამყაროსთან კონტაქტის სხვა ფორმების უფლება უნდა მიეცეთ, თუ ეს აუცილებელია მათი სოციალური იზოლიაციის კომპენსირებისათვის.

105.1. უცხოეთის მოქალაქე არასრულწლოვნებს, რომლებიც დაწესებულებაში იმყოფებიან დაუყოვნებლად უნდა ეცნობოთ იმის შესახებ, რომ მათ უფლება აქვთ მოითხოვონ კონტაქტი და მიეცეთ გონივრული საშუალება საკუთარი ქვეყნის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან კავშირის დასამყარებლად.

105.2. იმ არასრულწლოვნებს, რომელთა ქვეყნების დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგელობა არარსებობს ქვეყანაში, სადაც ისინი დააკავეს, ისევე როგორც ლტოლვილებსა და აპატრიდებს ასევე უნდა ჰქონდეთ ანალოგიური საშუალება დაუკავშირდნენ იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომელიც მათ ინტერესებს წარმოადგენს ან ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთაც ევალებათ ასეთი პირების ინტერესების დაცვა.

105.3. ინსტიტუციონალურმა და სოცუზრუნველყოფის ორგანოებმა სრულად უნდა ითანამშრომლონ ამ არასრულწლოვნების ინტერესების წარმომადგენელ დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურების თანამშრომლებთან მათი განსაკუთრებული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

105.4. გარდა ამისა, უცხოელ არასრულწლოვნებს, რომლებსაც გასახლება ემუქრებათ, უნდა გაეწიოთ სათანადო იურიდიული კონსულტაცია და დახმარება ამათან დაკავშირებით.

ე.17. ეთნიკური და ენობრივი უმცირესობები დაწესებულებაში

106.1. უნდა ჩატარდეს სპეციალური საორგანიზაციო მუშაობა დაწესებულებაში მყოფი ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

106.2. თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, სხვადასხვა ჯგუფებს უნდა მიეცეთ დაწესებულებაში კულტურული საქმიანობის გაგრძელების საშუალება.

106.3. ენობრივი წინააღმდეგობების გადალახვა უნდა მოხდეს მცოდნე თარჯიმნების მეშვეობით და კონკრეტულ დაწესებულებაში გავრცელებულ ენებზე დაწერილი მასალის მიწოდებით.

106.4. მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური ზომები ენის კურსების ჩასატარებლად იმ არასრულწლოვნებისათვის, რომლებიც ვერ ფლობენ ოფიციალურ ენას.

ე. 18. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვნები

107.1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვნები უნდა განთავსდნენ ჩვეულებრივ დაწესებულებებში, სადაც საცხოვრებელი პირობები მორგებულია მათ განსაკუთრებულ მოთხოვნილებებზე.

107.2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი, რომლის სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაც ჩვეულებრივ დაწესებულებაში ვერ მოხერხდება გადაყვანილი უნდა იყოს სპეციალურ დაწესებულებაში, სადაც მისი ეს საჭიროებები დაკმაყოფილდება.

ვ. განსაკუთრებული ნაწილი

ვ.1. პოლიციაში დაკავება, წინასწარი დაკავება, და თავისუფლების აღკვეთის სხვა ფორმები სანქციების შეფარდებამდე

108. დაკავებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი, რომლის დანაშაულიც სასამართლოს მიერ არარის დადგენილი, უნდა ჩაითვალოს უდანაშაულოდ და მის მიმართ გამოსაყენებელი რეჟიმის არჩევაზე არ უნდა იქონიოს გავლენა იმ მოსაზრებამ, რომ მომავალში შესაძლებელია მისი დანაშაული დადასტურდეს

109. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არასრულწლოვნების განსაკუთრებული მოწყვლადობა დაკავების საწყის პერიოდში და ყურადღება მიექცეს იმას, რომ არც ერთ ეტაპზე აღშეილახოს მათი ღირსება და პირადი ხელშეუხებლობა.

110. ასეთი არასრულწლოვნების შესახებ უწყვეტი ზრუნვის გარანტირებისათვის მათ თავიდანვე უნდა გაუწიონ დახმარება ორგანოებმა, რომლებსაც დაეკისრებათ მათზე პასუხისმგებლობა განთავისუფლების შემდეგ და ასევე იმ პერიოდში, როცა მათ მისჯილი აქვთ სანქციები, რომლებიც ითვალისწინებს ან აღითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

111. ასეთი არასრულწლოვნების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ეს გამართლებულია მათი დაკავების მიზნებით.

112. არ უნდა მოხდეს ასეთ არასრულწლოვნების იძულება იმუშაონ ან მიიღონ მონაწილეობა ისეთ ჩართვებსა და საქმიანობაში, რომელთა დაძალებაც არ შეიძლება საზოგადოებაში მცხოვრები არასრულწლოვნებისათვის.

113.1. დაპატიმრებულ არასრულწლოვნებს, რომელთა ბრალეულობაც დადგენილი არარის უნდა მიეცეთ სხვადასხვა პროცესებსა და საქმიანობაში ჩართვის საშუალება.

113.2. თუ ასეთი არასრულწლოვანი ითხოვს ჩაერთოს პროცესებში, რომლებიც გათვალისწინებულია არასრულწლოვნებისათვის, რომელთა ბრალეულობაც დადგენილია, მას, შეძლებისდაგვარად უნდა მიეცეს ამის საშუალება.

ვ.2. სამეურვეო დაწესებულებები

114. სამეურვეო დაწესებულებები უპირველეს ყოვლისა ღია ტიპის დაწესებულებებია და მათში ჩაკეტილი განთავსება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და უმოკლესი ვადით.

115. ყველა სამეურვეო დაწესებულება აკრედიტებული და რეგისტრირებული უნდა იყოს სახელმწიფო ხელისფულების კომპეტენტურ ორგანოებში და უნდა უზრუნველჰყოს ეროვნული სტანდარების მოთხოვნების შესაბამისი მზრუნველობა.

116. იმ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისადმი მიდგომა, რომლებიც სამეურვეო დაწესებულებაში სხვა არასრულწლოვნებთან არიან ინტეგრირებულნი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ამ უკანასკნელთა მიმართ.

ვ. 3. ფსიქიატრიული დაწესებულებები

117. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები ფსიქიატრიულ დაწესებულებებში იღებენი ისეთივე მკურნალობას, როგორსაც სხვა არასრულწლოვნები და მათზე ვრცელდება აქტივობის ისეთივე რეჟიმი, როგორიც სხვა თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებზე.

118. ასეთ დაწესებულებებში ფსიქიატრიული პრობლემების გამო მკურნალობა ინიშნება მხოლოდ სამედიცინო ჩვენებების საფუძველზე, ფსიქიატრიული დაწესებულებებისათვის დადგენილი და დამოწმებული ეროვნული სტანდარტების მიხედვით და საერთაშორისო დკუმენტებით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად.

119. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დაცულობისა და უსაფრთხოების სტანდარტები უნდა დამტკიცდეს უპირველეს ყოვლისა სამედიცინო ჩვენებების საფუძველზე.

ნაწილი IV – იურიდიული კონსულტაცია და დახმარება

120.1. არასრულწლოვნებსა და მათ მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს აქვთ სანქციებისა და ზომების შეფარდებასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე იურიდიული კონსულტაციის და დახმარების მიღების უფლება.

120.2. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები, გონივრულ ფარგლებში, უნდა დაეხმარონ არასრულწლოვანს ეფექტური და კონფიდენციალური იურიდიული დახმარების მიღებაში, ისევე, როგორც ადვოკატებთან კონტროლის გარეშე შეუზღუდავი შეხვედრების მოწყობაში.

120.3. სახელმწიფომ უნდა უზრუნველჰყოს უფასო იურიდიული დახმარება არასრულწლოვანთათვის, მათი მშობლების ან კანონიერი მეურვეებისათვის თუ ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს.

ნაწილი V – საჩივრების განხილვის პროცედურა, შემოწმება და კონტროლი

ზ. საჩივრების განხილვის პროცედურა

121. არასრულწლოვნებსა და მათ მშობლებს ან კანონიერ მერუვეებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი შესაძლებლობა გაგზავნონ მოთხოვნა ან საჩივარი იმ დაწესებულების ზემდგომ ორგანოში, სადაც ისინი იმყოფებიან ან მათთვის შეფარდებული საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების დამდგენი უწყების ზემდგომ ორგანოში

122.1. მოთხოვნისა და საჩივრის შეტანის პროცედურა მარტივი და ეფექტური უნდა იყოს. გადაწყვეტილებები ასეთ მოთხოვნებსა და საჩივრებთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ უნდა მიიღებოდეს.

122.2. საჩივრების გამო გადაწყვეტილების მიღებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს შუამავლობასა და მსხვერპლთან შეხვედრისა და მოლაპარაკების გზით კონფლიქტის მოგვარებას.

122.3. თუ თხოვნაზე ან საჩივრის განხილვაზე უარია ნათქვამი, არასრულწლოვანს და თუ უპრიანია მის მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს უნდა ეცნობოს ასეთი ქმედების მიზეზები. არასრულწლოვანს და თუ უპრიანია, მის მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში გასაჩივრების უფლება.

122.4 ამ ორგანოს მიერ სააპელაციო პროცესი უნდა ჩატარდეს:

ა. არასრულწლოვნისადმი ფრთხილი მიდგომით, მისი მოთხოვნებისა და საზრუნავის გათვალისწინებით

ბ. იმ პირების მიერ, რომელთაც ესმით არასრულწლოვანთა პრობლემები; და

გ. იმ დაწესებულებასთან სიახლოვეს, სადაც პატიმრობაშია არასრულწლოვანი ან სადაც ის მისთვის შეფარდებულ საზოგადოებრივ სანქციებსა და ზომებს იხდის.

122.5. თუმცა საწყისი საჩივრის ან თხოვნის შეტანა, ისევე როგორც შემდგომი სააპელაციო პროცესის წარმართვა წერილობითი ფორმით ხდება, არასრულწლოვანს უნდა მიეცეს საშუალება პირადად გამოსთქვას ზეპირი საჩივარი.

123. არასრულწლოვანი არ უნდა დაისაჯოს თხოვნის ან საჩივრის შეტანის გამო.

124. არასრულწლოვნებსა და მათ მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს უფლება აქვთ ითხოვონ იურიდიული კონსულტაცია საჩივარსა და სააპელაციო პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისევე როგორც მიიღონ სამართლებრივი დახმარება, როცა ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.

თ. შემოწმება და კონტროლი

125. დაწესებულებების, სადაც არასრულწლოვნები იხდიან სასჯელს და მათთვის შეფარდებული საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების აღმსრულებელი ორგანოების შემოწმება უნდა ხდებოდეს რეგულარულად სამთავრობო ორგანოს მიერ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აკმაყოფილებს მათი მუშაობა ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნებს და წინამდებარე წესების დებულებებს.

126.1. ასეთ დაწესებულებებში არსებულ პირობებსა და თავისუფლებააღკვეთილ ან საზოგადოებრივ სანქცებსა და ზომებს დაქვემდებარებულ არასრულწლოვანთა მიმართ მოპყრობას აკონტროლებს დამოუკიდებელი ორგანო ან ორგანოები, რომლებთანაც არასრულწლოვანს აქვს კონფიდენციალური კავშირი. მათ მიერ ჩატარებული კონტროლის შედეგები გამოქვეყნებული უნდა იყოს.

126.2. ასეთი დამოუკიდებელი კონტროლის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძალის გამოყენების, შეზღუდვების, დისციპლინარული სასჯელის ან სხვა განსაკუთრებით მკაცრი ზომების გამოყენების ფაქტებს.

126.3. არასრულწლოვნის გარდაცვალების ან სერიოზული დაზიანების ყველა შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა იყოს გამოძიებული აქტიურად და დამოუკიდებლად.

126.4. სასურველია ასეთი დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოები აქტიურად თანამშრომლობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთაც კანონი აძლევს იმ დაწესებულებებში შესვლის უფლებას, სადაც არასრულწლოვნები იხდიან სასჯელს.

ნაწილი VI – პერსონალი

127.1. ერთიანი პოლიტიკა იმ პერსონალის მიმართ, რომელიც მუშაობს საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების აღმსრულებელ

ორგანოებსა და არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჩამოყალიბებული უნდა იყოს ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც შეიცავს დებულებებს ამ პერსონალის სამსახურში აყვანის, შერჩევის, სწავლების, სტატუსის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის და სამუშაო პირობების შესახებ.

127.2. ამ პოლიტიკით ასევე დაკონკრეტებული უნდა იყოს ძირითადი ეთიკური ნორმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ასეთ არასრულწლოვნებთან მომუშავე პერსონალი და ფოკუსირებული იყოს არასრულწლოვანთა სამიზნე ჯგუფზე. მასში ასევე უნდა იყოს მოცემული ეთიკური და პროფესიული ნორმების დარღვევებთან ბრძოლის ეფექტური მექნიზმები.

128.1. უნდა არსებობდეს არასრულწლოვნებთან მომუშავე პერსონალის სამსახურში აყვანისა და შერჩევის სპეციალური პროცედურები, რომლებიც მხედველობაში მიიღებს არასრულწლოვნებთან და მათ ოჯახებთან ურთიერთობისათვის აუცილებელ ხასიათის თავისებურებებსა და პროფესიულ კვალიფიკაციას.

128.2. სამსახურში აყვანისა და შერჩევის პროცედურები უნდა იყოს ნათელი, გარკვეული, სამართლიანი და არადისკრიმინაციული

128.3. პერსონალის სამსახურში აყვანისა და შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ქალებისა და მამაკაცების აყვანის აუცილებლობა, რომლებსაც გააჩნიათ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნებით გამორჩეულ არასრულწლოვნებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

129.1. საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების აღსრულებაზე პასუხისმგებელ და არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მომუშავე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ტრეინინგი, სადაც განხილული იქნება მათი სამუშაოს თეორიულ და პრაქტიკულ აპექტებთან დაკავშირებული საკითხები, მათი საქმიანობის კონკრეტული სფეროს რეალისტური აღქმისათვის საჭირო მითითებები, მათი პრაქტიკული მოვალეობები და მათდამი წაყენებული ეთიკური მოთხოვნები.

129.2. პერსონალის პროფესიული დონის მუდმივი გაძლიერება და განვითარება მოხდება სამუშაოდან მოუწყვეტლივ ტრეინინგის, ზედამხედველობის, და ასევე სამუშაოს შესრულების ხარისხის განხილვისა და შეფასების გზით.

129.3. ტრეინინგი ფოკუსირებული უნდა იყოს:

ა. მოცემული პროფესიის ეთიკისა და ძირითადი ღირებულებების საკითხებზე;

ბ. ეროვნულ გარანტიებზე და ბავშვთა უფლებებისა და უდიერი მოპყრობისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საერთაშორისო დოკუმენტებზე;

გ. არასრულწლოვანთა შესახებ და ოჯახის შესახებ კანონზე, არასრულწლოვანთა განვითარების ფსიქოლოგიის, არასრულწლოვნებთან სოციალური და აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე

დ. პერსონალის ინსტრუქციაზე არასრულწლოვნების მართვისა და მოტივაციის, მათი პატივისცემის მოპოვების, მათთვის დადებითი მაგალითის მიცემისა და პერსპექტივის დასახვის შესახებ;

ე. არასრულწლოვნებთან და მათ ოჯახებთან პროფესიული ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებაზე;

ვ. პროცესში ჩარევის ნაცად მეთოდებსა და მოწინავე პრაქტიკაზე;

ზ. სხვადასხვა ხასიათის არასრულწლოვნებთან ურთიერთობის მეთოდებზე და სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისაგან შემდგაღგუნდებთან და არასრულწლოვნების საკითხებით დაკავებულ სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის გზებზე.

130. პერსონალი, რომელსაც ეხება საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების აღსრულებისა და არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის საკითხები საკმარისად მრავალრიცხოვანი უნდა იყოს და შედგებოდეს სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისაგან რათა შესძლონ მრავალფეროვანი მოვალეობების ეფექტური შესრულება არასრულწლოვნების პრობლემების გადაჭრა.

131.1. პერსონალი მუდმივი დასაქმების საფუძველზე უნდა იყოს მიღებული სამსახურში.

131.2 არასრულწლოვნებთან მუშაობაში შესაფერისი მოხალისეების ჩართვა მისასალმებელი უნდა იყოს.

131.3. სანქციებისა და ზომების აღსრულებაზე პასიხისმგებელ ორგანოს მოეთხოვება წინამდებარე წესების მოთხოვანთა შესრულების უზრუნველყოფა, მაშინაც, თუ ამ პროცესში ჩართულნი არიან სხვა ორგანიზაციები და კერძო პირები და მიუხედავად იმისა იღებენ თუ არა ისინი ამაში გასამრჯელოს.

132. პერსონალის მუშაობა ისე უნდა აეწყოს, რომ გარანტირებული იყოს არასრულწლოვნებზე მზრუნველობის უწყვეტობა.

133. არასრულწლოვნებთან მომუშავე პერსონალს უნდა ჰქონდეს

მათი სამუშაოს ხასიათის შესაბამისი, და ანალოგიური პროფესიული საქმიანობით დაკავებულთა ტოლფასი პირობები და ანაზღაურება.

134.1. იმისათვის, რომ გაძლიერდეს ეფექტური თანამშრომლობა საზოგადოებაში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არასრულწლოვნებთან მომუშავე პერსონალს შორის ხელი უნდა შეეწყოს ამ ორი ჯგუფის წარმომადგენელთა ურთიერთგაცვლასა და სხვა ვითარებაში სამუშაოდ მოსამზადებელ ტრეინინგს.

134.2. საბიუჯეტო შეზღუდვები არ უნდა გახდეს სამსახურში არასაკმარისი კვალიფიკაციის მქონე პირთა მიღების საფუძველი.

ნაწილი VII – შეფასება, კვლევები, მედიასთან და საზოგადოებასთან მუშაობა

I. შეფასება და კვლევები

135. არასრულწლოვნების მიმართ მისაღები სანქციებისა და ზომების შემუშავება უნდა ხდებოდეს კვლევისა და სამეცნიერო შეფასებების საფუძველზე.

136.1. ამ მიზნისათვის უნდა მოგროვდეს შედარებითი მონაცემები, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც პატიმრობის ისე საზოგადოებრივი სანქციების და ზომების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამ შეფასებებისას ყურადღება უნდა მიექცეს რეციდივიზმის დონეს და მის მიზეზებს.

136.2. ასევე უნდა მოგროვდეს მონაცემები არასრულწლოვანთა პირად და სოციალურ გარემოებებზე და იმ დაწესებულებებში არსებულ პირობებზე, სადაც არასრულწლოვნები შეიძლება მოხვდნენ.

136.3. ხელისუფლებამ თავის თავზე უნდა აიღოს სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და შედარებითი ანალიზის ჩატარება, რაც რეგიონების მიხედვით და სხვაგვარი შედარებების საშუალებას იძლევა.

137. დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ არასრულწლოვნებთან მოპყრობის ყველა ასპექტის კრიმინოლოგიურ კვლევებს ხელი უნდა შეეწყოს ფინანსური დახმარების გზით, ისევე როგორც მონაცემების ხელმისაწვდომობისა და დაწესებულებებში ადვილად დაშვების უზრუნველეყოფით.

138. კვლევების წარმოებისას პატივი უნდა ეცეს არასრულწლოვანთა

პირად ცხოვრებას და დაცული იყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონები მონაცემთა დაცვის შესახებ.

ი. მედიასთან და საზოგადოებასთან მუშაობა

139.1. მედია საშუალებებსა და საზოგადოებას რეგულარულად უნდა მიეწოდებოდეს ფაქტობრივი ინფორმაცია არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული პირობებისა და არასრულწლოვნების მიმართ საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების გატარების შესახებ.

139.2. მედიას და საზოგადოებას უნდა ეცნობოს არასრულწლოვნებისათვის საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების შეფარდების, ისევე როგორც თავისუფლების აღკვეთის მიზნების შესახებ და აგრეთვე იმ პერსონალის მუშაობის შესახებ, რომელსაც ამ ზომების აღსრულება ევალება, რათა საზობადოებამ უკეთ გააცნობიეროს ასეთი სანქციებისა და ზომების როლი.

140. ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს რეკომენდაცია უნდა მიეცეთ რეგულარულად გამოაქვეყნონ ანგარიშები არასრულწლოვანთა დაწსებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ და საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ.

141. მედია საშუალებების წარმომადგენლები და არასრულწლოვანთა საკითხებით პროფესიულად დაინტერესებული საზოგადოების წევრები დაშვებულნი უნდა იყვნენ დაწესებულებებში, სადაც პატიმრობას იხდიან არასრულწლოვნები იმ პირობით, რომ დაცული იქნება მათი კონფიდენციალურობა და სხვა უფლებები.

ნაწილი VIII – წესების განახლება

142. წინამდებარე წესები მუდმივად უნდა ახლდებოდეს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12 წევრი სახელმწიფოებისადმი უცხოელი პატიმრების შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა მოადგილეების 2012 წლის 10 ოქტომბრის 1152-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15.ბ მუხლის პირობების შესაბამისად, ითვალისწინებს, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა, კერძოდ, საერთო ინტერესის საკითხებზე კანონების ჰარმონიზაციის მეშვეობით;

ითვალისწინებს, რომ უცხოელ პატიმართა დიდი რაოდენობა იმყოფება პატიმრობაში წევრი სახელმწიფოების ციხეებში;

აღიარებს, რომ ამ სახის პატიმრებს შეიძლება შეექმნათ სირთულეები ისეთი ფაქტორების საფუძველზე, როგორიცაა: განსხვავებები ენის, კულტურის, ჩვეულებებისა და რელიგიური ნიშნით, ოჯახებთან ურთიერთობებისა და გარე სამყაროსთან კავშირის ნაკლებობა;

სურვილს გამოთქვამს, რომ შემსუბუქდეს უცხოელი პატიმრების ნებისმიერი შესაძლო იზოლაცია და წახალისებული იქნეს მათ მიმართ მოპყრობა სოციალური რეინტეგრაციის თვალსაზრისით;

მიიჩნევს, რომ ასეთი მოპყრობა უნდა ითვალისწინებდეს უცხოელი პატიმრების განსაკუთრებულ საჭიროებებს, რომლებიც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ისინი პატიმრობაში იმყოფებიან ისეთ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქე ან რეზიდენტი არ არიან, იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ისინი სხვა პატიმრების მსგავსი შესაძლებლობებით;

მხედველობაში იღებს:

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას;
- მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენციას;
- მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენციის დამატებით ოქმს;
- რეკომენდაციას (92)16 საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების ევროპული წესების შესახებ;
- რეკომენდაციას (92)17 სასჯელის შეფარდებისას თანმიმდევრულობის შესახებ;
- რეკომენდაციას (93)6 ციხისა და ციხეში გადამდები დაავადე-

ბების, მათ შორის, აივ-ინფექციისა და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების, კონტროლის კრიმინოლოგიური ასპექტების შესახებ;

- რეკომენდაციას (97)12 თანამშრომელთა შესახებ, რომლებსაც უწევთ სანქციებისა და ზომების განხორციელება;
- რეკომენდაციას (98)7 ციხეში ჯანმრთელობის დაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ;
- რეკომენდაციას (99)22 ციხის გადატვირთულობისა და პატიმართა რაოდენობის ზრდის შესახებ;
- რეკომენდაციას (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ;
- რეკომენდაციას (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ;
- რეკომენდაციას (2006)13 წინასწარი პატიმრობის, მისი პირობებისა და ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფის შესახებ;
- რეკომენდაციას (2008)11 არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ სანქციებისა და ზომების გამოყენების ევროპული წესების შესახებ;
- რეკომენდაციას (2010)1 ევროპის საბჭოს პრობაციის წესების შესახებ;

მხედველობაში იღებს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოდელო შეთანხმებას უცხოელ მსჯავრდებულთა გადაცემის შესახებ და უცხოელ მსჯავრდებულთა მიმართ მოპყრობის რეკომენდაციებს (1985);

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებს პატიმარი ქალების მიმართ მოპყრობისა და მსჯავრდებული ქალების მიმართ არასაპატიმრო სასჯელების შესახებ (რეზოლუცია 2010/16);

ევროპის კავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას (2008/909/JHA) განაჩენის ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენების შესახებ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც ითვალისწინებს საპატიმრო სასჯელებს ან ისეთ ზომებს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთას უკავშირდება, ევროპის კავშირში მათი აღსრულების მიზნით;

ევროპის კავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას (2008/947/JHA) განაჩენისა და პირობითი მსჯავრის შესახებ გადაწყვეტილებების ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენების შესახებ პირობით სასჯელსა და ალტერნატიულ სანქციებზე ზედამხედველობის მიზნით;

ევროპის კავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას (2009/829/JHA) ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოთა შორის წინასწარი პატიმრო-

ბის ალტერნატიული ზომების სახით ზედამხედველობის შესახებ გადაწყვეტილებების ურთიერთაღიარების პრინციპის შესახებ;

ითვალისწინებს, რომ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (84)12 წევრი სახელმწიფოებისადმი უცხოელი პატიმრების შესახებ საჭიროებს ჩანაცვლებას ახალი რეკომენდაციით, რომელიც ასახავს მას შემდეგ განვითარებულ მოვლენებს სადამსჯელო პოლიტიკის, განაჩენის გამოტანის პრაქტიკისა და ზოგადად, ციხეების მენეჯმენტის მხრივ ევროპაში;

ითვალისწინებს კონსტიტუციურ პრინციპებს, სამართლებრივ ტრადიციებსა და სასამართლოს დამოუკიდებლობას წევრ-სახელმწიფოებში;

აღიარებს, რომ გარკვეულ სახელისუფლებო ორგანოებსა და უწყებებს აქვთ შეხება უცხოელ პირებთან, რომლებიც ექვემდებარებიან სისხლის სამართალწარმოებას, სანქციებსა თუ ზომებს, და რომ ამ ორგანოებს ესაჭიროებათ მთელი რიგი მკაფიო და თანმიმდევრული სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად;

რეკომენდაციას უწევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს:

- კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში იხელმძღვანელონ ამ რეკომენდაციის დანართში მოცემული წესების შესაბამისად, რომელიც ანაცვლებს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას Rec(84)12 წევრი სახელმწიფოებისადმი უცხოელი პატიმრების შესახებ;

- უზრუნველყონ, რომ ეს რეკომენდაცია და ტექსტისათვის თანდართული კომენტარი გადაითარგმნოს და შეძლებისდაგვარად, ფართოდ გავრცელდეს, სახელდობრ, მიეწოდოს ყველა შესაბამის ორგანოს, უწყებას, პროფესიონალსა და ასოციაციას, რომლებსაც შეხება აქვთ უცხოელ პატიმრებთან, აგრეთვე თავად პატიმრებს.

(2012)12 რეკომენდაციის დანართი

I. ტერმინთა განსაზღვრება და მოქმედების სფერო ტერმინთა განსაზღვრება

1. ამ რეკომენდაციის მიზნებისათვის:

ა. უცხოელი პირი ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელსაც აღაქვს მოქალაქეობა და არითვლება რეზიდენტად იმ სახელმწიფოს მიერ, რომელშიც იგი იმყოფება;

ბ. უცხოელი ბრალდებული ნიშნავს ნებისმიერ უცხოელ პირს, რომლის მიმართ არსებობს ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ მის მიმართ არარის გამოტანი-

ლი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ. უცხოელი მსჯავრდებული გულისხმობს ნებისმიერ უცხოელ პატიმარს, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

დ. ციხე ნიშნავს ნებისმიერ დაწესებულებას, რომელიც უპირატესად განკუთვნილია ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების პატიმრობისათვის;

ე. უცხოელი პატიმარი ნიშნავს ნებისმიერ უცხოელ პირს, რომელიც პატიმრობაში იმყოფება, და ნებისმიერ უცხოელ ბრალდებულს ან უცხოელ მსჯავრდებულს, რომელიც ნებისმიერი ტიპის დაწესებულებაში არის მოთავსებული;

ვ. სასამართლო ხელისუფლება ნიშნავს სასამართლოს, მოსამართლეს ან პროკურორს.

მოქმედების სფერო

2. ეს რეკომენდაცია გამოიყენება უცხოელი პატიმრებისა და სხვა უცხოელი პირების მიმართ, რომლებიც აღიმყოფებიან პატიმრობაში, მაგრამ ექვემდებარებიან სისხლის სამართალწარმოებასა და სისხლის სამართლებრივ სანქციებსა და ზომებს, და რომლებსაც შესაძლოა შეეფარდოთ ან შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა.

II. ძირითადი პრინციპები

3. უცხოელ პატიმრებს უნდა ეპყრობოდნენ ადამიანის უფლებების პატივისცემის დაცვით და მათი კონკრეტული მდგომარეობისა და ინდივიდუალური საჭიროებების სათანადო გათვალისწინებით.

4. უცხოელ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ მათ მიმართ განხილული იქნეს ისეთივე არასაპატიმრო სასჯელები და ზომები, როგორიც სხვა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების მიმართ; მათ არ უნდა ეთქვათ უარი განხილვაზე თავიანთი სტატუსის გამო.

5. უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები არ უნდა იმყოფებოდნენ პატიმრობაში ან არ უნდა შეეფარდოთ საპატიმრო სასჯელები თავიანთი სტატუსის გამო, არამედ მხოლოდ მაშინ, სხვა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების მსგავსად, როდესაც მკაცრ აუცილებლობას წარმოადგენს, უკიდურესი ზომის სახით.

6. უცხოელ მსჯავრდებულებს, რომლებსაც შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა, უნდა ჰქონდეთ პირობით ვადამდე გათავისუფლების სრული განხილვის უფლება.

7. პოზიტიური ზომები უნდა იქნეს მიღებული დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და სპეციფიკური პრობლემების მოგვარების მიზნით, რომლებიც შესაძლოა უცხოელ პირებს ჰქონდეთ საზოგადოებრივი სასჯელების ან ზომების შეფარდებისას, ციხეში, სახელმწიფოსათვის გადაცემის დროს და გათავისუფლების შემდეგ.

8. უცხოელ პატიმრებს, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ხელმისაწვდომობა თარგმანზე და თარმგნისათვის განკუთვნილ საშუალებებზე და შესაძლებლობა, ისწავლონ ის ენა, რომელიც მათ უფრო ეფექტიანი კომუნიკაციის საშუალებას მისცემს.

9. ციხის რეჟიმი უნდა აკმაყოფილებდეს უცხოელი პატიმრების განსაკუთრებულ სოციალურ საჭიროებებს, ამზადებდეს მათ გათავისუფლებისა და სოციალური რეინტეგრაციისათვის.

10. უცხოელ პატიმართა იმ სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება, რომელთანაც მას აქვს კავშირი, მიღებული უნდა იყოს ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე, მართლმსაჯულების ინტერესებისა და აღნიშნული პატიმრების სოციალური რეინტეგრაციის საჭიროების გათვალისწინებით.

11. საკმარისი რესურსები უნდა იქნეს გამოყოფილი კონკრეტული სიტუაციისა და უცხოელი პატიმრების განსაკუთრებული საჭიროებების ეფექტიანად უზრუნველყოფის მიზნით.

12. სათანადო ტრენინგი უცხოელ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან ურთიერთობების კუთხით უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებისათვის, უწყებებისათვის, პროფესიონალებისა და ასოციაციებისათვის, რომლებსაც რეგულარული კონტაქტი აქვთ ასეთ პირებთან.

III. წინასწარი პატიმრობის გამოყენება

13.1. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს წინასწარი პატიმრობის გამოყენება უცხოელი ბრალდებულების, ისევე როგორც სხვა ბრალდებულების, მიმართ, როდესაც მკაცრ აუცილებლობას წარმოადგენს უკიდურესი ზომის სახით, ის რეგულირდება რეკომენდაციით (2006)13 წინასწარი პატიმრობის, მისი პირობებისა და ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფის შესახებ.

13.2. კერძოდ:

ა. უცხოელი ეჭვმიტანილის მიმართ ყოველთვის უნდა განიხილებოდეს წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული სასჯელი; და

ბ. ის ფაქტი, რომ ბრალდებული არც მოქალაქეა და არც რეზიდენტი და არანაირი კავშირი აღაქვს ამ სახელმწიფოსთან, თავისთავად, არ უნდა იყოს საკმარისი იმ დასკვნის გამოსატანად, რომ არსებობს გაქცევის რისკი.

IV. სასჯელის შეფარდება

14.1 იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საპატიმრო სასჯელების გამოყენება უცხოელი მსჯავრდებულების, ისევე როგორ სხვა მსჯავრდებულების, მიმართ, როდესაც მკაცრ აუცილებლობას წარმოადგენს, უკიდურესი ზომის სახით, სასჯელის შეფარდებისას გამოყენებული უნდა იქნეს რეკომენდაცია ღეც(92)17 სასჯელის შეფარდებისას თანმიმდევრულობის შესახებ. კერძოდ, უცხოელი მსჯავრდებულები უნდა დაექვემდებარნენ განხილვას იმავე არასაპატიმრო სასჯელებთან ან ზომებთან დაკავშირებით, როგორც მოქალაქეობის მქონე მსჯავრდებულები.

14.2. სასამართლო ხელისუფლებას უნდა მიეწოდოს, შესაძლებლობისდაგვარად და მართლზომიერ ების ფარგლებში, ანგარიშები უცხოელი მსჯავრდებულების პირადი მდგომარეობისა და მათი ოჯახების შესახებ მსჯავრდებამდე, მათზე დაკისრებული სხვადასხვა სანქციის სავარაუდო გავლენისა და სასჯელის შეფარდების შემდეგ მათი სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე.

14.3. სოციალური რეინტეგრაციისათვის არაპროპორციული სირთულეებისა და დაბრკოლებების თავიდან აცილების მიზნით სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის სავარაუდო გავლენა, რაც ამგვარ სასჯელს შეუძლია იქონიოს თითოეულ მსჯავრდებულზე და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებზე, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფის გარეშე.

V. პატიმრობის პირობები

მიღება

15.1. საპატიმრო დაწესებულებაში მიღებისას და პატიმრობის დროს უცხოელ პატიმრებს უნდა მიეწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე:

ა. მათი, როგორც პატიმრის, უფლებები და მოვალეობები, მათ შორის თავიანთ საკონსულო წარმომადგენლებთან დაკავშირების თაობაზე;

ბ. ციხის რეჟიმის პირობები და შიდა რეგულაციები;

გ. თხოვნებისა და საჩივრების შეტანის წესები და პროცედურები; და

დ. იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების უფლება.

15.2. საპატიმრო დაწესებულებაში მიღების შემდეგ ციხის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უნდა დაეხმაროს უცხოელ პატიმრებს, რომლებსაც აქვთ ამის სურვილი, მათი პატიმრობა შეატყობინოს ოჯახებს, ადვოკატებს, საკონსულოს წარმომადგენლებსა და სხვა პირებსა თუ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ მათი დახმარების კომპეტენცია.

15.3. მათი მიღებიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიეწოდოთ უცხოელ პატიმრებს ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე ზეპირად ან წერილობით საერთაშორისო გადაცემის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

მოთავსება

16.1. საპატიმრო დაწესებულებაში უცხოელი პატიმრების მოთავსების შესახებ გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს მათი პოტენციური იზოლაციის შემსუბუქებისა და გარე სამყაროსთან მათი კონტაქტის ხელშეწყობის საჭიროებას.

16.2. დაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნებისა და უცხოელი პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იქნეს უცხოელი პატიმრების მოთავსება ისეთ ციხეებში, რომლებიც ახლოს არის სატრანსპორტო საშუალებებთან, რაც ოჯახის წევრებს მათი მონახულების საშუალებას მისცემს.

16.3. დაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, უცხოელი პატიმრები, შეძლებისდაგვარად, მოთავსებული უნდა

იყვნენ ციხეებში, რომლებშიც იმყოფებიან სხვა პირები, რომლებსაც აქვთ მათივე სახელმწიფოს მოქალაქეობა, კულტურა, რელიგია ან მათს ენაზე ლაპარაკობენ.

განთავსება

17. გადაწყვეტილება, უცხოელი პატიმრები ერთად უნდა იყვნენ განთავსებული თუ არა, უპირატესად, უნდა ეფუძნებოდეს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და მათთვის სოციალური რეინტეგრაციის ხელშეწყობას, ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უსაფრთხო გარემო პატიმრებისა და თანამშრომლებისათვის.

ჰიგიენა

18.1. სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, უნდა ითვალისწინებდეს უცხოელი პატიმრების კულტურულ და რელიგიურ უპირატესობებს, ამავდროულად, უნდა შენარჩუნდეს შესაბამისი სამედიცინო სტანდარტები.

18.2 წესები, რომლებიც მოითხოვს, რომ პატიმარი სუფთად და აკურატულად გამოიყურებოდეს, უნდა იქნეს განმარტებული პატიმრის კულტურული და რელიგიური უპირატესობების პატივისცემის დაცვით, ამასთანავე, უნდა შენარჩუნდეს შესაბამისი სამედიცინო სტანდარტები.

ტანსაცმელი

19.1. ციხის ადმინისტრაციის მიერ უზრუნველყოფილი ტანსაცმელი არ უნდა ლახავდეს უცხოელი პატიმრების კულტურულ თუ რელიგიურ გრძნობებს.

19.2. როდესაც ციხის ადმინისტრაცია ტანსაცმლით აღუზრუნველყოფს, პატიმრებს უნდა შეეძლოთ, უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, ატარონ ტანსაცმელი, რომელიც შეესაბამება მათ კულტურულ და რელიგიურ ტრადიციებს.

კვება

20. სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფის გარდა, რაც ითვალისწინებს პატიმართა კულტურულ და რელიგიურ მოთხოვნილებებს, ციხის ადმინისტრაციამ, შესაძლებლობის ფარგლებში, პატიმრებს უნდა მისცეს საჭმლის ყიდვისა და მომზადების შესაძლებლობა, რაც მათ კვებას კულტურულად უფრო მისაღებს ხდის, და რომ შეძლონ საკვების მიღება შესაფერის დროს, მათი რელიგიური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

იურიდიული კონსულტაცია და დახმარება

21.1. უცხოელ პატიმრებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოთ იურიდიული კონსულტაციის უფლების თაობაზე იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც გავლენას ახდენს მათ პატიმრობასა და სტატუსზე.

21.2. უცხოელ პატიმრებს უნდა ეცნობოთ შესაძლო იურიდიული დახმარების თაობაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა გაეწიოთ დახმარება ამ საშუალების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

21.3. უცხოელს პატიმრებს, რომლებიც საჭიროებენ თავიანთ ადვოკატთან დაკავშირებას, საჭიროების შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ თარგმანზე ხელმისაწვდომობა.

21.4. ციხის ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს უცხოელი პატიმრებისთვის ადმინისტრაციული და იურიდიული დახმარების უზრუნველყოფას კომპეტენტური გარე უწყებების მიერ.

21.5. უცხოელი პატიმრები, რომლებიც ექვემდებარებიან დისციპლინურ სამართალწარმოებას, საჭიროების შემთხვევაში უნდა სარგებლობდნენ თარჯიმნის დახმარებით.

გარე სამყაროსთან კონტაქტი

22.1. უცხოელი პატიმრების პოტენციური იზოლაციის თავიდან აცილების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გარე სამყაროსთან მათი ურთიერთობების შენარჩუნებასა და განვითარებას, მათ შორის, კონტაქტებს ოჯახსა და მეგობრებთან, საკონსულოს წარმომადგენლებთან, პრობაციისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოხალისეებთან.

22.2. თუ გარკვეულ შემთხვევაში არარსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული პრობლემები, უცხოელ პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, ამგვარი კონტაქტების დროს გამოიყენონ რომელიმე ენა საკუთარი არჩევანისამებღ

22.3. სატელეფონო ზარების განხორციელებისა და მიღების, ასევე კომუნიკაციის სხვა ფორმების გამოყენების წესები უნდა გამოიყენებოდეს მოქნილი სახით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უცხოელი პატიმრებისთვის, რომლებიც ეკონტაქტებიან პირებს საზღვარგარეთ, ჰქონდეთ სხვა პატიმრების თანაბარი ხელმისაწვდომობა კომუნიკაციის ამგვარ ფორმებზე.

22.4. გადახდისუუნარო უცხოელ პატიმრებს დახმარება უნდა გაეწიოთ გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ხარჯების კუთხით.

22.5. კონტაქტების ოპტიმიზაციის მიზნით უცხოელ პატიმრებთან საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრების ვიზიტები ორგანიზებული უნდა იქნეს მოქნილი ფორმით, რაც შესაძლოა მოიცავდეს მათთვის ნებადართული ვიზიტების გაერთიანების შესაძლებლობას.

22.6. შესაძლებლობის ფარგლებში, მხარდაჭერა და ინფორმაცია უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრების მიერ უცხოელი პატიმრების მონახულების მიზნით.

22.7. სპეციალური ზომები უნდა იქნეს მიღებული უცხოელი პატიმრების წახალისებისა და მათთვის შესაძლებლობების მიცემის მიზნით, შეინარჩუნონ რეგულარული და მნიშვნელოვანი ურთიერთობა შვილებთან.

22.8. შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული პატიმრობაში მყოფ მშობელთან შვილების ვიზიტების, კორესპონდენციისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი სხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ.

22.9. ხელისუფლების ორგანოებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ უცხოელ პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ოჯახის წევრებს შეატყობინონ ციხის ან სხვა დაწესებულების შესახებ, რომელშიც ისინი იმყოფებიან ან, რომელშიც გადაიყვანეს.

22.10. აუცილებლობის შემთხვევაში, უცხოელი პატიმრის წინასწარი თანხმობით, ციხის ადმინისტრაციამ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს იმისათვის, რომ მისი გარდაცვალების, მძიმე დაავადების ან სერიოზული დაზიანების თობაზე შეატყობინოს მისი ოჯახის წევრებს.

22.11. ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ზომას უნდა მიმართონ, რომ ჰქონდეთ უცხოელი პატიმრების ოჯახის წევრების განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია.

23.1. უცხოელ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ რეგულარულად იყვნენ ინფორმირებული საზოგადოებრივი საკითხების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე გაზეთების, პერიოდული და სხვა გამოცემების გამოწერით.

23.2. შესაძლებლობის ფარგლებში, უცხოელ პატიმრებს უნდა მიეცეთ

რადიო ან სატელევიზიო მაუწყებლობაზე, ან კომუნიკაციის სხვა ფორმებზე ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენაზე.

23.3. პრობაციის სამსახურებს, კომპეტენტურ ასოციაციებსა და მოხალისეებს, რომლებიც დახმარებას უწევენ უცხოელ პატიმრებს, უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა იმ პატიმრებზე, რომლებსაც სურთ მათთან კონტაქტი.

კონტაქტი საკონსულოს წარმომადგენლებთან

24.1. უცხოელ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი საკონსულოს წარმომადგენლებთან რეგულარული შეხვედრის უფლება.

24.2. უცხოელ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი საკონსულოს წარმომადგენლებთან კომუნიკაციის გონივრული საშუალებები.

24.3. უცხოელ პატიმრებს, რომლებიც არიან საკონსულო წარმომადგენლობის გარეშე იმ ქვეყანაში, რომელშიც პატიმრობაში იმყოფებიან, აქვთ რეგულარული კონტაქტისა და კომუნიკაციის საშუალებების უფლება იმ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, რომელიც ახორციელებს მათი ინტერესების დაცვას.

24.4. უცხოელ პატიმრებს, რომლებიც არიან ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები და მოქალაქეობის არმქონე პირები, აქვთ ეროვნული ან საერთაშორისო უწყებების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის უფლება, რომლებსაც ევალებათ ასეთი პატიმრების ინტერესების დაცვა.

25.1. ციხის ადმინისტრაციამ უნდა აცნობოს უცხოელ პატიმრებს თავიანთი უფლების შესახებ, მოითხოვონ შეხვედრა თავიანთი საკონსულოს წარმომადგენელთან ან ეროვნულ თუ საერთაშორისო უწყებების წარმომადგენლებთან, რომლებსაც ევალებათ ასეთი პატიმრების ინტერესების დაცვა.

25.2. ციხის ადმინისტრაციამ, პატიმრის თხოვნის საფუძველზე, უნდა აცნობოს საკონსულოს წარმომადგენლებს მათი მოქალაქის ციხეში მოთავსების შესახებ.

25.3. ციხის ადმინისტრაცია სრულად უნდა თანამშრომლობდეს საკონსულოს წარმომადგენლებსა და ეროვნულ ან საერთაშორისო უწყებების წარმომადგენლებთან, რომლებსაც ევალებათ ასეთი პატიმრების ინტერესების დაცვა.

25.4. ციხის ადმინისტრაციამ უნდა აწარმოოს ისეთი შემთხვევების

აღრიცხვა, როდესაც უცხოელმა პატიმრებმა უარი თქვეს საკონსულოს წარმომადგენლებთან შეხვედრისა და საკონსულოს წარმომადგენლების ვიზიტის უფლებაზე.

ციხის რეჟიმი

26.1. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს თანაბარი ხელმისწავდომობა აქტივობების დაბალანსებულ პროგრამაზე, საჭიროების შემთხვევაში ციხის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს განსაკუთრებული ზომები პატიმრების შესაძლო პრობლემების აღმოსაფხვრელად.

26.2. აქტივობებზე ხელმისაწვდომობა არ უნდა შეიზღუდოს პატიმრების შესაძლო გადაცემის, ექსტრადიციის ან გაძევების გამო.

მუშაობა

27.1. უცხოელ პატიმრებს, შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა შესაბამის სამუშაოსა და პროფესიულ ტრენინგზე, მათ შორის, პროგრამებზე ციხის გარეთ.

27.2. საჭიროების შემთხვევაში განსაკუთრებული ზომები უნდა იქნეს მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ უცხოელ პატიმრებს ჰქონდეთ ანაზღაურებად სამუშაოზე ხელმისაწვდომობა.

27.3. უცხოელ პატიმრებს შეუძლიათ, თავიანთი შემოსავლის ნაწილი გადაურიცხონ ოჯახის წევრებს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ.

27.4. უცხოელ პატიმრებს, რომლებიც მუშაობენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ იმ სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში, რომელშიც ისინი იმყოფებიან პატიმრობაში, შესაძლებლობისდაგვარად, უნდა მიეცეთ საპენსიო შენატანის მათი მოქალაქეობის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსათვის გადარიცხვის უფლება.

ფიზიკური ვარჯიში და დასვენება

28.1. ფიზიკური ვარჯიშისა და დასვენების აქტივობები ორგანიზებული უნდა იყოს მოქნილი ფორმით, რომ უცხოელ პატიმრებს შეეძლოთ მათში მონაწილეობა მათი კულტურის პატივისცემის დაცვით.

28.2. ციხის ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს აქტივობებს, რომლებიც განამტკიცებს პოზიტიურ ურთიერთობებს ერთი და იმავე კულტურისა და სხვადასხვა წარმომავლობის მქონე პატიმრებს შორის.

განათლება და ტრენინგი

29.1. უცხოელი პატიმრებისთვის სხვა პატიმრებსა და თანამშრომლებთან ეფექტიანი ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა და წახალისდნენ, ისწავლონ ის ენა, რომელიც მათ კომუნიკაციის საშუალებას მისცემს, და გაეცნონ ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს.

29.2. უცხოელი პატიმრებისთვის საგანმანათლებლო და პროფესიული ტრენინგების ეფექტიანობის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფის მიზნით, ციხის ადმინისტრაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს მათი ინდივიდუალური საჭიროებები და მისწრაფებები, რაც შესაძლოა, მოიცავდეს მუშაობას ისეთი კვალიფიკაციის მისაღებად, რომელიც აღიარებულია და მისი გაგრძელება შესაძლებელია იმ ქვეყანაში, რომელშიც ისინი, სავარაუდოდ, იცხოვრებენ გათავისუფლების შემდეგ.

29.3. ციხის ბიბლიოთეკა, შეძლებისდაგავარად, უნდა აღიჭურვოს საკითხავი ლიტერატურითა და სხვა რესურსებით, რომლებიც შეესაბამება ციხეში მყოფი უცხოელი პატიმრების ლინგვისტურ საჭიროებებსა და კულტურულ უპირატესობებს და ადვილად ხელმისაწვდომია.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

30.1. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ რელიგიის ან რწმენის განხორციელების ან შეცვლის უფლება და დაცული იყვნენ ნებისმიერი იძულებისაგან ამ კუთხით.

30.2. ციხის ადმინისტრაციამ უცხოელ პატიმრებს, შესაძლებლობისდაგვარად, უნდა მისცეს მათი რელიგიისა და რწმენის უფლებამოსილ წარმომადგენლებზე ხელმისაწვდომობის საშუალება.

ჯანმრთელობა

31.1. უცხოელ პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ჯანმრთელობის დაცვისა და მკურნალობის ისეთივე პროგრამებზე, როგორებიც სხვა პატიმრებისთვის არის ხელმისაწვდომი.

31.2. საკმარისი რესურსები უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც შესაძლოა ჰქონდეთ უცხოელ პატიმრებს.

31.3. სამედიცინო და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის თანამშ-

რომლებს, რომლებიც ციხეში მუშაობენ, უნდა შეეძლოთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ კონკრეტული პრობლემების მოგვარება, რომლებიც შესაძლოა უცხოელ პატიმრებს ჰქონდეთ.

31.4. უცხოელი პატიმრების ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით, ყურადღება უნდა მიექცეს კომუნიკაციის ყველა ასპექტს. ასეთი კომუნიკაცია შესაძლოა, მოითხოვდეს ისეთი თარჯიმნის გამოყენებას, რომელიც მისაღები იქნება პატიმრისათვის, და რომელმაც პატივი უნდა სცეს სამედიცინო საიდუმლოებას.

31.5. ჯანმრთელობის დაცვა უნდა უზრუნველყოფილი იყოს იმგვარად, რომ აღლახავდეს უცხოელი პატიმრების კულტურულ გრძნობებს, ხოლო მოთხოვნა, რომ ისინი გასინჯოს იმავე სქესის ექიმმა, შეძლებისადაგვარად, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

31.6. საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრიული ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იმ სპეციალისტის მიერ, რომელსაც აქვს განსხვავებული რელიგიური, კულტურული და ლინგვისტური წარმომავლობის მქონე პირებთან ურთიერთობის გამოცდილება.

31.7. ყურადღება უნდა მიექცეს უცხოელ პატიმრებს შორის თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის პრევენციას.

31.8. გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ უცხოელი პატიმრების გადაცემა, რომლებსაც აქვთ განუკურნებელი ავადმყოფობა, და რომლებსაც სურთ გადაყვანა იმ ქვეყანაში, რომელთანაც მჭიდრო სოციალური კავშირები აქვთ.

31.9. მიღებული უნდა იქნეს ზომები იმ უცხოელი პატიმრების სამედიცინო მკურნალობის უწყვეტობის ხელშეწყობის მიზნით, რომელთა გადაცემა, ექსტრადიცია ან გაძევება ხორციელდება, რაც შესაძლოა მოიცავდეს მედიკამენტებით უზრუნველყოფას შესაბამის სახელმწიფოში ტრანსპორტირების დროს, და პატიმრების თანხმობით, სამედიცინო ისტორიის გადაცემას სხვა სახელმწიფოს სამედიცინო სამსახურისათვის.

მართლწესრიგის დაცვა და უსაფრთხოება

32.1. ციხის თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შენარჩუნებული იყოს მართლწესრიგი და უსაფრთხოება დინამიკური უსაფრთხოების პროცესითა და სხვა უცხოელ პატიმრებთან ურთიერთერთობით.

32.2. ციხის თანამშრომლები ყურადღებით უნდა იყვნენ პოტენციური ან არსებული კონფლიქტების თაობაზე პატიმართა ჯგუფებს შორის, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კულტურული თუ რელიგიური განსხვავების ან ეთნიკურ ნიადაგზე დაძაბულობის გამო.

32.3. ციხეში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული ურთიერთპატივისცემისა და შემწყნარებლობის გაძლიერებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა წარმომავლობის მქონე პატიმრებს, ციხის თანამშრომლებსა და სხვა პირებს შორის, რომლებიც ციხეში მუშაობენ ან ვიზიტით იმყოფებიან.

32.4. პატიმრის მოქალაქეობა, კულტურა ან რელიგია არ უნდა იყოს განმსაზღვრელი ფაქტორი პატიმრის რისკის შეფასებისას უსაფრთხოებასთან მიმართებაში.

ქალები

33.1. სპეციალური ზომები უნდა იქნეს მიღებული უცხოელი პატიმარი ქალების იზოლაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

33.2. ყურადღება უნდა მიექციოს უცხოელი პატიმარი ქალების ფსიქოლოგიური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილებას, განსაკუთრებით მათი, ვისაც შვილები ჰყავთ.

33.3. მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ მოვლის ზომები და საშუალებები უნდა ეფუძნებოდეს კულტურული და რელიგიური განსხვავების პატივისცემას.

მცირეწლოვანი ბავშვები

34.1. გადაწყვეტილების მიღებისას იმ საკითხთან დაკავშირებით, უცხოელი პატიმრის მცირეწლოვანი ბავშვი, სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით, მოთავსებული იყოს თუ არა ციხეში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:
ა. პირობებს, რომლებშიც იცხოვრებს ბავშვი ციხეში;
ბ. პირობებს, რომლებიც ბავშვს ციხის გარეთ ექნება; და
გ. ბავშვის კანონიერი მეურვის შეხედულებებს.

34.2. ციხეში მშობელთან ერთად მყოფი მცირეწლოვანი ბავშვების მოვლის ზომები და საშუალებები უნდა ეფუძნებოდეს კულტურულ და რელიგიურ განსხვავებებს.

34.3. ნებისმიერი მცირეწლოვანი ბავშვების სამართლებრივი სტატუსი, რომლებიც ციხეში თავიანთ უცხოელ მშობელთან ერთად იმყოფებიან, უნდა განისაზღვროს რაც შეიძლება სწრაფად ამ მშობლის სასჯელის მოხდის დროს, განსაკუთრებული მზრუნველობით იმ შემთხვევების მოსაგვარებლად, როდესაც ციხეში დაბადებულ ბავშვებს აქვთ მშობლისაგან განსხვავებული მოქალაქეობა.

VI. გათავისუფლება

გათავისუფლებისათვის მომზადება

35.1. უცხოელი პატიმრების მომზადება გათავისუფლებისათვის უნდა დაწყებული იქნეს გონივრულ დროს და ისეთი მეთოდით, რომელიც ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

35.2. უცხოელი პატიმრების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით:
ა. მათი სამართლებრივი სტატუსი და მდგომარეობა გათავისუფლების შემდეგ უნდა განისაზღვროს რაც შეიძლება სწრაფად;
ბ. შესაძლებლობის ფარგლებში პატიმრებს უნდა მიეცეთ ციხის შვებულება და დროებითი გათავისუფლების სხვა ფორმები; და
გ. მათ დახმარება უნდა გაეწიოთ ოჯახთან, მეგობრებთან და შესაბამის ზრუნვის სააგენტოებთან დაკავშირების ან კავშირის აღდგენის მიზნით.

35.3. როდესაც გათავისუფლების შემდეგ უცხოელი პატიმრები რჩებიან იმ სახელმწიფოში, რომელშიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ, მათ უნდა გაეწიოთ შესაბამისი დახმარება და ზრუნვა ციხის, პრობაციის სამსახურის ან სხვა სააგენტოების მიერ, რომლებიც პატიმრების დახმარების საკითხებზე მუშაობენ.

35.4. როდესაც ხდება უცხოელი პატიმრების გაძევება იმ სახელმწიფოდან, რომელშიც ისინი პატიმრობაში იმყოფებიან, პატიმრების თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული იმ სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებთან დაკავშირების კუთხით, რომელშიც უნდა მოხდეს მათი გადაყვანა, რომ მათ დაბრუნებისთანავე გაეწიოთ დახმარება საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

35.5. მკურნალობისა და ზრუნვის უწყვეტობის ხელშეწყობის მიზნით, როდესაც პატიმრების გადაცემა ხდება სხვა სახელმწიფოსათვის სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად, კომპეტენ-

ტურმა ორგანოებმა, პატიმრების თანხმობის შემთხვევაში, უნდა მიაწოდონ შემდეგი სახის ინფორმაცია იმ სახელმწიფოს, რომელშიც იგზავნება პატიმარი:

ა. პატიმრებისთვის ჩატარებული მკურნალობა;

ბ. პროგრამები და აქტივობები, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ;

გ. სამედიცინო ისტორია; და

დ. სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს მკურნალობისა და ზრუნვის უწყვეტობას.

35.6. როდესაც შესაძლებელია უცხოელი პატიმრების სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, მათ უნდა გაეწიოთ დახმარება, მიიღონ დამოუკიდებელი კონსულტაცია გადაყვანის შედეგებთან დაკავშირებით.

35.7. როდესაც ხორციელდება უცხოელი პატიმრების გადაცემა სხვა სახელმწიფოსათვის სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად, მიმღები სახელმწიფოს ხელისუფლებამ უნდა მიაწოდოს პატიმრებს ინფორმაცია პატიმრობის პირობების, ციხის რეჟიმისა და გათავისუფლების შესაძლებლობების თაობაზე.

ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვა

36.1. უცხოელი პატიმრების ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხი უნდა განიხილებოდეს სხვა პატიმრების მსგავსად, როგორც კი ამის უფლება მიეცემათ, და არ უნდა მოხდეს მათი დისკრიმინაცია ამ კუთხით.

36.2. კერძოდ, ზომები უნდა იქნეს მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმრობა აღიყოს არაჯეროვნად გაგრძელებული უცხოელი პატიმრის იმიგრაციის სტატუსის პროცედურების დასრულების გაჭიანურების გამო.

ციხიდან გათავისუფლება

37.1. იმ მიზნით, რომ უცხოელ პატიმრებს გაეწიოთ დახმარება, გათავისუფლების შემდეგ დაუბრუნდნენ საზოგადოებას, პრაქტიკული ზომები უნდა იქნეს მიღებული სათანადო დოკუმენტებითა და პიროვნების დამადასტურებელი საბუთებით უზრუნველსაყოფად, ასევე დახმარება უნდა გაეწიოთ მგზავრობასთან დაკავშირებით.

37.2. როდესაც უცხოელი პატიმრები უნდა დაბრუნდნენ იმ ქვეყანაში,

რომელთანაც აქვთ კავშირი, პატიმრის თანხმობის შემთხვევაში, საკონსულოს წარმომადგენლები უნდა დაეხმარონ ამ კუთხით.

VII. პატიმრებთან მომუშავე პერსონალი

შერჩევა

38. უცხოელ პატიმრებთან მომუშავე პერსონალი შერჩეული უნდა იქნეს იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც მოიცავს კულტურულ, სენსიტიურობის, ინტერაქციის უნარ-ჩვევებსა და ლინგვისტურ უნარებს.

ტრენინგი

39.1. თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ უცხოელი პატიმრების მიღებაში, სათანადოდ უნდა იყვნენ მომზადებული მათთან მოპყრობის კუთხით.

39.2. უცხოელ პატიმრებთან მომუშავე პერსონალი მომზადებული უნდა იყოს კულტურული განსხვავებების პატივისცემისა და იმ კონკრეტული პრობლემების გასაცნობიერებლად, რომლებიც შესაძლოა ჰქონდეთ ასეთ პატიმრებს.

39.3. ასეთი ტრენინგი შესაძლოა მოიცავდეს იმ ენის შესწავლას, რომელზეც ყველაზე ხშირად საუბრობენ უცხოელი პატიმრები.

39.4. ტრენინგის პროგრამების შეფასება და გადახედვა რეგულარულად უნდა ხორციელდებოდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი ასახავდეს პატიმართა ცვლილებასა და სოციალურ პირობებს.

39.5. პერსონალი, რომელსაც შეხება აქვს უცხოელ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან, უნდა იყოს ინფორმირებული მოქმედი ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის, საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებების სამართლისა და სტანდარტების შესახებ, რომლებიც ასეთი პირების მოპყრობას ეხება, ამ რეკომენდაციის ჩათვლით.

სპეციალიზაცია

40. სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები უნდა იყვნენ დანიშნული უცხოელ პატიმრებთან მუშაობაში ჩართულობისა და შესაბამის უწყებებთან, პროფესიონალებსა და ასოციაციებთან კომუნიკაციის მიზნით ამ პატიმრებთან დაკავშირებულ თემებზე.

VIII. პოლიტიკის შეფასება

41. ხელისუფლების ორგანოებმა რეგულარულად უნდა შეაფასონ და საჭიროების შემთხვევაში გადახედონ თავიანთ პოლიტიკას უცხოელ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან მოპყრობის თაობაზე მეცნიერულად ვალიდური კვლევის საფუძველზე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003) 23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 9 ოქტომბერს მინისტრთა მოადგილეების 2003 წლის 9 ოქტომბრის 955–ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი მინისტრთა საბჭოს სტატუსის მე–15 (ბ) მუხლით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, მიიჩნევს რა, რომ მინისტრთა საბჭოს წევრი სახელმწიფოების ინტერესის საგანია შექმნას საერთო პრინციპები საპატიმრო სანქციებთან დაკავშირებით იმ მიზნით, რომ მოხდეს ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, მიიჩნევ რა, რომ პატიმრობის აღსრულება მოითხოვს ბალანსის დაცვას, ერთი მხრივ, სასჯელაღსრულების ინსტიტუტებში უსაფრთხოების მიზნების უზრუნველყოფას, წესრიგსა და დისციპლინას შორის და მეორე მხრივ, პატიმრებისთვის მისაღები საცხოვრებელი პირობების, აქტიური რეჟიმისა და გათავისუფლებისათვის კონსტრუქციული მომზადების მიწოდებით, მიიჩნევს რა, რომ პატიმრები უნდა იმართებოდნენ იმ გზით, რომელიც ადაპტირებულია ინდივიდუალურ გარემოებებთან და შეესაბამება სამართლიანობის, თანასწოროობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს,

მიუთითებს რა გრძელვადიანი სანქციების იმპლემენტაციის თაობაზე 2001 წლის ოქტომბერში ევროპის იუსტიციის მინისტრების მიერ მოსკოვში ჩატარებულ 24–ე კონფერენციის დროს მიღებულ რეზოლუციაზე, მიიჩნევს რა, რომ სიკდვილით დასჯის გაუქმებამ წევრ სახელმწიფოებში შედეგად მოიტანა სამუდამო პატიმრობის სანქციის გამოყენების გაზრდა,

წუხს რა ბევრ ქვეყანაში არსებული ზრდის თაობაზე, ვინაიდან გრძელვადიანი პატიმრობის რაოდენობისა და ხანგრძლივობის გაზრდა იწვევს ციხის გადატვირთულობას და შეიძლება ზიანი მოუტანოს პატიმრების ადამიანურ მენეჯმენტს,

მხედველობაში იღებს რა, რომ (99) 22 რეკომენდაციაში ჩადებული პრინციპების იმპლემენტაცია, რომელიც მოიცავს ციხის გადატვირთულობას და ციხის მოსახლეობის გაზრდას, ისევე როგორც ციხის ად-

მინისტრაციის უზრუნველყოფას ადეკვატური რესურსებითა და პერსონალით, მნიშვნელოვნად შეამცირებს მენეჯმენტის პრობლემებს, რაც დაკავშირებულია გრძელვადიან პატიმრობასთან და უფლებას იძლევა დაკავების უკეთესსა და მეტად დაცულ პირობებზე,

მიიჩნევს რა, რომ კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც შეეხება სამუდამო და სხვა გრძელვადიან პატიმრებს, უნდა შეესაბამებოდეს ევროპის ადამინის უფლებათა კონვენციაში და მისი განაცხადით მინდობილი ორგანოების პრეცედენტულ სამართალში განმტკიცებულ პრინციპებს,

მხედველობაში აქვს რა იმ პრინციპებთან შესაბამისობა, რომლებიც ჩადებულია წინა რეკომენდაციებში, კერძოდ:

– რეკომენდაცია (82) 16 ციხის დატოვების თაობაზე;
– რეკომენდაცია (83) 17 საშიში პატიმრების პატიმრობისა და მათთან მოქცევის თაობაზე;
– რეკომენდაცია (84) 12 უცხოელი პატიმრების თაობაზე;
– რეკომენდაცია (87) 3 ევროპული ციხის წესების შესახებ;
– რეკომენდაცია (87) 20 არასრულწლოვანთა გადაცდომის სოციალური რეაქციის თოაბაზე;
– რეკომენდაცია (89) 12 ციხის განათლების თაობაზე;
– რეკომენდაცია (92) 16 საზოგადოების სანქციებისა და ზომების ევროპული წესების შესახებ;
– რეკომენდაცია (97) 12 სანქციებისა და ზეომების იმპლემენტაციაში ჩართული პერსონალის თაობაზე;
– რეკომენდაცია (98) 7 ციხეებში ჯანმრთელობის დაცვის ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ;
– რეკომენდაცია (99) 22 ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე;
– რეკომენდაცია (2000) 22 საზოგადოების სანქციებსა და ზომებში ევროპული წესების იმპლემენტაციის გაუმჯობესების შესახებ;
– რეკომენდაცია (2003) 22 პატიმრობიდან პირობით გათავისუფლების შესახებ, რეკომენდაციას უწევს, რომ წევრი სახელმწიფოების მთავრობები:
– სამუდამო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მენეჯმენტისას საკუთარ კანონმდებლობებში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში სარგებლობდნენ ამ რეკომენდაციის დამატებაში გათვალისწინებული პრინციპებით;
– უზრუნველყონ წინამდებარე რეკომენდაციისა და მისი თანმხლები ანგარიშის შეძლებისდაგვარად ფართოდ გავრცელება.

(2003) 23 რეკომენდაციის დანართი

სამუდამო პატიმრისა და გრძელვადიანი პატიმრის განმარტება:

1. ამ რეკომენდაციის მიზნებისათვის სამუდამო პატიმარი არის პირი, რომელიც სასჯელს იხდის სამუდამო პატიმრობით. გრძელვადიანი პატიმარი არის პირი, რომელიც იხდის სასჯელს ან რამდენიმე სასჯელს, რომელიც მთლიანად შეადგენს ხუთ ან მეტ წელს.

საერთო მიზნები

2. სამუდამო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მენეჯმენტის მიზნები უნდა იყოს:

– იმის უზრუნველყოფა, რომ ციხეები არის დაცული და უსაფრთხო ადგილი ამ პატიმრებისა და იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მუშაობენ მათთან ან სტუმრობენ მათ;
– ნინააღმდეგობა გაუწიონ სამუდამო და გრძელვადიანი პატიმრობის საზიანო შედეგებს;
– გაზარდონ და გააუმჯობესონ ამ პატიმრების შესაძლებლობები, წარმატებით დასახლდნენ საზოგადოებაში და გათავისუფლების შემდეგ იცხოვრონ კანონმორჩილი ცხოვრებით.
– სამუდამო პატიმრობაში მყოფებისა და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მენეჯმენტის საერთო პრინციპები.

3. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განსხვავებები სამუდამო და სხვა გრძელვადიან პატიმრობაში მყოფი პირების პიროვნულ მახასიათებლებში და უნდა მოხდეს მათი გათვალისწინება სასჯელის აღსრულებისას ინდივიდუალური გეგმების შედგენისას (ინდივიდუალიზაციის პრინციპი).

4. ციხის ცხოვრება ისე უნდა მოეწყოს, რომ მაქსიმალურად მიახლოებული იყო საზოგადოების რეალურ ცხოვრებასთან (ნორმალიზაციის პრინციპი).

5. პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ციხის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიმუშაონ პირადი პასუხისმგებლობა (პასუხისმგებლობის პრინციპი).

6. ნათელი განსხვავება უნდა გაკეთდეს სამუდამო პატიმრობაში მყოფებისა და სხვა გრძელვადიანი პატიმრებისაგან წამოსულ ნებისმიერ რისკს შორის, რომელიც მიმართულია გარე საზოგადოების, საკუთარი თავების, სხვა პატიმრებისა და იმ პირების

მიმართ, რომლებიც მუშაობენ მათთან, ან სტუმრობენ მათ (უსაფრთხოებისა და დაცვის პრინციპი).

7. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამუდამო პატიმრებისა და სხვა გრძელვადიანი პატიმრების სეგრეგაციის არარსებობა მხოლოდ მათი სასჯელის გამო (საგრეგაციის არარსებობის პრინციპი).

8. სამუდამო ან გრძელვადიანი პატიმრის ცხოვრების ინდივიდუალური დაგეგმვა მიზნად უნდა ისახავდეს პროგრესულ სვლას ციხის სისტემაში (პროგრესის პრინციპი). სასჯელი დაგეგმვა

9. საერთო მიზნების მიღწევისათვის და ზემოთ აღნიშნულ პრინციპებთან შესაბამისობის გამო უნდა შეიქმნას და განვითარდეს სავალდებულო ინდივიდუალური გეგმები თითოეული პატიმრისათვის. ეს გეგმები უნდა მომზადდეს და განვითარდეს შეძლებისდაგვარად პატიმრის აქტიური მონაწილეობით და კერძოდ, დაკავების პერიოდის დასასრულისაკენ გათავისუფლების შემდგომი ზედამხედველობითა და სხვა შესაბამის ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

10. სასჯელის გეგმები უნდა მოიცავდეს თითოეული პატიმრის რისკისა და საჭიროებების შეფასებას და უნდა გამოიყენებოდეს სისტემატური მიახლოებისათვის შემდეგ საკითხებთან:

– პატიმრის წინასწარი მოთავსება;
– პროგრესული მოძრაობა ციხის სისტემაში უფრო მკაცრიდან ნაკლებად ამკრძალავი პირობებისაკენ, იდეალურ პირობებში საბოლოო ფაზას პატიმარი უნდა ატარებდეს ღია პირობებში, სასურველია საზოგადოებაში;
– მონაწილეობა დასასვენებელ და სხვა საქმიანობებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან განეიტრალდეს გრძელვადიანი პატიმრობის საზიანო შედეგები;
– პირობითი გათავისუფლების შემდეგ კანონმორჩილი ცხოვრების და საზოგადოებაში ადაპტაციის ხელშემწყობი პირობებისა და ზომების გატარება.

11. სასჯელის დაგეგმვა უნდა დაიწყოს ციხეში შესვლიდან შეძლებისდაგვარად სწრაფად, უნდა გადაიხედოს რეგულარულ ინტერვალებში და მოდიფიცირდეს საჭიროების შემთხვევაში.

რისკისა და საჭიროებების შეფასება

12. ციხის ადმინისტრაციამ ყურადღებით უნდა შეაფასოს და გადაწყვიტოს, არის თუ არა ინდივიდუალური პატიმარი რისკის მატარებელი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ. შეფასებული რისკები უნდა მოიცავდეს ზიანს საკუთარი თავის მიმართ, სხვა პატიმრების მიმართ, იმ პირების მიმართ, რომლებიც მუშაობენ მათთან, ან სტუმრობენ მათ, საზოგადოების მიმართ, ასევე გაქცევის შესაძლებლობა ან ციხის დატოვებისა თუ გათავისუფლების შემდეგ სხვა სერიოზული დანაშაულის ჩადენა.

13. საჭიროებების შეფასება საჭიროა იმისათვის, რომ მოხდეს პერსონალური საჭიროებებისა და მახასიათებლების იდენტიფიკაცია, რაც ასოცირებულია პატიმრის დანაშაულთან და ზიანის მომტან საქციელთან. შეძლებისდაგვარად მაღალ დონეზე უნდა გამოიყენებოდეს კრიმინოგენული საჭიროებები იმისათვის, რომ მოხდეს პატიმრის დანაშაულისა და ზიანის მომტანი საქციელის შემცირება როგორც პატიმრობის განმავლობაში, ასევე გათავისუფლების შემდგომ.

14. თავდაპირველი რისკისა და საჭიროებების შეფასება უნდა განხორციელდეს შესაბამისად გაწვრთნილი პერსონალის მიერ და სასურველია ეს მოხდეს შეფასების ცენტრში.

15. ა. გამოყენებულ უნდა იქნეს თანამედროვე რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტები, როგორც ჩადებულია სამუდამო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების სანქციების იმპლემენტაციის გადაწყვეტილებაში.
ბ. ვინაიდან რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტები ყოველთვის მოიცავენ შეცდომის შესაძლებლობას, ის უნდა გამოიყენებოდეს არა როგორც გადაწყვეტილების მისაღები ერთადერთი მეთოდი, არამედ შევსებული უნდა იყოს შეფასები სხვა ფორმებით.
გ. უნდა შეფასდეს რისკისა და საჭიროებების შემაფასებელი ყველა ინსტრუმენტი იმისათვის, რომ ცნობილი გახდეს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

16. რადგან არც სახიფათოობა და არც კრიმინოგენული საჭიროებები არარის არსებითად მუდმივი ხასიათის, რისკისა და საჭიროებების შეფასება განმეორებით უნდა განხორციელდეს ინტერვალებს შორის შესაბამისად გაწვრთნილი პერსონალის მიერ, რათა მოხდეს სასჯელის დაგეგმვის მოთხოვნებთან თანხვედრა, ან თუ არსებობს სხვაგვარი საჭიროება.

17. რისკისა და საჭიროებების შეფასება ყოველთვის უნდა უკავშირდებოდეს რისკისა და საჭიროებების მენეჯმენტს. ეს შეფასებები, თავის მხრივ, უნდა ეცნობოს უკვე არსებული სათანადო ჩარევებისა და მოდიფიკაციების შეთავაზებისას.

ციხის უსაფრთოება და დაცულობა

18. ა. ციხის კონტროლის შენარჩუნება უნდა ეფუძნებოდეს დინამიკური უსაფრთხოების გამოყენებას, რაც გამოიხატება პერსონალის მიერ პატიმრებთან სიმტკიცესა და სამართლიანობაზე დამყარებული პოზიტიური ურთიერთობების განვითარებაში, რაც კომბინირებული იქნება მათი პირადი მდგომარეობისა და იმის აღქმით, თუ რა რისკის მატარებლები არიან ინდივიდუალური პატიმრები.
ბ. ტექნიკური ხელსაწყოების გამოყენებისას, როგორებიცაა მაღვიძარა ან წრიული დახურული ტელევიზიორი, ყოველთვის უნდა დაემატოს დინამიკური უსაფრთხოების მეთოდები.
გ. უსაფრთხოების ფარგლებში ციხის პერიმეტრზე უნდა იკრძალებოდეს იარაღის, მათ შორის ცეცხლსასროლი და პოლიციელის სპეციალური ჯოხის ტარების პრაქტიკა მათ მიერ, ვინც უშუალოდ ურთიერთობს პატიმრებთან.

19. ა. ციხის რეჟიმის ორგანიზება უნდა მოხდეს იმ ფორმით, რომ შესაძლებელი გახდეს მოქნილი რეაქციების მოხდენა უსაფრთხოებისა და დაცულობის ცვლასთან ერთად.
ბ. პატიმრების კონკრეტულ ციხეებსა თუ ფრთებში განთავსება უნდა ეფუძნებოდეს სავალდებულო რისკებისა და საჭიროებების შეფასებას და ამ გარემოში მათი მოთავსების მნიშვნელობას, რადგან მათი საჭიროებების მხედველობაში მიღება, სავარაუდოდ, შეამცირებს რისკს.
გ. კონკრეტული რისკები და გამონაკლისი გარემოებები, მათ შორის უშუალოდ პატიმრების მოთხოვნები, შესაძლებელია ითხოვდეს ზოგიერთი პატიმრის სეგრეგაციას. საჭიროა ინტენსიური მცდელობები, რათა მოხდეს სეგრეგაციის თავიდან აცილება, ან თუ მაინც გამოიყენება, უნდა მოხდეს გამოყენების ვადის შემცირება.

20. ა. უსაფრთხოების მაქსიმალური აგრეგატი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და ასეთი ზომის გამოყენება რეგულარულად უნდა გადაიხედოს.
ბ. მაქსიმალური უსაფრთხოების ზომების გამოყენებისას განსხ-

ვავება უნდა იყოს იმ პატიმრების რეჟიმებში, რომლებიც არიან გაქცევის ან ზიანის მოტანის რისკის მატარებლები და იმ პატიმრებთან ქცევაში, რომლებიც არიან რისკის მატარებლები სხვა პატიმრების და/ან მათთან მომუშავე, ან მოსანახულებლად მისული პირების მიმართ.

გ. პატიმრების ქცევისა და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, უსაფრთხოების მაქსიმალური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს მშვიდი ატმოსფეროს მიღებას, პატიმრების სოციალიზაციას, ფრთაზე მოძრაობის თავისუფლებას და უნდა ახდენდეს საქმიანობების ვარიაციების შეთავაზებას.

დ. საშიში პატიმრების მენეჯმენტი უნდა ეფუძნებოდეს (82)17 რეკომენდაციაში ჩადებულ პრინციპებს, რომლებიც შეეხება საშიში დამნაშავეების პატიმრობას და მათთან მოპყრობას.

სამუდამო და სხვა გრძელვადიანი სანქციების საზიანო შედეგის განეიტრალება.

21. სამუდამო და სხვა გრძელვადიანი პატიმრობის საზიანო ეფექტის თავიდან ასაცილებლად და გასანეიტრალებლად ციხის ადმინისტრაცია უნდა ეცადოს:

– უზრუნველყოს, რომ სასჯელის მოხდის დასაწყისშივე მოხდეს შესაძლებლობების შეთავაზება და მოგვიანებით, საჭიროების შემთხვევაში, განემარტოს პატიმარს ციხის წესების, რუტინის და მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ;
– მისცეს პატიმრებს შესაძლებლობა, წარმოდგენილი, შეძლებისდაგვარად ვრცელი, არჩევანიდან პირადად აირჩიონ ციხის დღიური საქმიანობა;
– შესთავაზონ ადეკვატური მატერიალური პირობები ფიზიკური, ინტელექტუალური და ემოციური სტიმულირებისათვის;
– განავითარონ სასიამოვნო და მეგობრულად განწყობილი დიზაინის დაწესებულებები, ავეჯი და დეკორაციები.

22. განასაკუთრებული მცდელობაა საჭირო ოჯახური ჯაჭვის გაწყვეტის თავიდან ასაცილებლად. ამ მიზნით:

– პატიმრები უნდა მოთავსდნენ შეძლებისდაგვარად ახლოს მათს ოჯახებსა და სხვა ნათესავებთან;
– წერილების გაგზავნა, სატელეფონო საუბრები და ვიზიტები შესაძლებელი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ხშირად და განმარტოებულად. თუ ეს დებულება საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებასა და დაცულობას, ან თუ რისკის შეფასებით არის გამართლებული,

ასეთ კონტაქტებს შეიძლება თან ახლდეს გონივრული უსაფრთხოების ზომები, როგორებიცაა კორესპონდენციის მონიტორინგი და ჩხრეკა ვიზიტებამდე და მათი დასრულების შემდეგ.

23. ა. შეიძლება დაინერგოს სხვა კონტაქტების გარე სამყაროსთან, როგორიცაა დაშვება გაზეთებზე, რადიოსა და ტელევიზორზე და სხვა გარე მნახველები.
ბ. ციხის დატოვების თაობაზე (82)16 რეკომენდაციაში გათვალისწინებული პრინციპების მიხედვით, კონკრეტული მცდელობები შეიძლება განხორციელდეს, რათა პატიმრებს სხვადასხვა ფორმით მიეცეთ ციხის დატოვების უფლება, თუ საჭიროა ესკორტის თანხლებით.

24. პატიმრებს შეიძლება ჰქონდეთ დაშვება შესაბამის დაცვაზე, დახმარებასა და მხარდაჭერაზე შემდეგ საკითხებში:
– მათი დანაშაულის პირობებზე, მსხვერპლისათვის მიყენებულ ზიანზე და ბრალეულობასთან ასოცირებულ სხვა გრძნობაზე;
– თვითმკვლელობის რისკის შემცირების თაობაზე, განსაკუთრებით უშუალოდ დაპატიმრების შემდგომ;
– გრძელვადიანი პატიმრობის საზიანო ეფექტების გასანეიტრალებლად როგორებიცაა ინსტიტუციონალიზაცია, პასიურობა, დაქვეითებული თვითშეფასება და დეპრესია.
სამუდამო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების სპეციალური კატეგორიები.

25. ციხის ხელმძღვანელობა უნდა ზრუნავდეს უცხოელი პატიმრების რეპატრიაციის შესაძლებლობებზე, რაც შესაძლებელია მისჯილი პატიმრების ტრანსფერის ევროპული კონვენციით ან ორმხრივი შეთანხმებებით შესაბამის ქვეყანასთან. უცხოელ პატიმრებს უნდა ეცნობოთ ამ შესაძლებლობების თაობაზე. სადაც შეუძლებელია რეპატრიაცია, ციხის მენეჯმენტი და პრაქტიკა უნდა ეყრდნობოდეს უცხოელი პატიმრების შესახებ (84)12 რეკომენდაციაში გათვალისწინებულ პრინციპებს.

26. გარკვეული ძალისხმევა უნდა განხორციელდეს მგრძნობიარე პატიმრების დასაცავად სხვა პატიმრების მუქარისა და ცუდად მოქცევისაგან. თუ საჭიროა დაცვითი სეგრეგაცია სხვა პატიმრებისაგან, თავიდან უნდა იქნეს აუცილებული სრული იზოლაცია და შეიქმნას დაცული და მხარდამჭერი გარემო.

27. უნდა განხორციელდეს ქმედობები იმ პატიმრების ადრეული და სპეციალიზებული დიაგნოზისათვის, რომლებიც არიან, ან გახდ-

ნენ მენტალურად აშლილი და მათ მიმართ უნდა განხორციელდეს ადეკვატური მოპყრობა. უნდა იქნეს გამოყენებული მიმართულება, მოცემული (98)7 რეკომენდაციაში, რომელიც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის ეთიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებს.

28. უფროსი პატიმრები უნდა იღებდნენ დახმარებას იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. ამ მიზნით, ციხის ადმინისტრაციამ მათ უნდა მიაწოდოს:

– შესაბამის დიაგნოსტიკურ და სამკურნალო მომსახურებაზე დაშვება;
– სამუშაოს, ვარჯიშისა და სხვა საქმიანობების შესაძლებლობები, რაც ვარგისია ინდივიდი პატიმრის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობისათვის;
– დიეტურად შესაფერისი საკვები, სპეციალური დიეტური საჭიროებების გათვალისწინებით.

29. ა. იმისათვის, რომ მომაკვდავ, ავადმყოფ პატიმარს მიეცეს ღირსეულად სიკვდილის საშუალება, უნდა მოხდეს მათი გათავისუფლება ისე, რომ მოხდეს მათთვის ციხის გარეთ მზრუნველობის მიღებისა და გარდაცვალების შესაძლებლობის მიცემა. თითოეულ საქმეში ციხის ადმინისტრაციამ უნდა მიმართოს ძალისხმევას, რომ ასეთ პატიმრებს და მათს ოჯახებს მიეწოდოთ შესაბამისი მხარდაჭერა და ზრუნვა.

ბ. შესაბამისი დახმარება უნდა გაეწიოს ამ პატიმრებს სასურველი პრაქტიკული მომზადებისათვის, მაგალითად, ანდერძის მომზადება, დაკრძალვის მომზადება და ა. შ.

30. ა. ვინაიდან ქალი პატიმრები, როგორც წესი, შეესაბამებიან სამუდამო ან გრძელვადიან პატიმრობაში მყოფი პირების უმცირესობას, მათი სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა უნდა შემუშავდეს ყურადღებით, რათა მოხდეს მათი საჭიროებების თანხვედრა.

ბ. ქალი პატიმრებისთვის უნდა გატარდეს კონკრეტული ძალისხმევა, რათა:

– თავიდან იქნეს აცილებული სოციალური იზოლაცია ქალი პატიმრების ძირითად მოსახლეობასთან შეძლებისდაგვარად შერწყმით;
– ქალ პატიმრებს, რომლებიც დაექვემდებარნენ ფიზიკურ, ფსიქიკურ და სექსუალურ ძალადობას, მიეცეთ დაშვება სპეციალურ მომსახურებებზე.

გ. დედებს, რომლებიც იხდიან სამუდამო ან სხვა გრძელვადიანი

პატიმრობის სასჯელს, არ შეიძლება უარი ეთქვათ თან იყოლიონ მოზარდი შვილები მხოლოდ მათი სასჯლეის გამო. როდესაც მოზარდები იმყოფებიან დედებთან, ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პირობების შექმნა.

31. მენეჯმენტმა სპეციალური ყურადღება უნდა მიაქციოს და განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს იმ პატიმრების პრობლემების მიმართ, რომლებმაც, სავარაუდოდ, მთელი ცხოვრება ციხეში უნდა გაატარონ. კერძოდ, მათი სასჯელის დაგეგმვა უნდა იყოს საკმარისად დინამიკური და უფლებას უნდა აძლევდეს მათ, სარგებელი მიიღონ აზრიან საქმიანობებში და ადეკვატურ პროგრამებში მონაწილეობით, მათ შორის მათთვის სასჯელთან ადაპტირებაში დასახმარებლად შექმნილი ინტერვენციისა და ფსიქოლოგიის მომსახურებაში.

32. ა. გრძელვადიანი პატიმრობის სასჯელის მქონე არასრულწლოვანი პატიმარი შეიძლება მოთავსდეს მხოლოდ მათს სპეციალურ საჭიროებებზე მორგებულ ინსტიტუტებსა თუ განყოფილებებში.
ბ. არასრულწლოვნებისათვის რეჟიმებისა და სასჯელის დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის პრინციპებს, რომლებიც ჩადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში ბავშვთა უფლებების შესახებ და რეკომენდაციას №R (87) 20 არასრულწლოვანთა გადაცდომის სოციალურ რეაქციებზე და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს:

– დებულებას ადეკვატურ განათლებასა და სწავლაზე;
– მშობლებთან და ოჯახის წევრებთან კავშირების შენარჩუნების საჭიროებას;
– დებულებას ემოციური განვითარებისას ადეკვატურ მხარდაჭერასა და მიმართულებებზე;
– შესაბამისი სპორტული და დასასვენებელი აქტივობების შესაძლებლობას;
– არასრულწლოვნის მოზრდილთა რეჟიმში გადაყვანის ყურადღებიან დაგეგმვას, არასრულწლოვნის პერსონალური განვითარების მხედველობაში მიღებით;
– სამუდამო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების საზოგადოებაში რეინტეგრაციის მენეჯმენტს.

33. იმ მიზნით, რომ საშუალება მიეცეთ სამუდამო და სხვა გრძელვადიან პატიმრებს, გადაჭრან გრძელვადიანი ჩაკეტილობიდან კანონმორჩილ საზოგადოებაში გადასვლისას წარმოქმნილი

კონკრეტული პრობლემები, მათი გათავისუფლება წინასწარ კარგად უნდა მომზადდეს და უნდა მოხდეს შემდეგის გათვალისწინება:

– განსაკუთრებული წინა გასათავისუფლებელი და გათავისუფლების შემდგომი გეგმების საჭიროება, რომელიც შეეხება შესაბამის რისკებსა და საჭიროებებს;
– გათავისუფლების მიღების შესაძლებლობის შესაბამისი გათვალისწინება და გათავისუფლების შემდგომ ნებისმიერი პროგრამების გაგრძელება, როგორებიცაა დაკავების განმალვობაში პატიმრების მიერ განხორციელებული ინტერვენციები ან მოქცევები;
– ციხის ადმინისტრაციასა და გათავისუფლების შემდგომ საზედამხედველო ხელისუფლებას, საზოგადოებრივსა და სამედიცინო სამსახურებს შორის მჭიდრო ურთიერთობის მიღწევის საჭიროება.

34. სამუდამო და გრძელვადიანი პატიმრებისთვის პატიმრობიდან პირობით ვადამდე გათავისუფლების მინიჭება და იმპლემენტაცია შეიძლება ეფუძნებოდეს პირობით გათავისუფლების თაობაზე რეკომენდაციას (2003)22.

უკან დაბრუნებული პატიმრები

35. თუ პირობით გათავისუფლების გაუქმების შემდეგ სამუდამო ან გრძელვადიანი პატიმარი დაბრუნდება ციხეში, უნდა გაგრძელდეს უკვე ჩამოთვლილი პრინციპების მოქმედება. კერთოდ, უნდა მოხდეს რისკისა და კრიმინოგენული საჭიროებების შემდგომი შეფასება და გამოყენება შესაფერისი განთავსებისა და შემდგომი ინტერვენციების არჩევისათვის ადრეული გადასინჯვისა და საზოგადოებაში პატიმრის ხელახლა დამკვიდრების მომზადების მიზნით.

პერსონალი

36. ზოგადად, სამუშაოდ აყვანა, შერჩევა, ტრენინგი, მუშაობისა და მობილურობის გარემო, ისევე როგორც სამუდამო და სხვა გრძელვადიან პატიმრებთან პროფესიული ქცევა, უნდა ეფუძნებოდეს პრინციპებს, რომლებიც გათვალისწინებულია რეკომენდაციაში (97)12, სანქციისა და ზომების იმპლემენტაციაში ჩართული პერსონალის შესახებ.

37. ა. ვინაიდან სამუდამო და სხვა გრძელვადიან პატიმრებთან მომუშავე პერსონალს სჭირდება ამ პატიმრებისაგან წამოსულ

სპეციფიკურ სირთულეებთან გამკლავება, მათ უნდა გაიარონ სპეციალური ტრენინგი, რომელიც საჭიროა მათი ვალდებულებებისათვის.

ბ. კერძოდ, პერსონალმა ტრენინგი უნდა გაიაროს, რათა ჰქონდეს დინამიკური უსაფრთხოების სრული აღქმა იმისათვის, რომ შეეძლოს უსაფრთხოების დაცვისათვის თავისი შეხედულებების გამოყენება მოვალეობების შესრულებისას.

გ. უფროსმა სპეციალისტმა და საზედამხედველო პერსონალმა დამატებით უნდა გაიარონ ტრენინგი იმისათვის, რომ ზედამხედველობა გაუწიონ და მხარი დაუჭირონ საბაზისო წოდების პერსონალს დინამიკური უსაფრთხოების გამოყენებაში.

38. გრძელვადიანი პატიმრების მიერ პერსონალის მანიპულაციის გაზრდილი რისკი სგამო, უნდა წახალისდეს პერსონალის მობილურობისა და როტაციის პრინციპი.

39. უნდა ეწყობოდეს რეგულარული შეხვედრები და დისკუსიები პერსონალის სხვადასხვა კატეგორიას შორის იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სწორი ბალანსი პატიმრების პრობლემების თანაგრძნობით გაგებასა და კონტროლის სიმკაცრეს შორის.

კვლევა

40. სამუდამო და გრძელვადიანი სასჯელების ეფექტების კვლევა უნდა განხორციელდეს იმ გარემოებებზე სპეციალური მითითებით, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ მავნე ეფექტების შეჩერებაში და ხელს უწყობენ ციხის ცხოვრებასთან კონსტრუქციულ ადაპტაციას.

41. უნდა ჩატარდეს და გამოქვეყნდეს შეფასებითი კვლევა იმ პროგრამის ეფექტურობის შესახებ, რომელიც შემუშავდა გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში ადაპტაციის გასაუმჯობესებლად.

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპის კომიტეტის სტანდარტები

საერთო ანგარიშების "რეზოლუციური" ნაწილები

II. პატიმრობა

ამონარიდი მე-2 საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (92) 3]

44. დასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ვიზიტის დროს წამების პრევენციის კომიტეტმა უნდა შეისწავლოს უამრავი საკითხი. რა თქმა უნდა, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პატიმართა ნებისმიერ განცხადებას პერსონალის მიერ სასტიკად მოპყრობის შესახებ. თუმცა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაკავების პირობების ნებისმიერი საკითხი შეესაბამება წამების პრევენციის კომიტეტის კომპეტენციას. სასტიკად მოპყობას შეიძლება ჰქონდეს უამრავი ფორმა, რომელთაგან ბევრი შესაძლოა არ იყოს წინასწარგანზრახული, არამედ უფრო არასაკმარისი სახსრებისა და ორგანიზაციული შეცდომების შედეგი. ამიტომ, კომიტეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების საერთო დონეს დაწესებულებაში. ასეთი დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება პატიმართათვის შეთავაზებული საქმიანობის სახეობებზე და პატიმრებსა და პერსონალს შორის ურთიერთობის საერთო მდგომარეობაზე.

45. წამების პრევენციის კომიტეტი ყურადღებით შეისწავლის დაწესებულების შიგნით დამყარებულ მდგომარეობას. პატიმრებსა და პერსონალს შორის, კონფრონტალურის პრევენციისდ, კონსტრუქციული ურთიერთობის მხარდაჭერა, ხელს უწყობს, ნებისმიერი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისათვის დამახასიათებელი, დაძაბულობის შემცირებას და ამასთან, მნიშვნელოვნად ამცირებს ინცინდენტებისა და თანმდევი სისასტიკის ალბათობას. მოკლედ, რომ ვთქვათ, კომიტეტი ისურვებდა დაენახა, რომ კონტროლისა და შეზღუდვის ზომები ხორციელდება ურთიერთობისა და ზრუნვის ატმოსფეროში. ასეთი მიდგომა არათუ არღვევს დაწესებულე-

ბაში უსაფრთხოების სისტემას, არამედ, პირიქით, სავსებით შესაძლოა ხელი შეუწყოს მის გამყარებას.

46. საკნების ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსების პრობლემა პირდაპირ უკავშირდება წამების პრევენციის კომიტეტის კომპეტენციას. თუ პატიმართა რაოდენობა აღემატება იმ რაოდენობას, რომელზეც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა გათვლილი, ეს უარყოფითად აისახება დაწესებულების შიგნით ყველა სახის მომსახურეობასა და საქმიანობაზე; ცხოვრების საერთო დონე დაიკლებს და შეიძლება მნიშვნელოვნადაც. უფრო მეტიც, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ან მისი ცალკეული ნაწილის ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსების დონე შესაძლოა აღმოჩნდეს არაადამიანური ან ღირსების შემლახავი ადამიანის ფიზიკური არსებობის თვალსაზრისით.

47. საქმიანობების დამაკმაყოფილებელ პროგრამას (მუშაობა, განათლება, სპორტი და ა.შ.) აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა თავისუფლებააღკვეთილ პირთა კეთილდღეობისათვის. ეს ეხება ყველა დაწესებულებას, სადაც იმყოფებიან პატიმრები როგორც განაჩენის გამოტანის შემდეგ, ისე გასამართლების მოლოდინში. კომიტეტი აღნიშნავს, რომ წინასწარი პატიმრობის რიგ დაწესებულებებში საქმიანობის სახეობები ძალიან შეზღუდულია. ისეთ დაწესებულებებში, სადაც პატიმრები დიდხანს არ დაჰყოფენ, დაკავებულთა საქმიანობის უზრუნველყოფა არც ისე იოლი საკითხია. ნათელია, რომ აქ საუბარი არ შეიძლება იყოს ისეთ ინდივიდუალიზირებულ პროგრამებზე, რომლის შექმნასაც ცდილობენ იმ დაწესებულებებში, რომელშიც მსჯავრდებულები არიან მოთავსებული. მაგრამ არ შეიძლება იმის დაშვება, რომ თავისუფლებააღკვეთილები კვირების, ზოგჯერ თვეების განმავლობაში საკნებში ჩაკეტილი იწყენდნენ, და ეს მიუხედავად მათთვის შექმნილი შედარებით კარგი მატერიალური პირობებისა. კომიტეტი იმედოვნებს, რომ უნდა ვისწრაფვოდეთ, რათა საგამოძიებო იზოლატორებში მყოფმა პირებმა შეძლონ დღის არსებითი ნაწილი (8 საათი ან მეტი) გაატარონ საკნებს გარეთ და ეს დრო დაუთმონ სხვადასხვა სახის სასარგებლო საქმიანობას. რათქმაუნდა, უკვე მსჯავრდებულ პატიმართა პირობები უფრო კეთილმოწყობილი უნდა იყოს.

48. განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს სუფთა ჰაერზე ყოფნა. მოთხოვნამ იმის შესახებ, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირებს ნება აქვთ ყოველდღიურად ერთი საათით მაინც ჩაატარონ

ფიზიკური ვარჯიშები სუფთა ჰაერზე, მოიპოვა ფართო აღიარება, როგორც უფლებათა ძირითადმა გარანტიამ (სასურველია, რომ მოცემული მოთხოვნა იყოს უფრო ფართო პროგრამის შემადგენელი ნაწილი). წამების პრევენციის კომიტეტს სურდა აღენიშნა, რომ **ყველა პატიმარს გამონაკლისის გარეშე** (მათ შორის დასჯის მიზნით საკნებში მყოფთაც), უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ყოველდღიურად შეასრულონ ფიზიკური ვარჯიშები სუფთა ჰაერზე. ასევე, თავისთავად იგულისხმება, რომ სუფთა ჰაერზე ვარჯიშისათვის არსებული მოწყობილობები უნდა იყოს გონივრული სიდიდის და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავშესაფარი უამინდობის დროს.

49. ჰუმანური გარემოს არსებითი კომპონენტია სათანადო საპირფარეშო საშუალებების იოლი ხელმისაწვდომობა და ჰიგიენის დამაკმაყოფილებელი სტანდარტები. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტს სურს განაცხადოს, რომ იგი უარყოფს ზოგიერთ ქვეყანაში ჩამოყალიბებულ პრაქტიკას, სადაც პატიმრები ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ თავიანთ საკნებში მოთავსებულ ჭურჭელში (რომელიც შემდგომ დანიშნულ დროს "გადაიღვრება"). ტუალეტი განლაგებული უნდა იყოს საკანში (სასურველია სანიტარული დანამატებით), ან უნდა არსებობდეს საშუალება, რომელიც ნებას რთავს პატიმრებს, რომლებიც ამას საჭიროებენ, გავიდნენ საპირფარეშოში ნებისმიერ დროს (ღამითაც) შეყოვნების გარეშე. გარდა ამისა, პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ საშხაპე ან სააბაზანო ოთახზე. ასევე, სასურველია საკანში იყოს წყალგაყვანილობა.

50. წამების პრევენციის კომიტეტი დაამატებდა, რომ მას განსაკუთრებით აწუხებს შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე დაწესებულებაში შეხვედრა უწევს ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსებულ საკნებთან, სადაც იმავდროულად განრიგით გათვალისწინებული პატიმართა საქმიანობა არ არის დამაკამყოფილებელი და სათანადოდ არ არის ორგანიზებული საპირფარეშოსა და ჰიგიენური საშუალებების ხელმისაწვდომობა. ასეთი პირობების ზემოქმედების ერთობლიობა შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს პატიმართათვის.

51. პატიმართათვის ასევე მნიშვნელოვანია დასაშვებ ფარგლებში შეინარჩუნონ კავშირი გარე სამყაროსთან უპირველეს ყოვლისა, პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა შეინარჩუნოს კავშირი ოჯახთან და ახლო მეგობრებთან. სახელმძღვანელო პრინცი-

პად უნდა იქცეს გარე სამყაროსთან კავშირის ხელშეწყობა. ასეთი კავშირის ნებისმიერი შეზრუდვა უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულად განსაზღვრულ უსაფრთხოების ინტერესებს ან მატერიალური სახსრების უკმარისობას. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას ერთგვარად შეღავათიანი მიდგომის აუცილებლობას, შეხვედრებისა და სატელეფონო კავშირების თვალსაზრისით, იმ პატიმართათვის, რომელთა ოჯახის წევრები ცხოვრობენ მეტად დაშორებულ ადგილას (რაც ფაქტიურად არარეალურს ხდის რეგულარულ შეხვედრებს). მაგალითად, ასეთ პატიმრებს შესაძლებელია ნება დაერთოს აკუმულირება გაუკეთონ შეხვედრის დროს და/ან მიეცეთ ოჯახთან სატელეფონო კავშირის გაუმჯობესებული პირობები.

52. ბუნებრივია წამების პრევენციის კომიტეტი ასევე ყურადღებას იჩენს იმ კონკრეტული პრობლემებისადმი, რომელსაც შეიძლება შეხვდნენ პატიმართა განსაკუთრებული კატეგორია, მაგალითისათვის: ქალები, არასრულწლოვნები, უცხოელები.

53. ციხის პერსონალი ზოგჯერ იძულებულია გამოიყენოს ძალა, რათა აკონტროლოს პატიმრები, რომლებიც ჩადიან ძალადობას და გამონაკლის შემთხვევებში მიმართოს ფიზიკური ზემოქმედების მეთოდებს. ამ სიტუაციაში აშკარად არსებობს დიდი რისკი პატიმრებისადმი სასტიკი მოპყრობისა და აქედან გამომდინარე, ჩნდება უფლებათა დაცვის განსაკუთრებული გარანტიების აუცილებლობა. პატიმარს, რომლის წინააღმდეგაც გამოყენებული იქნა რაიმე ფიზიკური ზემოქმედება უნდა ჰქონდეს უფლება დაუყოვნებლივ სამედიცინო შემოწმებაზე და აუცილებლობის შემთხვევაში სამედიცინო მკურნალობაზე. ასეთი შემოწმება უნდა ჩატარდეს მოსმენისა და სასურველია, თვალთვალის გარეშე, ხოლო შემოწმების შედეგები (მათ შორის საქმესთან დაკავშირებით გაკეთებული, პატიმრის განცხადებები და ექიმის დასკვნა) უნდა შედგეს ოფიციალური ოქმის სახით და გადაეცეს პატიმარს. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა საჭიროა ფიზიკური ზემოქმედების გამოყენება, აღნიშნული პატიმარი უნდა იმყოფებოდეს მუდმივი და სათანადო ზედამხედველობის ქვეშ. გარდა ამისა, იძულების საშუალებები უნდა შეიცვალოს პირველივე შესაძლებლობისთანავე; არასდროს არ შეიძლება მათი გამოყენება ან მათი გამოყენების გახანგრძლივება დასჯის ზომის სახით. და ბოლოს, საჭიროა პატიმართა წინააღმდეგ ძალის გამოყენების ყველა შემთხვევისათვის ჩანაწერის წარმოება.

54. ინსპექტირება და საჩივრების განხილვის ეფექტური წესი არის

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სასტიკი მოპყრობისაგან დაცვის ძირითადი გარანტია. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეიტანონ საჩივრები, როგორც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სისტემის ფარგლებში ისე მის გარეთ, მათ შორის სათანადო უწყებებისადმი კონფიდენციალური დაკავშირების შესაძლებლობა. წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ (მაგალითად, მნახველთა საბჭოს ან მოცემული დაწესებულების ზედამხედველობისათვის დანიშნული მოსამართლეების მიერ), რომელსაც აქვს უფლებამოსილება განიხილოს პატიმართა საჩივრები (და თუ აუცილებელია მიიღოს სათანადო ზომები) და ინსპექტირება გაუკეთოს დაწესებულების შენობას, თითოეული პენიტენციალური დაწესებულების რეგულარულ მონახულებას. ასეთი ორგანოები, სხვა ფუნქციების გარდა, შეიძლება თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს ციხის ადმინისტრაციასა და მოცემულ პატიამრს და საერთოდ პატიმრებს შორის წარმოშობილი უთანხმოების აღმოფხვრაში.

55. როგორც პატიმართა ინტერესებისთვის, ასევე ციხის პერსონალისთვის აუცილებელია ოფიციალურად წესდებოდეს და პრაქტიკაში ხორციელდებოდეს დისციპლინური ღონისძიებების ზუსტი სისტემა; ნებისმიერი მოუწესრიგებელი მხარე ამ სფეროში დაკავშირებულია არაოფიციალური და (უკონტროლო) სისტემის წარმოშობის რისკთან. დისციპლინური ზომების გამოყენების წესი უნდა უზრუნველყოფდეს პატიმართა უფლებას მოუსმინონ იმ დარღვევის საკითხზე, რომლებზეც არსებობს ეჭვი, რომ მათ ჩაიდინეს, და ნებისმიერი დაკისრებული სანქციის უფრო მაღალ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებას.
დისციპლინარული სახდელის დადების ოფიციალურ წესთან ერთად, არსებობს სხვა წესებიც, რომელთა მეშვეობითაც, დისციპლინასთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოსაზრებების გამო (მაგალითად, დაწესებულებაში "კარგი წესრიგის" შენარჩუნებისათვის), პატიმარი შესაძლებელია თავისი ნების გარეშე მოთავსებულ იქნას დაწესებულებაში მყოფი სხვა პირებისაგან განცალკევებით. ამ წესებს უნდა ახლდეს უფლებათა დაცვის ქმედითი გარანტიები. პატიმარს უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ ასეთი ზომის გამოყენების მიზეზები და თუ უსაფრთხოების მოთხოვნები სხვა რამეს არ ითვალისწინებენ[1], მას უნდა მიეცეს

1 შემდგომში ამ მოთხოვნის ფორმულირება შემდეგნაირად იქნა შეცვლილი: პატიმარს წერილობით უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ გამოყენებული ასეთი ზომის მიზეზების შესახებ (გასაგებია, რომ ეს მიზეზები დასაშვებიაარ მოიცავდეს დეტალებს, რომელთა დაფარვაც გამართლებულია უსაფრთხოების მოსაზრებით).

თავისი აზრის გამოხატვისა და მოცემული ღონისძიების სათანადო უწყებაში გასაჩივრების შესაძლებლობა.

56. წამების პრევენციის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შემთხვევებს, როცა პატიმრები, რაიმე მიზეზით (დისციპლინური მიზნებისათვის; მათი "საფრთხის" შემქმნელი ან "მოუსვენარი" ქცევის გამო; სისხლის სამართლებრივი ინტერესებისათვის; საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე) იმყოფებიან განცალკევებულ პატიმრობასთან ახლოს მდგომ პირობებში. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ საქმის გარემოებები შეესაბამებოდეს განცალკევებული პატიმრობის რეჟიმის გამოყენებაზე განცხადებას პატიმრისათვის, რომლისთვისაც შეიძლება დამღუპველი შედეგები ჰქონდეს. ზოგიერთ შემთხვევებში განცალკევებული პატიმრობა შეიძლება უდრიდეს სასტიკ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველი განცალკევებული პატიმრობა უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლევადიანი.

    იმ შემთხვევაში, როცა ასეთი რეჟიმის დაკისრება ან გამოყენება ხდება მოთხოვნის საფუძველზე, მნიშვნელოვანი გარანტიაა, რომ, როცა პატიმარი ან მისი სახელით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მუშაკი მოითხოვს ექიმს, იგი მოყვანილ იქნას დაყოვნების გარეშე, რათა ჩაატაროს პატიმრის სამედიცინო შემოწმება. ამ შემოწმების შედეგები, მათ შორის პატიმრის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ანგარიში, ისევე როგორც, თუ საჭიროა, იზოლაციის გახანგრძლივების შესაძლო შედეგები, უნდა შედგეს წერილობით და გადაეგზავნოს კომპეტენტურ უწყებებს.

57. არადისციპლინირებული პატიმრების სხვა დაწესებულებაში გადაყვანა წამების პრევენციის კომიტეტის ინტერესის კიდევ ერთი პარაქტიკული სფეროა. ზოგიერთი პატიმარი ქმნის ძალიან დიდ სირთულეს და ასეთ პირთა გადაყვანა, ზოგჯერ, უბრალოდ აუცილებელია. მაგრამ პირის ერთი დაწესებულებიდან მეორეში განუწყვეტლივ გადაყვანამ შეიძლება იქონიოს ძალიან მავნე შედეგები მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, თავისუფლებააღკვეთილი, ასეთ ვითარებაში, წააწყდება სირთულეებს ოჯახთან და ადვოკატთან კავშირის შენარჩუნების თვალსაზრისით. თავისუფლებააღკვეთილის ზედიზედ რამოდენიმე გადაადგილების საერთო ზემოქმედება, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება გაუტოლდეს სასტიკ და ღირსების შემლახველ მოპყრობას.

ამონარიდი მე-7 საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (97) 10]

12. 1996 წლის რამოდენიმე ვიზიტის განმავლობაში წამების პრევენციის კომიტეტი არაერთხელ შეხვდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა **ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსების** პრობლემას, მოვლენას, რომელმაც ფაქტიურად მოიცვა ევროპული ქვეყნების პენიტენციალური სისტემა. ხშირად ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსება განსაკუთრებით მაღალია უკან დაბრუნებულ პატიმართათვის (ე.ი. გასამართლების მოლოდინში მყოფთათვის) განკუთვნილ დაწესებულებებში; თუმცა წამების პრევენციის კომიტეტის დაკვირვებით, რიგ ქვეყნებში ეს მოვლენა მთელს პენიტენციალურ სისტემაშია გავრცელებული.

13. როგორც წამების პრევენციის კომიტეტმა თავის მე-2 საერთო ანგარიშში აღნიშნა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსება არის საკითხი, რომელიც პირდაპირ შედის კომიტეტის კომპეტენციაში (იხ. CPT/Inf (92) 3, პარაგრაფი 46).

    როცა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ნორმით გათვალისწინებულზე მეტად არის შევსებული, პატიმრები იმყოფებიან ვიწრო და არაჰიგიენურ საკნებში; იქ ყოფნას ახასიათებს განმარტოების შესაძლებლობის მუდმივი არარსებობა (ისეთი ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროსაც, როგორიც ტუალეტით სარგებლობაა); საკანს გარეთ ღონისძიებათა შემცირება, რაც განპირობებულია პერსონალისა და საჭირო მოწყობილობების უკმარისობით; სამედიცინო სამსახურების მუშაობის გადატვირთულობა; მუდმივად მზარდი დაძაბულობა და პატიმრებს და პატიმრებსა და პერსონალს შორის ძალადობის ფაქტების გამოვლენა. ეს ჩამონათვალი ნამდვილად არ არის ამომწურავი.

    წამების პრევენციის კომიტეტის კიდევ ერთხელ მოუწია იმის განცხადება, რომ საპყრობილეთა ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსების დამღუპველი შედეგია პატიმრობის არაადამიანური და ღირსების შემლახველი პირობები.

14. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსების პრობლემის გადასაწყვეტად, ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს გაზარდოს დაწესებულებებში ადგილების რაოდენობა. თავის მხრივ წამების პრევენციის კომიტეტი შორსაა იმის მტკიცებისაგან, რომ მხოლოდ დამატებითი ადგ-

ილების შექმნას შეუძლია ხანგრძლივი ვადით პრობლემის გადაჭრა. მართლაც, რიგ ევროპულ ქვეყნებში, რომლებმაც გადაწყვიტეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მშენებლობის გაფართეობის პროგრამის რეალიზაცია, გამოირკვა, რომ ციხეთა უფრო მეტი პატიმრის მიღების უნარის ზრდასთან ერთად, იზრდება პატიმართა რაოდენობაც. პირიქით, ზოგიერთ ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკამ, რომელიც მიმართულია ციხეებში გაგზავნილ პირთა რაოდენობის შემცირების ან შეცვლისაკენ, არსებითი წვლილი შეიტანა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ბინადართა რაოდენობის მისაღები დონის შენარჩუნებში.

15. ციხეთა ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსების პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ წარმოშობს ამ მოვლენასთან ბრძოლის მიზნით სტრატეგიის შემუშავებისათვის ევროპულ დონეზე თანამშრომლობის აუცილებლობას. ამიტომ წამების პრევენციის კომიტეტი ძალიან მოხარული იყო, როცა შეიტყო, რომ სისხლის სამართლის საკითხთა ევროპის კომიტეტის (CDPC) ფარგლებში დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით. წამების პრევენციის კომიტეტი იმედოვნებს, რომ ამ სამუშაოს წარმატებით დასრულება განხილული იქნება, როგორც პრიორიტეტი.[2]

2 1999 წლის 30 სექტემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია R(99) 22 თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ნორმით გათვალისწინებულზე მეტად შევსებისა და საპატიმროში მოთავსებულთა რაოდენობის ზრდის შესახებ.

III. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მომზადება

მე-2 საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (92) 3]

59. დასასრულ, წამების პრევენციის კომიტეტს სურს აღნიშნოს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც იგი ანიჭებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მომზადებას[3] (რომელიც უნდა მოიცავდეს განათლებას ადამიანის უფლებათა საკითხებზე — იხ. აგრეთვე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მუხლი 10). უდავოა, რომ არ არსებობს პოლიციის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მუშაკის სათანადო მომზადებაზე უკეთესი გარანტია თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ. კვალიფიცირებული მუშაკები შეძლებენ სასტიკი მოპყრობის გარეშე წარმატებით შეასრულონ თავისი მოვალეობები და დაიცვან დაკავებულთა და პატიმართა დაცვის ძირითადი გარანტიები.

60. ამასთან დაკავშირებით, წამების პრევენციის კომიტეტს სჯერა, რომ სამართალდამცავი პერსონალის შერჩევისას ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი და რომ სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს პიროვნებათშორის ურთიერობის თვისებების განვითარებაზე, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს ადამიანის ღირსების პატივისცემაზე. ასეთი ცოდნა პოლიციელსა თუ ციხის მომსახურეს შესაძლებლობას აძლევს განმუხტოს ისეთი ვითარება, რომელიც შეიძლება გადაზრდილიყო ძალადობის აქტში და უფრო ფართო გაგებით, მიგვიყვანს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაძაბულობის შემცირებასა და ცხოვრების დონის ამაღლებამდე, რაც სასარგებლოა თითოეულისათვის[4].

3 ამ ანგარიშში, განსაზღვრება — "სამართალდამცავი ორგანოს მუშაკი" მოიცავს როგორც პოლიციის ისე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალს.

4 წამების პრევენციის კომიტეტი აგრეთვე, მოუწოდებს სახელმწიფოებს მიზნად დაისახონ ადამიანის უფლებათა ძირითადი დებულებების ინტეგრაცია გაზრდილი რისკის კონტროლის სპეციალურ პრაქტიკულ პროგრამებში, მაგალითად, როგორიცაა სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილთა დაკავება და დაკითხვა; ეს შესაძლებელია უფრო ეფექტური აღმოჩნდეს, ვიდრე ადამიანის უფლებების შესახებ დამოუკიდებელი კურსები.

ამონარიდი მე-11 საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (2001) 16]

პერსონალისა და პატიმრის ურთიერთობა

26. ციხის ჰუმანური სისტემის ქვაკუთხედი ყოველთვის არის და იქნება სწორად შერჩეული და მომზადებული პერსონალი, რომელმაც იცის როგორ დაამყაროს სწორი ურთიერთობა პატიმრებთან; ისინი თავის მუშაობას უფრო პროფესიულ მოწოდებად აღიქვამენ, ვიდრე სამსახურად. პატიმრებთან კარგი ურთიერთობის დამყარების უნარი უნდა ჩაითვალოს ამ პროფესიის მთავარ და ძირითად თვისებად.

სამწუხაროდ წამების პრევენციის კომიტეტი ხშირად რწმუნდება იმაში, რომ პერსონალისა და პატიმრის ურთიერთობა ფორმალურ და მშრალ ხასიათს ატარებს - პერსონალს მკაცრად რეგლამენტირებული დამოკიდებულება აქვს პატიმართან, ხოლო მათთან სიტყვიერ ურთიერთობას მხოლოდ სამუშაოს თანმდევ უმნიშვნელო ასპექტად აღიქვამს. ამგვარი დამოკიდებულების საკმაოდ სიმპტომატური ნიშნებია ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტები, რომელთა მოწმეც არაერთხელ გამხდარა კომიტეტი პატიმრების იძულება, რომ სახით კედლისკენ იდგნენ ციხის პერსონალის მოლოდინში ან სანამ ციხის ვიზიტორები გაივლიან, პატიმრებისთვის ბრძანება, რომ თავდახრილებმა და ზურგზე ხელებდაწყობილებმა იარონ დაწესებულების ტერიტორიაზე; ციხის პერსონალის მიერ ხელკეტების დემონსტრატიული და თითქმის პროვოკაციული ტარება. უსაფრთხოების თვალსაზრისით ასეთი პრაქტიკა არ არის აუცილებელი და ვერაფრით დაეხმარება პერსონალსა და პატიმრებს შორის კარგი ურთიერთობის დამყარებას.

ციხის პერსონალის ნამდვილი პროფესიონალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ შეძლონ პატიმრების მიმართ თავშეკავებული და ჰუმანური მოქცევა და ამასთან ერთად არ გამორჩეთ უსაფრთხოებისა და წესრიგის საკითხები. ამ თვალსაზრისით ციხის ხელმძღვანელობამ უნდა განაწყოს პერსონალი, რომ გონივრულ ფარგლებში გამოიჩინონ ნდობა პატიმრების მიმართ და იმის მოლოდინი, რომ პატიმრებს აქვთ წესიერად მოქცევის სურვილი. პერსონალსა და პატიმრებს შორის კონსტრუქციული და დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს არა მარტო სასტიკი მოპყრობის რისკის შემცირებას, არამედ კონტროლისა და უსაფრთხოების გაძლიერებასაც. თავის მხრივ ეს უფრო სა-

სარგებლოს გახდის ციხის პერსონალის მუშაობას. პერსონალსა და პატიმრებს შორის დადებითი ურთიერთობების უზრუნველყოფა ასევე დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რომ ყოველთვის საკმარისი რაოდენობის თანამშრომლები იმყოფებოდნენ პატიმრობის დაწესებულებებში და იმ ადგილებში, რომელსაც პატიმრები სხვადასხვა საქმიანობისათვის იყენებენ. კომიტეტის დელეგაციები ხშირად ხედავენ, რომ ეს ასე არ ხდება. კადრების საერთო სიმცირე და/ან კონკრეტული თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების სისტემა, რომელიც თითქმის გამორიცხავს პატიმრებთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებას, აშკარად ხელს უშლის კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებას; უფრო ზოგადად ეს წარმოშობს როგორც პატიმრების, ასევე პერსონალისათვის საფრთხის შემცველ გარემოს.

ასევე აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც პერსონალის რაოდენობა არაადეკვატურია, უსაფრთხოების საბაზო დონის შესანარჩუნებლად და დაწესებულების მუშაობის რეჟიმის უზრუნველსაყოფად საჭირო ხდება საზეგანაკვეთო მუშაობა. ასეთმა მდგომარეობამ ადვილად შეიძლება გამოიწვიოს სტრესის მაღალი დონე თანამშრომლებს შორის და მათი ძალების ნაადრევი გალევა; ვხედავთ სიტუაციას, რომელიც აძლიერებს დაძაბულობას, რაც პენიტენციურ გარემოს ისედაც ახასიათებს.